მრავალ ქრისტეშობას ბედნიერად დაესწარით!

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№2
9-15.I
2013

გვ.14

მაკა: „დიმას ხშირად გამოვყავარ წყობიდან“

დიმიტრი: „კიდევ ქარგი, ჩემი ცოლი თინას არ ჰგავს!“

როგორ უშლის ნერვებს დიმიტრი ტატიშვილი მაკა ძაგანიას

„ჩემზე ამბობენ, კაცის ტვინი აქვსო“

გვ.6

„35 წლის ასაკში ქალმა შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს“

გვ.33

ჯანეტ ქერდიყოშვილი გრძელ თმას გათხოვებამდე ინარჩუნებს

რამ დაუტოვა „მის საქართველოს“ სახეზე ნაიარევი

ეკა ბესელია: „მეუღლესთან უფრო ვმეგობრობ, ვიდრე ოჯახური თანაცხოვრება გვაქვს“

გვ.32

აჩიკო სოლოღაშვილი: „ფეხსაცმელი ვიტრინიდან მეძახის“

გვ.11

ნუკი კოშკელიშვილი: „რთულია, როცა წლის ბოლოს უსამსახურო რჩები“

გვ.66

ქართული კულტურის ოქროს ფონდი — საგანძური ყველა ოჯახისთვის

გიორგი კალანდია: „ეს მასალები გადატრიალებას მოახდენს“

ISSN 1987-9369

საშობაო საჩუქარი უილბლო მამაკაცისათვის — „ვიგრძენი, რომ ეს ქალი უნდა შემყვარებოდა!“

გვ.42

თავისუფლება მოძრაობაშია

ადამიანი ამა თუ იმ მოძრაობის შესრულებას, სხეულის წონასწორობის შენარჩუნებას და სივრცეში კოორდინაციას სახსრებისა და კუნთების საშუალებით ახერხებს.

ზოგჯერ თავისუფალ მოძრაობაში ხელს გვიშლის წელის, ხერხემლის, სახსრების, კუნთების ტკივილი.

მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრავმებთან, ოსტეოართროზთან, ანთებასთან...

ტკივილი სუბიექტურია და ყველა ადამიანი მას ინდივიდუალურად აღიქვამს და აღწერს.

სახსრების, წელის, კუნთების ტკივილის მოსახსნელად უმჯობესია გამოვიყენოთ ადგილობრივი მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი გელი.

ფენოგელის გელი მალამოებისგან განსხვავებით ღრმად აღწევს ქსოვილებსა და კუნთებში, ჩააქრობს ანთებას და სწრაფად გაგიყუჩებთ სახსრების და კუნთების ტკივილს.

მალე, მალე, მალე!

პირველად საქართველოში!

ახალი პროექტი ჟურნალ „სარკესთან“ ერთად

ქართული კულტურის ოქროს ფონდი

ტომი 1.

კოტე მარჯანიშვილი

დინი ვირსალაძე: „მეგონა, საფრანგეთიდან 100 კილო ჩამოვიდოდი“

დათო ლაბაძე: „საყვარელი ქმარი ვარ!“

მერაბ სეფაშვილი: „ჩემი შვილები ბევრი პროფესიონალის დონეზე ცოტა უკეთ მღერიან“

ნიკა ნულუკიძეს საახალწლოდ დედამ ტაფა აჩუქა

ნომერში

პირადი

ეკა ბესელია: „მეუღლესთან უფრო ვმეგობრობ, ვიდრე ოჯახური თანაცხოვრება გვაქვს“ 6

ტანდემი

რა მსხვერპლს გაიღებენ ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი „ევროვიზიის“ კონკურსისთვის 9

ნაცნობი სახე

ნუკი კოშკელიშვილს ტელევიზიაში მუშაობის დაწყების იმედი არ აქვს 11

გულახდილი საუბრები 12-13

ეკრანული ნყვილი

როგორ უშლის ნერვებს დიმიტრი ტატიშვილი მაკა ძაგანიას 14

პოლიტიკა

- მილოცვა თუ შეურაცხყოფა — როგორ გავიგოთ პრეზიდენტის საახალწლო შემოთავაზებები? 16
- თემურ შაშიაშვილი: „ივანიშვილს ჩასაფრებული პრეზიდენტი უნდა ჩამოვაცილოთ!“ 17
- თედო ჯაფარიძე: „პრემიერი იქნება უფრო ძლიერი ფიგურა და პრეზიდენტს ექნება მხოლოდ სიმბოლური სახე“ 18

ეტაპი

მერაბ სეფაშვილი: „ჩემი შვილები ბევრი პროფესიონალის დონეზე ცოტა უკეთ მღერიან“ 22

სკანდალი

„რუსთავი 2“-ის რეალითი შოუს გამარჯვებული სასამართლოში ჩავის და 100 000 ლარს ითხოვს 24

გაანყობა

ნიკა წულუკიძეს საახალწლოდ დედამ ტაფა აჩუქა 26

მეორედ დაბადება

ითი ჭუმბურიძე: „მეგობარს ვერ ვპატიობ, რომ მისი შეცდომით შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი“ 27

მოზარდები 28-29

შოუს მიღმა

როგორი გოგოებისთვის წერს მუსიკას იოანე არაბული 30

სამოსი

აჩიკო სოლოღაშვილი: „ფეხსაცმელი ვიტრინიდან მეძახის“ 32

სარკის წინ

ჯანეტ ქერდიყოშვილი გრძელ თმას გათხოვებამდე ინარჩუნებს 33

ცხოვრება ჩემოდნებზე

დინი ვირსალაძე: „მეგონა, საფრანგეთიდან 100 კილო ჩამოვიდოდი“ 39

მეგზური

დაუვიწყარი ველური სუმატრა 41

ჩემი მშვენიერი ლედი

დათო ლაბაძე: „საყვარელი ქმარი ვარ!“ 44

სპორტის მიღმა 45

სახალისო 46-47

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 48-49

იყავით ჯანმრთელი 50-51

მხოლოდ ქალებისთვის

- ვზრუნავთ დეკოლტესა და მკერდზე 52
- კიკი ფრჩხილებისათვის 52
- ზღვის მარილი — საუკეთესო კოსმეტოლოგი 52

სიცილის გვერდი 53

უცხოური დეტექტივი 56

სალომე ყანჩელი და ოთარ ლითანიშვილი — სიყვარული ერთად და ცალ-ცალკე

სალომე ყანჩელი თავისი თაობის გამორჩეული მსახიობი იყო. არც თეატრში წარმატება აკლდა და არც მთავარი როლები. სცენაზე ბევრი საინტერესო სახე შექმნა, მაგრამ განსაკუთრებული, როგორც მისი ახლობლები აღნიშნავენ, მაინც შირინის როლი იყო, რომელიც სპექტაკლში „ლეგენდა სიყვარულზე“ შეასრულა.

■ სალომე ყანჩელი

სიყვარული მის ცხოვრებაში მართლაც საბედისწერო იყო. ორჯერ უყვარდა და ორივეჯერ ამ გრძნობამ ღრმა ტკივილები დაუტოვა, თუმცა მეორე, რომელიც მოწიფულ ასაკში ეწვია და ბედნიერების 20 წელი მოუტანა, გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდა. სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს გარეგნულად არ იმჩნევდა. ერთდროულად ნაზიც იყო და ძლიერიც.

■ ოთარ ლითანიშვილი

მისი სიყვარულისა და საერთოდ პირადი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ერთადერთი დღიური, რომელშიც ჩანაწერებს აკეთებდა, მისივე თხოვნით, გარდაცვალების შემდეგ ისე დაწვეს, რომ არავის წაუკითხავს. ჩვენ გიამბობთ იმას, რაც მისი ოჯახის წევრების მოგონებებს შემორჩა.

გვ.20

ქალური მოთხრობები

ლელა ცუცქირიძე — საჩუქარი 58

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 60-61

ადამიანის ინსტიტუტი 62

- ოჯახში მერამდენე დაიბადეთ? 64
- როგორ მიაღწიოთ თანხმობას საკუთარ თავთან 64

წმინდანები

ღვთის რწმენა ის იარაღია, რითაც ყოველდღე შეუძლებელი სასწაულების თვითმხილველები ვხდებით 65

კითხვები მოძღვარს

„შესწირეთ უფალს მცირეოდენი და ღმერთი იზრუნებს თქვენზე!“ 65

ახალი წიგნები

ქართული კულტურის ოქროს ფონდი — საგანძური ყველა ოჯახისთვის 66

საბავშვო გვერდი 68

კულინარიული შედევრები 69

ხელსაქმე 70

№2 (769) 9 — 15 იანვარი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 6.01.2013, 21.00 სთ-ზე.

„ქრისტე იშვას ჩვენს გულებში, ჩვენს სულიერ და ფიზიკურ სამყაროში“

მრევლი შობას ფანჯარაში სანთლით შეხვდა

■ ილია II

ნიანვარს სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, მრევლს დამდეგი შობა მიულოცა და ფანჯრებში სანთლის ანთების ტრადიცია შეახსენა. ბრძანა, რომ სთხოვს უფალს, ჩვენს გულებში ქრისტე იშვას.

— ვთხოვოთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას და მართალ იოსებს, რომელნიც ეძებენ სასტუმროს, შემოვიდნენ ჩვენს სახლებში, საქართველოში და ჩვენთან იშვას ქრისტე. გილოცავთ დამდეგ შობას და ვთხოვ უფალს, ქრისტე იშვას ჩვენს გულებში, ჩვენს სულიერ და ფიზიკურ სამყაროში. გაგვხადოს ღირსი უფალმა, რომ ნათელმა ქრისტესმა განანათლოს ჩვენი სულიერი და ფიზიკური ბუნება, — ბრძანა უწმიდესმა.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი სერიოზული წვლილისთვის ამავე უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა.

მამუკა ქაცარავა უფასო ბაღების წინააღმდეგია

ახალი ხელისუფლება გეგმავს, საბავშვო ბაღებში გადასახადი გააუქმოს, რასაც თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა მხარს არ უჭერს. ის აცხადებს, რომ ასეთი კანონის მიღების შემთხვევაში ამ ტვირთს დედაქალაქის ბაღები გაუძლებენ, მაგრამ რეგიონს გაუჭირდება.

საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა თინა ხიდაშელმა მოამზადა.

ქაცარავა თვლის, რომ უმჯობესია, ამ თვალსაზრისით უპირატესობა მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიენიჭოთ, დანარჩენებს კი რაღაც თანხა დაუწესდეთ. ქაცარავა ხიდაშელს არც იმაში ეთანხმება, რომ ბაღებში გადასახადის დაწესება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

— თუ პარლამენტი კანონს მიიღებს, რა თქმა უნდა, კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ, რასაც თავისი ფინანსური სახსრები სჭირდება. თბილისმა ეს ტვირთი შეიძლება ასწიოს, მაგრამ აქ საფიქრალია რეგიონები, სადაც საბავშვო ბაღები ფასიანი იქამდეც იყო, ვიდრე თბილისის ბაღები გადავიდოდნენ ასეთ სისტემაზე, — აცხადებს მამუკა ქაცარავა.

თბილისში მუნიციპალური საბავშვო ბაღები ფასიანი 2012 წლიდან გახდა. მშობელი თითო ბავშვზე თვეში 50 ლარს იხდის.

ქართველ მომლოცველებს წმინდა მიწაზე არ უშვებენ

ქართველ მომლოცველებს ისრაელში აღარ უშვებენ. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი იუწყება. მათი ცნობით, საპატრიარქომ ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მომლოცველთა 46 კაციანი სია გადაუგზავნა და ყველა მათგანზე უარი მიიღო.

— გადაგზავნილი საბუთები არც გადაუმოწმებიათ. ჩვენთვის რეალური მიზეზი უცნობია. ეს პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოდან მომლოცველთა ჯგუფები დიდ დღესასწაულზე ისრაელში ვეღარ ჩავლენ. წმინდა მიწაზე სიწმინდეების მოლოცვის ტრადიცია ბოლო 10 წელია არსებობს და იყო შემთხვევები, როდესაც დღესასწაულზე საქართველოდან ისრაელში 1000-მდე მომლოცველი ჩასულა. არ ვიცით, რა იქნება აღდგომისთვის, — აცხადებს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის თანამშრომელი ნანა ბუაძე.

საქართველოს საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი საბა, ისრაელის შსს-ს მიერ მომლოცველთათვის ვიზებზე უარის თქმას ქართველი მომლოცველების არალეგალურად დარჩენის ფაქტებს უკავშირებს. მეუფის ცნობით, იყო შემთხვევები, როცა ვიზებს ყოველთვის არ გასცემდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი მომლოცველებზე არ ყოფილა.

— კატეგორიული უარი მომლოცველებისთვის არასოდეს უთქვამთ, ეს პრობლემა ყოველთვის გვარდებოდა. ამჯერად საშობაოდ გადაგზავნილი იყო 46 ადამიანის სია და უარი მოგვივიდა, ქართველებზე ამ ეტაპზე ვიზებს არ გავცემთო. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ადგილზე მივმართოთ საკონსულოს, განიხილონ თითოეული ადამიანის მდგომარეობა და, ვისაც საჭიროდ ჩათვლიან, მასზე გაიცემა ვიზა, — აღნიშნა მეუფემ.

მომლოცველთა ჯგუფების გაგზავნაზე უარი მიიღეს ტურისტულმა კომპანიებმაც. ისრაელის საელჩო კი განმარტავს, რომ ამ ქვეყანაში სტუმრობის მსურველებისთვის ვიზების გაცემა ისრაელის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

■ ირაკლი ღარიბაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილმა და მისმა მოადგილეებმა ნარკოტესტი ჩაიტარეს

წინა ხელისუფლების ტრადიცია ახალი ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრმაც გააგრძელა — ირაკლი ღარიბაშვილმა და მინისტრის ყველა მოადგილემ ნარკოლოგიური ტესტი ჩაიტარა.

ტესტირებამ აჩვენა, რომ არც ერთი მათგანის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ არის. მინისტრის ბრძანებით, ასეთი შემოწმება სამინისტროს ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს. მან სხვა სამინისტროების ხელმძღვანელებსაც მოუწოდა, ანალოგიური აქცია თავიანთ უწყებებში ჩაატარონ და კოლეგებისგან თანხმობა მიიღო.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან აღვაძე, ლანა კეკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თამთა ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიკა – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

ბაჩო ახალაიას ტელევიზორის ყურების საშუალება არ აქვს

უსს-ს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია ახალ წელს ტელევიზორის გარეშე შეხვდა. მისი ადვოკატის, დავით დეკანოიძის თქმით, პატიმარს უფლება აქვს, ტელევიზორი ჰქონდეს, მაგრამ ყოფილ მინისტრთან მიმართებაში რატომღაც ამ უფლებას უგულებელყოფენ. ადვოკატმა ამ მოთხოვნით სასჯელაღსრულების მინისტრსაც მიმართა და სახალხო დამცველსაც, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

— უკვე მივმართეთ მინისტრსაც და სახალხო დამცველსაც, რომელმაც ასევე გაუგზავნა რეკომენდაცია მინისტრს, მაგრამ ტელევიზორის მიტანა ჭიანურდება, — განუცხადა „სარკეს“ დეკანოიძემ.

ადვოკატის თქმით, თუ არ ჩავთვლით საინფორმაციო ვაკუუმს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს კარგად გრძნობს და სასამართლო პროცესებს ელოდება, რომლის თარიღმაც პროკურატურის მოთხოვნით გადაიწია. პირველი წინასასამართლო სხდომა 30 იანვარსაა ჩანიშნული.

ბინის ქურდები რამდენიმე საათში დააკავეს

ბათუმის საქალაქო სამმართველოს II განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ფაქტზე ანზორ ჩ. და ალბერტ ს. დააკავეს.

2013 წლის 4 იანვარს, ღამის საათებში, აღნიშნული პირები ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ნინო ნიკოლაიშვილის საცხოვრებელ სახლში შეიპარნენ და ორსართულიანი კერძო სახლიდან პერსონალური კომპიუტერი, დვდ პლეერი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა საოჯახო ნივთები მოიპარეს. ქურდობის დროს ოჯახის წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ.

სამართალდამცავებმა ორივე პიროვნება დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს, ხოლო მათი სახლების ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთების დიდი ნაწილი ამოიღეს. ჯართის ჩამბარებელ პუნქტში კი ნიკოლაიშვილის სახლის სათავსოდან მოპარულ ლითონის ნაკეთობებს მიაკვლიეს.

დადგინდა, რომ 1965 წელს დაბადებული ანზორ ჩ. წარსულშიცაა ნასამართლევი ქურდობისთვის. დაკავებულები ბათუმის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებიან.

მუნიციპალიტეტის თანამშრომელი სახლში ავტომატს მალავდა

სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით ქუთაისის მერიის კახიანაურის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი კობა ო. დააკავეს.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაკავებულის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს, საიდანაც „აკს“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სამი მჭიდი და 237 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

✓ მანანა გეგია

მეთორმეტე სართულიდან ქალი მანქანას დაეცა და იქვე გარდაიცვალა

4 იანვარს, ღამის 12 საათზე, თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონში, უბედური შემთხვევა მოხდა. 45 წლის ქალი მე-12 სართულის აივნიდან გადმოვარდა, ეზოში მდგარ ავტომობილს დაეცა და ადგილზევე გარდაიცვალა. ექსპერტიზის პასუხები ჯერ ცნობილი არ არის, ტრაგედიის ზუსტ მიზეზზე რამის თქმა ძნელია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ვერსია.

ერთ-ერთი ვერსიით, გარდაცვლილი თავს შეუძლოდ გრძნობდა, გვიან ღამით აივანზე გავიდა, თავბრუ დაეხვა და გადავარდა. ლაპარაკობენ თვითმკვლელობაზეც. მომხდარის შეფასება მეზობლებს და ახლობლებს უჭირთ.

ხ. ორ შვილთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა, მისი მეუღლე ლ. კი უკვე ორი წელია ბელორუსში მუშაობს, იგი ბანკირია. საზღვარგარეთ წასვლამდე საქართველოში ერთ-ერთი ბანკის გენერალური დირექტორი გახლდათ. ოჯახის სანახავად ხშირად ჩამოდიოდა. ხ.-ც წლების განმავლობაში ერთ-ერთ ბანკში მუშაობდა, მერე კი ოჯახის გამო სამსახურს თავი დაანება. მათი უფროსი ვაჟი, როგორც ამბობენ, იმდენად ნიჭიერია, რომ მერვე კლასიდან მეათე კლასში ექსტერნად გადაიყვანეს.

მეზობელი: „მეუღლისთვის უთქვამს, ჟანგბადი ახ მყოფნის, აივანზე უნდა გავიდეო. ყველანი სახლში იყვნენ. დიდი ხანი ჰომ ახ შებჰუნდა, დედამ გამოიხედა და ეს სუჰათი დახვდა“.

მეზობლების თქმით, რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი ქალის მამამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა ახლობლები ამ ფაქტსა და მამის თვითმკვლელობას შორის კავშირს ვერ ხედავენ.

დაღუპულის მეზობლებმა „სარკეს“ შემდეგი უამბეს:

— ძალიან ძლიერი ხმა გავიგონეთ. გარეთ რომ გავიხედეთ, ვერაფერი დავინახეთ. შემდეგ ეზოში ბიჭების ხმაური ატყდა, ადამიანი გადმოვარდაო, ყვიროდნენ... არაჩვეულებრივი ოჯახი აქვთ. სახლში იმ ქალის ქმარი, ორი შვილი და დედა იყვნენ. რა მოხდა, არ ვიცით. გარდაცვლილიც ძალიან კარგი ადამიანი იყო, მისი ქმარიც კარგი კაცია.

მე-12 სართულის აივნიდან გადმოვარდა და ქვემოთ მდგარ მანქანას დაეცა სახურავზე. მეუღლისთვის უთქვამს, ჟანგბადი არ მყოფნის, აივანზე უნდა გავიდეო. თურმე ბოლო დროს უჟანგბადობა აწუხებდა. ყველანი სახლში იყვნენ. ქალი დიდი ხანი რომ არ შებრუნდა, დედამ გამოიხედა და ეს სურათი დახვდა.

— რა ვერსიებია გავრცელებული, გადაყვარდა თუ გადახტა?

— უფრო იმას ვარაუდობენ, რომ თავბრუ დაეხვა და გადავარდა. არა, არანაირი პრობლემა მათ არ ჰქონიათ. ამის შესახებ ჩვენს ყურამდე ნამდვილად არ მოსულა. გარდაცვლილის ოჯახთან ძალიან ახლოს ვართ და არ გვსმენია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონოდა.

— ჩამოყვარდნისთანავე გარდაიცვალა?

— ცოტა ხანს იცოცხლა. სასწრაფო დახმარების მანქანა რომ მოვიდა, სუნთქვის მართვის აპარატზე შეაერთეს, მაგრამ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანეს.

— შვილები რამდენი წლის არიან?

— ორი ბიჭი ჰყავს. ერთი მესამე კლასშია, მეორე მეათეშია, მაგრამ ასაკით პატარაა. ისეთი არაჩვეულებრივი ოჯახი აქვთ, ამ ტრაგედიით ყველა გაოგნებულია. არ ვიცით, რა მიზეზი შეიძლება იყოს.

— გარდაცვლილი რას საქმიანობდა?

— ადრე ბანკში მუშაობდა, შემდეგ ბავშვების გამო მუშაობას თავი დაანება. მისი მეუღლე კი დაახლოებით ორი თუ სამი წელია ბელორუსში მუშაობს, ბანკირია. დღესასწაულებზე, დაბადების დღეებზე სულ ჩამოდიოდა, ცოლ-შვილთან ერთად ატარებდა დროს. ახლაც 26 დეკემბერს ჩამოვიდა.

— რამდენადაც ვიცი, გარდაცვლილის მამას წლების წინ თავი მოუკლავს.

— ეს დაახლოებით 10-12 წლის წინ მოხდა, მაგრამ არ ვიცი, ამასთან რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს. მამა აფხაზეთში ნაომარი კაცი იყო, ბევრი ცუდი რამე ჰქონდა გამოვლილი. შემდეგ ვერც თბილისს შეეგუა, გაუჭირდა აქ ყოფნა, სულ დაღონებული დადიოდა, სულ აფხაზეთზე ლაპარაკობდა და ამაზე ფიქრებში იყო. ბოლოს სახლიდან სადღაც 7 კილომეტრის იქით წავიდა და თავი მოიკლა.

მეორე მეზობელი:

— ჩვენს მანქანაზე სიგნალიზაცია ჩაირთო, მამამ ფანჯრიდან რომ გადაიხედა, ამ დროს უკვე გარდაცვლილის დედა ჩამორბოდა, ვიღაც, შვილი გადმომივარდაო. ქვემოთ ჩვენს მანქანას დაეცა. მაშინვე არ გარდაცვლილა, ცოტა ხანი სუნთქავდა. მეუღლე ბელორუსში მუშაობს, აქ ხშირად ჩამოდის ხოლმე. ამ შემთხვევის დღეს, დილით ისევ უნდა წასულიყო, მაგრამ რატომღაც ორი დღით გადადო და ეს სამწუხარო ამბავიც მოხდა.

— თქვენ რა ვერსიები გსმენიათ, ნამდვილად გადმოყარდა?

— არ ვიცი, მაგრამ, როგორც ექსპერტმა თქვა, გადმომხტარია, რადგან მანქანა შენობიდან 5 მეტრის დაშორებით იდგა. რომ გადმოვარდნილიყო, მანქანას ვერ დაეცემოდაო. ერთი მოსაზრებაც იყო, შეიძლება გადმოვარდა, მაგრამ ვარდნის დროს სარეცხის თოკებს დაეცა და იმან გადააგდო მანქანისკენ. მაინც უფრო თვითმკვლელობას ვარაუდობენ.

✓ ეკა ლემონჯავა

ეკა ბესელია: „მეუღლესთან უფრო ვმეგობრობ, ვიდრე ოჯახური თანაცხოვრება გვაქვს“

„ჩემზე ამბობენ, ჯაცის ტვინი აქვსო, მაგრამ ამ ტვინთან ერთად ქალის დიდი ემოციაც მაქვს“

■ ეკა ბესელია

ცნობილი ადვოკატისა და ამჟამად პოლიტიკოსი ქალის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება დრამატიზმითაა სავსე. პროვინციიდან დედაქალაქში ჯერ ისევ გოგონას ასაკში, ჩვილი ბავშვით ხელში ჩამოვიდა. მისი პირველი ქორწინება ხანმოკლე და მტკივნეული იყო. ბევრი შრომა დასჭირდა, რომ მძიმე წლებში — გასული საუკუნის 80-90-იანი წლები — შვილიც გაეზარდა, ესწავლა და კარიერაშიც პირველი ნაბიჯები გადაედგა. ცხოვრებამ მალე აქცია „რკინის“ ქალად. ყველაზე მძიმე პროცესი, როგორც ადვოკატს, მაშინ ჰქონდა, როცა საკუთარი ოჯახის წევრებს, ყველაზე ძვირფას ადამიანებს იცავდა — შვილს, რატი მილორავას და ძმას, ბესო ბესელიას. ეს განსაცდელი საქართველოს პატრიარქის ნუგეშმა გადაატანინა.

მეორე სიყვარული უკვე კარიერაში წარმატებულ ეკა ბესელიას ეწვია. მკაცრი მოსამართლის მანტიის მიღმა თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი ამოიცნო. ზურაბ გუბელაძესთან 8 წლის ქალიშვილი ლიზი ჰყავს.

ბავშვობა

— ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა, აქტიური და ორგანიზებული ვიყავი. სენაკში, ნოსირში ვიზრდებოდი, სტუმართმოყვარე და ტრადიციულ ოჯახში. ჩვენს ლამაზ, მწვანეში ჩაფლულ ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდი. ქალაბიჭა, გამხდარი გოგო ვიყავი, ახლა იმდროინდელ ფოტოებს რომ ვუყურებ, მართლაც არაბუნებრივად გამხდარი ვჩანვარ. მცირე ხნით მძლეოსნობაზე დავდიოდი და მერე კალათბურთის თამაში დავიწყე. იმდენად კარგად ვთამაშობდი, რომ 15 წლისა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ამიყვანეს. უნივერსიტეტის გუნდშიც ვთამაშობდი, მაგრამ 18 წლისამ სპორტის ამ სახეობას თავი დავანებე, არადა ბურთებს სნაიპერივით ვისროდი კალათში.

დედა ყოველთვის ჩემი მეგობარი იყო, მამა კი მკაცრი გახლდათ, მუდამ მაკონტროლებდა, ოჯახის ტრადიციებს მკაცრად იცავდა. კალათბურთზე სიარულსაც მიშლიდა. ერთხელ საქართველოს ნაკრებიდან მოლდავეთში ტურნირზე მივდიოდით, მაგრამ მამა სასტიკ უარზე იყო. მე ძალიან მინდოდა წასვლა, ამიტომ დედამ ჩუმად შეაგროვა ფული და გამიშვა. ერთი კვირით წავედი მამისგან უჩუმრად. ღამით, სანამ მამა სახლში დაბრუნდებოდა, დედა ჩემს საწოლში მუთაქებს ალაგებდა, ვითომ მეძინა. მამა დილით ადრე გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა, ამიტომ მოლდავეთიდან ისე ჩამოვედი, არც გაუგია, წასული თუ ვიყავი. ახლა აღარ არის მკაცრი.

სტუდენტობა

— ძალიან საინტერესო იყო და ალბათ ყველაზე დრამატული უნივერსიტეტში ჩემი ჩაბარების ისტორია. 1989 წელი იყო, როდესაც ვაბარებდი იურიდიულ ფაკულტეტზე. კორუფცია მაშინ იყო, თუ იყო. ვისაც ახსოვს ცნობილი მოვლენები, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში აბიტურიენტების საპროტესტო აქციით ცნობილი, მე ვიყავი იმ პროცესის ლიდერი. ეს დიდი ისტორიაა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მე, 18 წლის აბიტურიენტი, ვაბარებდი გამოცდებს და იმავდროულად ვესწრებოდი მისაღებ საგამოცდო კომისიასთან ერთად გამოცდების პროცედურებს. მაშინ რა არ სცადეს, კომუნისტების მმართველობის ბოლო წელი იყო, მოსყიდვა, გადაბირება, მუქარა, თხოვნა, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ვითხოვდი, ყველა უსამართლოდ დაჩაგრული აბიტურიენტის უფლებები ყოფილიყო დაცული და მხოლოდ ამის შემდეგ შევწყვეტდი აქციას (აქედან ჩასახლდა ჩემში მებრძოლი უფლებადამცველი). მოკლედ, ეს დიდი პროცესი, სისტემასთან ბრძოლა გამარჯვებით დავასრულე და პირველად მაშინ შევიგრძენი სრულიად მარტომ და დაუცველმა, რომ ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია, თუ სამართლიანობისთვის იბრძვის.

„ქალაბიჭა, გამხდარი გოგო ვიყავი, ახლა იმდროინდელ ფოტოებს რომ ვუყურებ, მართლაც არაბუნებრივად გამხდარი ვჩანვარ“.

■ ეკა და პატარა რატი

— რატი რომ დაიბადა, 19 წლის ვხდებოდი. ძალიან რთული პერიოდი გავიარე. თბილისში სამოქალაქო ომი იყო, ტალონებზე იყიდებოდა პირველადი მოხმარების საგნები. საოცარი რიგები იყო პურზე, რძის პროდუქტებზე. დილის 6 საათზე ვდგებოდი და ბავშვით ხელში რიგში ვიდექი. ჩემი ყოფილი მეუღლის და ჩემი მშობლების ოჯახიც სენაკში ცხოვრობდა. ორივე ოჯახისთვის რატი პირველი შვილიშვილი იყო. როგორც წესი, სტუდენტები შვილებს მშობლებს აზრდევინებენ ხოლმე. მეც მთხოვდნენ, რომ ბავშვი იქ დამეტოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უმძიმესი პერიოდი იყო და არც ბინა გვქონდა — ქირით ვცხოვრობდით, რატი მაინც წამოვიყვანე. ორთვენახევრის იყო მაშინ. ვთქვი, შვილი დედამ უნდა გაზარდოს-მეთქი და დღესაც მიმაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

ძალიან ვწვალობდი. ეს ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. 19 წლის ასაკში 3 თვის პატარა ბავშვით, სტუდენტი... ლექციებზე რომ გავრბოდი, ბავშვს ხან ჩემს მულთან ვტოვებდი, ხან — ჩემს დასთან. რატის მამაც მეხმარებოდა, მაგრამ მაინც ძალიან მიჭირდა, განსაკუთრებით — პირველი ორი წელი. მერე ბაღში მივიყვანე და ასე, წვალებით გავზარდე ჩემი სტუდენტობის შვილი. ახლა კი მეამაყება, რომ მე გავზარდე.

დედობის მოლოდინი

— რატის დაბადებას რომ ველოდებოდი, დღიურების წერა დავიწყე. ყოველთვე ვწერდი, რა განცდა მქონდა და როგორ ველოდებოდი. როცა გაიზარდა, ეს დღიური ვაჩუქე. რომ წაიკითხა, საოცარი ემოცია ჰქონდა. როგორია, როცა დაბადებული არ ხარ და მერე იმას კითხულობ, როგორ გელოდებოდნენ! თვალებგაბრწყინებულმა მითხრა, დედა, ახლა თავიდან შემიყვარდიო. მაშინ 17 წლის იყო. იმას ვწერდი, რასაც ვგრძნობდი:

„ძალიან მიჭირს იმის გააზრება, რაც შენს მოვლინებას ახლავს თან... ჯერ სულ რაღაც 3 თვის ხარ და 6 თვეში მოვლინები სამყაროს... საოცარი განცდით ველოდები შენს დაბადებას... შენთან საუბარი აქედანვე დავიწყე, რომ უკვე გიგრძნო, უფრო მეტად გაგითავისო და მთელი არსებით შეგიყვარო... ეს ისეთი საოცარი განცდაა... რაღაც მარადიულობაში გადასული. მწამს, რომ იქნები ჭკვიანი, კეთილი, სათნო. როცა გაიზრდები, ამ დღიურს გაჩუქებ და გადმოგცემ იმ ემოციას, რომელიც შენს ლოდინს ახლდა“.

„... ყოველდღე ჟურნალ „ბაიას“ ვყიდულობ, რომ ამოვწერო სასარგებლო რჩევები შენი მოვლისთვის... რამდენი რამ უნდა ვისწავლო... ჩემო პატარავ, ისეთი ბედნიერებაა შენი ლოდინი და ისეთი საპასუხისმგებლო, რომ არ ვიცი, რას შევადარო... ეს მართლა განუმეორებელი განცდაა.. მადლობა უფალს!“.

ყველანაირი სირთულე სრულიად მარტომ დავძლიე. ამან საკმაოდ ძლიერი ხასიათი ჩამომიყალიბა, განსაცდელებმა გამაძლიერა. შინაგანი სიმტკიცე მაქვს, ყველანაირ წინააღმდეგობას ვძლევ. მარტივ გზას არასოდეს ვირჩევდი, არასოდეს წავსულვარ კომპრომისზე ჩემს ზნეობრივ პრინციპებთან. ამით დიდი შინაგანი თავისუფლება მოვიპოვე.

ადვოკატის ჯახიერა

— დღეში 15-16 საათი მძიმე რეჟიმში ვმუშაობდი. როგორც კი უნივერსიტეტი დავამთავრე, მაშინვე ადვოკატი გავხდი. ჩემი საადვოკატო კომპანია ერთ-ერთი წამყვანი იყო. წლების განმავლობაში საუკეთესო ადვოკატის ტიტული მქონდა. ეს იყო დიდი შრომის შედეგი.

ერთადერთი, ვინც არასოდეს მტოვებს, უფალია. ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში თითქოს ვიღაც ხელისგულზე მისვამდა და უვნებელი გამოვყავდი... გადაწყვეტილებებს სწრაფად ვიღებ, ვხედავ, სადაა გამოსავალი. ამიტომ შემეძლო 100-დან 96 ურთულესი, ზოგჯერ განწირული საქმე მომეგო. ყოველ

Cyan Magenta Yellow Black

მარცხს ისე განვიცდიდი, თითქოს მთელი სიცოცხლე მაკლდებოდა. ჩემს პრაქტიკაში იყო გამორჩეული საქმე, როდესაც სამუდამო პატიმრობამისჯილი გავამართლე. ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა და ამ საქმეს 5 წელი მოვანდომე.

ადამიანს სიცრუის ხარჯზე არასოდეს ვიცავდი. ზოგს ჰგონია, რომ ადვოკატობა სიცრუეზე აგებული სტრატეგიაა. როცა, მაგალითად, მკვლელობაში ბრალდებულს ვიცავდი და ზუსტად ვიცოდი, რომ ის მართლაც იყო იმ საქმის მონაწილე, ზღაპრებს არ ვყვებოდი, რომ ვიღაც სხვამ მოკლა. კვალიფიკაციაზე, დანაშაულის მოტივსა და მიზეზებზე ვდავობდი. სწორად ვადგენდი სტრატეგიას და მოცემული სიტუაციიდან სწორ გამოსავალს ვეძებდი. არც სინდისის ქენჯნას შევუწუხებივარ ოდესმე, რადგან ისტორიებს მე არ ვთხზავდი. ერთხელ ერთ-ერთ საქმეზე პატრიარქს შევხვდი და მაშინ მითხრა, თქვენ ისე დაეხმარეთ, როგორც შეგიძლიათ და დანარჩენი უფალმა განსაჯოსო. ვის რა ეკუთვნის, ღმერთმა განსაჯოს, მე ვინ მომცა ამის უფლება?!

საქმეში იმედგაცრუება არასოდეს მქონია. არასოდეს დავმარცხებულვარ. უბრალოდ, რთულ გზას გავდივარ, რადგან მოკლე გზით სიარული მორალურ კომპრომისებზე წასვლას ნიშნავს. საოცარი წარმატებები მქონდა საქმეში, მაგრამ ეს იოლად არ მოდიოდა.

ორჯერ ვიყარე კენჭი საპარლამენტო არჩევნებში და ორივეჯერ გავხდი დეპუტატი. პირველად უარი ვთქვი, პროტესტის ნიშნად არ შევედი პარლამენტში. ახლა კი გავიმარჯვე მაჟორიტარულ არჩევნებში საკმაოდ რთულ რეგიონში, სამეგრელოში. წაგებას ვერ ვეგუები. როცა ვიცი, რომ გამარჯვების მხოლოდ ერთი პროცენტი მაქვს, იმ ერთ პროცენტსაც ვიყენებ და ამ დროს საოცრად ვგრძნობ ხოლმე უფლის წყალობას. რასაც ვაკეთებ, ის ჩემთვის კი არა, საზოგადო სიკეთისთვისაა, ანუ ადამიანებისთვის, სამართლიანობისთვის ვიბრძვი. როცა შინაგანი სიმართლე შენკენაა, არ არსებობს, ის საქმე არ გამოვიდეს!

ძლიერი მეოხე ნახევარი

— მამაკაცი ძალიან ძლიერი უნდა იყოს, რომ ძლიერ და წარმატებულ ქალთან ურთიერთობა დაბალანსოს. შექმნას ისეთი სივრცე, სადაც თანაცხოვრება სასურველი და საშური იქნება. ეს კი იოლი არ არის. ძლიერი ქალი იმავდროულად რთული კონსტრუქციისაა, მარტივ ადამიანთან ურთიერთობა უჭირს.

ქალი რთული ფენომენია, მაგრამ მას აქვს გასაღები. უნდა იპოვო და ის სივრცე გახადო საცნაური, რომელიც იდუმალებით არის მოცული. ეს არის საინტერესო, ამ სივრცეს რომ გახსნი და ქალს აგრძნობინებ, რამდენად ღირებულია მისი შინაგანი სამყარო. ეს დიდი ნიჭია. ადამიანური ურთიერთობა დიდი გამოცდაა, გამორჩეულთა ხვედრია. ორი ადამიანის თანაარსებობა, მოდური სიტყვით თუ ვიტყვი, „კოაბიტაცია“, იოლი როდია, მუდმივი გამოცდაა. დათმობათა ხარჯზე ხდება შენარჩუნება მთავარი რამის. რომ გიყვარს, ეს ნიშნავს, რომ მისთვის ყველაფრის გაღება უნდა შეგეძლოს, ამით იზომება, თუ იზომება სიყვარული.

„ჩემს პრაქტიკაში იყო გამოჩეული საქმე, როდესაც სამუდამო პატიმრობამისჯილი გავამართლე. ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა და ამ საქმეს 5 წელი მოვანდომე“.

შვილები

— ლიზი რომ შემეძინა, 35 წლის ვიყავი. ამ ასაკში ქალმა შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს. ლიზი ჩემი საჩუქარია. ყოველთვის ვოცნებობდი, ასეთი გოგო მყოლოდა — ლამაზი, ჭკვიანი, თბილი, პრანჭია და მატრაკვეცა. ძალიან ჰგავს მამას. მათ განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. ლიზი უკვე 8 წლის არის. კარგ ლექსებს წერს და ჩემი კარგი მეგობარია. ესმის ჩემი და არასოდეს ბრაზდება იმის გამო, რომ სახლში არ ვარ. ვცდილობ, ყოველი შაბათ-კვირა ჩემს ოჯახთან გავატარო. როდესაც თბილისში ვარ, ლიზი ყველა შეხვედრაზე დამყავს.

„მის თბილისი 2008“ დედიკოსთან ერთად

ჩემთვის ყველაფერი შვილებიდან იწყება. სულ ვოცნებობდი, რომ გოგო მყოლოდა. პირველი შვილიც გოგო მინდოდა. იმედია, რატი რომ ამას წაიკითხავს, არ გაბრაზდება.

ლიზი: უნდოდა, ლოყებკუნჭია ვყოფილიყავი. ამის გამო გოჭების ფეხებს ჭამდა.

ეკა: ამბობდნენ ხოლმე, კვერცხი და გოჭის ფეხი უნდა ჭამო, რომ ბავშვს ლოყები დაეჩვრიტოსო. სამეგრელოში გამიგია... (იცინის). ამბობენ ასე, ცრურწმენაა. ამას მაშინ ვაკეთებდი, რატიზე რომ ვიყავი ფეხმძიმედ. ლიზის დროს ამ ასაკს უკვე გავცდი.

ლიზი: ჩემ მაგივრად დედიკოს დისშვილს აქვს დაჩვრეტილი ლოყები.

ეკა: ლიზი 2008 წელს „მის თბილისი“ გახდა.

„ლიზი რომ შემეძინა, 35 წლის ვიყავი. ამ ასაკში ქალმა შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს. ლიზი ჩემი საჩუქარია. ყოველთვის ვოცნებობდი, ასეთი გოგო მყოლოდა — ლამაზი, ჭკვიანი, თბილი, პრანჭია და მატრაკვეცა. ძალიან ჰგავს მამას“.

ლიზი: დედაჩემს და მამაჩემს არ უნდოდათ ჩემი მოდელობა. მე და ბებიაჩემი ჩუმად დავდიოდით სამოდელო სტუდიაში. მერე კონკურსზე გამოვედი და „მის თბილისიც“ გავხდი. გასულ წელს კი „მის კატრინი 2012“ გავხდი. მამაჩემი მეუბნებოდა, გაიზრდები და გადაგაგდებენ, ბებერი მოდელი ვის გაუგიაო. ამიტომ არ უნდოდა ჩემი მოდელობა.

ეკა: ანუ მამა ეუბნებოდა, რომ მოდელობა მუდმივი პროფესია არ არის.

ლიზი: მამას უნდოდა, მოცურავე ვყოფილიყავი, მაგრამ ვუთხარი, მოცურავე არ გამოვალ-მეთქი. ცოტა ხანს ცურვაზეც დავდიოდი. დედაჩემს უნდა, მოცეკვავე გამოვიდე.

ეკა: მინდა, რომ კარგად ცეკვავდეს, ძალიან მიყვარს ქართული, ეროვნული ცეკვები. ნიჭიერია და ბევრი მიმართულებით ავლენს თავის ნიჭს. კარგად წერს და ამაში მე მგავს. რაღაცეების წერა ძალიან მიყვარდა. სპორტულია, სამსახიობო მონაცემებიც აქვს და ამაში ორივეს გვგავს.

რატი უკვე დიდია და ჩემ გამო ბევრი რამის გადატანა მოუხდა. მის ბიოგრაფიაში რომ პოლიტიკური მუხლები გაჩნდა, ეს ჩემ გამოა. ის შინაგანად კარგი, წესიერი, კეთილშობილი ბიჭია და მჯერა, რომ ცუდს არაფერს გააკეთებს.

განსაცდელი

— სულიერად ყველაზე მეტად მაშინ გამიჭირდა, როცა წინა ხელისუფლებამ ჩემი შვილი, რატი მილორავა და ჩემი ძმა, ბესო ბესელია დააპატიმრა. ეს მაშინ მოხდა, როცა პოლიტიკაში ვიყავი და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდი. აქციებზე ავლაბრის რეზიდენციასთან 70 დღე ვიდექი ჩემს თანამებრძოლებთან ერთად. შურისძიება ჩემ მიმართ ყველაზე სასტიკი იყო სააკაშვილის მხრიდან, ოჯახის წევრების დაპატიმრება — ეს აკრძალული მეთოდია. ამაზე მძიმე დღეები ცხოვრებაში არ მქონია და დარწმუნებული ვარ, არც არასოდეს მექნება.

ეს განსაცდელი ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. რატი მაშინ 16 წლის იყო. ჩემი 12 წლით უმცროსი ძმა, რომელიც შვილებზე ნაკლებად არ მიყვარს, აქციებზე სულ ჩემ გვერდით იდგა. ყველაზე მტკივნეული სწორედ მათი დაჭერა იყო. მაშინ ამით დამსაჯეს. ეს ყველაზე დიდი გამოცდა იყო, თუ ვერ გავუძლებდი, წავიდოდი პოლიტიკიდან. ჩემგან ითხოვდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, აღიარებას, რომ ბიჭებმა პოლიციას გაუწიეს წინააღმდეგობა და დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. შესაძლოა ეს, შინაარსის თვალსაზრისით, არ იყო მაკომპრომენტირებელი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ საკაშვილის და მისი გუნდის პირობებზე დათანხმება მორალური პრინციპების ღალატი იყო. არ შეგვეძლო ამის გაკეთება არც მე და არ ჩემს ოჯახს. ჩვენ ერთად ვიბრძოლეთ და ყოველგვარი კომპრომისის გარეშე მოვახერხე მათი გათავისუფლება.

ვცდილობდი, არ შემეშჩნია, მაგრამ იმ პერიოდში ძალიან მიჭირდა. ბოლო სასამართლო პროცესზე ერთ მხარეს შვილი მეჯდა და მეორე მხარეს — ძმა. ხანდახან მეკითხებიან, თუ რატომ ვარ ასეთი უცნაური, აი, სწორედ ამიტომ. რაღაც ისტორიები ადამიანში გარკვეულ კვალს ტოვებს. სხვაგვარად იზრდები ამ დროს. შინაგანი ძალა გემატება.

ჩემი ბიჭები რომ დაიჭირეს, ერთ კვირაში პატრიარქთან მივედი. მან მანუგეშა, არ შეგეშინდეს, მალე დედა ღვთისმშობელი გაგახარებსო და მართლაც, 28 აგვისტოს, მარიამობას, ორივე გათავისუფლდა.

მაშინ მერაბიშვილის უწყებამ ძალიან მარტივი სცენარი დადგა. ერთ-ერთ კაფეში, სადაც ჩემი ოჯახის წევრები სადილობდნენ, მოხდა კამათის იმიტაცია. ამ კამათში და არა — ჩხუბში, პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. ჩემი ძმა და შვილი კარგად გამოიყენეს, რომ ჩემზე შური ეძიათ. გააფორმეს, როგორც ჩხუბი და ორივე იქვე დააკავეს. რამდენიმე დღეში ჩემი შვილი გამოუშვეს და ძმა მძევლად დაიტოვეს — ერთი წელი ჰყავდათ პატიმრობაში.

მოგვიანებით რატიზეც გასცეს დაპატიმრების ბრძანება. სკოლის მოსწავლე იყო. დავმალეთ და წელიწადზე მეტი ძებნა იყო მასზე გამოცხადებული, მოვასწარით საქართველოდან გაყვანა. მერე საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთნენ — საფრანგეთის მთავრობა, ამერიკის საელჩო. ენდიაი და მისი პრეზიდენტი ძალიან დამეხმარნენ. ჩემმა ძმამ კი საკუთარ თავზე გადაიტანა ის ყველაფერი, რაც გადაჰქონდათ იმ დროს ციხეში მყოფ პატიმრებს. არ უცემიათ, ამას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ ფსიქოლოგიურად ძმიმე მდგომარეობაში ჰყავდათ. უთქმელად გადაიტანა ყოველივე, ცდილობდა, სხვებს დახმარებოდა ციხეში. პატიმრები ისეთ ისტორიას ყვებოდნენ მასზე, რომ გაოცებული ვიყავი.

რატის სკოლაში სწავლა წელიწადნახევრით გაუცდა, ამიტომ ორი წლით დაუგვიანდა ინსტიტუტში ჩაბარება. მთლიანად ამოვარდა რეჟიმიდან. ფსიქოლოგიურადაც უჭირდა. ეს განსაცდელი ცნობილი ფსიქოლოგის, ნანა ჩაჩუას დახმარე-

→ 8

Cyan Magenta Yellow Black

ბით გადაიტანა. ქალბატონი ნანა ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარია. რატი სულ პატარა იყო, მასთან რომ დამყავდა და შინაგანი სიმყარე მისცა მასთან ურთიერთობამ, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად. რატი საფრანგეთის სკოლაში სწავლობდა, ახლახან ჩამოვიდა და გადაწყვეტს, აქ გააგრძელოს სწავლა თუ ისევ წავიდეს.

„ძლიერი ვარ, მაგრამ რკინის — არა!"

— ემოციური ვარ, ძალიან განვიცდი ყველაფერს. ჩემზე ამბობენ, კაცის ტვინი აქვსო, მაგრამ ამ ტვინთან ერთად ქალის დიდი ემოციაც მაქვს. ერთი ოქროს წესი ვიცი და ლიზისაც ვასწავლი. როგორც კი პრობლემა შემექმნება, მაშინვე ვეუბნები ჩემს თავს — უნდა იმოქმედო, რომ პრობლემა მოაგვარო. ლიზის ვეუბნები, არასოდეს იტირო, დაიწყე მოქმედება პრობლემის მოსაგვარებლად და მაშინვე იპოვი გამოსავალს-მეთქი. მეც მიჩუყდება გული, მაგრამ ამას სხვა ვერ დაინახავს. ძლიერი ვარ, მაგრამ რკინის — არა!

ახლა ყველაზე მეტი დრო პატიმრებისთვის, გაჭირვებული ადამიანებისთვის მაქვს დათმობილი. ამის გამო უარი ვთქვი ჩემს პირად კეთილდღეობაზე, სიმშვიდეზე, პირად ცხოვრებაზე, დასვენებაზე. ერთდროულად ეს ყველაფერი არ გამომდის. ჩემი პირადი სიმშვიდის ხარჯზე ვარ საჯაროდ აქტიური. როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი, საქმე ვამჯობინე და ამიტომ არ ვწუწუნებ. ვიდრე საჯარო სამსახურში ვარ, ისეთი ვიქნები, როგორიც ახლა ვარ. ოჯახში ყოფნა იშვიათად მიწევს. სულ ქუთაისში ან ფოთში ვარ. ბოლო პერიოდში ოჯახის წევრები ერთმანეთს უკვე იშვიათად ვნახულობთ და სტუმრებივით ვესალმებით. მეუღლესთან უფრო ვმეგობრობ, ვიდრე ოჯახური თანაცხოვრება გვაქვს. ამას პრაქტიკულად ცალ-ცალკე ცხოვრება ჰქვია. ეს დრომ და ვითარებამ მოიტანა.

ყველაზე მეტად კი ის მედარდება, რომ ბავშვებთან ურთიერთობისთვის ნაკლები დრო მრჩება. რატი უკვე დიდია, მაგრამ ლიზიკო მესამე კლასშია და მას მეტი ყურადღება სჭირდება. თბილისში მხოლოდ კვირადღეს ჩამოვდივარ. რაღაც პერიოდი დისკომფორტს ვგრძნობდი ოჯახში არყოფნის გამო, მაგრამ ახლა ეს შეგრძნება აღარ მაქვს, ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა?! რაღაც რაღაცის ხარჯზე ხდება. არჩევანი უნდა გააკეთო — საჯარო საქმე თუ შენი პირადი. ორივე ერთად ერთი დოზით არ გამოდის.

ამნისტიის კანონზე 24 საათიდან 21 საათი ვმუშაობდი. მართლაც არაადამიანური ენერგია და თავდაუზოგავი შრომა დასჭირდა ამ ამბავს. ეს ის მომენტია, როდესაც ან პირადი უნდა დათმო, ან საქმე. მე მივხვდი, რომ დღეს საჯარო საქმეს უფრო ვჭირდები.

ხელისუფლება — გამოცდა

— ეს ახალი ეტაპი ძალიან რთულია. სპორტული ცხოვრება და სახლში ყოფნა მომენატრა. დასვენება და ძილიც მენატრება. ბოლო თვენახევარია საერთოდ არ მძინებია. პარლამენტიდან ყველაზე გვიან, ღამის 3 საათზე გავდივარ. როცა პოლიტპატიმრების საქმეზე ვმუშაობდით, დილის 5 საათზე მივდიოდი სახლში. მოვწყდი გარესამყაროს, ვერ ვნახულობ მეგობრებს, ვერავის ვეკონტაქტები. რაღაცნაირად ჩავიკეტე საპარლამენტო სივრცეში, სადაც უჰაერობა, უყანგბადობაა და ვიგუდები.

ლიზი: იქ იმდენი კაცი ზის, აბა, რა იქნება?!

ეკა: ხელისუფლებაში ყოფნა, იცით, რატომ არ არის სასურველი? სულ აკრძალვებით ცხოვრობ, რადგან საჯარო პირი ხარ. მე ისედაც არ ვცხოვრობდი მიშვებული რეჟიმით, ისედაც არ მიყვარდა გასართობ ადგილებში სიარული. ის ცოტა რამეც კი, რაც ჩემი სამყაროსთვის მქონდა დათმობილი, ავკრძალე. მხოლოდ ერთადერთი პლუსი აქვს ხელისუფლებაში ყოფნას — ბერკეტები გაქვს და შეგიძლია ბევრი პრობლემა გადაუწყვიტო ადამიანებს. გაჭირვებული ადამიანების ჯგუფი დაიძრა ჩემი კომიტეტისკენ. თვენახევარში 3 ათასზე მეტი განცხადება შემოვიდა და ასე თუ ისე შეგიძლია მათ დაეხმარო.

— ადამიანებს ცვლის ხელისუფლებაში მოსვლა.

— არ ცვლის. შინაგანად ისეთები არიან. უბრალოდ ხელისუფლებაში ყოფნა ავლენს ადამიანის იმ დაფარულ მხარეს, რასაც იქამდე ვერ ხედავდით. მე რაც ვარ, სულ ისეთი ვიქნები. სადაც გინდათ, იქ დამსვით, რა შემცვლის?! 18-19 წლის ასაკში რომ ყალიბდება ადამიანი, მერე აღარ იცვლება. გამოცდილებას იძენს და შეიძლება ხასიათის გარკვეული კორექტირება ძოხდეს, მაგრამ ჩონჩხი, მისი შიგთავსი, სულიერება და ფასეულობათა სისტემა რაც არის, არასოდეს იცვლება. ხელისუფლებაში ყოფნა გამოცდაა. მერე ჩანს, ვინ როგორ უძლებს.

მეგობრობა

— თქვენი გამონათქვამი თქვენი ყოფილი მეგობრის, თუო ტლაშაძის მიმართ გასხვლვის საგანი გახდა. არასასიამოვნოდ მოისმენიეთ სატელევიზიო კომენტარში — მაგ ქალის ნათქვამზე კომენტარს ვერ გაკეთებთ.

— ტლაშაძე არასოდეს იყო ჩემი მეგობარი და არ მინდა მაგ ადამიანზე საუბარი. აქაც გულწრფელი ვარ და არ ვეკეკლუცობ. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთა მიმართაც

„ჩემი ბიჭები ხომ დაიჭიხეს, პატიხიჰქთან მივედი, მან მანუგეშა, ეს შეგეშინდეს, მაღე დედა ღვთისმშობელი გაგახეიბსო და მეხთლეც, მეხიამობას ოხივე გათავისუფლდა".

არ მაქვს პატივისცემის გრძნობა. ამ მიზეზებზე საუბარი არ მინდა.

— რაც შეეხება არაკანონიერ ოქრუაშვილს, რომელიც თქვენ გადანაშაულებდით ამაში, რომ ახლა ისევ ციხეში ზის.

— კითხვა არასწორია, მას არასოდეს დავუდანაშაულებივარ. მან თავად გადაწყვიტა, ჩამოსულიყო და იცოდა, რაც ელოდა. როგორც განაცხადა, მისი სახელით სხვები აკეთებენ ხოლმე არასწორ განცხადებებს, მას ჩემ წინააღმდეგ არც ერთი საჯარო განცხადება არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებს, რადგან ამის საფუძველი არ აქვს. რაც შეეხება მის საქმეს, სასამართლოშია და მან უნდა ისარგებლოს დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებით. თუ შეიძლება, რომ გაათავისუფლონ ის ადამიანები, ვისაც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულობებისთვის წაუყენეს ძალიან ძმიმე ბრალდებები, რატომ არ შეიძლებოდა სასამართლოს ოქრუაშვილის მიმართაც გამოეყენებინა არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება? ხომ ჩამოვიდა თავისი ფეხით და მივიდა სასამართლოში? ანუ მისი გაქცევის საფრთხე არ არსებობდა.

— ამასაც ამბობენ, რომ თქვენს იმედად ჩამოვიდა.

— ჩემს იმედად ვერ ჩამოვიდოდა, რადგან, რაც პარტიიდან წამოვედი, მასთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს. პოლიტდევნილთა სიაში იყო და იქნებოდა კიდეც, მანამდე რომ არ ჩამოსულიყო, ვიდრე პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებდა. რადგან მან ამ მოვლენებს დაასწრო, გადაწყვიტა, სასამართლოთი მოეხდინა რეაბილიტაცია და ეს მისი უფლებაა, პროცედურულად მოხდა ისე, რომ მისი საკითხი კომიტეტში დადგა — დარჩენილიყო თუ არა პოლიტდევნილთა სიაში. სტატუსი იცვლება, როგორც კი ადამიანი აღარ არის ძებნაში მყოფი. მე, პირადად, ხმა მივეცი, რომ სიაში ყოფილიყო, მაგრამ კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, სასამართლო განხილვის დასრულებამდე გადაწყვეტილება არ მიეღო პარლამენტს. არავინ ამბობს, რომ მის წინააღმდეგ არ განხორციელდა პოლიტიკური დევნა საკაშვილის ხელისუფლების მხრიდან, ნამდვილად პოლიტიკური დევნილი იყო. ჯერ კიდევ აქვს სასამართლოს დრო, სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

— არც არაკანონიერი ოქრუაშვილი იყო თქვენი მეგობარი?

— არა. მე ვიყავი მისი ადვოკატი და თანამებრძოლი და არა — მეგობარი. მეგობრებს ეპიზოდურად არ ვირჩევ. შეიძლება ადამიანთან ახლო ურთიერთობა მქონდეს პოლიტიკურ პროცესში ყოფნის დროს, ახლა, მაგალითად, მეგობრებზე ხშირად ჩემს კოლეგებს ვნახულობ, მაგრამ მათ შორის მეგობარი არ მყავს. ვერც მოვასწრებდი დამეგობრებას. ორ თვეში მეგობრებს არ ვიძენ, ამას წლები სჭირდება. ცოტა მეგობარი მყავს. ზოგის მეგობრობა პოლიტიკაში ყოფნამ გამოსცადა და ამის გამო რამდენიმე მომაკლდა კიდეც. ვინც მყავს, ვუფრთხილდები.

ახალი წელი

— ახალ წელს ფოთში შევხვდი. 31 დეკემბერს რამდენიმე ადამიანი იყო ჩემთან მოსული, რომლებსაც არ ჰქონდათ შუქი, წყალი, გაზი, საკვები. მადლობა უფალს, რომ ბევრს დავეხმარე. დაკონკრეტება უხერხულია, მით უფრო, ისეთი ლიდერის ფონზე, როგორიც ბიძინა ივანიშვილია. სიკეთეს უჩუმრად აკეთებდა.

ძალიან მინდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ფოთში რეაბილიტაციის ცენტრი გაკეთდეს მალე. ბევრი სხვა პრობლემაა მოსაგვარებელი ამ უნიკალურ ქალაქში. სიკეთის კეთება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. თუ ამის კეთება შემეძლება, ბედნიერი ვიქნები.

არავისთვის არაფრის თხოვნა არ მიყვარს. ეს ჩემი სუსტი წერტილია. არ მომწონს, როცა ხალხი პირდაპირ ითხოვს ფულად დახმარებას ან დასაქმებას და, იცით, რატომ? მე ხომ სხვას უნდა ვთხოვო. ეს არაფრით შემიძლია. მირჩევნია, თვითონ გავაკეთო. რაც ჩემზე არ არის დამოკიდებული და ვერ ვაკეთებ, ამაზე ვნერვიულობ.

— ახალ წელს თქვენი ქმარ-შვილიც ფოთში იყვნენ?

— არა, გავიყავით და დავარღვიეთ ტრადიცია. მხოლოდ ლიზიკო და ჩემი ძმა იყვნენ ჩემთან. ძველით ახალ წელსაც ასე იქნება. რატი კი შემპირდა, რომ ჩემთან ერთად წამოვა ფოთში. ძველით ახალ წელს ტრადიცია გვქონდა, რომ მეგობრები იკრიბებოდნენ ჩემთან. წელს ამ ტრადიციასაც დავარღვევ და ისევ ფოთში, ჩემს ამომრჩევლებთან შეხვდები. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი და ფოთელები. მინდა, ხშირად ვიყო მათთან და ბევრი რამ მოვასწრო ამ საოცარი ქალაქისთვის, რომელიც საქართველოს კარიბჭეა.

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

✓ რუსუდან ადეიძე, ქუთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

რა მსხვერპლს გაიღებენ ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი „ევროვიზიის“ კონკურსისთვის

„ჩვენ ერთმანეთის კარგად გვესმის“

ორმღერლები ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი 2013 წელს „ევროვიზიაზე“ საქართველოს სახელით იმღერებენ. ეს ამბავი მათ 31 დეკემბერს შეატყობინეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო გუნდმა ყოველგვარი შიდაშესარჩევი ტურის გარეშე მათი კანდიდატურები დაასახელა. მომღერლებისთვის ეს შეთავაზება მოულოდნელი იყო და, რა თქმა უნდა, სასიხარულო. წელს „ევროვიზია“ შვედეთში გაიმართება. ქართველი კონკურსანტები უკვე სამზადისს შეუდგნენ.

რატომ ამჯობინა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ევროვიზიაზე“ გასაგზავნი მომღერლების შერჩევის ასეთი გზა — პირდაპირი წესით დასახელება, ყოველგვარი ტურის გარეშე, „ევროვიზია საქართველოს“ პროდიუსერი **ნათია უზნაძე** განმარტავს:

— წელს პირველად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავად გადაწყვიტა, ყოველგვარი წინაშესარჩევი კონკურსის გარეშე შეერჩია „ევროვიზიაზე“ წამსვლელი მუსიკოსი. „ევროვიზიის“ წესებით, ეს ნებადართულია და წელს ჩვენ და მაკედონიამ გამოვიყენეთ ასეთი უფლება. ორი დღე ძალიან დატვირთული მუშაობა გვქონდა, ვფიქრობდით ყველა მომღერალზე, რომელსაც აქვს სცენაზე დგომის კარგი გამოცდილება, ვფიქრობდით სოლო მომღერლებზე, დუეტებზე, ტრიოებზეც კი, მაგრამ საბოლოოდ ნოდიკო და სოფო გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ ორივე კარგი სოლისტია, ძალიან შრომისმოყვარეები და მოწესრიგებულები არიან.

ჩვენ მათზე ვიზრუნებთ მთლიანად, რეპერტუარიდან დაწყებული იმიჯით დამთავრებული. ამ დუეტს მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებელი შექმნის. აქამდე კი ჩვენ ვმუშაობდით მომღერალთან, რომელსაც თავისი სიმღერა ჰქონდა და მას ვეხმარებოდით, „ევროვიზიის“ სტანდარტებში ჩამჯდარიყო. ვფიქრობ, წელს ძალიან საინტერესო კონკურსანტები გვეყოლება „ევროვიზიაზე“.

❖

ნოდიკო 2009 წელს ჯეოსტარი გახდა, სოფო კი „ჯეოსტარი 2010“-ის ფინალისტია. მათი შემოქმედებითი წარსული ერთმანეთს ძალიან ჰგავს. არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულნი არიან. დუეტშიც არაერთხელ უმღერიათ. ერთობლივი პროექტიც ჰქონდათ დაგეგმილი — თებერვალში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ძველი ქართული სიმღერების გაცოცხლებას აპირებდნენ, მაგრამ მათი გეგმები „ევროვიზიამ“ თავდაყირა დააყენა. ამ სიამოვნო სიურპრიზზე, წინასაკონკურსო ეიფორიასა და ემოციებზე სოფო და ნოდიკო „სარკეს“ ესაუბრნენ.

— 2012 წლის 31 დეკემბერს თქვენს „ფეისბუქზე“ სტატუსი დაწერეთ, არ გვეგონა, წლის ბოლო დღეს ასეთ სასიხარულო ამბავს თუ შეეტყობდითო. არ ელოდით „ევროვიზიაზე“ თქვენი კანდიდატურების წარდგენას?

სოფო: არ ვიცოდი, წლის ბოლო დღეს ასეთი ბედნიერი დასასრული თუ ექნებოდა. ჩვენთვის 2013 წელი განსხვავებულად დაიწყო.

ნოდიკო: „ევროვიზიაზე“ არც ერთს გვიფიქრია, მით უმეტეს, დუეტში სიმღერაზე. ამ ამბავმა ცოტა დაგვაბნია. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ შემოთავაზების შემდეგ გვკითხეს, დუეტში სიმღერის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთო.

სოფო: რატომღაც რომ უარი გვეთქვა!

ნოდიკო: ჩვენ ერთმანეთთან კარგად ვართ შემღერებული, გარდა ამისა, მეგობრები ვართ, ერთმანეთს პატივს ვცემთ. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც სცენაზე გყავს პარტნიორი, რომელსაც შენი კარგად ესმის.

ნოდიკო: „ევროპული გამოცემები წერენ, საქართველოში გოგოებს მარტო სოფო ჰქვიათო. წინა წლებში „ევროვიზიაზე“ სოფო ხალვაში, სოფო ნიჟარაძე, სოფო ტოროშელიძე მონაწილეობდნენ და ახლა სოფო გელოვანი იმღერებს. ამან ძალიან გააოცათ“.

სოფო: ნოდიკოს სოლო კონცერტზე ანრი ბასილაიას სიმღერა ერთად შევასრულეთ. როცა „ჯეოსტარში“ ვმონაწილეობდი, ნოდიკომ ჩემთან ერთად იმღერა. სიმღერის დროს ნოდიკო სრულ კომფორტს მიქმნის.

ნოდიკო: სოფო 2010 წელს „ჯეოსტარში“ ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი იყო.

— საკონკურსო გამოცდილება ორივეს გაქვთ, მაგრამ „ევროვიზია“ უფრო მასშტაბურია. მასში მონაწილეობა თქვენთვის საამოვნება უფროა თუ დაძაბულობა და ნერვიულობა?

სოფო: კონკურსის დროს სწრაფი რიტმით და აჩქარებული პულსაციით ცხოვრობ. ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებას რომ გადახედოთ, ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ორივე ხშირად დავდიოდით კონკურსებზე, არაერთი გრანპრი და პირველი ადგილი გვაქვს აღებული, თუმცა „ევროვიზია“ არ ჰგავს სხვა კონკურსებს, იქ მარტო სიმღერას არ ექცევა ყურადღება. ბევრი ეტაპის გავლაა საჭირო...

ნოდიკო: „ევროვიზიის“ ფინალი არის ძალიან არაპროგნოზირებადი, ეს არის კონკურსი, სადაც ვერ გათვლი, რა სიმღერამ შეიძლება გაიმარჯვოს. ხშირად ამბობენ, რომ პოლიტიზირებული კონკურსია, მაგრამ ეს არ გვაინტერესებს და არც პროგნოზების გაკეთებას ვაპირებთ. ჩვენი ერთადერთი ამოცანაა, ქვეყანა ღირსეულად წარვადგინოთ. თავს არ დავზოგავთ, ბევრს ვიმუშავებთ, სცენაზე რომ გავალთ, გვინდა, ყველამ თქვას — ბრავო, საქართველო!

— გამარჯვებისა და პირველობის ამბიცია არ გაქვთ?

სოფო: იმედი გვაქვს, რომ ფინალში მოვხვდებით და შედეგიც ცუდი არ გვექნება, თუმცა სახელმწიფოებრივი ფაქტორი დიდ როლს თამაშობს. კარგად ვიმღერებთ და არა მგონია, ვიღაცამ ნაკლები ქულა დაგვიწეროს.

ნოდიკო: პოლიტიკა და მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. „ევროვიზია“ ამით განსხვავდება იმ კონკურსებისგან, სადაც ჩვენ აქამდე გვიმღერია.

— რაზე გააკეთებთ მთავარ აქცენტს, ვოკალზე, ვიზუალურ მხარეზე თუ შოუზე?

ნოდიკო: ყველაფერზე ერთად. პირველ რიგში, გვინდა, რომ სიმღერა იყოს კარგი, მელოდიური, დასამახსოვრებელი, ევროპული სტანდარტის.

სოფო: ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გემოვნებიანი იყოს. წლების შემდეგ რომ მოვუსმენთ, უნდა ვიამაყოთ.

ნოდიკო: არ ვაპირებთ, წავიდეთ კომპრომისზე!

— კომპრომისში რას გულისხმობთ? რას არ დათმობთ?

ნოდიკო: გვინდა, რომ სიმღერა ძალიან აკადემიური იყოს, ოღონდ ევროპაზე მორგებული და ადვილად დასამახსოვრებელი.

→10

სოფო: „ეთნო ჯი ზუსტად ვიცი, რომ ნოდიკო სიგანეტის მონევას აუცილებლად დაანებებს თავს. მე, მაგალითად, მზად ვარ, თუ დამჭირდა, ყველანაირ მსხვერპლზე წავიდე. მითხრეს, რომ ძალიან ეს უნდა გავხდე. „ჯეოსტარის“ ფინალზე ნერვიულობისგან ნახევარი ადამიანი ვიდექი სცენაზე“.

Cyan Magenta Yellow Black

— ადვილად დასამახსოვრებელი ანუ მარტივი?

ნოდიკო: არა, მარტივი ზუსტადაც არ უნდა იყოს. ორაკორდიანი სიმღერის გატანას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მილიონი აკორდი ექნება.

— ვის სიმღერას იმღერებთ?

ნოდიკო: ჯერ არ ვიცით. ნათია უზნაძესთან („ევროვიზია საქართველოს" პროდიუსერი. ავტ.) ბევრი წერილი მოდის. უცხოელებისგან უამრავი შემოთავაზებაა, გვთხოვენ, რომ მათ მივანდოთ სიმღერის დაწერა, მაგრამ ამ საკითხში ჯერ ჩამოყალიბებული არ ვართ.

— ქართული ელემენტები შეტანილი იქნება სიმღერაში?

ნოდიკო: არა, რადგან უცხოენოვანი სიმღერის ქართული ელემენტებით გაჯერება მსმენელს აბნევს. ჩვენ, ქართველები, ვიგებთ, მაგრამ უცხოელი მაყურებელი — ვერა. ინგლისურად ვიმღერებთ, ეს საერთაშორისო ენაა და, მგონი, ამაში პრობლემა არ უნდა იყოს.

სოფო: მაგრამ იქნება ქართული სულით ნამღერი. ბევრი გვეკითხება, რომანტიკულ სიმღერას შევასრულებთ თუ არა. არა მგონია, ამ სტილის სიმღერაზე გავაკეთოთ არჩევანი.

— როგორ შოუს დადგამთ, ამაზე ლაპარაკი ალბათ ნაადრევია, მაგრამ ის თუ იცით, თქვენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნებს?

სოფო: ავთანდილი. ვნახოთ, რაზე შევთანხმდებით.

— თქვენი წინამორბედების გამოცდილებიდან რა დასკვნები გაქვთ გაკეთებული, რა შეცდომებს აღარ გაიმეორებთ?

ნოდიკო: საქართველოდან ვინც კი აქამდე გასულა „ევროვიზიაზე", ყველა მათგანთან ვმეგობრობთ. ჩემი აზრით, მათ შეცდომები არ დაუშვიათ. ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად კარგად წარედგინათ საკუთარი თავიც და ჩვენი ქვეყანაც. თითოეულმა ძალიან დიდი შრომა ჩადო. ყველამ თავისი მიმართულებით წაიყვანა სიმღერაც და შოუც. ჩვენც ჩვენი ხაზით წავალთ, არ გვინდა, ვინმეს დავემსგავსოთ. ერთ სასაცილო რაღაცას გეტყვით: როდესაც სოციალურ ქსელში დაიდო ინფორმაცია, რომ „ევროვიზიაზე" ჩვენ მივდიოდით, ევროპული გამოცემები წერდნენ, საქართველოში გოგოებს მარტო სოფო ჰქვიათო. წინა წლებში „ევროვიზიაზე" სოფო ხალვაში, სოფო ნიჟარაძე, სოფო ტოროშელიძე მონაწილეობდნენ და ახლა სოფო გელოვანი იმღერებს. ამან ძალიან გააოცათ.

— ქართველმა კოლეგებმა რა გითხრეს?

ნოდიკო: ბევრმა დამირეკა, პირდად მომილოცა. მადლობა ყველას, ვისაც მართლა გაუხარდა და გამოგვეხმაურა.

სოფო: არ იცით, ეს რამხელა ძალას და სტიმულს გვმატებს.

— ჯერ არაფის გამოუთქვამს კრიტიკულ-პესიმისტური აზრი თქვენი დუეტის მიმართ?

სოფო: ჯერ — არა, მაგრამ ველოდებით, რომ კრიტიკა იქნება. ჩვენი მიზანი არ არის, ამ ტიპის საუბრებში მივიღოთ მონაწილეობა, მთავარია, ქვეყანა ვასახელოთ.

— შარშან ამ კონკურსისთვის ანრი ჯოხაძემ თმა შეიღება. თქვენ აპირებთ ვიზუალურ ცვლილებას ან სხვა „მსხვერპლის" გაღებას?

სოფო: ვიზუალის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ

■ ნოდიკო და სოფო

ნოდიკო: „ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ „ევროვიზიაზე" ჩვენ წავიდოდით. რომ გვითხრეს, ემოციებს ვერ ვმალავდით. 31 დეკემბერს ნერვული სისტემა მოგვეშალა, სახეზე ღიმილი შეგვეყინა".

ნოდიკო სიგარეტის მოწევას აუცილებლად დაანებებს თავს. მე, მაგალითად, მზად ვარ, თუ დამჭირდა...

ნოდიკო: თუ „ევროვიზიისთვის" სიგარეტის მოწევა გახდება საჭირო, ამისთვისაც მზად ხარ?

სოფო: მზად ვარ, ყველანაირ მსხვერპლზე წავიდე. მითხრეს, რომ ძალიან არ უნდა გავხდე. მახსოვს, „ჯეოსტარის" ფინალზე ნერვიულობისგან ნახევარი ადამიანი ვიდექი სცენაზე.

ნოდიკო: მე წონაში უნდა დავიკლო, ამისთვის ვაპირებ ტრენაჟორებზე ვარჯიშს, ცურვას. მაისისთვის ფორმაში უნდა ვიყო.

სოფო: ნოდიკო ძალიან ყურადღებიანია, რასაც ეტყვი, მოგისმენს, გაითვალისწინებს. 2 იანვარს, ბედობადღეს, მე, ნოდიკო და ნათია უზნაძე წმინდა გაბრიელის საფლავზე ვიყავით. იქიდან სხვანაირი მუხტით წამოვედით. შემთხვევით არაფერი ხდება. ბევრი ნატრობს „ევროვიზიაზე" წასვლას, მაგრამ ეს ყველაფერი წელს ღმერთმა ჩვენ გვარგუნა.

— შიდაშესარჩევი ტური არ გაიმართა და წელს „პირველმა არხმა" თქვენი კანდიდატურა პირდაპირ დაასახელა. იცით, ასე რატომ მოხდა?

სოფო: მართლაც მხოლოდ წელს მოხდა ისე, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა პირდაპირ ჩვენ დაგვასახელა. მათ ამის უფლება ჰქონდათ, თუმცა სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ბევრი კანდიდატურა განიხილეს, ყველა ის მომღერალი, ვინც კი არსებობს საქართველოში. დანარჩენი — არ ვიცი.

ნოდიკო: ნათია უზნაძემ დაგვირეკა და გვითხრა, სასწრაფოდ ტელევიზიაში მოდითო. გვეგონა, პროექტ „10+10"-ში უნდა მიგვეღო მონაწილეობა. ტელევიზიაში რომ მივედით, ჩვენ გარდა არავინ იყო. ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ „ევროვიზიაზე" ჩვენ წავიდოდით. რომ გვითხრეს, ემოციებს ვერ ვმალავდით. 31 დეკემბერს ნერვული სისტემა მოგვეშალა, სახეზე ღიმილი შეგვეყინა.

სოფო: პირველად ჩემს მეუღლეს დავურეკე და ეს ამბავი ვახარე. მადლობა მას, რომ გვერდში მიდგას და ჩემს სიხარულს იზიარებს.

— ამ შემოთავაზების შემდეგ თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები უკვე დაიწყო?

სოფო: ახლა მე, ნოდიკო და ნათია უზნაძე 24 საათის განმავლობაში ერთმანეთს ვეკონტაქტებით. ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერე, ჩვენს თავს რა ხდება.

— მარცხზე არ ფიქრობთ? საქართველოს ხომ ამ კონკურსში არც ისე სწყალობს ბედი.

ნოდიკო: ფინალში სიმღერა უკვე წარმატებაა. იმედი მაქვს, რომ ამ შედეგს მივაღწევთ. თუ ფინალში გადავედით, მერე გვექნება სურვილი, რომ მოწინავე ადგილებზე გადავიდეთ.

სოფო: რადგან კონკურსზე გადიხარ, ფსიქოლოგიურად მოგებისთვისაც მზად უნდა იყო და წაგებისთვისაც.

— ზოგადად იღბლიანი ადამიანები ხართ?

ნოდიკო: შრომის გარეშე არასდროს არაფრისათვის მიმიღწევია. კარიერაშიც და პირადშიც თანაბრად იღბლიანი ვარ, მაგრამ ლანგრით ჩემთვის არაფერი მოურთმევიათ. ვცდილობ, სწორად ვიცხოვრო. მართალია, ჯერ საკუთარი ოჯახი არ მაქვს, მაგრამ ბედმა გამიღიმა, რომ მყავს არაჩვეულებრივი მშობლები, და, მეგობრები, რომლებიც ყოველთვის გვერდში მიდგანან. ალბათ იღბალია ის, რომ მე და სოფო „ევროვიზიაზე" ყოველგვარი განსაკუთრებული მზადების გარეშე მოვხვდით.

სოფო: თავს იღბლიანად არ მივიჩნევ, თუ არ ჩავთვლი იმას, რომ არაჩვეულებრივი მეორე ნახევარი მყავს. ადამიანები რასაც ვიმსახურებთ, ალბათ იმას ვიმკით. იღბლის ანაბარა არ უნდა დარჩე არც კარიერაში და არც პირად ცხოვრებაში.

— ნოდიკო, „ევროვიზიამ" ამერიკაში წასვლასთან დაკავშირებით თქვენი გეგმები შეაფერხა?

ნოდიკო: თავისთავად, ახლა მთელი აქცენტი ამ კონკურსზე მაქვს გადატანილი. მოწვევა მზად იყო, ნიუ იორკში ერთერთ აკადემიაში ორი თვით მივდიოდი სასწავლებლად. 10 წლიანი ვიზა მაქვს და ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

სოფო: ასეთი მშრომელი ადამიანი ჯერ არ მინახავს, თავს არ ზოგავს, საქმისთვის ყველაფერს გადადებს. ამიტომ ძალიან მშვიდად ვარ, ზუსტად ვიცი, რომ სამუშაო პროცესში მისი გეგმები ხელს არ შეგვიშლის.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

„რთულია, როცა წლის ბოლოს უსამსახუროდ რჩები“

ნუკი კოშკელიშვილს ტელევიზიაში მუშაობის დაწყების იმედი არ აქვს

ნუკი კოშკელიშვილის ტელეკარიერა თავბრუდამხვევად დაიწყო, ჯერ ერთი გადაცემა, მერე — მეორე, მერე „ცეკვავენ ვარსკვლავები“, ბოლოს მას „იმედში“ საკუთარი გადაცემაც კი ჰქონდა — „ნუკის დილა“. მერე კი ეს ყველაფერი ერთი ხელისმოსმით დამთავრდა და ახლა ნუკი მხოლოდ სერიალში „შუა ქალაქში“ მონაწილეობს. აქვს პარალელური, არასატელევიზიო სამუშაოც — ერთ-ერთ კლუბში საღამოები მიჰყავს. საკუთარ თავს ისევ გასართობი გადაცემის წამყვანად ხედავს, მაგრამ არ იცის, ეს ოცნება როდის აუხდება. რაც შეეხება პირადს, ნუკი გასულ წელს ღიად საუბრობდა თავის შეყვარებულზე, ოთო მარგოშვილზე, ახლა კი ამ თემაზე ლაპარაკისგან თავს იკავებს.

— ნუკი, როგორ მიედინება თქვენი ცხოვრება ბოლო თვეებში, რა ხალხლებია?

— არანაირი სიახლე არ არის, მათ შორის — არც ტელევიზიასთან დაკავშირებით.

— არც გეგმები გაქვთ?

— რამდენიმე პროექტი მაქვს, მინდა, გასართობი გადაცემის წამყვანი ვიყო, მაგრამ ჯერ ჯერობით ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ძიების პროცესში ვარ. ტელეკომპანია „იმედთან“ მოლაპარაკება ჯერ არ მიცდია, მაგრამ ამ ტელევიზიაში ძალიან მინდა ყოფნა, რადგან იქ კომფორტულად ვგრძნობდი თავს. თუ რამე იქნება, დიდი სიამოვნებით დავიწყებ მუშაობას, თუმცა ჯერ ვერ ვატყობ, რომ გასართობი ტიპის გადაცემები ვინმეს აინტერესებდეს.

— როგორ შეხვდით ახალ წელს?

— ერთ-ერთ ახალგახსნილ კლუბში ვმუშაობდი, მე და კოტიკო თოლორაია წამყვანები ვიყავით. ამ კლუბში უკვე სტაბილურად ვმუშაობთ, საღამოები მიგვყავს. ასე რომ, მე და კოტიკო დავებედეთ ერთმანეთს, ეს დღესასწაულები სულ ერთად ვიმუშავეთ.

— გაქვთ რაიმე საახალწლო ტრადიცია, რომელსაც ყოველთვის იცავთ?

— სანამ კლუბში წავიდოდით, მანამდე, რა თქმა უნდა, სახლში შევხვდით. კოტიკო მეგობრებთან და თავის მეუღლესთან ერთად იყო, მე — დაქალებთან ერთად, მთელი ჩემი ოჯახი დასასვენებლადაა წასული და მე მარტო დამტოვეს. ახალი წლის შეხვედრას ძირითადად სულ ვაგვიანებთ ხოლმე. წელს ვთქვი, რომ ჩემი საათი იყო ყველაზე ზუსტი და გადავწყვიტე, სწორედ მას დავყრდნობოდი. ასეთი ტრადიცია მაქვს — ახალი წლის ღამეს სურვილებს ვწერ ფურცელზე, ვწვავ, ვყრი შამპანურში და ვსვამ. წელსაც უამრავი ფურცელი დავწვი და ჩავაგდე შამპანურში. დავიხრჩვი იმის სმით და უცებ აღმოვაჩინე, რომ ამ რიტუალის შესრულება ადრე მომივიდა. მოკლედ, მეორედ მომიწია სურვილების ჩამოწერა და დალევა. შემდეგ წავედი კლუბში. იქ კარგად მოვილხინეთ, გათენებისას კი ავიტეხეთ, რომ ხინკლის ჭამა გვინდოდა. სახინკლე გადატენილი დაგვხვდა, ბევრი ყოფილა ჩვენნაირი. მერე უცბათ კოტიკომ გუდაურში წასვლა მოინდომა. ჩვენც დავთანხმდით. წავედით სახლებში, ბარგი ჩავაწყვეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ კოტიკოს დაეძინა და ვეღარ წავედით.

— გასული წელი თქვენთვის წარმატებით კი დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად დასრულდა...

— გასული წელი ჩემთვის კარგიც იყო და ცუდიც. ძალიან კარგად მახსენდება პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“, სადაც მონაწილეობა მივიღე, ათასი საქმე მქონდა, სერიალში დავიწყე თამაში, მქონდა ჩემი გადაცემა „ნუკის დილა“ და ა.შ. რაც შეეხება ცუდ მოვლენას, ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, უსიამოვნოა, როცა წლის ბოლოს უსამსახუროდ რჩები. ჩემ გარშემო ბევრი დარჩა სამსახურის გარეშე. არ მომწონს, რომ არ არსებობს გასართობი გადაცემები, რაც ჩემი სფეროა.

■ ნუკი კოშკელიშვილი

„ზოგჯერ გგონია, ხომ ჯომფორტია, როცა გიყვარს და უყვარხარ... ზოგჯერ ყვავილები და ხომანტიკა გიტაცებს, ზოგჯერ კი გირჩევნია, უბრალოდ კარგი მეგობრები იყოთ“.

— რა იმედებს ამყარებთ ახალ წელზე?

— მაქვს საყვარელი ციფრები, მაგალითად, „9“ მომწონს და როცა წელში ეს ციფრი ურევია, ძალიან კარგი წელი მაქვს. ასევე მიყვარს „12“. ყველაზე მეტად მეშინია 2016 წლის, რადგან „6“ არ მიყვარს.

— 21 დეკემბერს თქვენც ხომ არ ელოდით სამყაროს აღსასრულს?

— არა და საერთოდ ასეთი რაღაცეების არ მჯერა. ეს თემა ძალიან აქტუალური იყო, ზოგი სანთლებსაც იმარაგებდა და ამაზე სულ მეცინებოდა. ერთხელ კი ვთქვი, მართლა რომ მოხდეს რამე, სად მივდივართ-მეთქი.

— სამსახურის თემას დაკუბრუნდები. გადაცემის დახურვა მძიმედ გადაიტანეთ?

— გადაცემის დახურვა აბსოლუტურად ნორმალურია, არავითარ შემთხვევაში ვამბობ, ეს როგორ გამიბედეს-მეთქი. როცა ერთი იხურება, მაინც იმედიანად უყურებ მომავალს, რომ სხვა გადაცემა გაკეთდება. ამ ეტაპზე კი ეს იმედი არ მაქვს. ამის გამო ვითრგუნები. მინდა, იყოს გართობა, გვიხაროდეს და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ ყველა გადაცემა, რასაც ვაკეთებდი, კარგი იყო, მაგრამ... მინდა, რომ წინ ვიხედებოდე და მჯეროდეს, ყველაფერი კარგად იქნება. გული დამწყდა არა ჩემს თავზე, რადგან მე სხვა შემოსავალიც მაქვს, არამედ იმაზე, რომ საახალწლოდ ადამიანები გასართობ გადაცემებს და შოუებს ელოდებოდნენ, მაგრამ არ იყო. ვიღაცას არ აქვს საშუალება, რომ ამ დღეს პარიზში შეხვდეს და ამიტომ ტელევიზორს უყურებს, ამ დროს გასართობი გადაცემების არქონა გულდასაწყვეტია.

— 22 წლის ასაკში თითქმის დამოუკიდებლად ცხოვრობთ. ტელევიზიიდან წამოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, ფინანსებიც შეგიმცირდებოდათ. რაიმეზე მოგიწიათ უარის თქმა, თავის შეზღუდვა?

— მადლობა ღმერთს, ოჯახი მყავს და მეხმარებიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, რაღაცეებზე უარის თქმა მომიწია. მჯერა, რომ რამდენიც უნდა ჰქონდეს ადამიანს, 10 თუ 50 ლარი, მაინც ერთნაირად არ არის საკმარისი. ფული არასდროს არის ზედმეტი ან საკმარისი, ერგები იმას, რა შემოსავალიც გაქვს. ცუდად ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ტელევიზია ჩემთვის არამხოლოდ შემოსავალია, ეს საქმე მიყვარს. ოფისში მუშაობით შეიძლება მეტი შემოსავალი მქონდეს, მაგრამ სიამოვნება ჩემთვის კამერა, გრიმი და მაყურებელთან ურთიერთობაა.

— ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ იმდენად დაკავებული იყავით, შეყვარებულისა და მეგობრებისთვის ვერ იცლიდით. სამაგიეროდ ახლა გამოგითავისუფლდათ დრო.

— კი, ახლა მეგობრებს ნამდვილად დიდ დროს ვუთმობ.

— შეყვარებულს?

— ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა. ახლა უფრო მეტი დრო მაქვს,რომ ახლობლებთან ვიურთიერთო.

— 2012 წელი პირად ცხოვრებაშიც არ იყო წარმატებული?

— მიმაჩნია, რომ 2012, საერთო ჯამში, ცუდი წელი არ იყო.

— პირად ცხოვრებაში ჰარმონიის და კომფორტის შეგრძნება როდის გაქვთ?

— ძალიან რთულია ამის თქმა. ზოგჯერ გგონია, რომ კომფორტია, როცა გიყვარს და უყვარხარ. ზოგჯერ გგონია, რომ კომფორტია, როცა მარტო ხარ. ცვალებადია ეს ყველაფერი, ისევე როგორც გემოვნება, დღეს რომ ვარდისფერი მოგწონს, ხვალ შეიძლება იისფერი მოგეწონოს. ასევეა პირადი ცხოვრებაც — ზოგჯერ ყვავილები და რომანტიკა გიტაცებს, ზოგჯერ კი გირჩევნია, უბრალოდ კარგი მეგობრები იყოთ.

— რაც შეეხება პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეორე სეზონს, როგორ აფასებთ მას და ვის გულშემატკივრობდით?

— ოთო ფოლადაშვილის და რუსკა მაყაშვილის წყვილი მომწონდა და ძალიან გამიხარდა მათი გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, რომ ოთოზე კარგი მოცეკვავე ამ პროექტს არ ჰყოლია, თუმცა დანარჩენებიც გადასარევები არიან. გულშემატკივრის ამპლუაში უფრო ვღელავდი, ვიდრე მაშინ, როცა პროექტში ვიყავი. ძალიან კარგი სეზონი გამოვიდა.

— ნუკი, ხშირად ამბობენ, რომ წარმატებას ნაცნობების დახმარებით მიაღწიეთ. რას იტყვით ამაზე?

— არც ერთი ადამიანი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, ვისთვისაც დახმარება მითხოვია. პირველად ქალბატონმა ია კიწმარიშვილმა ამიყვანა კონკურსისთვის „მის საქართველო“, მერე მოვიდა „იმედის“ რეჟისორი ბესო სოლომონაშვილი და მითხრა, ერთი-ორი სიტყვა მეთქვა კამერასთან, რის შემდეგაც ტელევიზიაში ამიყვანეს და იმის მერე მოვდივარ და მოვდივარ. ჩემს თავთან არ ვიქნები მართალი, რომ ვინმეს ვთხოვო დახმარება და ისე წავიდე წინ.

— რა სახის კრიტიკა მოგისმენიათ თქვენი მისამართით და გავითვალისწინებიათ?

— სულ პირველად რომ დავიწყე გოგიჩასთან (მსახიობი გიორგი გოგიჩაიშვილი, ავტ.) ერთად დილის გადაცემის წაყვანა, შენიშვნას მაძლევდნენ, რომ ცოტა ხმა ამომეღო და მეაქტიურა. ეს გავითვალისწინე. იყო კრიტიკა, რომ ეკრანზე სათვალეს ხშირად ვიყენებდი. რეალურად ეს მჭირდება იმიტომ, რომ მხედველობა დაქვეითებული მაქვს, კამერებს კარგად ვერ ვხედავდი. ეს შენიშვნაც გავითვალისწინე და ვცადე, საათვალე იშვიათად გამომეყენებინა.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

„ქმარმა ჩვენთან ერთად დასასვენებლად საყვარელიც წამოიყვანა“

თქვენი ჟურნალის ყველა ნომერს ვყიდულობ. „გულახდილ საუბრებში“ ერთი ქალი წერდა, ამ კაცებმა სულ გაუბერესო. ეს ფრაზა ისე მომეწონა, მეც მომინდა ამბის მოყოლა. კაცებმა მართლა გაუბერეს, თანაც იმდენად, რომ, მგონი, თავისუფლად შეძლებთ სერიის გაკეთებას „გაფრენილ“ კაცებზე.

ჩემი ქმარი ნორმალური რომ იყოს, მართლა ვერ გაბედავდა იმას, რაც გააკეთა. მისთვის არასოდეს წამომიძახია, რომ უსახლკარო, უპატრონო იყო. რომ გავყევი ცოლად, დედაჩემმა მალევე მიკროინფარქტი გადაიტანა. ქალი

დღემდე ვერ ეგუება, რომ მის დედისერთა შვილს ასეთი ქმარი შეხვდა. ვაღიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი, როცა ის ავირჩიე ცხოვრების თანამგზავრად. მაშინ სხვანაირად ვფიქრობდი, ცხოვრებაზე განსხვავებული შეხედულებები მქონდა. მეგონა, რომ მუდამ ხელისგულზე მატარებდნენ, სხვებიც ისე მომიფრთხილდებოდნენ, როგორც ამას ჩემი მშობლები აკეთებდნენ.

გათხოვებიდან მალევე მივხვდი, რომ თურმე სხვანაირი ოჯახებიც არსებობდა, სადაც ერთმანეთს არათუ ეფერებოდნენ, გამარჯობასაც არ ეუბნებოდნენ. ქმრის ოჯახში დიდხანს ვერ გავძელი და მშობლებთან გადავედი საცხოვრებლად. მამა ბედს შეეგუა და ჩემი ქმრის გამოწვრთნა დაიწყო. დიახ, ასე ჰქვია იმას, რასაც მამა მას უკეთებდა, აბსოლუტურად ყველაფერს ასწავლიდა, მაგიდასთან მოქცევის წესებსაც კი. ჩემებს უხაროდათ, რომ დამყოლი ხასიათი ჰქონდა. რასაც ეუბნებოდნენ, აკეთებდა. ამიტომ ცოტათი დამშვიდდნენ და აღარ მსაყვედურობდნენ. მეც დავწყნარდი, ვიფიქრე, რომ მის გვერდით არაფერი მქონდა სანერვიულო, მაგრამ შევცდი.

მამაჩემის წყალობით, საქმე წამოიწყო თუ არა, მაშინვე ქალებში დაიწყო სირბილი. მე კი ვხვდებოდი, მაგრამ მშობლებს არაფერს ვაგებინებდი, არ მინდოდა, ენერვიულათ. მერე კი ისე გათავხედდა, ამის დამალვას აზრიც არ ჰქონდა. ცოტა ხნის წინ, ახალ წლამდე, მე და ბავშვები გუდაურში წაგვიყვანა დასასვენებლად. გარემო რომ გამოვიცვალე, ცოტა დავშვიდდი. ჩემი ქმარ-შვილის ცქერით ვტკბებოდი. ჩემი ქმარი კი დაიკარგებოდა ხოლმე რამდენიმე ხნით, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ნასვამი მოდიოდა და ვფიქრობდი, რომ კაცებთან ერთად სვამდა. ერთ დღეს სასტუმროში მის საყვარელს მოვკარი თვალი. მანამდე მიმტკიცებდა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო. გავარკვიე, რომ ჩემმა ქმარმა თავის ცოლ-შვილთან ერთად საყვარელიც ჩამოიყვანა დასასვენებლად. თანაც ვისი ფულით?! მამაჩემის! რა თქმა უნდა, იქიდან წამოვედი და ოჯახში დიდი კონფლიქტიც მომივიდა.

ქმარს არ ველაპარაკები და ვეუბნები, რომ ჩემი სახლიდან წავიდეს. ის კი უკვე მერამდენედ მეუბნება, რომ გამოსწორდება და ასეთ რამეს აღარ ჩაიდენს. ალბათ იმით სარგებლობს, რომ ჩემთვის ოჯახი მართლა ძალიან წმინდაა. იმისთვის, რომ შვილები მშვიდად იყვნენ, ხშირად ქმარს ზედმეტ საყვედურსაც არ ვეუბნები. მშობლებსაც ვუფრთხილდები. არ მინდა, ასაკშიშესული დედ-მამა ამის გამო ვანერვიულო. მან ეს ყველაფერი რომ იცის, ამდენს ალბათ ამიტომაც ბედავს... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, კიდევ ერთხელ ვაპატიო თუ შანსის მიცემას აზრი აღარ აქვს.

თქვენი მკითხველი

„36 წლის წინ შვილი მივატოვე“

თქვენს ჟურნალში წავიკითხე წერილი, სადაც ერთი ქალი წერდა, რომ ეძებს დას, რომელიც დიდი ხნის წინ გააშვილეს. ტირილი რომ დავიწყე, მეზობლის ქალმა გამომართვა ჟურნალი, დაინტერესდა, რა მატირებდა. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ იმ ბავშვების დედას ქოქოლა დააყარა. ერთი ვიშვიში ატეხა, აბა, ის ქალი ყოფილა, შვილები როგორ გააშვილა, დები ერთმანეთს როგორ დააშორაო. მე უარესად ამივარდა ტირილი. გაოცებული მიყურებდა, რა დაგემართაო. მოვიმიზეზე, რომ შვილზე ვიყავი ნაწყენი და ტირილი ამით გავამართლე.

ჩემი ტირილის ნამდვილ მიზეზს კი დიდი ხანია გულში ვინახავ და არავის ვუმხელ. მეც ცუდი დედა ვარ. ახალგაზრდობაში შვილი გავაშვილე. რაიონში ვიზრდებოდი. კარგი გოგო ვიყავი, ლამაზი, ჭკვიანი. ყველა შემომნატროდა. ბევრი თაყვანისმცემელიც მყავდა, მაგრამ არავინ მაინტერესებდა. ყველას ბავშვური თვალით ვუყურებდი. 16 წლის ვიყავი, როცა მეზობლის ბიჭმა შემაცდინა. ძალადობის მსხვერპლი აღმოვჩნდი. მას შემდეგ ამდენი წელია გასული და ის დღე ახლაც ხშირად მესიზმრება, შიშისგან ოფლში გაწურულს გამომეღვიძება ხოლმე. სიმართლე მაშინაც დავმალე. მშობლებს ვერ ვუთხარი, რომ მეზობლის ბიჭი ასეთ რამეს მიკეთებდა. მერე კი უბრალოდ ველარ დავმალავდი, რადგან ორსულად ვიყავი. მამიდამ დასავლეთიდან კახეთში ჩამიყვანა და იქ მამშობიარეს, ჩემი ბიჭი კი გააშვილეს. გულახდილად გეტყვით, რომ ბავშვით საერთოდ არ დავინტერესებულვარ. ისეთი სულიერი ტრავმის ნაყოფი იყო, მისი შეხედვაც არ მინდოდა. არც ის მიკითხავს, ვის მიაშვილეს, სად იზრდებოდა. სინდისმა მაშინ შემაწუხა, როცა გავთხოვდი და მეორე შვილის დედა გავხდი. სამშობიარო ბლოკში რომ მომიყვანეს ჩემი პატარა, მაშინ გავაცნობიერე, რას ნიშნავდა დედაშვილობა. მას შემდეგ ვიტანჯები, მაგრამ სიმართლეს მაინც ვერ ვამხელ. ამ საიდუმლოს საფლავში ჩავიტან. ერთადერთი, იმის იმედი მაქვს, რომ ჩემები ცუდ ოჯახს არ მიაშვილებდნენ, იმაზე იზრუნებდნენ, რომ ბავშვი კარგ მშობლებს გაეზარდა.

სულ სამჯერ ვიმშობიარე, ორი ბავშვი მე გავზარდე, ერთის შესახებ კი, რომელიც ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია, არაფერი ვიცი. ჩემს შვილებს გულიანად ვერასოდეს ვეფერებოდი, რადგან სულ ვფიქრობდი, რომ ამის უფლება არ მქონდა, მე ხომ პირველი შვილი ისე მივაგდე, მისთვის სახეზეც კი არ შემიხედავს. ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ მოხდეს სასწაული და დაკარგული შვილი დამიბრუნდეს. ნეტა, ვნახავ ოდესმე მაინც?

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„დედამთილმა სიკვდილის წინ გამიმხილა, ჯადო გაგიკეთეო“

ბადღესასწაულო დღეებში, როცა ყველა კარგ განწყობაზეა და სურვილებს ჩაუთქვამს, მე შიში მიპყრობს. ამ დროს განსაკუთრებით მიმძაფრდება ცუდის მოლოდინი და ღმერთს შევთხოვ, რომ განსაცდელს ამარიდოს. ასეთი რაღაც რომ მჭირს, ჩემი დედამთილის ბრალია.

ქმრის დედასთან კარგი ურთიერთობა არასოდეს მქონდა. არ ვიცი — რატომ, მაგრამ თავიდანვე ამითვალწუნა. არ უნდოდა, მისი რძალი გავმხდარიყავი. ისე გარდაიცვალა, ჩემი სადღეგრძელო არასოდეს დაულევია. როცა მე მადღეგრძელებდნენ, სპეციალურად იმ დროს გადიოდა ოთახიდან. რა აღარ ვცადე, რომ მისი გული მომეგო, მაგრამ ვერ შევძელი. ისეთი ნაკლი არ მქონია, რომ მის გამო შევეძულებინე. 50 წელს გადაცილებული ვარ და ამხელა ქალმაც ვერ ამოვხსენი მისი სიძულვილის მიზეზი. ჩემმა მაზლმა ორშვილიანი ქალი მოიყვანა ცოლად და ასეთი რეაქცია მასზე არ ჰქონია, პირიქით, რძალს თან ჰყვებოდა. მე კი მისგან სიცივისა და სიძულვილის მეტი არაფერი მახსოვს.

მაინც არ მეგონა, ბოროტებას თუ გამიკეთებდა. თურმე ესეც შესძლებია. მოხუცს ინსულტი დაემართა და ლოგინად ჩავარდა. მანამდე მე ვიყავი ავად. მკერდი მომკვეთეს, ბევრი ვიბრძოლეთ, რომ სიცოცხლე შემენარჩუნებინა. მადლობა ღმერთს, რომ ახლა კარგად ვარ. ყველა ავადმყოფი მეცოდება. გამოცდილი მაქვს, ეს რასაც ნიშნავს. ამიტომ ლოგინადჩავარდნილი დედამთილისთვის არაფერი დამიკლია. სულ აღარ მახსოვდა, როგორ მექცეოდა. ჩემ წინაშე ერთი უმწეო მოხუცი იწვა, რომელიც ჩემგან დახმარებას ითხოვდა და მეც ყველაფერს ვუკეთებდი. თვითონაც გაკვირვებული იყო. სიკვდილამდე ორი დღით ადრე კი გამომიტყდა, რომ ჯადო გამიკეთა. მეტყველების აპარატი მოშლილი ჰქონდა, ლუღლუღებდა. რომ მითხრა, ჯადო გაგიკეთო, არ დავუჯერე, ვიფიქრე, რაღაცას არასწორად ამბობდა. მერე ჩემმა შვილმა მითხრა, ამას გეუბნებაო. ჭკუიდან ლამის შევიშალე! მულს დავურეკე და ვუთხარი, მოდი და შენ მოუარე, თავს ვეღარ ვაიძულებ, მოვუარო-მეთქი. ეს უკვე ჩემს ადამიანურ ძალებს აღემატებოდა. სხვათა შორის, მულს არაფერი უთქვამს. დედის ნაცვლად მან მომიხადა ბოდიში და ბოლო წუთებში ჩემს დედამთილთან ის იყო. მე სახლიდან საერთოდ წავედი.

მას შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობ, განა რა დავუშავე ისეთი, რომ ამისთვის გამიმეტა. დედაჩემი მეუბნება, ამას ზედმეტ ყურადღებას აქცევო, მაგრამ იქნებ ჩემი დაავადება სწორედ იმ ჯადოს ბრალი იყო. დარწმუნებული ვარ, სასიკვდილო ჯადო გამიკეთა და უნდოდა, მოვმკვდარიყავი. ღმერთო, რატომ მიმეტებდა ამისთვის?! ჩემი რა ჯავრი სჭირდა?! მოძღვარი მეუბნება, ქრისტიანული წესით იცხოვრე, ილოცე და ბოროტი ვერ მოგერევაო. მის კურთხევას ვასრულებ, მაგრამ შიში მაინც ვერ მოვიშორე თავიდან. სულ ვფიქრობ, რომ დედამთილის წყევლა მაინც მიწევს და ცუდი რამ დამემართება. მირჩიეთ, ამ შიშისგან როგორ გავთავისუფლდე.

თქვენი მკითხველი

✓ **რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ**

ჰეპალინა

PICORRHIZA KURROA: ღვიძლის მეტაბოლური პროცესების გასაუმჯობესებელი, ნაღვლმდენი საშუალება.

PHYLLANTHUS AMARUS: ჰეპატო-პროტექტორი. მადის მომგვრელი, იგი ახდენს უჯრედების მემბრანის სტაბილიზებას. აფერხებს მათ შემდგომ დაშლას და უჯრედებში ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების შეღწევას.

BOERRHAVAIA DIFFUSA: შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ძალების აღმდგენი.

PIPER LOMGUM: ანტიბაქტერიული, მადის მომგვრელი.

ჰეპალინა იცავს ღვიძლს ტოქსინებისა და ინფექციისაგან, აღადგენს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას, აიოლებს საკვების მონელებას, იცავს ღვიძლის ქსოვილს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისაგან. ცილებისა და ფოსფოლიპიდების სინთეზის სტიმულაციით პრეპარატი აჩქარებს დაზიანებული ჰეპატოციტების რეგენერაციას.

დოზირება: ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში: ალკოჰოლის მიღებამდე ერთი საათით ადრე ორი აბი. დილით უზმოზე ორი აბი ამცირებს ნაბახუსევის სინდრომს.

ჩვენებები: პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ღვიძლის ფუნქციის დარღვევის დროს: ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკა, ღვიძლის ქრონიკული ანთებითი დაავადებები, სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ცხიმოვანი დეგენერაცია, ღვიძლის ალკოჰოლური და ტოქსიკური დაზიანებები, ღვიძლის ციროზის მკურნალობა კომბინირებულ თერაპიაში, ნაბახუსევის სინდრომი.

• გამოყენების წინა გაეცანით ინსტრუქციას.
• გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

„ბიბანი“ გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

Cyan Magenta Yellow Black

დიმიტრი:
„კიდევ კარგი, ჩემი ცოლი თინას არ ჰგავს!“

როგორ უშლის ნერვებს დიმიტრი ტატიშვილი მაკა ძაგანიას

მსახიობმა დიმიტრი ტატიშვილმა ცოტა ხანს იცხოვრა სიდედრთან და ის პერიოდი საბჭოთა ჯარში სამსახურზე უარესად ახსოვს. სწორედ ამიტომ არ ამტყუნებს თავისი პერსონაჟის, დემნას საქციელს სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“, როცა თავისი შეყვარებულის, თინას სახლში ერთი დღე გაძლო და გაიქცა. თინას კი, ანუ მსახიობ მაკა ძაგანიას, არც დემნასნაირი კაცების ესმის და საერთოდაც თავისი კოლეგის აზრებს ხშირად წყობიდან გამოჰყავს. ეს ჩვენს ინტერვიუსაც დაეტყო, სადაც, ბუნებრივია, მარადიულ თემას — ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას ვერ ავცდით. ერთი სიტყვით, ჩვენმა საუბარმა, როგორც იტყვიან ხოლმე, კამათის რეჟიმში ჩაიარა.

— მოდით, ჯერ ის მოგვიყვეთ, როგორ გააცილეთ ძველი და როგორ შეხვდით ახალ წელს.

მაკა: ისე მომენატრა სახლში ყოფნა, რომ ახალ წელს ოჯახურ გარემოში შევხვდი, 2 იანვარს კი ჩემთან მოვიწვიე მეგობრები. 31 დეკემბერს დილის 7 საათიდან ვმუშაობდი და ისეთი გადაღლილი ვიყავი, არსად წასვლის თავი არ მქონდა.

დიმიტრი: ახალ წელს მეც სახლში შევხვდი. ვაპირებდი, ის დღეები ოჯახში გამეტარებინა, მაგრამ არ გამომივიდა. ახალი წლის ღამეს აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი ღვინის სმა ატყდა. გამთენიისას დავბრუნდი სახლში და მეორე დღეს აღარ ვვარგოდი. მაჟორულ ნოტზე გავატარე ახალი წელი.

— თქვენს გმირებს კი, თინა და დემნას „ჩემი ცოლის დაქალებიდან“, არ გაუმართლათ, ახალ წელს კარგ განწყობაზე ჯერ შეხვდნენ, რადგან ერთმანეთს დაშორდნენ. რას ფიქრობთ ამ ადამიანებზე, რომლებსაც სერიალში თამაშობთ?

დიმიტრი: ცხოვრებაში მთლად დემნასნაირი გიჟი არ ვარ.

მაკა: მასეთი გიჟი — არა, მაგრამ...

დიმიტრი: „სახლში დომინანტი მე ვარ. ადგან ცოლს ვეუბნები, რომ ასე ჯობს, ე.ი. ჯობს! არ ვტრაბახობ, მაგრამ, როგორც მე მირჩევნია, ყოველთვის ის არის ხოლმე სწორი“.

დიმიტრი: ბევრ რამეში დემნასნაირად არ მოვიქცეოდი.

— მაგალითად, რა არ მოგწონთ თქვენი პერსონაჟის?

დიმიტრი: საყვარელ ადამიანს სხვანაირად უნდა მოექცე. დემნა ჩაკეტილი, შებოჭილი კაცია. მე ასეთი არ ვარ. პოლემიკის საგანი იყო, დემნამ რატომ გაყიდა სახლი ყოფილი ცოლის გამო, მაგრამ რეალურადაც ალბათ ასე მოვიქცეოდი. თინამ კარგად გაიგო ჩემი საქციელი, უბრალოდ ეჭვიანობდა.

მაკა: მე ასეთ ურთიერთობას ვერ ავიტანდი. დემნას რომ ყველაფერი კარგად შეეთავსებინა, არც თინაში გამოიწვევდა ამხელა აგრესიას და არც ჩემში. დემნამ ყველაფერი გვერდზე გადადო და ყოფილ ცოლს ზედ გადაჰყვა. ასეთ შემთხვევაში ეჭვი იბადება და გგონია, რომ შენს თავს ის ურჩევნია.

დიმიტრი: ხშირ შემთხვევაში ყოფილ ცოლ-ქმარს შორის გრძნობა არ ქრება. ამიტომ კარგად მესმის თინას ეჭვიანობის. დემნასნაირი ადამიანები ხშირად არ გვხვდებიან, მაგრამ ნამდვილად არსებობენ. ადამიანებს გვჩვევია, რომ ერთს ვამბობთ, მეორეს ვფიქრობთ და მესამეს ვგულისხმობთ. დემნა კი ამ ყველაფრით დაღლილია და უნდა ისეთი ადამიანი ჰყავდეს გვერდით, ვისთანაც ქვეტექსტებით არ ილაპარაკებს, ყოველთვის იმას იტყვის, რისი თქმაც გულით უნდა. ეს კი მეორე ადამიანისთვის ალბათ კომფორტული არ არის. ერთი-ორი ადამიანი რეალურადაც რომ მყავდეს, ვისთანაც წინასწარ არ დამჭირდება ფიქრი, რა ვუთხრა და რა — არა, ბედნიერი ვიქნები.

მაკა: თინაც ყოველთვის პირდაპირ ამბობს, რისი თქმაც უნდა. ცოტა ხისტი და უხეშია. ზოგჯერ არ ღირს რაღაცის თქმა და სხვისთვის გულისტკენა. თინა ბევრჯერ მართალია, მაგრამ იმდენად ცუდად აწვდის ამ სიმართლეს სხვას, რომ გულს სტკენს.

დიმიტრი: ამ ორი ადამიანის ურთიერთობას თითქოს ხელს არაფერი უშლის, მაგრამ მაინც ვერ ეწყობიან. მერე იმაზე მიდის შეჯიბრი, დომინანტი რომელი იქნება და რომელი დათმობს. კაცებს გვგონია, რომ ქალებმა უნდა დათმონ, ქალები პირიქით ფიქრობენ. ამ დროს კი შეიძლება კაცმა დათმოს, მაგრამ ქალს ეს არ მოეწონოს. მოკლედ, ცხოვრება დრამატულია.

— მაკა, თინას ტიტე უყვარდა, დემნასგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი. რეალურ ცხოვრებაში ტიტესნაირ მამაკაცს აირჩევდით თუ დემნასნაირს?

მაკა: ალბათ უფრო დემნასნაირს. როგორც ტიპაჟი, მომწონს. ტიტე პლასტმასი ადამიანი იყო, დემნა კი ადამიანურია. ამიტომ მისნაირ მამაკაცთან უფრო გამიადვილდება ურთიერთობის აწყობა.

მაკა:
„დიმას ხშირად გამოვყავარ წყობიდან“

— დიმიტრი, რეალურად თინასნაირი ქალებიც არსებობენ. თქვენ თუ მოგეწონებოდათ ცხოვრებაში ეს ტიპაჟი?

დიმიტრი: პირადად მე, ასეთ ქალთან ურთიერთობას არ ავაწყობდი.

მაკა: კაცებს ძლიერი და ჭკვიანი ქალების ეშინიათ.

დიმიტრი: ეგ რა შუაშია?

მაკა: ყველა კაცს ეშინია ჭკვიანი ქალის. ლამაზი და ტუტუცი ქალი უნდათ გვერდით, რომ თავიანთ ჭკუაზე ატრიალონ.

დიმიტრი: მე ჭკვიანი ქალების არ მეშინია, შეიძლება ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ თინასნაირ ქალთან ურთიერთობა დამეზარებოდა. გაუთავებული კამათი მექნება მასთან, ჩემს მორჯულებას მოისურვებს, მე მის შეცვლას მოვინდომებ და ეს ყველაფერი დამეზარება.

მაკა: ჭკვიანი ქალი არასოდეს ცდილობს ვიღაცის მორჯულებას.

დიმიტრი: ურთიერთობებში ქალი თავისებურად ცდება და კაცი — თავისებურად. მამაკაცს სულ ჰგონია, საყვარელ ქალს ცოლად რომ მოიყვანს, ის ზუსტად ისეთი დარჩება, როგორიც არის, ქალს კი ჰგონია, საყვარელი კაცი მისი ქმარი რომ გახდება, აუცილებლად შეიცვლება.

მაკა: პირიქით, კაცი სულ იმას ფიქრობს, ქორწინების შემდეგ ცოლს სამსახურისთვის თავი დაანებებინოს და სახლში დასვას. თან მოსწონს, რომ წარმატებული ხარ, მაგრამ ჰგონია, რომ ამ ყველაფერს თავად შეგიცვლის და სხვა ადამიანად გადაგაკეთებს, ეს კი იმიტომ ხდება, რომ დაგაკნინოს.

მაკა: „ყველა კაცს ეშინია ჭკვიანი ქალის. ლამაზი და ტუტუცი ქალი უნდათ გვერდით, რომ თავიანთ ჭკუაზე ატრიალონ“.

დიმიტრი: მე ასეთი არ ვარ. ჩემი ცოლი მუშაობს კიდეც და მეგობრებთანაც დადის.

— დიმიტრი, ცოლთან რა დათმობებზე მიდიხართ?

დიმიტრი: სახლში დომინანტი მე ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოლს არაფერს ვუთმობ. ხშირად ვეუბნები, როგორც შენ გინდა, ისე იყოს-მეთქი, მაგრამ არის რაღაცეები, რაზეც კატეგორიულ უარს ვამბობ და ვეუბნები, რომ ასე ჯობს. წესით, ჩემმა ცოლმა ეს უნდა გაითვალისწინოს. რადგან ვეუბნები, რომ ასე ჯობს, ე.ი. ჯობს! არ ვტრაბახობ, მაგრამ, როგორც მე მირჩევნია, ყოველთვის ის არის ხოლმე სწორი... მაკა უკვე იმუხტება და კიდევ შემეკამათება.

მაკა: იმიტომ, რომ საოცრებას ამბობ!

— მგონი, ცხოვრებაშიც ძალიან განსხვავდებით ერთმანეთისგან, ყველაფერზე აბსოლუტურად სხვადასხვა შეხედულება გაქვთ და სულ კამათობთ.

მაკა: კი, აბსოლუტურად სხვადასხვანაირები ვართ.

დიმიტრი: მაკა თინასგან ძალიან განსხვავებულია. ჩვეულებრივი კარგი ქალია.

მაკა: თინას რას ერჩი?! „გამიფარჩაკა“

Cyan Magenta Yellow Black

პერსონაჟი!

დიმიტრი: არა, რატომ! შენ თუ შენს თინას იცავ, მე ჩემს საწყალ დემნას ვიცავ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ დემნა „დურაკია“, ბევრი შეცდომა დაუშვა.

— რას მიიჩნევთ დემნას ყველაზე დიდ შეცდომად?

დიმიტრი: თუ ქალი მართლა უყვარს, მესამე პლანზე არ უნდა გადაიყვანოს. თუ თინა დემნას და მის ცხოვრებას მოერგება...

მაკა: თინა არავის და არაფერს მოერგება!

— მაშინ სად არის გამოსაყალი, რომ თქვენმა პერსონაჟებმა ურთიერთობა ააწყონ?

მაკა: მე და დიმამ ამ თემაზე ვილაპარაკეთ და მივხვდით, რომ მხოლოდ მაშინ აეწყობა ჩვენი პერსონაჟების ურთიერთობა, თუკი

მაკა: „ტიტე ჰილასტმასი ადამიანი იყო, დემნა ჯი ადამიანუჰია. ამიტომ მისნაირ მამაკაცთან უფრო გამიადვილდება უთანხმობის ანყობა“.

ერთ-ერთი მათგანი შეიცვლება. ეს კი შეუძლებელია. უკვე იმ დონეზე არიან, რომ ამათი ურთიერთობა არ შედგება.

— დიმიტრი, დარწმუნებული ვარ, თქვენ ფიქრობთ, რომ თინა უნდა შეიცვალოს.

დიმიტრი: არა, ვფიქრობ, რომ ჯობს, დემნა შეიცვალოს.

მაკა: ეს რა დაგმართნია?!

დიმიტრი: დიდი ხანია ამას ვამბობ, სხვანირი კაცი უნდა გახდეს, თორემ ვერც ერთი ქალი გაუგებს. დემნა ცოტა მოსაწყენი კაცია.

მაკა: ადამიანები არ იცვლებიან. შენ შეიძლება გაქვს რაღაც თვისება, რომელსაც მთელი ცხოვრება ებრძვი, მაგრამ ვერ ცვლი. შეიძლება ცოტა ხანს ჩემთან ითამაშო და თავი მომაჩვენო, მაგრამ შინაგანად ვერ შეიცვლები.

დიმიტრი: ჩემი თვისებების გამო ხშირად ცუდი რაღაცეები დამმართნია, მაგრამ ჩუმად ვარ, აღარაფერს ვამბობ.

— დიმიტრი, როგორც ჩანს, თქვენი ცოლი აბსოლუტურად განსხვავებულია თინასგან.

დიმიტრი: რა თქმა უნდა, თორემ თინას რომ ჰგავდეს, ალბათ მასთანაც ვერ ავაწყობდი ურთიერთობას. არანაირი სურვილი მაქვს თინასნაირ ქალთან ვცხოვრობდე. დარწმუნებული ვარ, ისიც არ ისურვებდა დიმა ტატიშვილისნაირ კაცთან ცხოვრებას.

მაკა: თინას დემნასნაირ კაცთან უფრო მოუნდება ცხოვრება, ვიდრე დიმა ტატიშვილისნაირ კაცთან. დიმას ხშირად გამოვყავარ წყობიდან.

— დიმიტრი, როგორ ახერხებთ ამას?

დიმიტრი: ჩემი ცუდი თვისებაა, რომ ადამიანების პროვოცირებას ვახდენ და წყობიდან გამომყავს.

მაკა: ჩემი და დიმას შეხედულებები საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ახერხებს ჩემი წყობიდან გამოყვანას.

დიმიტრი: მე უფრო თავხედი ვარ.

მაკა: მე ამის თქმას ვერ ვაკადრებდი.

დიმიტრი: სამაგიეროდ მე გეტყვით, რომ მაკა ძალიან კეთილია. შეუძლია ნამდვილი, კარგი პარტნიორობა გაგიწიოს. თინასგან განსხვავებით, მაკა ძალიან კარგი ქალია.

მაკა: ვაიმე, თინაც ძალიან კარგი ქალია!

დიმიტრი: ვახ! ჩვენ სულ ასე ვჩხუბობთ. რა ვქნა, თუ მაკა მირჩევნია თინას?! არ ვიცი, სად შეიძლება იყოს ისეთი კაცი, რომელიც თინას მოერგებოდა.

მაკა: თინა კი არა, არც მე დავუთმობდი. არ ვფიქრობ, რომ კაცია დომინანტი. ყველაფერი ისე უნდა წყდებოდეს ოჯახში, როგორც

დიმიტრი: „შენ თუ შენს თინას იცავ, მე ჩემს საწყალ დემნას ვიცავ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ დემნა „დურაკია“, ბევრი შეცდომა დაუშვა“.

ორივეს უნდა. არ ვთვლი, რომ ყველა გადაწყვეტილება მამაკაცმა უნდა მიიღოს.

დიმიტრი: ჩვენი პერსონაჟების ურთიერთობაშიც ასე იყო. დემნამ უთხრა, ოჯახი არ მინდაო, რაზეც თინამ უპასუხა, არც მე ჯერჯერობითო. თინას მალე მოუნდა ოჯახის შექმნა, დემნას კი ისევ არ უნდოდა მოვალეობების საკუთარ თავზე აღება.

მაკა: თინას ადგილას დემნას არავითარ

■ დიმიტრი და მაკა

შემთხვევაში შევთავაზებდი ჩემს სახლში გადმოსვლას. ყველა მამაკაცი, ვისთანაც ურთიერთობას იწყებ, პოტენციური ქმარია. კაცი კი ასე არ ფიქრობს. ეს ჩვენი, ქართული მენტალიტეტის ბრალია. კაცი იმით ამაყობს, თუ რამდენი ქალი ჰყავდა.

დიმიტრი: ეს ის თემაა, რომელზეც ვერასოდეს შევთანხმდებით. ყოველთვის მიკვირს, რეჟისორები თემებს რომ ვერ პოულობენ. კაცის და ქალის ურთიერთობა ამოუწურავია, ძალიან საინტერესო და ამავდროულად — მტკივნეული.

— დემნამ მხოლოდ ერთი დღე შეძლო თინასთან და მის ოჯახთან ერთად ცხოვრება. დიმიტრი თქვენ სიდედრის სახლში ვიცხოვრიათ?

დიმიტრი: ორი წელი საბჭოთა კავშირის ჯარში ვიყავი საკმაოდ მძიმე პირობებში, მაგრამ სიდედრის სახლში ცხოვრება იმასთან შედარებით ჩემთვის უარესი გამოდგა. ჩვენს სახლში რემონტი იყო და ამიტომ იძულებული გავხდით, ცოტა ხნით სიდედრთან გადავსულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ სიდედრს ძალიან ვუყვარდი და კარგი ქალი იყო, მაინც ჯარში ყოფნა მერჩივნა. მაშინ დავუთმე ჩემს მეუღლეს, რემონტი რომ დავიწყეთ, მითხრა, ჯობს, ჩემთან ვიყოთო და დავთანხმდი. ის პერიოდი მე მოვითმინე. მინდა, მკითხველმა სწორად გამიგოს, იმ სახლში მოსათმენი არაფერი მქონდა, არც არაფერი მიქმნიდა დისკომფორტს, მაგრამ მაინც იმ გაჯიან ბინაში ყოფნა მერჩივნა. ქალებიც ცოდოები არიან, დედამთილებთან რომ ცხოვრობენ. ცოლქმარი ცალკე უნდა იყვნენ.

— მაკა, თქვენც, ისე როგორც თინას, ახალგაზრდა დედა გყავთ. მას და ნელიკოს სერიალიდან, ამის გარდა, რაიმე საერთო კიდევ აქვთ?

მაკა: ის ნელიკოსგან აბსოლუტურად განსხვავებულია. რჩევებს მაშინ მაძლევს, როცა მე მჭირდება. არც მადონასნაირი მეზობელი მყავს, მიუხედავად იმისა, რომ იტალიურ ეზოში ვცხოვრობ.

— როგორ განვითარდება თქვენი პერსონაჟების ცხოვრება, უკვე იცით თუ თქვენი ვერსიები გაქვთ?

მაკა: მგონია, რომ დემნა და თინა საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

დიმიტრი: მაკა, ახლა სწორად გამიგე და კიდევ არ მეჩხუბო. თინა აგრძელებს ცხოვრებას, დემნა კი მარტოა, ამიტომ, თუ თინასთან ურთიერთობა მოუნდება, მაშინ დათმობაზე უნდა წავიდეს და თინა შეირიგოს.

მაკა: დარწმუნებული ვარ, თინა ეტყვის, რომ უკვე დააგვიანდა.

დიმიტრი: რომ შერიგდნენ, დემნას უპირატესობა აღარ ექნება და ყველაფერი ისე აღარ იქნება, როგორც მას უნდა. სწორედ ამიტომ ვამბობდი, რომ ჩემსა და დემნას შორის დიდი განსხვავებაა. ერთხელ მამაჩემმა მითხრა, მოთმენა უფრო დიდი ვაუკაცობაა, ვიდრე პირი-

დიმიტრი: „ორი წელი საბჭოთა კავშირის ჯარში ვიყავი საკმაოდ მძიმე პირობებში, მაგრამ სიდედრის სახლში ცხოვრება იმასთან შედარებით ჩემთვის უარესი გამოდგა“.

ქითო. მაშინ 16 წლის ვიყავი და ვერ მივხვდი, რა მითხრა. ახლა კი ვხვდები, რას გულისხმობდა და მეც ვთვლი, რომ დათმობა სიტუაციას აგვარებს. ყველაფრის მოთმენა არ შეიძლება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დათმობა ჯობს, ეს უფრო მეტი ვაუკაცობაა.

— ხშირად დათმობაზე წასულით მხოლოდ საკუთარ თავს ვაზარალებთ.

მაკა: გეთანხმებით, რამდენჯერაც დავთმე, იმდენჯერ ცუდი ვიწვნიე.

✓ ქეთი დინოშვილი

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

მილოცვა თუ შეურაცხყოფა — როგორ გავიგოთ პრეზიდენტის საახალწლო შემოთავაზებები?

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წლევანდელი საახალწლო მილოცვიდან პესიმიზმ-სკეპტიციზმი ნიაღვრად მოედინებოდა, განსხვავებით წინა წლების ზეაღმატებული მაჟორულობისაგან. პრეზიდენტმა საკუთარი ხალხი დემოკრატიის წინაშე მდგარი საფრთხეებით, სოციალური პრობლემებითა და პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობით „შეაშინა“. დაბოლოს, უფსკრულის პირას მდგარი ქვეყნის (ასეთი იყო მისი სიტყვის პათოსი) გადასარჩენად „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. ამისთვის 5 პუნქტიანი გეგმაც გაუშანშალებია. არ იტყვით, რა თეზისები ჩამოაყალიბა საქართველოს პრეზიდენტმა?! ამაზე ფიქრით თავის შეწუხება არ ღირს, შეგიძლიათ წინა წლების ოპოზიციონერებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების საჯარო გამოსვლები, მოწოდებები, ინტერვიუები და ა.შ. გაიხსენოთ, ანუ ყველაფერი ის, რასაც საზოგადოება მაშინდელი პრეზიდენტისა და მმართველი გუნდისგან მოითხოვდა. მიხეილ სააკაშვილის გეგმა თითქმის მათი იდენტურია:

პირველი, ოპონენტებს აგრესიული და შეურაცხმყოფელი რიტორიკის შეწყვეტას სთავაზობს; მეორე, მოუწოდებს ახალ ხელისუფლებას, შეწყვიტოს ოპოზიციის დაჭერები, დაკითხვები და წარსულის უაზრო რევიზია; მესამე, გაერთიანება, „რათა არ დავუშვათ დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობის შერყევა და არ შევაფერხოთ ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“; მეოთხე, შეწყდეს თვითმმართველობებზე შეტევა და მეხუთე, მოხდეს საერთაშორისო საინვესტიციო კონფერენციის მოწვევა, რომელსაც პრემიერი და პრეზიდენტი ერთად გაუძღვებიან.

— კი არ დავუპირისპირდეთ ერთმანეთს იმ განსხვავებების გამო, რომელიც ჩვენ შორის არის, არამედ გავერთიანდეთ იმ მთავარი პრინციპების ირგვლივ, რომლებზეც ყველას ერთად შეგვტკივა გული, — დაასკვნა პრეზიდენტმა.

ამ „შეთავაზებების“ შესაფასებლად ქართულ-ხალხურ ენაზე მრავალი გამოთქმა გამოდგებოდა, მაგ.: ჩემი შენ გითხარიო, გაღმა შეედავეო, აქამდე სად იყავიო... და სხვა. მაგრამ ჯობს ეს საქმე ექსპერტს მივანდოთ.

სოსო ცისკარიშვილი:

— მილოცვის პირველმა ნაწილმა მთლიანად დაუკარგა ფასი მის შემოთავაზებას, რადგან შეთავაზება შემომთავაზებლის გარეშე არ არსებობს და სანამ ადამიანი შემოთავაზებას ჩაუფიქრდება, აცნობიერებს, ვინ არის შემომთავაზებელი. ამასთანავე, შემოთავაზების ინიციატორი უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო კორექტული და არ უნდა აერია ერთმანეთში წინასაახალწლო მილოცვა და გასული წლის აგვისტოს გაგანია საარჩევნო კამპანია. მან კიდევ ერთხელ სცადა, ახალი წლის მილოცვად გაესაღებინა მისი დემაგოგიითა და ცინიზმით სავსე ტრაფარეტული გამოსვლა. საუბარი იმაზე, რომ რაიმე პოზიტიურია შემოთავაზებული, შესაძლებელია მაშინ, როცა შემომთავაზებელი იქნება ადეკვატური. ჯერჯერობით სახეზეა პათოლოგიური გამოსვლები და არა— აზრიანი.

„შემოთავაზების ინიციატორი უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო ოფიციალური და ეს უნდა აერია ერთმანეთში. ნინასაახალწლო მილოცვა და გასული წლის აგვისტოს გაგანია საარჩევნო კამპანია. მან კიდევ ერთხელ სცადა, ახალი წლის მილოცვად გაესაღებინა მისი დემაგოგიითა და ცინიზმით სავსე ტრაფარეტული გამოსვლა“.

— **ექსპერტების ნაწილმა ამ 5 პუნქტიან შეთავაზებაში ორი რეალური რამ — შეიარაღება, ანუ მტრული რიტორიკის შეწყვეტა და ერთობლივი საინვესტიციო კონფერენციის მოწყობა — მაინც ამოიკითხა.**

■ სოსო ცისკარიშვილი

— შეიარაღებაზე შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომელსაც აზრად არ მოსვლია უხამსი სიტყვებით თავდასხმა ოპონენტზე. ბატონი სააკაშვილის მხრიდან იმის თქმა, რომ შეწყდეს აგრესიული და შეურაცხმყოფელი რიტორიკა, სასაცილოა. ყველამ კარგად იცის, რომ შეურაცხმყოფელი ფრაზეოლოგიის ბელადი თავად გახლავთ და ამ ფრაზეოლოგიას ყველა მიმართულებით აფრქვევს, თუ საკუთარი ძალაუფლების ოდნავ საფრთხეს დაინახავს. რაც უფრო დრო გადის, მით უფრო სცილდება მისი გამონათქვამები პრეზიდენტის სტანდარტებს. როცა ითხოვს, რომ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები შეწყდეს, ამას გამოცხადება კი არ უნდა, მაგალითის მიცემა უნდა. თვენახევარი გაძლო ბატონმა პრეზიდენტმა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მერე კი დაიბრუნა ძველებური ფორმა და გადავიდა თავაშვებულ აგრესიაზე.

— **შეიძლება საახალწლოდ მისი ასეთი ნეგატიური ტონი პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევით იყო გამოწვეული.**

— მერე არ ჯობდა, ჩაფიქრებული გამოსულიყო და არა — ასეთი აგრესიული? მაგრამ ეს უქმი მოწოდებები მიმართულია მხოლოდ დასავლელი თაყვანისმცემლებისკენ, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ სურვილი, რომ ყველაფერი, რაც ხდება, წარმოიდგინონ სიზმრად და გააგრძელონ ლივლივი იმ გარემოში, სადაც თავს ეს წლები კომფორტულად გრძნობდნენ. არ უნდა ზოგიერთ მაღალჩინოსანს, აღიაროს, რომ იყო შეცდომაში შეყვანილი და, ნაცვლად დემოკრატიისა, აშენებდნენ ავტოკრატიას. ამიტომ ისინი აღტაცებულნი დარჩებიან ხუთიოვე შეთავაზებით, მით უმეტეს, რომ მათთვის ნათარგმნი იქნება ის ხუთი შეთავაზება, ხოლო დანარჩენს, რაც განაცხადა პრეზიდენტმა, არც ნათარგმნად მიაწვდის ვინმე მათ და არც შინაარსს ეტყვის. ისინი კი ჩათვლიან, რომ სააკაშვილმა მოინანია შეცდომები და დანაშაულობები და ახლა თანამშრომლობის ხელს უწვდის ხელისუფლებას.

— **იმავე გამოსვლაში მან უარი განაცხადა ამნისტიის კანონზე ხელის მოწერაზე.**

— ამით ცხადი ხდება, რომ სააკაშვილი აღარ არის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი და დიდად არის დამოკიდებული მის ირგვლივ რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფზე, რომელიც განსაზღვრავს მის პოზიციას ამ თუ იმ საკითხისადმი. საუბარი, რომ ამნისტია მისთვის მიუღებელია, რადგან იქ არიან მოხსენიებული პოლიტპატიმრები, ნიშნავს, რომ ჯერ იმ ჭკუაზეა, რაზედაც იყო, ანუ არ აღიარებს პატიმრების წამებას, არც ბიზნესის წართმევის მიზნით ხალხის ჯაშუშებად გამოცხადებას და ციხეში ჩასმას. რასაკვირველია, ამის შემდეგ იგი მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს იმაზე მეტად, რაც მოიპოვა 1 ოქტომბერს და უფრო მეტიც, ნაცმოძრაობის ნავი ამოყირავდება უფრო მალე, ვიდრე ამის ხედვის უნარი აქვთ ნაცმოძრაობის ლიდერებს.

— **ბატონო სოსო, საკონსტიტუციო ინიციატივასთან დაკავშირებით მოვლენების განვითარებას როგორ ვარაუდობთ? კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ უმრავლესობას უკვე ჰყავს გარანტირებული საკონსტიტუციო უმრავლესობა. დავუჯეროთ?**

— საკონსტიტუციო უმრავლესობა გახლავთ ქვეყნისთვის ყველაზე მიმზიდველი გამოსავალი, რადგან, როგორც წესი, უმრავლესობა დროთა განმავლობაში გადაიქცევა ხოლმე სერიოზულ საფრთხედ დემოკრატიისთვის. არგუმენტაციის დამაჯერებლობა უნდა იყოს პრიორიტეტი თითოეული დეპუტატისთვის, რომელიც ხალხმა აირჩია პარლამენტის წევრად. როგორც კი ასე არ იქნება, დადგება არაერთხელ შეთავაზებული და ჯერ არდამტკიცებული პროცედურის საკითხი, რომლის მიხედვითაც მაჟორიტარი დეპუტატების გამოწვევის საშუალება მიეცემა ამომრჩეველს. ამომრჩევლების ნების უგულებელყოფა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ რაიმე ცვლილების მიღება არ შედგეს კონსტიტუციაში, რადგან შიში და რიდი გააჩნიათ დღევანდელი უმცირესობის წევრებს თავისი პარტიის ლიდერების მიმართ.

მგონია, რომ არამარტო პარტიის წევრებს, მათ ლიდერებსაც ვერ გაუცნობიერებიათ, რომ მოსახლეობამ მათ გამოუტანა განაჩენი, რის გამოც ახლა სააკაშვილს ხვეწნა უწევს სხვა პოლიტიკური ძალისთვის, მოდი, დავილაპარაკოთო. ეს ხვეწნაც არაბუნებრივია, თუნდაც იმიტომ, რომ ამის საშუალება მას ბევრჯერ ჰქონდა თავისი პრეზიდენტობის დროს, მაგრამ იუკადრისა თანაბარუფლებიანი კონტაქტები რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან და ჩამოყალიბდა, როგორც ავტორიტარი.

„ეს უქმი მოწოდებები მიმართულია მხოლოდ დასავლელი თაყვანისმცემლებისკენ, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ სურვილი, რომ ყველაფერი, რაც ხდება, წარმოიდგინონ სიზმრად და გააგრძელონ ლივლივი იმ გარემოში, სადაც თავს ეს წლები კომფორტულად გრძნობდნენ“.

— **ექსპერტების ერთი ნაწილი შიშობს, რომ შესაძლოა, სააკაშვილმა საკონსტიტუციო ინიციატივის განსახილველი ვადა სათავისოდ გამოიყენოს. შიშის საფუძველს თქვენც ხედავთ?**

— კანონიერების გზით სვლა არ გახლავთ სააკაშვილის ძირითადი მახასიათებელი, ამიტომ, რა ტიპის ფანტაზია მოუვა თავში, ძნელად წარმოსადგენია. რაც დრო გადის, მის მოქმედებებში უფრო მეტი საფრთხე იკითხება. მგონი, ისევ კანონის ძალისკენ მობრუნება უნდა გახდეს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი და უნდა გადაიდგას შემხვედრი ნაბიჯი ორივე მხრიდან. კონსესუსის მიღწევა ამ ეტაპზე აუცილებელია.

— **კონსენსუსი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც იმუშავებს არამხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ ზოგადად სამომავლო საპარლამენტო არჩევნებისთვის. ნუ მოგვერიდება და მივბაძოთ ამჯერადაც ამერიკას, სადაც, კონსტიტუციის თანახმად, 4 წელიწადში ერთხელ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ერთსა და იმავე დღეს — ეს გახლავთ ნოემბრის პირველი ოთხშაბათი. ავირჩიოთ აპრილის პირველი კვირის ნებისმიერი დღე და ყველა შემდგომი საპრეზიდენტო არჩევნები ამ დღეს ჩავატაროთ. თუ არჩევნები ჩატარდება აპრილში, ეს იქნება კომპრომისი კანონმდებლობასა და პოლიტიკურ მოთამაშეთა მიმართ და ასევე იქნება კონსტიტუციაზე დამყარებული საფუძველი.

თემურ შაშიაშვილი: „ივანიშვილს ჩასაფრებული პრეზიდენტი უნდა ჩამოვაცილოთ!“

■ თემურ შაშიაშვილი

ახალი წლის პირველ დღეებში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში — ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში, გურჯაანში — აქციები გაიმართა. თბილისში, პრეზიდენტის სასახლესთან, კოალიცია „ერთსულოვნება“ და მასში შემავალი პარტია „თეთრები“ შეიკრიბა და 8 პუნქტიანი ულტიმატუმი წაიკითხა. მათი განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილი ინაუგურაციიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, ანუ 20 იანვრისთვის, თანამდებობას არ დატოვებს, მას უფლებამოსილების აღსრულების საშუალებას არ მისცემენ, ამისთვის კი რადიკალურ ზომებსაც არ მოერიდებიან. აქციაზე სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებაც გაგრძელდა. ორგანიზატორების თქმით, ხელმომწერთა რიცხვმა უკვე 800 ათასს გადააჭარბა. აქციაზე გამოჩნდა „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურიაც. მისი თქმით, 20 იანვრისთვის ეს შეკრებები ერთ დიდ ტალღად უნდა გადაიქცეს, რომელიც დაასრულებს საქართველოში „ვადაგასული“ პრეზიდენტის მუშაობას.

„ერთსულოვნების“ მოთხოვნებსა და გეგმებზე „სარკე“ პარტია „თეთრების“ ლიდერს, თემურ შაშიაშვილს ესაუბრა.

თემურ შაშიაშვილი:

— აქციაში ჩართულია 50-მდე ორგანიზაცია. სასიამოვნო იყო, რომ აქციაზე მოვიდნენ კახა კუკავა და ჯონდი ბაღათურიას პარტიები და მხარდაჭერა გამოგვიცხადეს. კონსულტაციები „სახალხო კრებასთანაც“ მიმდინარეობს. როცა ამ დოკუმენტს ხელს აწერენ — მერაბ ბერძენიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე, რეზო ამაშუკელი, რეზო ძოძუაშვილი, ეს იმას უსვამს ხაზს, რომ ეს მოძრაობა არ არის არც პოლიტიკური და არც არასამთავრობო, ეს არის დიდი ერთობა, ერთსულოვნება. ერთსულოვნება ერთი აზროვნებას არ ნიშნავს. ქვეყანასთან დამოკიდებულებაში ვართ ერთნი, პოლიტიკურ ხედვაში კი — თავისუფალნი. რაც გვაერთანებს, ეს არის სიყვარული.

— და პრეზიდენტის სიძულვილიც ამაშიც ხომ ერთსულოვნები ხართ?

— დიახ, ეს არის პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმით გაერთიანებულთა ერთსულოვნება. ხელისმოწერები 11 ნოემბრიდან დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე განსაკუთრებული საშუალებები არ გამოგვიყენებია, საკმაო რაოდენობაც მოვაგროვეთ. ამაში დიდ დახმარებას გვიწევს თავად სააკაშვილი, მისი როლი ფასდაუდებელია. მისი ყოველი გამოსვლა და ქმედება კიდევ უფრო აღიზიანებს ხალხს და კიდევ მეტად მიუღებელს ხდის საქართველოს მოსახლეობისთვის.

— ხელმოწერებისთვის რაიონებშიც ვიწევდათ ჩასვლა. რა სიტუაცია დგებოდათ იქ?

— მე ვნახე ძალიან ბევრი ადამიანი, რომელმაც ხმა მისცა სააკაშვილს, მაგრამ ახლა ხელს მის გადადგომას აწერს. ერთმა მითხრა, ხმა ნაციონალებს მივეცი, მაგრამ მისი საახალწლო მოლოცვის შემდეგ, როცა წყევლაკრულვა გამოგვიგზავნა ქართველ ხალხს, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, მის გადადგომას ხელი მოვაწეროთო. როცა ბელგიაში თქვა, საქართველო ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირშიო, მის სიტყვებს იმავე განწყობით შეხვდნენ სამეგრელოში, გურიაში... როგორ უნდა გძულდეს შენი ქვეყანა, რომ ტაჯიკეთსა და ყაზახეთზე უარესად დაახასიათო.

მოსახლეობა გმინავს გაჭირვებისგან და ის კი იმას გვამადლის, შუქი ხომ გაქვთო. ვის არ აქვს შუქი პოსტსაბჭოთა სივრცეში? ნახეთ, რა მშენებლობებია აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვაგან. ამან ჩაკეტა ხალხი. ქუჩა ნათდებოდა და გონება ბნელდებოდა. ეს სიტუაცია მოსახლეობას შეუმჩნეველი არ დარჩა. რომ ველოდით, ხალხი 20-30 ხელმოწერას მოიტანდა, 200-300 მოაქვთ. ბატონი მირონ ხერგიანი მოვიდა თავის მეუღლესთან ერთად და მსახიობ გუჯა ბურდულს ცრემლები წამოუვიდა, კაცმა მოძებნა ჩვენი ოფისი და ისე მოვიდა, რომ არც ერთ აქციაზე ყოფილა. როგორ უნდა შეაძულო შენს ხალხს ასე თავი?! მერაბ ბერძენიშვილის სიტყვებს ვამბობ, მთავარი ის კი არ არის, რომ ძეგლი დაანგრია ან გადაიტანა, მთავარი ის არის, რომ გენოციდს უწყობს საკუთარ ხალხს. ამ დროს კი ყოველთვის პოულობენ დასავლეთში ვიღაცას, რომელიც ამბობს, რომ ეს ხელისუფლება არ უნდა დაიჭირონ.

იმ ფოტოებისთვის, რაც ბოლო დროს დაიბეჭდა პრესაში, იმავე თბილისის მერზე და სხვებზე, ამერიკაში ხელისუფალთ იმპიჩმენტს გამოუცხადებდნენ. არსად, არც ერთ ქვეყანაში პრეზიდენტი არ იხანგრძლივებს პრეზიდენტობის ვადას, მაგრამ აქ თურმე ესეც შეიძლება. გასაკვირია, რატომ თვლიან, რომ, რაც არ შეიძლება ევროპაში, ამერიკაში, ის დასაშვებია საქართველოში. ეს არის შეურაცხყოფა ქვეყნისა, რომელიც ისტორიულად მუდმივად ცივილიზაციის სათავეებთან იდგა.

— ემოციები და პატრიოტული რიტორიკა რომ იქით იყოს, ობიექტურად რა უმაგრებს ზურგს თქვენს მოთხოვნას?

— ჩვენ გვაქვს ორი მთავარი არგუმენტი, რითაც ვამტკიცებთ, რომ ის პრეზიდენტი აღარ არის. პირველი, ეს არის კონსტიტუცია, სადაც წერია, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით და მეორე, მორალურ-ზნეობრივი მომენტები. ის, რომ, მაგალითად, არ შეიძლება, პრეზიდენტი ხოხავდეს მიწაზე და იღებდეს წმინდანის ძეგლს ისე, რომ არც ავტორს ეკითხებოდეს და არც კათოლიკოს-

> **„ვის აქვს უფლება, ჩემ ნაცვლად ვინმეს ხამე აპატიოს?! მე ახ ვპატიობ!.. კანონი უნდა აღსრულდეს და ახ მაინტერესებს, უცხოეთში ჰომელი სექტა ჰას ფიქრობს!“.**

პატრიარქს. რა არის გაუგებარი იმაში, რომ არ მინდა დაჩოქილი პრეზიდენტი მყავდეს?! ასეთი პრეზიდენტი ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში ვერ წარმოუდგენიათ და აქ თავზე გვასვამენ. გვეუბნებიან, ამის ღირსი ხართო.

— კონსტიტუციაში გარკვეული წერია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს.

— მე მესმის ეს არგუმენტი და ეს არის კონსტიტუციის არასრულყოფილება. მუხლში პირდაპირ წერია, 5 წლის ვადა და დამთავრდა! პრობლემა იმიტომ შეიქმნა, რომ კონსტიტუციას აკლია მუხლი. ვადამდელი არჩევნები ჩატარდა და მერე რას ვშვრებით, არ არის მითითებული? რა ხდება ამ შემთხვევაში ამერიკაში? როცა გადადგება პრეზიდენტი, მის მოვალეობას ასრულებს პრემიერი ან პარლამენტის თავმჯდომარე, ან ვიცეპრეზიდენტი. ეს მუხლი აკლია კონსტიტუციას და ამ ინიციატივას შევიტანთ პარლამენტში.

— არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — ახალმა მთავრობამ და უმრავლესობამ არაერთხელ ღიად თქვეს, რომ მას ოქტომბრამდე აცლიან.

— შინაგანად ყველა ჩვენ გვეთანხმება, მაგრამ, უნდა მოითმინოთო, რომ ამბობენ, გაუგებარია. ამერიკაში არ ითმენენ, მაგრამ თურმე ჩვენ უნდა მოვითმინოთ.

მიუხედავად ივანიშვილის დამოკიდებულებისა ჩემდამი, მე დიდ პატივს ვცემ მას და მის მოსაზრებას, მაგრამ იმაში, რომ ვიღაცას

> **„ეჰთმა მითხჰა, ხმა ნაციონალებს მივეცი, მაგჰამ მისი საახალწლო მოლოცვის შემდეგ, ჰოცა წყევლა-ჯჰულვა გამოგვიგზავნა ქჰართველ ხალხს, მთელმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, მის გადადგომას ხელი მოვაწეჰოთო“.**

რაღაცა ვაპატიოთ, ვერ დავეთანხმები. ეს ნიშნავს, რომ საქართველო წელში ვერასოდეს გაიმართება. სასიკეთო საქმეების გაკეთებას სჭირდება ოთხი რამ, რასაც ბიბლია გვასწავლის — სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება და სამართლიანობა. თუ ერთი ამოვარდება, მაშინ იკარგება ყველაფერი. ბატონ ივანიშვილს ვეტყოდი, რომ სააკაშვილს ამათგან არც ერთი ჰქონია და, თუ რომელიმე მასაც დააკლდება, საკუთარ თავს გადაუსვამს ხაზს.

სამართლიანობის გარეშე არაფერი გამოვა. როგორ, მერაბიშვილმა ხალხი დახოცა და გარეთ უნდა იყოს?! ვის აქვს უფლება, აპატიოს გირგვლიანის მკვლელობა ვინმეს?! ვის აქვს უფლება ვინმეს აპატიოს, რომ საქართველოს ბიუჯეტის ყოველი 1 ლარიდან 80 თეთრი იხარჯებოდა ვიღაც ჩინოსნისთვის ან სკამის შენარჩუნებისთვის?! ვის აქვს უფლება, ჩემ ნაცვლად ვინმეს რამე აპატიოს?! მე არ ვპატიობ! სააკაშვილი იყო ელიტური კორუფციის სათავეში. წადით და ნახეთ სიხარულის ქუჩა №5, რა სახლი წამოჭიმა ცხინვალის ომის შემდეგ. იმავე ქუჩის №2-ში ვანო მერაბიშვილი ცხოვრობს. კანონს არც უნდა დავაკლოთ და არც უნდა წავუმატოთ. ის უნდა აღსრულდეს და არ მაინტერესებს, უცხოეთში რომელი სექტა რას ფიქრობს!

— „ოცნება“ ამბობს, რომ პატიება არ ეხება დანაშაულებრივი რეჟიმის პირველ პირებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ამაში მხოლოდ ქუდა რგოლები იგულისხმებიან.

— არა, იმათაც უნდა მოეკითხოს. როცა გუბერნატორი ვიყავი და შევარდნაძემ მინისტრის რეკომენდაციით გაყიდა ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა, პრეზიდენტს სასამართლოში ვუჩივლე და სასამართლომ მე დამიჭირა მხარი. ამის მერე როგორ გავამართლო რომელიმე მინისტრი ან გუბერნატორი, სააკაშვილს რომ უნდოდა, იმიტომ სასრულებდა?! თუ არ გინდა, წადი, ბატონო, თანამდებობიდან. ნიკოლაიშვილისნაირი, მერაბიშვილის-

→18

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტარო
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

ნაირი და ადეიშვილისნაირები რომ არ ჰყოლოდა სააკაშვილს, ისიც ვერ გაბედავდა ამდენს. რა ვაპატიოთ, გურიაში გმირი დამენიას ოჯახი 4 წელი რომ მშიერია?! გამოაქვეყნონ, რა დაჯდა თითოეული გზის თუ სკვერის გაკეთება და ნახავთ, რომ 10-ჯერ მეტია გაწერილი. ეს ვაპატიოთ?! მე ვიყავი გუბერნატორი და მეც თუ მაქვს მსგავსი რამე ჩადენილი, არ მაპატიონ, დღესაც კი! ან ხალხს რომ სცემდნენ კაბინეტებში იმიტომ, რომ სააკაშვილსთვის ეამებინათ, ეს ვაპატიოთ?!

— მაშინ ვერ მოსერხდება კოჰაბიტაცია და საბოლოოდ შეიძლება დაპირისპირებაც მოხდეს.

— ამის გვეშინია? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრს აწყობს კიდეც ნაცმოძრაობისნაირი ოპოზიცია, რადგან ის ნორმალური ოპოზიცია ვერასოდეს იქნება. ჩვენი ამოცანა კი ისაა, რომ ჩამოვაცილოთ ივანიშვილს ჩასაფრებული პრეზიდენტი და ნაცმოძრაობა, რათა საარჩევნო პროგრამის, რომელიც არის მართლაც უნიკალური, განხორციელება შეძლოს. სააკაშვილი ყველაფერს იკადრებს და თუ გააკეთა, რაც უნდა, ანუ მოახდინა ხალხის დაპირისპირება, აი, მაშინ ნახეთ!

— რიგორ აბარებთ ამ მოთხოვნის რეალიზებას, როცა არც პარლამენტი გიჭერთ მხარს და არც მმართველი პარტია?

— რა ულტიმატუმიც წარვადგინეთ, არ არის ერთი დღის გაკეთებული. ამაზე სერიოზული ხალხი მუშაობდა, ქართველი მეცნიერები, მათ შორის — მინდია უგრეხელიძე, ეკა ბესელია, ასევე უცხოელი ექსპერტები... ეს ის დოკუმენტია, რომელიც გაიზიარა „სახალხო კრებამ“. არა მგონია, ქალბატონმა ეკამ დღეს უარყოს თავისი ხელმოწერა. მაშინ ამ დოკუმენტს მხარი დაუჭირეს კობა დავითაშვილმა, გუბაზ სანიკიძემ, ზვიად ძიძიგურმა... ასევე არა მგონია, მათ უკან წაიღონ ხელმოწერა. უმრავლესობას აქვს სხვა მოსაზრებები, ეს არის პრევენციები იმისათვის, რომ სააკაშვილმა თავისი სისულელეები ვერ ჩაიდინოს, მაგრამ სწორი არის ის, რომ საქართველოს კონსტიტუციას დაემატოს ის მუხლი, რომელიც სრულყოფილს გახდის მას. ასევე აუცილებელია დავიცვათ კონსტიტუცია, სადაც წერია, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით.

— თქვენი მომდევნო ნაბიჯები რა იქნება?

— დოკუმენტების მიტანა საელჩოებში, ვენეციის კომისიაში. ჩვენ შევიტანეთ რეზო ჩხეიძის სიტყვა პარლამენტში, საკონსტიტუციო სასამართლოში და განვაახლებთ ამას. სასამართლომ გვირჩია, რომ სარჩელის ფორმა მივცეთ. კი, ბატონო, ასე ვიზამთ. ჩვენ მივდივართ, კანონიერი გზით და ჩვენი ბედნიერება არის იმაში, რომ კონსტიტუცია ყველაფერზე მაღლა დგას.

— ლევან ბერძენიშვილმა თქვენს მოთხოვნაზე თქვა, რომ ეს არის მხოლოდ პოლიტიკაში დასაბრუნებელი ფასი.

— მე — არა, მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილმა პოლიტიკურად მკვდარი ბერძენიშვილი გადაარჩინა. ამიტომ ბატონი ბიძინა მისთვის რომ ყველაფერია, გასაგებია. მე არ მჭირდება არავის გადარჩენა, მაქვს ჩემი ავტორიტეტი, ვიღაცას მოვწონვარ, ვიღაცას — არა. ბერძენიშვილმა კი ბოდიში უნდა მოიხადოს იმისთვის, რომ თქვა, ვინც წესიერები და კარგები იყვნენ, ის მოიყვანა ივანიშვილმა „ქართულ ოცნებაშიო“. ამ კოალიციაში ბევრს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათზე, ვინც სოროსის ფონდში შეყუჟულები 5-6 ათას დოლარს იღებდნენ მაშინ, როცა ევგენი ხარაძეს საკუთარი წიგნების გაყიდვით გაჰქონდა თავი, კომენტარსაც არ გავაკეთებ.

— გვკერათ, რომ სააკაშვილს გადააყენებენ?

— ნუ მივაყენებთ შეურაცხყოფას ქართულ სახელმწიფოს, არ შეიძლება საქართველოს დაჩოქილი პრეზიდენტი ჰყავდეს.

თედო ჯაფარიძე: „პრემიერი იქნება უფრო ძლიერი ფიგურა და პრეზიდენტს ექნება მხოლოდ სიმბოლური სახე“

ახალმა ხელისუფლებამ ახალი 2013 წელი საგარეო კონტაქტების დალაგებით და იმ ელჩების გამოწვევით დაიწყო, რომლებმაც საქართველოს ახალ მთავრობას ყოფილი ხელისუფლების მხარდაჭერით დაამახსოვრეს თავი. გამოსაწვევთა სიაში 18 გვარია, მათ შორის არიან საქართველოს ელჩები ჩეხეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, უნგრეთში, ასევე საქართველოს მისიის ხელმძღვანელები ევროსაბჭოსა და ევროკავშირში.

— არაფერი განსაკუთრებული და უცნაური არ არის იმაში, რომ ახალ მთავრობას მაღალ დიპლომატიურ თანამდებობებზე საკუთარი კანდიდატების დანიშვნა სურდეს, თუმცა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავითვალისწინებ იმ ბრალდებებს, რომლებიც ჩემი მიმართულებით გაისმა, თითქოს ჩემი საქმიანობით არა — ქვეყნის, არამედ ვიწრო პარტიულ ინტერესებს წარმოვადგენდი. ეს არის აბსურდი, — განაცხადა ევროკავშირში საქართველოს ელჩმა სალომე სამადაშვილმა, რომელიც ახალ პრემიერს ბრიუსელში მისი ვიზიტის დროს ადგილზე არ დახვდა. როგორც აღმოჩნდა, ის უკვე 10 წელია ამ თანამდებობაზეა და დიდიხანია ელჩობის ყველანაირი ვადა ამოწურული აქვს.

გამოსაწვევთა სიაში მოხვდნენ საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე, საქართველოს ელჩი გაერო-ში კახა ლომაია და

„ჩვენ უნდა ვიყოთ აღეკვატური მოთამაშე და არა — ეგზაღტირებული და აღგზნებული, ჰით�ჰრობლემებს შეუქმნი არამარტო საკუთარ თავს, არამედ პოლიტიკაში დიდ მოთამაშეებსაც“.

საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში გიორგი ბადრიძე. ამ უკანასკნელმა საკუთარი ემიგრანტი თანამემამულეების მისამართით გაკეთებული უცენზურო რეპლიკით („ცოცხი გაიკეთე უკან!“) გაითქვა სახელი. ლონდონში, საქართველოს საელჩოს წინ აქცია ქართველმა ემიგრანტებმა ციხის ცნობილი კადრების გავრცელების შემდეგ გამართეს. ბადრიძემ ამ სიტყვების გამო ბოდიში მაშინვე მოიხადა და აპირებს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ განცხადებაც გააკეთოს, მაგრამ დააგვიანა. ბადრიძის ელჩობა რომ ამ რეპლიკას შეეწირა, არ უარყოფს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, თუმცა პოლიტიკურ მოტივს, მით უფრო — ანგარიშსწორებას, კატეგორიულად გამორიცხავს.

ელჩების, როგორც დასავლურ სამყაროში საქართველოზე გარკვეული აზრის შექმნის საშუალების, გამოცვლის თემა იმთავითვე მტკივნეული იყო ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტისა და ყოფილი მმართველი გუნდისათვის. პრემიერმა აღნიშნა კიდეც, პრეზიდენტი და მისი გუნდი ითხოვს ელჩები დაპატიმრებულ ყოფილ მაღალჩინოსნებში „გავუცვალოთო“. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ამბობს, პრობლემა აღმოფხვრილია და ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით პრეზიდენტთან შეთანხმება შედგა, ამიტომ მისი დრამატიზება არ ღირს.

„სარკე“ ბატონ თედოს ამ და სხვა თემებზე — საქართველოს ხელისულების საგარეო პოლიტიკაზე, რუსეთთან ურთიერთობაზე ესაუბრა.

— ბატონო თედო, თვლით, რომ ელჩების გამოწვევის საკითხი ამოწურულია?

— დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტთან შეთანხმება შედგა და ამიტომაც დაიძრა ელჩების გამოწვევის საკითხი. საკომუნიკაციო არხი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრეზიდენტს შორის უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია იყო, რომელსაც იმ ქვეყნების სია გადაეცა, საიდანაც ელჩების გამოწვევა უნდა მომხდარიყო. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერს, დაწყებული დაპატიმრებებიდან დამთავრებული ელჩების გამოწვევით, პოლიტიკური დავარქვათ, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი პროცედურული საკითხი, რაც ახალი მთავრობის მოსვლის პირობებში ძალიან ბუნებრივია. განსაკუთრებული არაფერი ხდება, ზოგს ელჩად ყოფნის ვადა გასდის, იცით ალბათ, რომ ეს ვადა 4 წლით განისაზღვრება, ზოგიც პოლიტიზირებული საქმით იყო დაკავებული და, რა თქმა უნდა, მათი შეცვლა ადეკვატური პროცედურაა. მიხარია, საგარეო უწყების დღევანდელი ხელმძღვანელობა და ახალი მთავრობა რომ აცხადებს, ელჩების საქმიანობა არ იქნება პოლიტიზირებული და ისინი იქნებიან სახელმწიფო სამსახურშიო. ელჩი არის პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ ის უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს და არა — რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას.

— პოლიტიზირებულ ელჩებში ბადრიძეს და სამადაშვილს გულისხმობთ, რომლებმაც ცუდად დაამახსოვრეს თავი ახალ ხელისუფლებას?

— ნამდვილად არ ვიცი, ვინ რითი დაამახსოვრა თავი დღევანდელ ხელისუფლებას, კონკრეტულად, არც ის ვიცი, რას აკეთებდა ქალბატონი სამადაშვილი ან ბატონი ბადრიძე, მაგრამ მათი შეცვლა არის ადეკვატური გადაწყვეტილება. სამადაშვილი თითქმის 8 წელია მსახურობს ბრიუსელში და ალბათ ამაზე საუბარი არც ღირს. თუ ის თავისი ნებით დატოვებს ელჩის პოსტს, გადავა საგარეო უწყების განმგებლობაში და მერე უკვე საგარეო უწყება გადაწყვეტს, რა თანამდებობას დაიკავებს სამადაშვილი ან თუნდაც ბადრიძე და სხვა.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ელჩს, რომელიც ბრიუსელში ვიზიტის დროს არ დახვდა, რაიმე პოსტს შესთავაზებენ?

— სინამდვილეში რა მოხდა, არც მე ვიცი და არც — თქვენ. ეს იციან მხოლოდ მათ, ვინც ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ. ვინ დახვდა, რატომ დახვდა, ეს იყო სამადაშვილის ინიციატივა თუ თვითონ საგარეო უწყების...

— ჩვენც ხელისუფლების მონაყოლიდან ვიცით.

— მაგრამ არ მგონია, რომ ამის გამო მოხდა ქალბატონი სალომეს გამოწვევა და რაიმე რეპრესიულ ელემენტს ჰქონდეს ადგილი.

— ელჩების გამოწვევა ასეთი სტრატეგიული ქვეყნებიდან ამის ნიშანია, რომ ახალი მთავრობა საგარეო პოლიტიკის ახალ კურსს იწყებს?

— პრინციპში, ახალმა მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური კურსი, ნატო-ში გაწევრება, ევროპული გზა — ეს იქნება უცვლელი, შეიცვლება რაღაც ნიუანსები, დეტალები, მაგრამ მთლიანობაში, რასაც ვეძახით სტრატეგიას, უცვლელი დარჩება. ამიტომ ელჩები, რომლებიც მათ ადგილს დაიკავებენ, გააგრძელებენ იმავე საგარეო კურსს.

— ექსპერტები ნშრად აღნიშნავდნენ, მიუხედავად ამისა, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათაყვანო, სააკაშვილს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდა და ამაში სწორედ საელჩოები და საგარეო ურთიერთობები იყო ნაგულისხმები. გამოდის, რომ პრეზიდენტის ამ კუთხით განეიტრალება ხდება?

— რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ბერკეტი გააჩნია, ამაზე ჩვენც ვსაუბრობდით, მაგრამ თუ ჩავიხედავთ კონსტიტუციაში, პარლამენტი გან-

საზღვრავს ქვეყნის საგარეო კურსს, ახდენს მის ფორმულირებას და მერე მისი რეალიზება ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად.

— ჩაგეკითხებით, პრეზიდენტის დასაყლარ კონტექტებზე ახალი ხელისუფლება კონტროლს ამყარებს?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ამ კავშირებზე კონტროლს დავამყარებთ, მაგრამ ეს არ იქნება უზურპირება, ჩვენი მიზანია, ხელისუფლების ორივე შტოს შორის ურთიერთობა დაბალანსებული იყოს. ახალი კონსტიტუციით, რომელიც ძალაში ოქტომბრამდე უნდა შევიდეს, ქვეყანა ხდება საპარლამენტო რესპუბლიკა, პრემიერი იქნება უფრო ძლიერი ფიგურა და პრეზიდენტს ექნება მხოლოდ სიმბოლური სახე, ამის მიხედვით მოხდება ძალაუფლების გადანაწილება. ხაზი მინდა გავუსვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდება უზურპირება, თუნდაც რაღაც დოზით. არც პრემიერი გახდება დიქტატორი, რომელიც მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორსაც სააკაშვილი იღებდა. ის წყვეტდა, რომელი ელჩი გაეშვა პოსტიდან და რომელი სკულპტურა გადაეტანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

— რუსეთთან ურთიერთობა — საკითხი, რომელიც ამდენი წელია მწვავედ დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, რამდენად რეალურია მოსახლეობის მოლოდინი, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დალაგდება?

— ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს მოხდება დღეს და სწრაფად, არ ვამბობთ, რომ მოხდება დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ დაიწყოს გარკვეული სახის დიალოგი რუსულ მხარესთან, რადგან მისი არარსებობა მთავარი პრობლემების გადაწყვეტას არ დაჩქარებს. დღეს პატარა საკითხებზე უნდა დავიწყოთ საუბარი, ეს იქნება „ბორჯომის“ თუ სხვა ქართული პროდუქციის შეტანა რუსეთის ბაზარზე და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადავიდეთ უფრო რთულ საკითხებზე, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ.

— ვაჭრობასთან დაკავშირებით სააკაშვილმა თქვა, მანდარინი მაინც შეგიდიდა რუსეთში, თან უფრო ძვირად და ამაში სასიკეთო სიახლე არაფერიაო.

— პრეზიდენტის ამ განცხადებას ვუსმინე, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ხშირად მას არც ვუსმენ, არ არის ჩემთვის საინტერესო. თუ რუსეთში მანდარინის შეტანა ხდებოდა და ამის შესახებ მოსახლეობამ არ იცოდა, ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია. თუ ძველ ხელისუფლებას ამ მხრივ რაიმე მიღწევები ჰქონდა, კარგი იქნებოდა, რომ საჯარო გაეხადათ და ჩვენც დაგვეხმარებოდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს არის სააკაშვილისთვის დამახასიათებელი ტიპური განცხადება, რომ ყველაფერი კარგი, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა, მისი ხელისუფლების დამსახურება იყო. ჩემი აზრით, კარასინისა და აბაშიძის პირველი შეხვედრით გადაიდგა ძალიან პატარა ნაბიჯი, ამის გამო არ უნდა მოვაწყოთ ზარ-ზეიმი და მიტინგები, მაგრამ ქართული პროდუქციის რაღაც რაოდენობა რომ გავიდა რუსეთის ბაზარზე, ეს არის ძალიან კარგი. ამიტომ ნუ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, რა ხდებოდა არჩევნებამდე და რამდენად უმნიშვნელოა, რაც მოხდა.

— ექსპერტები, მაგალითად, სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ კარასინ-აბაშიძის შეხვედრები არაფრისმომტანია და დაემგავსება ფუნეცის ფორმატის შეხვედრებს, ანუ შეხვედრებს შეხვედრებისთვის, რადგან ორივე მხარე რიგორც ქართული, ისე რუსული, წითელ ხაზამდეა უკვე მისული და არაფერი აქვთ დასათმობი.

— დიდ პატივს ვცემ სოსო ცინცაძეს, გამოცდილი ექსპერტია. კარგი იქნებოდა ძველ ხელისუფლებასაც და ახალსაც ყურად ეღო ქართველი ექსპერტების შენიშვნები, თუ რა

■ თედო ჯაფარიძე

ამ საქმით არიან დაკავებული და მათ შორის — ჩვენს მეგობრებს, რომლებიც მოწადინებული არიან, დავალაგოთ რუსეთთან ურთიერთობები და აიძულონ ის, მიიღოს დადებითი გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ გვაწუხებს.

— სამაჩაბლო-აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პერსპექტივას თქვენც პირდაპირ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგით ხედავთ, როგორც ეს, მაგალითად, პაატა ზალარიაშვილს წარმოუდგენია?

— ზალარეიშვილი საინტერესო ექსპერტია და უკვე მთავრობის წევრი, მას საკმაოდ საინტერესო იდეები აქვს. ვეთანხმები ექსპერტებს იმაში, რომ ჩვენ უფრო მეტს ვსაუბრობდით ტერიტორიებზე, ვიდრე ხალხზე. მოთმინებით უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითა-

„ჯაჩგია, რომ ჯარასინი და აბაშიძე ხვდებიან და საუბრობენ, ჩათა შემდეგ, როცა დაიწყება დიდი პროცესები, ვინმემ ის გვითხრას, ჯაჩგი იქნებოდა, ჩუსეთ-საქართველოს შორის ეღაც საკომუნიკაციო არხი ყოფილიყოო. შეიძლება ამ პროცესებს დასჭირდეს 1, 2, 3 წელი, მაგრამ შეიძლება მოხდეს რამდენიმე თვეში, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

ხდება ქართულ-რუსულ, ქართულ-ამერიკულ, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში. მსოფლიო პოლიტიკის არეალი გაცილებით დიდია, სხვადასხვა პროცესები მიმდინარეობს და ეს დიდ გავლენას მოახდენს რუსულ-ქართული ურთიერთობების დალაგებაზე. კარგია, რომ კარასინი და აბაშიძე ხვდებიან და საუბრობენ, რათა შემდეგ, როცა დაიწყება დიდი პროცესები, ვინმემ არ გვითხრას, კარგი იქნებოდა, რუსეთ-საქართველოს შორის რაღაც საკომუნიკაციო არხი ყოფილიყოო. ამიტომ უნდა იმუშაოს საკომუნიკაციო არხმა და დაველოდოთ პროცესების განვითარებას. შეიძლება ამ პროცესებს დასჭირდეს 1, 2, 3 წელი, მაგრამ შეიძლება მოხდეს რამდენიმე თვეში, ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

— ფიქრობთ, რომ ახლო აღმოსავლეთში და ზოგადად მსოფლიოში რუსეთის გავლენები ისე მკვიდრდება, იძულებული გახდება, დათმობებზე წავიდეს საქართველოსთან?

— ვერ დაგპირდებით, რომ რუსეთი წავა დათმობაზე, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში ჩვენ უნდა ვიყოთ ადეკვატური მოთამაშე და არა — ისეთი, როგორიც იყო წინა ხელისუფლება. სააკაშვილს უყვარდა გამოთქმა, საქართველო არის ბერლინის ახალი კედელიო და ფიქრობდა, ამით დაჩქარებდა პრობლემის გადაწყვეტას. სამწუხაროდ, ასე არ ხდება, საქართველო არ უნდა იყოს მსოფლიო პოლიტიკის პრობლემა, მან უნდა შეიტანოს პოზიტიური მუხტი თავისი რეალობით. ჩვენი ქვეყანა არ არის დიდი მოთამაშე, მაგრამ კონკრეტულ რეგიონში შეუძლია დადებითი მუხტის შეტანა. ამიტომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დალაგება მსოფლიო მოთამაშეების ინტერესებში ნამდვილად შედის.

— ანუ ახალი ხელისუფლების სტრატეგიაა საგარეო პოლიტიკისთვის ფეხის აწყობა და არა — თამაში?

— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, როცა დაინგრა საბჭოთა კავშირი, ზვიად გამსახურდიას შესახებ უფროსმა ბუშმა თქვა, მსოფლიო პოლიტიკის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. რამდენად ადეკვატური იყო ბუშის განცხადება, სხვა საქმეა, მაგრამ, დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, ვიტყვი იმას, რომ საქართველო უნდა გახდეს ქვეყანა, რომელიც არ იქნება აღქმული, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. ამიტომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, შიდამოწყობაში, მეზობლებთან თუ ევროპასთან ურთიერთობაში უნდა ვიყოთ ადეკვატური მოთამაშე და არა — ეგზალტირებული და აღგზნებული, რითიც პრობლემებს შეუქმნი არამარტო საკუთარ თავს, არამედ პოლიტიკაში დიდ მოთამაშეებსაც, რომლებიც

რებას და ჩვენი ქვეყანა გავხადოთ უფრო მიმზიდველი და საინტერესო ოსებისთვისაც, აფხაზებისთვისაც და არამარტო მათთვის, ყველასთვის.

— ის, რომ „მიმზიდველობა“ ტერიტორიულ კონფლიქტს მოგვარებს, მაამბოხად არ გეჩვენებათ? ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ მსგავსი საკითხები, სამწუხაროდ, კარგა ხანია საქართველოში ადარ წყდება.

— მესმის თქვენი და იმ ექსპერტებისაც. მეც ხშირად ვიზიარებ ამგვარ მოსაზრებებს, მაგრამ პოლიტიკა და განსაკუთრებით დიპლომატია არის სურვილებზე აგებული პროცედურა. ამ სურვილების პრაქტიკაში რეალიზება კი დამოკიდებულია იმ პოლიტიკოსებისა და დიპლომატების გამოცდილებაზე, რომლებიც ამ საკითხებით არიან დაკავებული.

— 20 ანგრისთვის საქართველოს პატრიარქს მოსკოვში მეგზავრება. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებზე ეს ვიზიტი ასახება?

— პატრიარქის ვიზიტი და მისი ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია არამარტო ქართველი საზოგადოებისათვის, არამედ ის გავლენას ახდენს დიდ პოლიტიკურ პროცესებზე. ამიტომ ხშირი ვიზიტები რუსეთში, კარასინ-აბაშიძის შეხვედრები და დიალოგი, ქართული მხარის ჩართვა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმში, ჩვენი ინტერესების რეალიზებას დიდად წაადგება. ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი ძალიან რთული მოზაიკისა, რისი გამოყენებაც დაჩქარებს ჩვენთვის მტკივნეული პრობლემების გადაწყვეტას.

— ივანიშვილის ვიზიტს აზერბაიჯანში და ამ ქვეყანასთან საზღვრის დელიმიტაციის პრობლემასაც შეეხებით. როგორ დგას დაკითხვიერების საკითხი?

— როცა უშიშროების საბჭოს მდივნად ვმუშაობდი, აქტიურად ვიყავი ამ საკითხში ჩართული. იმ ინფორმაციით, რაც გამაჩნია, პროცესი მიდის, რამდენიმე საკითხია დარჩენილი. დარწმუნებული ვარ, იმ თბილი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რაც არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რომ ალიევსა და ივანიშვილს შორის დამყარდა ახლო ურთიერთობა, ყველა მტკივნეული საკითხი დადებითად გადაწყდება.

— „ახლო ურთიერთობები“ მიწებს აბრუნებს?

— ამაში სპეციალისტებიც არიან ჩართული და, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მოგვარებადია.

— ანუ დაკითხვიერება საქართველოს მხარეს დარჩება?

— მგონია, რომ ამას მოვახერხებთ.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგეშიმ

Cyan Magenta Yellow Black

სალომე ყანჩელი და ოთარ ლითანიშვილი — სიყვარული ერთად და ცალ-ცალკე

■ სალომე ყანჩელი

■ ოთარ ლითანიშვილი

„გაშორდნენ, მაგრამ სალომე მის ფიქრებში მუდამ იყო“

Salომე ყანჩელი თავისი თაობის გამორჩეული მსახიობი იყო. არც თეატრში წარმატება აკლდა და არც მთავარი როლები. სცენაზე ბევრი საინტერესო სახე შექმნა, მაგრამ განსაკუთრებული, როგორც მისი ახლობლები აღნიშნავენ, მაინც შირინის როლი იყო, რომელიც სპექტაკლში „ლეგენდა სიყვარულზე“ შეასრულა.

სიყვარული მის ცხოვრებაში მართლაც საბედისწერო იყო. ორჯერ უყვარდა და და ორივეჯერ ამ გრძნობამ ღრმა ტკივილები დაუტოვა, თუმცა მეორე, რომელიც მოწიფულ ასაკში ეწვია და ბედნიერების 20 წელი მოუტანა, გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდა. სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს გარეგნულად არ იმჩნევდა. ერთდროულად ნაზიც იყო და ძლიერიც.

მისი სიყვარულისა და საერთოდ პირადი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ერთადერთი დღიური, რომელშიც ჩანაწერებს აკეთებდა, მისივე თხოვნით, გარდაცვალების შემდეგ ისე დაწვეს, რომ არავის წაუკითხავს. ჩვენ გიამბობთ იმას, რაც მისი ოჯახის წევრების მოგონებებს შემორჩა.

ქალბატონი სალომეს ვაჟი, რეჟისორი ოთარ ლითანიშვილი იხსენებს:

— დედაჩემმა და მამაჩემმა ერთმანეთი თბილისში გაიცნეს. მათ საერთო მეგობარი ჰყავდათ — რეზო ებრალიძე. მამაჩემს იმ პერიოდში ნეკნი გაუტყდა და მძიმედ იყო, საკითხავი იყო, გადარჩებოდა თუ არა. დედამ კი რეზოსგან იცოდა, რომ ერთი კარგი ბიჭი კვდებოდა. როცა გადარჩა, მათი შეხვედრაც რეზოს მეშვეობით, შემთხვევით მოხდა. ამ დღიდან ძალიან მალე გაჩნდა მათ შორის სიყვარული და მალევე იქორწინეს.

სხვათა შორის, ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი ვიცი, რომელიც წლებით ადრე მოხდა, როცა ჩემი მშობლები ჯერ კიდევ პატარა ბავშვები იყვნენ. ჩემი ბაბუები (დედისა და მამის მხრიდან) მტკვარზე, ერთ-ერთ რესტორანში ქეიფობდნენ. ორივეს თავიანთი შვილები წამოეყვანათ. წლების მერე დედა იხსენებდა, იმ რესტორანში ერთი შავი ბიჭი დარბოდა, ნერვებს მიშლიდა და, რას წარმოვიდგენდი, რომ მერე მისი ცოლი გავხდებოდიო.

ოც წელზე მეტი იცხოვრეს ერთად. მახსოვს, ბებია იხსნებედა იმ დღეს, როცა მამა დედას ხელის სათხოვნელად მივიდა. ფეხიანი ჭიქები ჰქონიათ და რამდენიც მიაწოდეს, იმდენივეს ფეხი მოსტეხა. დალევდა თურმე, დადგამდა ჭიქას და შემთხვევით ფეხს სტეხდა. ბებია ხუმრობით ამბობდა, ოთარი ჩვენს ოჯახში მტვრევა-მტვრევით შემოვიდაო.

როცა დაქორწინდნენ, მალევე სოხუმიდან ორივეს კარგი შემოთავაზება გამოუჩნდათ. მაშინ ასე ხდებოდა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს ამ ზღვისპირა ქალაქში კარგ სამუშაოს სთავაზობდნენ და მთელი თბილისი იქ იყო ხოლმე. სოხუმის თეატრში მთავარი რეჟისორი სერგო ჭელიძე იყო და დედაჩემს იქ მუშაობა სწორედ მან შესთავაზა. მამაჩემი კი მეკარე იყო და ამ დროს „ლოკომოტივიდან“ „დინამოში“ გადავიდა. ამავე დროს სოხუმიდან შემოთავაზება მიიღო, რომ წამყვან არქიტექტორად ემუშავა. ფეხბურთს თავი დაანება და თავისი პროფესიით მუშაობა არჩია. დედამ თეატრში მუშაობა დაიწყო, მამამ — საპროექტო-საარქიტექტურო ინსტიტუტში. სულ მალე კი მთავარი არქიტექტორიც გახდა. მეც ამ ქალაქში დავიბადე.

სოხუმში ცხოვრების პერიოდი ძალიან ლამაზი და დასამახსოვრებელი იყო. ეს იყო პატარა, სუფთა და კოხტა ქალაქი, სადაც ბევრი ცნობილი მსახიობი მოღვაწეობდა. თეატრს

ნანეჯა ლითანიშვილი: „სალომე მის ფიქრებში მუდამ იყო. ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ოჯივეს უეჭთმანეთობის განცდა ჰქონდა“.

არაჩვეულებრივი დასი ჰყავდა და, როდესაც ისინი თბილისში ჩამოდიოდნენ, სპექტაკლებს ანშლაგებით ატარებდნენ. სოხუმში ზამთარზაფხულ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ცნობილი მსახიობები ჩამოდიოდნენ. ტკბილად ვცხოვრობდით, თუმცა ჩემი ავადმყოფობის გამო ამ ლამაზი ქალაქის დატოვება მოგვიწია. ყბაყურის შემდეგ გართულება დამემართა და ზღვისპირა ქალაქში ჩემი ყოფნა აღარ შეიძლებოდა. მშობლებს ამის გამო ადრე მოუწიათ სოხუმის დატოვება, თორემ იქ კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევდნენ. თბილისში გადმოსვლას კი ცოტა სირთულეებიც ახლდა თან. დედას დრო დასჭირდა, რომ რუსთაველის თეატრში თავი დაემკვიდრებინა.

■ სალომე და ოთარი ახალგაზრდობაში

არასდროს დამავიწყდება დედას ერთ-ერთი დაბადების დღე, რომელიც მამამ მოუწყო. 1968 წელი იყო. მამამ ყველას გვითხრა, რესტორანში ვიხდიო. ორას ადამიანამდე დაპატიჟა. ყველანი მანქანებში ჩავსხედით და წავედით. მცხეთიდან გადასახვევი იყო და სუფრაც იქ იყო გაშლილი. მთელ გზაზე ისრები იყო დამაგრებული და დიდი ასოებით ეწერა: „მამული ლითანიშვილისა“. ეს იყო დაუვიწყარი დაბადების დღე, რადგან ულამაზეს გარემოში ვიქეიფეთ, ხედიც არაჩვეულებრივი იყო. მამას მხრიდან სიუპრიზი ბევრი იყო, ხან რას მოიფიქრებდა, ხანაც — რას. საერთოდ ოთარი ძალიან მხიარული და იუმორით სავსე კაცი იყო. ხშირად დავყავდით სამოგზაუროდ და ყოველთვის კარგ დროს გვატარებინებდა. ჩვენი ცხოვრება საკმაოდ მხიარული იყო, სანამ ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდებოდნენ.

ისინი ხელოვნებით ცხოვრობდნენ. მამაჩემმა, როგორც სცენოგრაფმა, ბევრი სპექტაკლი გააფორმა. ხშირად ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე სპექტაკლში დედა როლს ასრულებდა, მამა ამ ყველაფერს აფორმებდა და ერთად მუშაობა უწევდათ. ამიტომაც ზოგჯერ ჩვენს სახლში იმართებოდა შეკრებები და დიდი მსახიობები რეპეტიციებს გადიოდნენ. იშლებოდა სუფრა და ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო.

ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ერთ საღამოს ასეთი შეკრება იყო ჩვენთან. რამაზ ჩხიკვაძე მღეროდა, სოსო ლაღიძე უკრავდა, ირაკლი აბაშიძე ლექსს კითხულობდა, მე კი ამ დროს ვმეცადინეობდი, არადა ძალიან მინდოდა მეც იქ ვყოფილიყავი. ამ დროს ბატონმა ირაკლიმ ჩემს მშობლებს უთხრა, ცოტა ხანი დაისვენოს ბავშვმა, მე მისი აზრიც მაინტერესებსო. ამ სიტყვებმა ძალიან გამახარა, რადგან ბატონმა ირაკლიმ გაკვეთილებიდან „მომხსნა“.

ოთარს დედა იმდენად უყვარდა, რომ მის გამო ლენინგრადში წავიდა და მისი პირველი ქმარი — რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი გაიცნო. იცოდა, რომ შვილებთან სიშორე დედასთვის დიდი ტკივილი იყო და ეს ნაბიჯი ამიტომაც გადადგა. ცოლ-ქმრის დაშორების მერე ისე მოხდა, რომ სასამართლომ შვილები გიორგის მიანიჭა. დედა რეპრესირებული ოჯახიდან იყო, ბებიას არ ჰქონდა პენსია, თავად სალომეც უმუშევარი იყო და ასეთ ოჯახში ბავშვები არ დატოვეს. ეს დედასთვის საშინელება იყო. მერე ტოვსტონოგოვს ლენინგრადში მთავარი რეჟისორობა შესთავაზეს. წავიდა და შვილებიც თან წაიყვანა. დედა ძალიან მძიმე

Cyan Magenta Yellow Black

მდგომარეობაში აღმოჩნდა. როდესაც მამაჩემის ცოლი გახდა, ის ამ საკითხში გვერდით დაუდგა. მამა ლენინგრადში ჩავიდა, ტოვსტონოგოვი გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც, მისი შვილებიც გაიცნო. ისინი ოთარზე გიჟდებოდნენ, არანორმალურად უყვარდათ და სულ ამბობდნენ, ჩვენ ორი მამა გვყავსო. მამას ხან ისინი ჩამოჰყავდა აქეთ, ხან დედაჩემი მიჰყავდა მათთან, მერე მეც წამიყვანა.

როცა ჩემი მშობლები დაშორდნენ, თავიდან ეს ყველაფერი ტრაგედიის ტოლფასი იყო, მერე კი დროსთან ერთად ყველაფერი შეიცვალა. შემდეგ დედასა და მამას ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ და ერთმანეთთან შეხვედრაც უწევდათ. სალომე გარეგნულად ნაზი ქალი იყო, თუმცა შინაგანად დიდი სიძლიერის მატარებელი. ეს ყველაფერი მისი სიცოცხლის ბოლო წლებშიც გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მძიმე სენი სჭირდა, თავი მაინც ისე ეჭირა, რომ მის გარდაცვალებას ვერავინ წარმოვიდგენდით. ასე იყო მამასთან განშორების მერეც. გარეგნულად დიდად არ გამოუხატავს, რომ ამ ფაქტს ასე განიცდიდა, თუმცა მე ყველაფერი ვიცოდი და ვგრძნობდი. წლების გასვლასთან ერთად, ამ ამბავს ყველანი შევეგუეთ. თანაც ისე დაემთხვა, რომ დედას იმ დროს ბევრი სამუშაო ჰქონდა და ეს ყველაფერი თეატრმა გადაატანინა.

მსახიობი ნანუკა ლითანიშვილი — სალომე ყანჩელის შვილიშვილი:

— ბებიაჩემი ძალიან ზომიერი ადამიანი იყო. ჰქონდა საზღვარი, რომელსაც არასდროს გადალახავდა და იყო თემები, რომლებზეც არავითარ შემთხვევაში ისაუბრებდა. თავის საქმესა და პროფესიაზე ბევრს ლაპარაკობდა, თუმცა პირად ცხოვრებაზე — არასოდეს. როცა ვინმე პირად ცხოვრებაზე შეეკითხებოდა, ყველაფერს ლამაზად ყვებოდა, რომ ჰყავდა კარგი შვილები და ამით ბედნიერი იყო. არავინ იცის, ამ ყველაფრის უკან რამხელა დარდი იმალებოდა. როცა რამდენიმე წლის წინ ბებიას საღამო გავაკეთე, მაშინაც გამიჭირდა მისი პირადი ცხოვრების შესახებ რაიმეს მოპოვება. ბებიასა და ბაბუაჩემს ძალიან დიდი სიყვარული აკავშირებდათ, თუმცა მათი ოჯახი დაინგრა. სალომე მანამდე უკვე იყო გათხოვილი და ამ ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც რუსეთში მამასთან იზრდებოდნენ. სალომეს და ოთარს კი ლეგენდარული სიყვარული ჰქონდათ. როგორც ვიცი, ოთარს მეუღლე განსაკუთრებულად უყვარდა, მუდმივად სიურპრიზებს უკეთებდა და ისე ექცეოდა, რომ სალომესთვის ყოველი დღე დღესასწაული ყოფილიყო. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ დიდი ნიჭით არიან დაჯილდოებული — საყვარელი ადამიანისთვის ყველაფერი აკეთონ. ბაბუაც სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა.

ბებოს მეგობრებისა და ახლობლების მონაყოლიდან ვიცი, რომ ოთარს სალომეს მიმართ ისეთი სიყვარული გაუჩნდა, რომელმაც თავი დააკარგვინა. ბებიას ამ დროისთვის უკვე ბევრი ტკივილი ჰქონდა გამოვლილი, პირველი ოჯახის დანგრევით გამოწვეული — შვილებთან დაშორება, შიმშილი, გაჭირვება და ა.შ. შვილები ტოვსტონოგოვს თავისთან ჰყავდა, რადგან სალომეს მატერიალურად არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ბავშვები ერჩინა. ბაბუაჩემმა იმდენი შეძლო, რომ სალომეს უფროს შვილებთან, სანდროსთან და ნიკოლზთან, კარგი ურთიერთობა დაამყარა. ჩემი ბიძები ოთარს ბოლომდე მიჯაჭვულები იყვნენ. მართალია, რუსეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ როცა რამე სჭირდებოდათ, მას ურეკავდნენ. ოთარი ამ ყველაფერს სალომეს სიყვარულით აკეთებდა და იმიტომაც ჰქონდა მის შვილებთან ასეთი ურთიერთობა.

ცოლ-ქმარმა ერთად ბედნიერი ოცი წელი იცხოვრეს და მერე სამწუხარო ფაქტი მოხდა

ოთარ ლითანიშვილი: „ოთარს დედა იმდენად უყვარდა, რომ მის გამო ლენინგრადში ნავიდა და მისი პირველი ქმარი — ჰეგისოური გიორგი ტოვსტონოგოვი გაიცნო. იცოდა, რომ შვილებთან სიშორე დედასთვის დიდი ტკივილი იყო და ეს ნაბიჯი ამიტომაც გადადგა".

— მათი ოჯახი დაინგრა. სახლიდან ქმრის წასვლის ამბავი სალომემ ძალიან განიცადა. ცოტა რომ წამოვიზარდე და ბებიასთან მარტო ვრჩებოდი, ამ თემაზე რაღაცეებს იტყოდა ხოლმე. აშკარა იყო, რომ ამ დაშორებით

■ ცოლ-ქმარი

ნანუკა ლითანიშვილი: „ოთარს მეუღლე განსაკუთრებულად უყვარდა, მუდმივად სიურპრიზებს უკეთებდა და ისე ექცეოდა, რომ სალომესთვის ყოველი დღე დღესასწაული ყოფილიყო".

ძალიან გულნატკენი იყო. რაც შეეხება ბაბუას, მას სიცოცხლის ბოლომდე სალომე უყვარდა. ბოლოს მას სიკვდილამდე ერთი წლით ადრე შევხვდი და ასეთი სიტყვები თქვა: „ეტყობა, ამქვეყნად ჩემზე ხელმოცარული კაცი არავინ არის". მე ჩავთვალე, რომ ბაბუა ამ სიტყვებში სიყვარულს გულისხმობდა. ალბათ შერიგების მცდელობა არასდროს ყოფილა, თორემ ერთმანეთი ისე უყვარდათ, აუცილებლად შერიგდებოდნენ.

ოჯახის დანგრევის შემდეგ ამ სიყვარულზე ლაპარაკი არასდროს ყოფილა, მაგრამ იგრძნობოდა. მაშინ ხალხის აზროვნება სხვანაირი იყო და ღიად თავიანთ გრძნობებზე ნაკლებად საუბრობდნენ. როცა გულში ტკივილი არსებობს, ადამიანს იმ ტკივილზე საუბარი უჭირს. მე 15 წლის ვიყავი, როდესაც ბებო გარდაიცვალა. შეიძლება, კიდევ რამდენიმე წელი რომ ეცოცხლა, თავის ცხოვრებაზე უფრო მეტი რამ მოეყოლა ჩემთვის, მაგრამ მაინც პატარა ვიყავი და იყო რაღაცეები, რასაც ბავშვებს არ უყვებიან. მათი სიყვარულის ისტორიის შესახებ ალბათ დედაჩემმაც იცის რაღაცეები, მაგრამ თუკი სალომე ეტყოდა, რომ რაღაც საიდუმლოდ უნდა შეენახა, იმას არც გასთქვამდა. სხვათა შორის, ბებიას და დედას, ანუ რძალ-დედამთილს, ერთმანეთში არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. სალომეს დღიურიც ჰქონდა და სიკვდილის წინ დედაჩემს უთხრა, ეს არავინ წაიკითხოსო. მისი გარდაცვალების შემდეგ დედამ ის დღიური დაწვა.

ბებიას დედამთილთან და მულთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ბაბუას და — რუსუდან ლითანიშვილი და სალომე ერთმანეთისთვის ძალიან ახლობელი ადამიანები იყვნენ. სალომესა და ოთარის დაშორებას ბაბუას ოჯახი ვერ ინელებდა. მამაჩემის, ჩემი ან ჩემი ძმის დაბადების დღეზე, ოთარი აუცილებლად მოდიოდა. მახსოვს, რომ ბებია და ბაბუა ერთმანეთს გადასარეკავად ხვდებოდნენ, კისერზე ჩამოკიდებითა და გულიანად ჩახუტებით. ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა და სხვადასხვა გარემოებისა, მათ ერთმანეთი ბოლომდე ძალიან უყვარდათ.

ერთხელ, რაღაც დღესასწაული იყო, ჩვენს სახლში სუფრა იყო გაშლილი. სალომე სამზარეულოში დედაჩემს ეხმარებოდა. ამ დროს ოთარი შემოვიდა, ბებია კი გახარებული გადაეხვია. ეს მომენტი ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებულად შემორჩა.

სიმბოლურია და ამავე დროს უცნაურიც, რომ სალომეს სახლი პირდაპირ უყურებდა იმ სახლს, სადაც ბაბუაჩემი თავის მეორე ცოლთან ერთად ცხოვრობდა. ალბათ სალომესთვის ესეც მტკივნეული იყო. როცა სტუმრად ბებიასთან მივდიოდით, მერე ბაბუასთან გადავიდოდით ხოლმე. არ მახსოვს შემთხვევა, რომ სალომეს ჩვენთვის იქ გადასვლა დაეშალოს.

მე და ჩემი ძმა, სამწუხაროდ, ბაბუასთან ურთიერთობით განებივრებული არ ვყოფილვართ, რადგან გარკვეული წინააღმდეგობები არსებობდა. ჩვენთვის ეს დიდი ტრაგედია იყო, რომ ბაბუას გვერდით არ ვიყავით. ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ მასთან მეტი ურთიერთობა ვერ მოვახერხეთ. სადაც მომენტს ვნახავდით, სულ ვეუბნებოდით ბაბუას, რომ ძალიან გვიყვარდა, მაგრამ მაინც უკმარისობის გრძნობა დაგვრჩა. ის ყველა ჩემს სპექტაკლზე მოდიოდა და ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი. ჩვენთან ყოფნის დროს, ყოველთვის, საუბარში სალომეს აუცილებლად ახსენებდა. სულ იმ პერიოდს იხსენებდა, როცა ისინი ერთად ცხოვრობდნენ. შეეძლო, მოეყოლა მათი თანაცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე. ერთხელ გვიამბო, სალომეს ღვინო მივუტანე, მან კი უცებ სუფრა გაშალა და გემრიელი საჭმელები გაამზადაო. თითქოს ეს ისეთი არაფერი იყო, მაგრამ ბაბუა სულ ასეთ ამბებს იხსენებდა. როგორც ჩანს, სალომე მის ფიქრებში მუდამ იყო. ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ (ბაბუას ცოლი ჰყავდა, მაგრამ მასთან შვილი არ ჰქოლია, ბებია კი მას მერე აღარ გათხოვილა) და ორივეს უერთმანეთობის განცდა ჰქონდა.

ნანუკა ლითანიშვილი: „ბოლოს, როცა ძალიან ავად იყო და საავადმყოფოში იწვა, ოთარი მოვიდა, თუმცა მის პალატაში შესვლა ვერ გაბედა, გაუჭირდა მისი ასეთ მდგომარეობაში დანახვა. როცა ბებო გარდაიცვალა, ბაბუამ მთელი ღამე ტირილში გაატარა".

ამ ყველაფერმა თავი მერე და მერე იჩინა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, სალომეს დარდმა და ნერვიულობამ გაუჩინა სიმსივნე. ეს სენი რვა-ცხრა წელი სჭირდა და თეატრში მოღვაწეობას მაინც განაგრძობდა. თეატრი მისთვის ჟანგბადი იყო... ბოლოს, როცა ძალიან ავად იყო და საავადმყოფოში იწვა, ოთარი მოვიდა, თუმცა მის პალატაში შესვლა ვერ გაბედა, გაუჭირდა მისი ასეთ მდგომარეობაში დანახვა. როცა ბებო გარდაიცვალა, ბაბუამ მთელი ღამე ტირილში გაატარა.

✓ თეონა კერვალიშვილი

Cyan Magenta Yellow Black

მერაბ სეფაშვილი: „ჩემი შვილები ბევრი პროფესიონალის დონეზე ცოტა უკეთ მღერიან“

■ მერაბ სეფაშვილი

ერომღერალ მერაბ სეფაშვილისთვის გასული 2012 წელი საკმაოდ დრამატული იყო. მის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები სწორედ ამ დროს მოხდა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სოლო კონცერტი გამართა, ვარსკვლავიც გაუხსნეს, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა არც ის დატოვა „ხელშეუხებელი“. ნაციონალების სცენაზე სიმღერა არ აპატიეს და პოლიტიკურად მღელვარე შემოდგომაზე პროტესტის ნიშნად მისი ვარსკვლავი გადაღებეს. მომღერალი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას ძალიან ერიდება, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ერთ დღეს სწორედ პოლიტიკაში წავიდეს.

მომღერალი წლევანდელ ახალ წელს სახლში ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდა, რაც უკვე დიდიხანია აღარ გაუკეთებია და სამწლინახევრის შვილიშვილთან, პატარა ნინასთან ურთიერთობამ დიდი ბედნიერება მიანიჭა.

— ბატონო მერაბ, რა შეფასებით გააცილეთ ძველი წელი, შემოქმედებითად წარმატებული იყო?

— პრინციპში, 2012 წელი წარმატებული იყო, თუმცა უკეთესს ვინატრებდი. შემოქმედებითად საინტერესო იყო, ბევრი ახალი რამ გავაკეთე. სოლო კონცერტი ჩავატარე, ჩემი ვარსკვლავი გაიხსნა, თუმცა სულ ვამბობ, რომ ვარსკვლავზე მეტად ჩემთვის კონცერტზე მუშაობა იყო საინტერესო, სადაც თითქმის ყველა ძველი სიმღერა შევასრულე, ოღონდ ახლებური ვერსიით. ამას გარდა, პროექტში „ახალი ხმა“ ვმონაწილეობ. ჩემდა გასაოცრად, ბევრი კარგი შემსრულებელი აღმოვაჩინე. რაც შეეხება ცხოვრებისეულ სირთულეებს, ეს ჩემთან სულ არის, რომელზეც, სიმართლე გითხრათ, საუბარი არც მინდა.

— ოჯახისთვის როგორი იყო გასული წელი?

— ნორმალური, ჩემი უმცროსი შვილი უნივერსიტეტში მოეწყო. შვილებიც ბედნიერები არიან, როცა მშობლები ჯანმრთელად და კარგად ჰყავთ, ჰლუს ამას, როცა რაღაცეებს აკეთებენ და კარგად გამოსდით. ამ მხრივ, საწუწუნო არაფერი გვაქვს. მყავს შვილიშვილი, რომელიც ჩემთვის ყველაზე მთავარია.

— პაპა ხართ, არადა ბეჯრს ისეც ის ძალიან ახალგაზრდა მერაბი ჰგონიხართ.

— პატარა როგორ ვარ? სადაცაა, 52 წლის გავხდები. შეიძლება ვიზუალურად არ მეტყობა, მაგრამ ხომ ვხვდები. სიმართლე გითხრათ, დიდად ვერ ვგრძნობ, რომ 52 წლის ვხდები. დრო სწრაფად გარბის და მერე ფიქრობ, რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება გინდა და ვერ ასწრებ.

— გული გწყდებათ გასულილ წლებზე, რომ მეტი რამის გაკეთება შეგეძლოთ?

— გული მწყდება თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. რეალობას თვალებში უნდა შევხედო. წლების მატებას დადებითი მხარეც აქვს, ცხოვრებაში შენთვის ახალი ადამიანები, ოჯახის წევრები შემოდიან, შვილიშვილს ვგულისხმობ. ამით ბედნიერი ხარ, ივსები, ამით ცოცხლობ. ნინა ძალიან ნიჭიერი ბავშვია. შვილიშვილი ყველას უყვარს, განსაკუთრებული ჰგონია და მეც ვფიქრობ, რომ ის ყველაზე განსაკუთრებულად მიყვარს, ამიტომაც მომწონს ასე. ვნახოთ, რას გააკეთებს.

— ბეჯრ დროს ატარებთ შვილიშვილთან?

— სამწუხაროდ, ვერა. ჩემი ვაჟი და რძალი ცალკე ცხოვრობენ. ნინას თავისი რეჟიმი აქვს. როცა მცალია, ვცდილობ, მივიდე. თუ დედა ან მამა არ ახლავს, ისე არ მომყვება. ცოტა რომ წამოიზრდება, მერე ალბათ ვივლით ერთად.

— თქვენს შვილებს სამღერა თუ ესერხებათ?

— კი, როგორ არა. ჩემი შვილები როგორ ვაქო, ძალიან მერიდება, მაგრამ ბევრი პროფესიონალის დონეზე ცოტა უკეთ მღერიან, თუმცა ჩემთან ერთად მღერა ერიდებათ. ეტყობა, მაინც რაღაც კომპლექსია. ცალკე ბევრჯერ დამიჭერია, რომ მღერიან. მეუღლე, ნინო, პროფესიით მუსიკოსია, ოღონდ — თეორეტიკოსი. მუსიკალური ოჯახი გვაქვს.

— გასული წელი ქვეყანაში პოლიტიკურად აქტიური იყო. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ პოლიტიკისადმი, გააქტიურებას ხომ არ აპირებთ ამ კუთხით?

— აქტიურად ჩართული არ ვყოფილვარ, ვერიდები, რამდენჯერაც ჩავერთე, იმდენჯერ დამეტაკნენ. როგორც არაპოლიტიკოსი, ხშირად ვცდილობ, ისეთი რამე არ ვთქვა, რომ შეცდომა დავუშვა. პოლიტიკოსები მზად არიან იმისთვის, რომ რაღაც ფრაზა თქვან და შემდეგ აგრესია მიიღონ, ამას მიჩვეული არიან. მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკოსებზე მაინცდამაინც კარგი წარმოდგენა არ მაქვს, ისინი ხშირად ცრუობენ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მთავრობაში ვინ იქნება. ვცდილობ, პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა არ მივიღო, თუმცა შეიძლება ასეც მოხდეს, არაფერს გამოვრიცხავ. ამ ეტაპზე ამის სურვილი არ მაქვს. საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, სამსახურიდან ვინც მიდის და მოდის, მაღალჩინოსნებს ვგულისხმობ, ვიცნობ. მთავარია, ქვეყანაში საქმე გაკეთდეს, ყველას იმის მოლოდინი აქვს, რომ ცხოვრება უკეთესი იყოს.

> **„მეავანაძის ეხოს — ახა, მაგრამ იმის მეხე ყველა მთავრობის ჯონსეტზე მიმღეხია. ახლა თუ ახ დამიძახეს, ახც ესაა ტრაგედია“.**

— ახალ წელს სად და როგორ შეხვდით?

— ამჯერად — სახლში. ძალიან დიდიხანია, ახალ წელს სახლში არ შეხვედრივარ. სხვათა შორის, არ ყოფილა ცუდი სახლში შეხვედრა. 12 საათზე ოჯახის ყველა წევრი ერთად ვიყავით, მერე მივიფანტეთ. ჩემი შვილი მეგობრებთან ერთად წავიდა, მე კონცერტი მქონდა.

— საახალწლო სამზადისში ცოლს ეხმარებით ხოლმე?

— მეუღლეს ფინანსურად თუ დავეხმარები, დანარჩენს ის აკეთებს. სულ ასე ხდება და, სხვათა შორის, არც აპროტესტებს, აზრი არ აქვს. ჩემი ბევრი მეგობარი საყიდლებზე დადის, მე კარგს ვერც ვიყიდი, მაინც დამიწუნებენ, ამიტომ ჯობს, ჩემისაქმე ვაკეთო.

— ახალი წლის ღამეს რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვთ?

— ისეთი არაფერი. სურვილებს რაც შეეხება, ყველა ადამიანს პრივატული სურვილები გვაქვს. ახლა რასაც ვიტყვი, რომ არ ვთქვა, არ შემიძლია, მინდა, ჩვენი ქვეყანა გამთლიანდეს და სულ არ მინდა, რუსს ხელი ვუქნიო და მადლობა ვუთხრა, რომ ასე დაგვყო. ეს არის ის სურვილი, რისი შესრულებაც მინდა, გარდა იმ პირადი სურვილებისა, რომლებიც მაქვს. ადრე ახალი წელი ძალიან მიხაროდა, ახლა — ნაკლებად. წლები მემატება, დრო სწრაფად გარბის და იმდენად აღარ მიხარია.

— წელს პირველი წელია, როცა დედაქალაქში ქეჩის საახალწლო კონცერტი არ ჩატარდა. რას ფიქრობთ ამ ფაქტზე?

— ვფიქრობ, ეს კარგი არ არის. ჩემი აზრით, ეს ტრადიცია აღდგება. მთელ მსოფლიოში ტარდება და ჩვენთანაც უნდა იყოს. არ მგონია, რომ ამით ქვეყნის ბიუჯეტს რაღაცას ვაკლებთ. ფოთში, ქუთაისში რაღაც კონცერტები ჩატარდა და თბილისში რატომ არ ჩატარდა, არ ვიცი.

— თქვენი რამდენიმე კოლეგა ამბობდა, ახალი მთავრობის თუ მერიის ამ გადაწყვეტილებამ ახალ წელს მშიერები დაგვტოვაო.

— ასე არ არის. ამ ყველაფერს, როგორც ტრაგედიას, ისე არ უნდა შევხედოთ. ამის გამო მიტინგების მოწყობა სისულელეა. ნეტავ, მხოლოდ ეს იყოს პრობლემა და სხვა არაფერი.

— პროექტმა „ახალმა ხმამ“ რა მოგიტანათ, რა დაგანახათ ამ შოუმ?

— ეს ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია და ძალიან დიდი სიამოვნებაც მივიღე. გავოცდი, ამდენი კარგი მომღერალი რომ გავიცანი. სულ ვამბობ, ამ ქვეყანამ უნდა იამაყოს, რომ ამდენი ნიჭიერი ხალხი ჰყავს.

— „სარკისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ მომღერლის მუსიკალურად სწორად გაზრდის პრობლემა მთელ მსოფლიოშია. ამ პროექტშიც წააწყდით მსგავს პრობლემას?

— ამ პროექტში მათ გარკვეულ მიმართულებებს და რჩევებს ვაძლევ და ეს მათ გაზრდას არ ნიშნავს. ისინი ჩამოყალიბებული მომღერლები მოვიდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეგა ვარსკვლავები არიან, თუმცა მათში ძალიან დიდ პოტენციალს ვხედავ. ეს უკვე დროის ამბავია, რომ ისინი ძალიან მაგარ მუსიკოსებად ჩამოყალიბდნენ და არიან კიდეც.

— ბევრ დროს და ენერგიას ხარჯავთ მათ დასახმარებლად?

— ჩვენ ბევრ დროს ვატარებთ ერთად, ინტენსიურად ვმუშაობთ და შედეგიც არის. სხვანაირად მაყურებელი ასეთ კარგ ხარისხს ვერ მიიღებდა. ტელევიზიით კონცერტებს ხშირად ვუყურებ და ყველას ეტყობა, სად არის ნამუშევარი და სად — არა.

— პროექტი ფინალს უახლოვდება. საკარაუდო ფინალისტები გყავთ?

— არ ვეთანხმები გამარჯვებულების არჩევის ამ ფორმას, გამარჯვებულის ესემესებით გამოვლენას ვგულისხმობ, თუმცა ამას ვერ გავექცევით. რაც შეეხება ფინალისტებს, რაღაცეებს ვფიქრობ, მაგრამ ამის თქმა, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება.

— ჟიურის წევრებს როგორი ურთიერთობა

Cyan Magenta Yellow Black

გაქვთ ერთმანეთთან?

— ერთმანეთს ხშირად არ ვხვდებით, რეპტიციები გვაქვს და ვცდილობთ, ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. ყველა სასიამოვნოდ გაოცებულია, რომ ყველა გუნდში ძალიან ნიჭიერი კონკურსანტები არიან. ვინც კარგად მღერის, ყველას გულშემატკივარი ვარ. ნიჭიერი ხალხი მიყვარს და ეს, მგონი, სახეზეც მაწერია ხოლმე, როცა მათ ვუსმენ.

— პროექტის მიღმა თუ გაგრძელებთ რაიმე სახის თანამშრომლობას იმ კონკურსანტებთან, რომლებიც თქვენს სიმპათიებს იმსახურებენ? თუ ამაზე ჯერ არ გიფიქრიათ?

— როგორ არ მიფიქრია, ამ ხალხზე რაღაც პასუხისმგებლობა მეც უნდა ავიღო, მათთან სხვადასხვა ფორმით მექნება ურთიერთობა.

— გულახდილად რომ გკითხათ, აზრი აქვს ასეთ პროექტებს? გამარჯვებული მეორე წელს ხშირად არც ახსოვთ ხოლმე.

— რადგან კონკურსი ტარდება და ხალხი უყურებს, ესე იგი საჭიროა. ახალ სახეებს ვპოულობთ და გზას ვაჩვენებთ. ამას ლოგიკური გაგრძელება უნდა ჰქონდეს, რომელიც არ არის. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ უნდა მივცეთ ლოგიკური გაგრძელება.

— კონკრეტულად ვინ უნდა იზრუნოს ამაზე?

— სხვადასხვა კომპანიებმა, რომლებიც უნდა შეიქმნას. ვერ გეტყვით, რომ ამაზე სახელმწიფომ უნდა იფიქროს, ამის ვალდებულებას ვერ მივცემ მათ, თუმცა კარგი იქნება, თუ მათთვის ხელოვნება პრიორიტეტი იქნება. ამ ყველაფერში სახელმწიფოც უნდა მონაწილეობდეს. საქართველოში ძალიან პატარა ბაზარია. თუმცა ჩვენზე პატარა ქვეყნებიც არსებობენ, სადაც ეს სფერო განვითარებულია.

— გეგმაგთ ესტრადაზე აქტიურად დაბრუნებას? თქვენი კოლეგების გარკვეული ნაწილი, თუნდაც ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე ნელ-ნელა ისევ გამოჩნდნენ.

— რა თქმა უნდა, ვაპირებ, ეს ჩემი საქმეა. იდეები მაქვს და ვნახოთ, რა გამოვა. სწორად არ ვთვლი, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკას მივუსადაგო და დავუკავშირო. იმ მომღერლებს, ვინც თქვენ ახსენეთ, ტაიმაუტი არ ჰქონდათ, მათი პაუზა, რა თქმა უნდა, პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული, ამას თვითონაც ხმამაღლა აცხადებდნენ, თუმცა ეს შეცდომა იყო.

— ვისი მხრიდან?

— ისევ მათი მხრიდან. ვთქვათ, მე რომ გავჩერდე, ეს ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია, სხვა ვერავინ გააკეთებს.

— მომღერლებს ხომ ბლოკავდნენ?

— თუ გაგაკავეს და ხელები გადაგიგრიხეს, მესმის, მაგრამ ჩემთვის, მაგალითად, სულაც არ არის პრიორიტეტული ის კონცერტი, რომელსაც მთავრობა მოაწყობს. შემიძლია იქ არ ვიმღერო და ჩემი კონცერტი გავაკეთო. თუ ხალხისთვის მისაღები და საინტერესოა, მოვა. ამ ყველაფერს მთავრობა არ უნდა აფინანსებდეს. შეიძლება ხელისუფლებამ კონცერტზე მიგიწვიოს და კონტრაქტიც გააფორმო, თუ გაწყობს. ასევე კერძო კომპანიამ შეიძლება მიგიწვიოს და იმასთანაც გააფორმო. შეიძლება საერთოდ არ მიგიწვიონ და შენი ინიციატივით გააკეთო ყველაფერი, მაგრამ ამას უკვე სპონსორები, თანხები სჭირდება, თუ ის სპონსორები მთავრობამ არ შეაშინა და ასე შემდეგ. ცუდია, როცა ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდება. ამას წინათაც ვთქვი, რომ ბევრ მთავრობას მოვესწარი, პატარა ხომ აღარ ვარ. მუავანაძის დროს — არა, მაგრამ იმის მერე ყველა მთავრობის კონცერტზე მიმღერია. ახლა თუ არ დამიძახეს, არც ესაა ტრაგედია.

„იმ მომღერლებს ტაიმაუტი არ ჰქონდათ, მათი პაუზა, რა თქმა უნდა, პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული, ამას თვითონაც ხმამაღლა აცხადებდნენ, თუმცა ეს შეცდომა იყო... თუ გაგაკავეს და ხელები გადაგიგრიხეს, მესმის, მაგრამ ჩემთვის, მაგალითად, სულაც არ არის პრიორიტეტული ის კონცერტი, რომელსაც მთავრობა მოაწყობს. შემიძლია იქ არ ვიმღერო და ჩემი კონცერტი გავაკეთო".

— შემოსავლის წყარო თქვენთვის მხოლოდ მუსიკაა?

— რა თქმა უნდა.

— და გყოფნით?

— ვერ გეტყვი, რომ მდიდარი იქნები, მაგრამ ცხოვრება შეიძლება. მე სხვაგან არასდროს მიმუშავია. ეს ჩემმა სამეგობრომ იცის. სულ მეუბნებოდნენ, აი, წამოდი, საბაჟოზე იმუშავე, იქ იმუშავე, აქ იმუშავე, ფული გექნება, თან იმღერეო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არასწორია. თუ შენ საქმეს აკეთებ, კარგად უნდა გააკეთო. თუ კარგად გინდა გააკეთო, ამისთვის უნდა იმუშაო, დრო დახარჯო. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ვინც სხვაგან მუშაობს, ცუდს აკეთებს.

✓ ეკა ლემონჯავა

www.abdiibrahim.com.tr

ᲬᲔᲤᲣᲗᲜᲔᲗ „ᲖᲐᲥᲗᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠ-ᲮᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲡ
- ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ
- ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲦᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲚᲐᲞᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ
- ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲗ Ჯ�გᲣᲤᲨᲘ: ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲔᲛᲝ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲡᲞᲠᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0112,
Დ. ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ/ᲥᲚᲝᲠᲰᲔᲥᲡᲘᲓᲘᲜᲘ

Cyan Magenta Yellow Black

■ მარცხნიდან: თაკო თალაკვაძე, ლაშა ჩხარტიშვილი და ია სირანაშვილი

„რუსთავი 2“-ის რეალითი შოუს გამარჯვებული სასამართლოში ჩივის და 100 000 ლარს ითხოვს

რა ხდებოდა სინამდვილეში „ტოპ გოგოს“ სახლში — მოდელები და კიკალა ერთმანეთის წინააღმდეგ

„რუსთავი 2“-ის რეალითი შოუ „ტოპ-გოგოს“ გამარჯვებული თაკო თალაკვაძე სასამართლოში „კიკალა სტუდიო ტვ“-ის უჩივის ხელშეკრულების დარღვევისა და მორალური და ფიზიკური ზიანის მიყენების გამო. რეალითი შოუს ტელეკომპანიისთვის სწორედ ეს სტუდია ამზადებდა. მისი ხელმძღვანელი, რეჟისორი კიკალა, იგივე გიორგი კიკალიშვილი, თალაკვაძის საპასუხოდ ამბობს, რომ მის კომპანიას ხელშეკრულება არ დაურღვევია. თაკო თალაკვაძემ კი იმაზე მეტიც მიიღო, ვიდრე ეკუთვნოდა.

თაკოს მხარი დანარჩენმა მონაწილეებმაც აუბეს და გადაწყვიტეს, თავი სამართლებრივი გზით დაიცვან, ამისთვის მოდელთა დაცვის ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს. ამაში მათ ადამიანის უფლებათა დამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ეხმარება. თაკო თალაკვაძის ადვოკატობა ასევე მოდელმა ია სირანაშვილმა ითავა. სარჩელი სასამართლოში უკვე შევიდა. მოდელები „კიკალა სტუდიო ტვ“-ისგან 100 ათას ლარს ითხოვენ.

„სარკე“ დაპირისპირებულ მხარეებს ესაუბრა. ისინი ერთმანეთს ათასგვარ ბრალდებას უყენებენ და უსინდისობაში ადანაშაულებენ.

თაკო თალაკვაძე: როცა პროექტისთვის შეგვარჩიეს, გვპირდებოდნენ, რომ აბსოლუტურად ყველას შესანიშნავი მომავალი გველოდა. კიკალა გვეუბნებოდა, რომ პირველად ვინც გავარდებოდა, იმ გოგოსაც კი არ დატოვებდნენ დახმარების და პრიზის გარეშე. ნებისმიერ ეტაპზე გავარდნილი გოგო წარმატებული იქნებოდა. ვითომ ისეთი პროექტის ავტორები იყვნენ, რომ მხოლოდ იქ მონაწილეობა კმაროდა, რათა წარმატებისთვის მიგვეღწია. ამას რომ თავი დავანებოთ, კონტრაქტში მითითებული იყო, რომ გამარჯვებულს უნდა ჰქონოდა შეხვედრები დიდი ბრიტანეთის წამყვან სამოდელო სააგენტოებთან. ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო „შტორმი“, მის წარმომადგენლებს უნდა შეეხვედროდით.

ლონდონში წაგვიყვანეს სამი ფინალისტი გოგო და გადამღები ჯგუფი, მაგრამ გამოვიდა, რომ მხოლოდ ექსკურსიაზე ვიყავით. იქ ერთადერთი, რაც გააკეთეს, ფოტოსესია იყო, რომლის პორტფოლიოები ჩვენთვის არც გადმოუციათ. მხოლოდ რამდენიმე დაბეჭდილი ფოტო მოგვცეს, სადაც საკუთარი თავიც კი ვერ ვიცანი. კონტრაქტში ეწერა, რომ ყველას უნდა მიგვეღო ფასიანი პრიზები. სინამდვილეში ერთადერთი პრიზი მე გადმომცეს — ჯინსის ქურთუკი. რომ გამოაცხადეს, ჯინსის ქურთუკი გადაეცემაო, თავი ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი, არც შემიხედავს, როგორი იყო, ისე დავტოვე ლონდონში და ვუთხარი, რომ ვითომ წამოღება დამავიწყდა. მაშინ ჯერ კიდევ მეგონა, რომ რაღაც პერსპექტივა კიდევ მქონდა.

— „ტოპ გოგოს“ გამარჯვებულის მთავარი პრიზი რა უნდა ყოფილიყო?

— სამოდელო სააგენტო „შტორმთან“ უნდა მქონოდა შეხვედრები და იმათ უნდა დავესახელებინე საბოლოოდ გამარჯვებულად და, წესით, ხელშეკრულებაც უნდა გამეფორმებინა. ლონდონში ერთ-ერთ სალონში უნდა გვქონოდა შეხვედრა, მაგრამ ვერც ეს უზრუნველყვეს. მხოლოდ პრიზებზე არ არის საუბარი. 4 თვე ისეთ სახლში ვიყავით, სადაც ჩვენთან ერთად თაგვები ცხოვრობდნენ. ბოლოს სამ გამარჯვებულს ორი თვე ისევ იმ სახლში უნდა გვეცხოვრა, მაგრამ შინ გამოგვიშვეს და გაგვაფრთხილეს, რომ ეს ამბავი არ გაგვემხილა. სახლიდანაც იშვიათად გამოვსულიყავით, რომ ვინმეს არ შევემჩნიეთ. ანუ ქუჩაში გასვლა გვეკრძალებოდა, რომ არავის დავენახეთ. წესით, ლონდონში წასვლამდე იმ სახლში უნდა გვეცხოვრა. ასეთია ამ პროექტის წესი. ერთი პერიოდი ფიქრობდნენ, რომ სახლი სხვაგან დაექირავებინათ, მაგრამ გადაიფიქრეს. როგორც ჩანს, ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ.

ლონდონში წასვლა რატომღაც იწელებოდა. ამ პერიოდში ჩვენი კვება და სხვა ხარჯებიც უნდა უზრუნველეყოთ. მთელი იმ ოთხი თვის განმავლობაში, როცა მართლა ვცხოვრობდით მათ სახლში, საკვებთან დაკავშირებით ძალიან დიდი პრობლემა იყო. ოჯახებიდან გვიგზავნიდნენ ჭამის ფულს. იმ ფულს დარაჯს ვატანდით და მას ამოჰქონდა ჩვენთვის პროდუქტები. ბევრჯერ ვიყიდე

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქმე ტრეფიკინგის მსგავს შემთხვევასთან გვაქვს“.

ჩემი ფულით სხვადასხვა ნივთი თუ საკვები, მაგალითად, კბილის პასტა. არასოდეს არაფერს ითვალისწინებდნენ. სპეციალურად უნდა დაგვერეკა და შეგვეხსენებინა, რომ საუზმე თუ ვახშამი თავის დროზე მოეტანათ, თორემ მშივრები ვრჩებოდით. არადა დიეტაზე ვიყავით და გათვლილი გვქონდა, როდის რა უნდა გვეჭამა. რომ ვეტყოდით, ბოლოს 6 საათზე ვჭამთ და ამის მერე აღარაფერს ვიღებთ-თქო, შეიძლებოდა, საჭმელი 7-8 საათზე და უფრო გვიანაც მოეტანათ...

იმდენად მძიმე პირობებში ვიყავით, მრცხვენია კიდეც ამაზე საუბარი. რამდენჯერ მშიერი დავწოლილვარ. ნატურალური წვენი აუცილებლად უნდა მიგვეღო, მაგრამ არ მოჰქონდათ, ალბათ სიძვირის გამო.

— ხომ შეგეძლოთ, ეს ყველაფერი კამერების წინ გაგეპროტესტებინათ?

— აზრი არ ჰქონდა, მაინც არ გაუშვებდნენ და პროექტიდან გამოგვაგდებდნენ. გარე სამყაროსთან ურთიერთობა არ გვქონდა. თუ ვინმეს დაველაპარაკებოდით, გვსჯიდნენ. ჟალუზებს აფარებდნენ და გარეთ გახედვის უფლება არ გვქონდა.

— ასეთი პირობების შესახებ ალბათ პროექტის დასაწყისშიც იცოდით და უარ შეეკამათებით.

— კი, ვიცოდით და ამაზე არც ვდაობ, მაგრამ მინდა, აგიხსნათ, თუ როგორი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ გვიხდებოდა ცხოვრება. წესით, ყველა გოგო დაზღვეული უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ესეც არ გაგვიკეთეს. უფრო მეტიც, კბილი ამტკივდა და ექიმთან არ წამიყვანეს. ზოგი თავისი ხარჯით მიდიოდა ექიმამდე. მე საშინლად მეშინია ნემსის. წარმოიდგინეთ, როგორ მტკიოდა, რომ კიკალამ თავად გამიკეთა ნემსი კუნთში და ამაზე დავთანხმდი. ექთანიც კი არ მოუყვანიათ.

თაკო თალაკვაძე: „ჰამბურგერის მშიერი დავწოლილვარ... კბილი ამტკივდა და ექიმთანაც კი არ წამიყვანეს“.

— როცა პროექტში მიხვედით, რა მოლოდინები გქონდათ?

— რომელიმე უცხოურ სამოდელო სააგენტოში რომ მემუშავა, კარგი კონტრაქტით. ახლა კი არც სამსახური მაქვს და არც არაფერი. ერთადერთი, 150 ფუნტი დაგვირიგეს სამივეს, რომ ლონდონში შოპინგზე წავსულიყავით. მინდა, სამართალი ვიპოვო. ახლა მეორედ იწყებენ ამ პროექტს და არ მინდა, სხვასაც იგივე დაემართოს, თუმცა, რადგან მე ასეთი ამბავი ავტეხე, შეიძლება შეასრულონ კიდეც, რასაც შეჰპირდებიან. 2 წლის ბავშვი დავტოვე და ამ ვითომ პრესტიჟულ პროექტში შევედი. როცა დამთავრდა, საუბარიც კი მიჭირდა. ამდენი დაძაბულობა და სტრესი გამოვიარე და ყველაფრის გარეშე დავრჩი.

სანამ სასამართლომდე მივიდოდით, ადვოკატი მარინა კორძაძე დაელაპარაკა კიკალას და ის ცდილობდა, დრო გაეწელა. რაღაც უცნაური ამბები მოყვა. ვითომ მე რაღაც თანხა გადამიხადეს და დავკარგე. არადა, 150 ფუნტის გარდა, ერთი თეთრი ამიღია.

■

იურისტი ია სირანაშვილი ამბობს, რომ ზარალი, რომელიც თაკო თალაკვაძემ მიიღო, დაახლოებით 100 ათას ლარს შეადგენს. სასამართლოთი ისინი სწორედ ამ თანხის მიღებას ცდილობენ.

ია სირანაშვილი: სარჩელი უკვე შევიტანეთ სასამართლოში. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო. ბაყიც გადავიხადეთ და ველოდებით, რა მოხდება.

— ზარალის საკომპენსაციო თანხა — 100

Cyan Magenta Yellow Black

ათასი — რის მიხედვით გამოთვალეთ?

— ეს იქიდან გამომდინარე დავთვალეთ, თუ რა თანხის პრიზები აქვთ მიღებული სხვა მსგავსი რეალითი შოუების მონაწილეებს. მაგალითად, პროექტების „უკანასკნელი გმირი“, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და ა.შ. მონაწილეებს ბინები გადაეცათ, სხვებს — მანქანები, სასტუმროს ნომრები. ამას, რაც თაკოს თავს მოხდა, ხელშეკრულების შეუსრულებლობა და, აქედან გამომდინარე, ზიანის მიყენება ჰქვია. ეს მხოლოდ თაკოს თავს არ ხდება. საერთოდ ეს სფერო მონოპოლიზებულია და მოდელებს შრომა არ უნაზღაურდებათ. ისინი მიჩვეულები არიან მონურ შრომას. ამიტომაც, ჩვენი უფლებების დაცვის მიზნით, ჩამოვაყალიბეთ მოდელთა დაცვის ორგანიზაცია. თაკო ერთ-ერთი პირველია, ვინც ჩვენი მომსახურებით სარგებლობს. უკვე ბევრმა მოგვმართა.

ჩინეთში, მსოფლიოს ეროვნებათა შორის კონკურსში, ჩემი კონტაქტებით წავედი და 8 ტოპ გოგოს შორის აღმოვჩნდი. საქართველოს ასეთი წარმატება, მგონი, არც უნახავს. რომ დავბრუნდი, ტელეარხებმა ჩამწერეს, მაგრამ ეთერში არ გაუშვეს, რადგან მთელი ეს სფერო ია კიწმარიშვილს აქვს მონოპოლიზებული. საქართველოში ნებისმიერი მოდელი უკმაყოფილოა. თაკო კი პირველია, ვინც ხმა ამოიღო.

■

ია სირანაშვილს ადამიანის უფლებათადამცველ **ლაშა ჩხარტიშვილთან** ერთად სტუდია „ობიექტივში“ გადაცემა „გარემო და ჩვენ“ მიჰყავს. ჩხარტიშვილმა იქ შეიტყო მოდელების სკანდალის შესახებ და საქმეში ჩაერთო.

— იას შევთავაზე, რომ შეგვექმნა მოდელთა დაცვის ორგანიზაცია, რომ სხვა დროს მათი დაჩაგვრა ვეღარავინ გაბედოს, — გვიამბობს ლაშა ჩხარტიშვილი, — ჩემი შეფასებით, „ტოპ გოგოს“ პროექტის ავტორებს თაღლითობამდე არაფერი უკლიათ. ამ დროს ისინი აქტიურ კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ და კამპანია დაიწყეს ჩემი, იას და თაკოს წინააღმდეგ. კიკალას სტუდია პირდაპირ კავშირშია ნაციონალურ მოძრაობასთან, მათი დანამატია. მითური ბიზნესია. პროექტი 4 თვე „რუსთავი 2“-ის ეთერში გადიოდა იმ დროს, რომელიც ძალიან ძვირი ღირს რეკლამის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, „რუსთავი 2“-მაც და „კიკალა სტუდიო ტვ“-მაც ათეულათასობით დოლარი იშოვეს ამ გოგონების მონური შრომის ხარჯზე. ეს პროექტი დაემთხვა არჩევნების პერიოდს, როცა რეკლამის ერთი წუთი ღირდა 5 000 დოლარი. ამხელა შემოსავლის კვალობაზე, ისიც არ იკადრეს, რომ ეს გოგო ცნობილი სამოდელო სააგენტოებისთვის შეეხვედრებინათ. მწირი და ცინიკური პრიზები არ უნდა მიეცათ და შეურაცხყოფა არ უნდა მიეყენებინათ. საქმე ტრეფიკინგის მსგავს შემთხვევასთან გვაქვს და, ჩემი აზრით, ამ კიკალას ადგილი ციხეშია!

■

გიორგი კიკალიშვილი, რომელსაც მოდელები მათდამი უდიერ მოპყრობასა და მათი უფლებების დარღვევაში მთავარ დამნაშავედ ასახელებენ, ირწმუნება, რომ თაკო თალაკვაძე სხვების ზეგავლენის ქვეშ მოექცა და მისი უკმაყოფილება ამის შედეგია. გარდა ამისა, მას სხვა მიზანიც ამოძრავებს — პრესის ყურადღება მიიპყროს.

გიორგი კიკალიშვილი: მეც ვიჩივლებ ინტრიგანობისა და გამოძალვისთვის! თალაკვაძეს, როგორც ჩანს, მორალური და ფსიქიკური პრობლემები აქვს. დამთავრდა პროექტი და ახლა რისი გამოძალვა უნდა, რაში მაინტერესებს?!

— ხელშეკრულების დარღვევაში გადანაშაულებენ.

— ხელშეკრულება არ დაგვირღვევია! გოგონას მოუნდა თავისი თავის პიარი და თქვენ ეხმარებით ამაში. ეს არ იყო კომერ-

გიორგი კიკალიშვილი: „ბალტიისპირელი, უკრაინელი, ბელორუსი გოგოები გვყავს შერჩეული ახალი პროექტისთვის. იქნებ იმათ მაინც დაინახონ, თორემ ქართველებისგან მადლობას ვერ ველოდებით. მაგათ უნდათ „შუბა“, ბრილიანტი“.



■ გიორგი კიკალიშვილი

ციული პროექტი, სადაც ვიღაცამ ფული ჩადო და მერე ის უნდა აეღო. ამ გოგოზე ბევრი რამ დაიხარჯა, ბევრი რამ გავუკეთეთ, მაგრამ ხელი არაფერს მოჰკიდა, არც იმ პორტფოლიოებს, რაც საჩუქრად გადავეცით. მხოლოდ ეს პორტფოლიოები 7 ათას ლარამდე ღირებულების არის. ამ გოგოს ინტრიგანობა აინტერესებს და არა — მოდელობა და იმიჯი. ის ძალიან ცუდად იწყებს კარიერას. თავისი კი არა, სხვისი ჭკუით მოქმედებს. ვიღაცეებმა დაარიგეს, ასე ჯობიაო, ჩხარტიშვილებმა და ვიღაცეებმა გააბრიყვეს. ამ გოგოს ჩვენთან შრომითი ხელშეკრულება კი არ დაუდია, მხოლოდ პროექტის მონაწილე იყო.

— როგორც გამარჯვებულს, რა უნდა მიეღო? მგონი, ჰპირდებოდით, რომ რომელიმე ცნობილ სააგენტოში იმუშავებდა.

— ყველა სამოდელო სააგენტოში დაგზავნილია მისი მონაცემები და არავის ინტერესი გამოუწვევია. არც გაგვიბედავს, რომ ხელშეკრულების გაფორმებას დავპირებოდით. ლონდონში იყო, გადავიღეთ და ჩამოვიდა. ეს ფაქტია. საუბედუროდ, არავის აინტერესებს ეს გოგო და ეს უკვე ჩვენი პრობლემა აღარ არის.

— ანუ ამ პროექტის მიზანი რა იყო? ვერ შეარჩიეთ ისეთი მოდელი, რომელიც რომელიმე ცნობილ სამოდელო სააგენტოს დააინტერესებდა?

— დიახ, ასე გამოდის. მხოლოდ 13 გოგო მონაწილეობდა ამ გადაცემაში. არ ყოფილა კონკურსი და არ აგვიღია ესემეს-ებით ფული. მიიღო მონაწილეობა გადაცემაში, მიიღო ბევრი საჩუქარი, დიდი გამოცდილება. ის ჯინსის ქურთუკიც არ უნდა მიგვეცა! 200-200 ფუნტი გადავეცით გოგოებს და, როგორც ჩანს, ესეც არ უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ხელშეკრულებაში არ იდო. დაბადების დღეზე რომ მოვიდე თქვენთან, „ბანბანერკა“ მოგიტანოთ და თქვენ რომ მეჩხუბოთ, ეს რა არისო, ისე მოსდის. რაც გაჩუქეთ, იმაზე მადლობა არ უნდა თქვათ?!

— მშიერები ვიყავითო, ამბობენ. კვება მოწესრიგებული ჰქონდათ?

— უბინძურესად იქცეოდნენ მაგ საკითხში. მშივრები კი არა, მაგრად ნაჭამები იყვნენ და თან ისე, რომ საჭმელი უფუჭდებოდათ, მატლები ეხვეოდა იმ საკვებს და მერე ჩვენ ვყრიდით. კახეთში, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობდნენ და გაძღიერებულ კვებაზე იყვნენ. რა შიმშილი, ასეთი რამის თქმა როგორ შეიძლება?! მხოლოდ ორი გოგო აკეთებდა იქ საჭმელს, დანარჩენები ხელს არ ანძრევდნენ. ზღვაზეც დავასვენეთ, კარგადაც ვავარჯიშეთ, მოვამზადეთ. ენას ძვალი არ აქვს და ახლა, რაც უნდათ, იმას იტყვიან.

— კიდევ მუშაობთ ამ პროექტზე?

— რა თქმა უნდა! ეს საერთაშორისო პროექტია და გადავწყვიტეთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოგვეყვანა გოგოები. უკვე დაწყებულია გადაღებები. ბალტიისპირელი, უკრაინელი, ბელორუსი გოგოები გვყავს შერჩეული ახალი პროექტისთვის. იქნებ იმათ მაინც დაინახონ, თორემ ქართველებისგან მადლობას ვერ ველირსეთ. მაგათ უნდათ „შუბა“, ბრილიანტი... ჩვენ მათ შანსი მივეცით და ვერ გამოიყენეს. ეს გოგო ჩვენთან დიდი მადლობებით მოდიოდა. მერე გაქრა, ვიღაცამ ტვინი აურია და, რომ გამოჩნდა, მერე თქვა, მე უფრო მეტი მინდაო. ამ ინტრიგანთან ვიღა დაიჭერს საქმეს, რომელი პროდიუსერი?! სხვის ნამუშევარზე რომ იწყებ საკუთარი თავის პოპულარიზაციას, არასწორია.

დამიჯერეთ, შეგეცოდებოდათ თქვენი თავი, ამდენი სამუშაო რომ გაგეწიათ, მერე ვიღაც მოგტრიალებოდათ და ეთქვა, რატომ მაჩუქეთ ეს და არა — ისო. ეს

გიორგი კიკალიშვილი: „ჩვენ მათ შანსი მივეცით და ვერ გამოიყენეს. ეს გოგო ჩვენთან დიდი მადლობებით მოდიოდა. მერე გაქრა, ვიღაცამ ტვინი აურია და, რომ გამოჩნდა, მერე თქვა, მე უფრო მეტი მინდაო“.

იყო მასტერკლასი, რომელშიც გოგონები ფულს იხდიან სხვადასხვა სააგენტოში სიარულისას. ჩვენ ძალით ვერ მოვიყვანდით ამ პროექტში კარგ გოგონებს. უამრავი შესანიშნავი გოგოა, რომელსაც ამ პროექტში მონაწილეობა უნდა, მაგრამ მამები, ქმრები და შეყვარებულები არ უშვებენ. იცით, რამდენი კარგი გოგო დარჩა ამ პროექტის მიღმა ოჯახური პრობლემების გამო?! ასე ეუბნებოდნენ, ამ პროექტში შეხვალ და ერთმანეთს დავკარგავთო. ასე რომ, თაკო თალაკვაძე საქართველოს სახე არ არის! ჩვენ არ ვართ შუამავლები და მევახშეები, რომ მერე პროცენტი ავიღოთ. უბრალოდ გვინდა, აღმოვაჩინოთ ახალი სახეები სხვადასხვა სფეროში. პროექტი დამთავრდა თუ არა, თაკოს მაშინვე გამოუჩნდა სამუშაო და ფულიც აიღო ამაში. ერთ-ერთმა კომპანიამ დაპატიჟა და ჰონორარიც გადაუხადა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, ინტრიგანობით გაეგრძელებინა გზა.

გამოსაჯანსაღებელია ქართველი ხალხის ფსიქიკა, რაშიც მე და თქვენ უნდა შევიტანოთ დიდი წვლილი!

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

ნიკა წულუკიძეს საახალწლოდ დედამ ტაფა აჩუქა

„ბედობადღეს ისე ცუდად გავხდი, სასწრაფო გამოვიძახე“

■ ნიკა წულუკიძე

თეატრმცოდნე, რომელიც ბოლო დროს, სანამ ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობა გამოიცვლებოდა, აქტიური ტელესახეც გახლდათ — ნიკა წულუკიძე, ახალ წელს ახალი თანამდებობით შეხვდა — თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს. საახალწლო განწყობა ბოლომდე ვერ შეირგო, რადგან ავად იყო, ბედობადღეს კი სასწრაფოს გამოძახებაც მოუწია. მეგობრები ახალი წლის მისალოცად და ავადმყოფის მოსანახულებლად რიგრიგობით მიდიოდნენ მასთან. ხელცარიელი არავინ მისულა, საჩუქრები ყველამ მიართვა, ძირითადად — საოჯახო ნივთები. ასე რომ, დასაოჯახებლად ყველანაირად მზად არის, თუმცა მას ისევ სხვა გეგმები აქვს, ეკრანზე „კულინარიული დუელით“ აპირებს დაბრუნებას.

— ნიკა, გილოცავთ ახალ თანამდებობას. კიდევ რა მოგიტანათ გასულმა 2012-მა წელმა?

— დიდი მადლობა! 2012 წლის ბოლოს ყველა თაობის ჩემმა კოლეგამ ერთხმად ამირჩიეს საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტად. ამ აღიარებით ძალიან ვამაყობ და ბედნიერი ვარ. გასულ წელს ბევრი საინტერესო გადაცემა გავაკეთე, მაგალითად, „კულინარიული დუელი“, რომელმაც კიდევ უფრო ახლებურად წარმომაჩინა. ამავე წელს გაჩნდა ჩემი რადიოგადაცემა „ავანსცენა“. 2012 წელს საოცარი მოგზაურობა მქონდა, სად აღარ ვიყავი. აგვისტოში მეგობრებთან ერთად ლისაბონში გახლდით, საიდანაც კუნძულ მადეირაზე გადავედით. იქიდან დავბრუნდით თუ არა, მე და დათო ტურაშვილი ეგვიპტეში წავედით და საოცრად კარგად დავისვენეთ. მთელი ცხოვრება მოგზაურობაში ვარ, მაგრამ 2012 წელს სამსახურების დროებით შეჩერებით ვისარგებლე და განსაკუთრებულად ბევრი ვიმოგზაურე. ასე რომ, 2012 წელმა ბევრი კარგი რამ მომიტანა.

— შესაბამისად 2013 წლის მხიარულ განწყობაზე შეხვდით?

— სიცხიანი ვიყავი. 31 დეკემბერი რომ გათენდა, 7 საათზე რადიოში მივედი. მე და ნანიკო ხაზარაძემ ხალხს ახალი წელი მივულოცეთ. მთელი დღე ხან რადიოში ვიჯექი, ხან — ტელევიზიაში. ჩემი ოჯახის მეკვლე ყოველ წელს თვითონ ვარ. დედაჩემმა თავი გაიგიჟა, ავადმყოფი მეკვლე არ მინდაო, მაგრამ ღამის 12 საათზე მაინც ავდექი საწოლიდან. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!“ — ამ სიტყვებით შევედი ჩემს სახლში. მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი ფეხი მაქვს.

— საიდან იცით, მეკვლედ სხვა ოჯახებშიც გეპატიჟებიან?

— რამდენიმე ოჯახი არსებობდა, სადაც მეკვლე ყოველთვის მე ვიყავი. ახლა კი მოუცლელობის გამო ვეღარ მივდივარ. დღეს მეკვლეს ისეთი მნიშვნელობა ენიჭება, იმ წელს, ვაი და, ცუდი რამე მოხდეს, შეიძლება გიჩივლონ კიდეც. მადლობა ღმერთს, ცუდი ფეხი არც ერთ ოჯახში შემიტანია. ბებიაჩემის მეკვლეც ყოველ წელს მე ვარ. ორი წლის წინ, 26 იანვარს, წარსულში ძალიან საპატიო ოჯახში მივედი. იმ ქალმა დამტვერილი გოზინაყი გამომიტანა, გადაფერთხა მტვერი, მაჭამა და მითხრა, ჩემი მეკვლე ხარო. თუ გული არ წამივიდოდა, არ მეგონა. ადამიანმა ისე არ უნდა იცხოვრო, რომ 26 იანვრამდე ოჯახში მეკვლე არ მოვიდეს.

— საახალწლო მენიუდან ყველაზე მეტად რა გიყვართ?

— ჩემი ოჯახის წევრების უმრავლესობა მარხულობს, ამიტომ ჩვენი საახალწლო სუფრა გოჭებით და ინდაურებით არ გამოირჩევა. ჩვენ უფრო შობას ვზეიმობთ. საახალწლო სამზადისს დედაჩემი უძღვება. 7 იანვრისთვის დიდ მზადებაშია და საახალწლო განწყობაც მაშინ მოდის. ვფიქრობ, რომ ახალ წელს განწყობა ჩვენ თვითონ უნდა შევიქმნათ, რადგან, როგორ ახალ წელსაც დაიყენებ, ისეთი წელი გექნება. ქართველი კაცი 31 დეკემბერს რომ დაიწყებს სმას, ვინ იცის, როდის დაასრულებს.

— თქვენ როდის იწყებთ და როდის ამთავრებთ სმას?

— ისეთი მსმელი არ ვარ, რომ დღეები გადავაბა და არ გამოვფხიზლდე. ამ ახალ წელს მხოლოდ ორი ჭიქის დალევა შევძელი, რადგან, როგორც გითხარით, ცუდად ვიყავი. ისე, ყოველ ახალ წელს ვსვამ ხოლმე. ახალი წლის ღამეს ქუჩაში გაღიმებული სახეების დანახვა ჩავიფიქრე.

— რაიმე განსაკუთრებული სუფრის ტრადიცია არ გაქვთ ოჯახში?

— სუფრაზე კვახს ხომ ხედავთ? მის გარეშე ჩვენს ოჯახში ახალი წელი არ ჩაივლის. დედა კვახს განსაკუთრებულად ამზადებს. ჯერ თავს გადააჭრის, შემდეგ მოხარშავს, მოხარშულ კვახის გულს ქერქიდან ამოიღებს, ლანგარზე დადებს, მოხალული ნიგვზით, თაფლით და ქიშმიშით შეაზავებს, აურევს და ისევ ქერქში დააბრუნებს. უგემრიელესი რამაა! საერთოდ, კვახი ხვავის და ბარაქის სიმბოლოა. ამიტომ ყოველ წელიწადს ბარაქას ვიბედებთ.

— ჩვენში 2 იანვარს მიაჩნიეს ბედობად. ეს დღე როგორ გაატარეთ?

— 1 იანვარი განსაკუთრებულად მიყვარს, რადგან მამაჩემის დაბადების დღეა, 2 იანვარს — ჩემი პედაგოგის, არაჩვეულებრივი ადამიანის აწ გარდაცვლილი, შალვა გაწერელიას დაბადების დღე. ნახევარი თეატრალური სამყარო მისი აღზრდილია. ყოველ წელს, 2 იანვარს, მასთან ვიკრიბებოდით ხოლმე. ამ წელსაც მოხდა ისე, რომ წავედით. ყელი საშინლად მტკიოდა და სახლში მალევე დავბრუნდი. აღმოჩნდა, რომ ტემპერატურა 39 გრადუსი მქონდა და გამოვიძახე სასწრაფო, მაგრამ ექიმები წავიდნენ თუ არა, უარესად გავხდი.

— გამოდის, რომ ბედობადღეს სასწრაფო დაგებედათ.

— არა, გენაცვალეთ, ასეთი სისულელეების და არც ასტროლოგიის მჯერა და მომკალით!

— მეგობრებმა გინახულეს?

— სხვა რა გზა ჰქონდათ? ჩემ სანახავად მოდიოდნენ, რადგან ჩემს ყბაში ჩავარდნას მტკვარში გადახტომა ერჩივნათ. ვის ჰქონდა ორი თავი?! ამიტომ ჩემ სანახავად რიგრიგობით მოდიოდნენ. ერთი-ორი არ მოსულა და სანამ სიიდან ამომიკვეთია, ეს ინტერვიუ წაიკითხონ და შეცდომა გამოასწორონ! ჯუკო სიხარულიძე, გრცხვენოდეს, რომ არ მოხვედი და არ მნახე! არც ნანული (სარაჯიშვილი. ავტ.) მოსულა. ჩემი ნახვა მაშინ უნდა, როცა კარგად ვარ და არ მინახულა. გაბრაზებული ვარ! არც საჩუქარი უყიდია. ნანულის უყვარს, როცა საჩუქრებს თვითონ ჩუქნიან. ვიცი, რომ ჩემთვის ნაყიდი აქვს. უბრალოდ ეშინია, ეს საშინელი ვირუსი არ გადავდო და ამიტომაც არ მოსულა.

„ჩემ სანახავად ჩიგჩიგობით მოდიოდნენ. ეთთი-ოთი ეთ მოსულა და სანამ სიიდან ამომიკვეთია, ეს ინტერვიუ წაიკითხონ და შეცდომა გამოასწორონ!“.

— რა საჩუქრები მიიღეთ ამ ახალ წელს?

— საჩუქრები მივიღე, მაგრამ მე უფრო მეტი გავეცი. საჩუქრები ნოემბერში უკვე ნაყიდი მქონდა. ჩემი მშობლები ცალკე ცხოვრობენ, ამიტომ დედამ საახალწლოდ საოჯახო ნივთები მომართვა. ძალიან კარგი საჩუქრები მივიღე. ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა, ქეთევან კიკნაძემ გადასარევი საოჯახო ნივთები მაჩუქეს. სხვადასხვა კომპანიებმა კალათებით ძალიან კარგი საჩუქრები გამომიგზავნეს, ეს ტრადიცია მომწონს.

— საოჯახო ნაყოფება შეგიგროვდათ და უკვე დაოჯახებაც შეიძლება.

— ტაფა მაკლდა და ისიც დედაჩემმა მომიტანა. დაოჯახება ასე ადვილი ნუ გგონიათ!

— რატომ?

— დამანებეთ თავი, ამ თემაზე ლაპარაკით დავიღალე!

— რას ელოდებით ამ წლისგან?

— ამ წელს მშვიდობას და ერთსულოვნებას ველოდები. მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მოხერხდეს და სამოქალაქო საზოგადოება შეიქმნას. ამ წელს თუ არა, მომავალ ათწლეულში მაინც ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს, სოხუმში ჩასვლა შეგვეძლოს და გაგლეჯილი საქართველო გაერთიანდეს. ველოდები იმას, რომ ეს წელი ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის უფრო წარმატებული იყოს, ვიდრე 2012 იყო. 13 რიცხვი მიყვარს, მაგრამ გული მეზიზღება და არც მიყიდია. სიმართლე გითხრათ, ასეთი რაღაცეების არც მჯერა. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, „კულინარიული დუელის“ აღდგენაზე ძალიან აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს. რადიოში ახალი პროექტი დავიწყე, რომლითაც ძალიან ვამაყობ — მე და რუსო ტაბატაძე ყოველ საღამოს ზღაპრებს ვუკითხავთ პატარებს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

სახიფათო გატაცება — „80 მეტრი მე და მოტოციკლეტმა ერთად ვიხოხეთ“

ოთო ჭუმბურიძე: „მეგობარს ვერ ვპატიობ, რომ მისი შეცდომით შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი“

27 წლის ოთო ჭუმბურიძისთვის ბაიკერობა არც გატაცებაა და არც ჰობი, ეს საქმე მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ექსტრიმი რის ექსტრიმია, თუ ერთხელ მაინც არ აღმოჩნდები საფრთხის წინაშე და ოთოსაც ასე დაემართა — ცოტა ხნის წინ მომხდარმა ავარიამ კინაღამ მისი სიცოცხლე შეიწირა. ოთომ სახელმწიფოს მართვის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ გატაცებით დაწყებული სპორტიც დღეს მისი ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა. ის „ჯორჯიან მოტოკლუბის“ თავმჯდომარე და ექსტრემალური სპორტის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტია. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

— ოთო, გვაამბეთ, მოტოციკლეტით ავარიაში როგორ მოყვეთ?

— მეგობრები ხშირად ვიკრიბებით და ერთმანეთს მოტოციკლეტით ახალ მანევრებს ვაჩვენებთ. რამდენიმე კვირის წინაც შევიკრიბეთ. იდეა გაჩნდა, რომ რამდენიმე ბაიკერს, ერთმანეთის მიყოლებით, ცალ ბორბალზე დამდგარი მოტოციკლეტით გაგვევლო. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენება, საშუალოდ 70 კილომეტრ საათის სიჩქარით იწყება და მერე სიჩქარე 200-ს აჭარბებს. ცალ ბორბალზე დამდგარი მოტოციკლეტისთვის ეს ძალიან დიდი სიჩქარეა. დილმის გზაზე მივდიოდით, პირველი ჩემი ჯერი იყო, უკან დანარჩენი მეგობრები ასევე ცალ ბორბალზე შემდგარი მოტოციკლით მომყვებოდნენ. როცა ჩემს მანევრს მოვრჩი (სხვათა შორის, 200-210 სიჩქარით მივდიოდი), ჩემ უკან მომავალმა მეგობარმა ვეღარ შემნიშნა და მოტოციკლეტით დამეტაკა.

— ის მომენტი კარგად გახსოვთ?

— კი. ჰაერში რამდენიმე ბრუნი გავაკეთე და დაახლოებით 80 მეტრი მე და მოტოციკლეტმა ერთად ვიხოხეთ. ყველაფერი 3-4 წამს გაგრძელდა, მაგრამ ეს დრო საუკუნედ მომეჩვენა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამის გაფიქრებაც მოვასწარი. იცით, გასაკვირი რა არის? როგორც კი მოტოციკლეტმა დამარტყა და წავიქეცი, მაშინვე უკან გავიხედე, მანქანა ხომ არ მოდიოდა, რომ არ დამჯახებოდა. ანუ იმ წამის მეასედებში ამის გაფიქრებაც მოვასწარი. ყველაზე რთული იყო, როცა ძირს ვიწექი და ხელის აწევის მეშინოდა. არ ვიცოდი, რა მქონდა მოტეხილი.

რამდენიმე წამი გზაზე ვიწექი, ვერც ხმას ვიღებდი და არც არაფერი მესმოდა, ჩემს ყურებში მხოლოდ რაღაც წუილის მაგვარი ისმოდა, სავარაუდოდ, ნერვიულობისგან. შემდეგ ჩემი მეგობრები მოცვივდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოტეხილობები გაქვს, ნერვიულობისგან იმხელა ენერგია და ადრენალინი მოდის, რომ ავტომატურად ფეხზე დგები. მეც ავდექი, ხელი, ფეხი გავანძრიე... სიმართლე გითხრათ, ახლაც კი არ ვიცი, რამ გადამარჩინა.

— ხომ არ გაიფიქრეთ, მოტოციკლეტზე აღარასდროს დაყჯდებით?

— ეს იმდენად რთული შემთხვევა იყო, ესეც გავიფიქრე. ძალიან შემეშინდა. ამ ავარიის შემდეგ ძალიან მიჭირს ანალოგიური მანევრის გამეორება, რადგან იმ წუთებს მახსენებს. აქამდე მოტოციკლეტზე დაჯდომისას შიშის განცდა არასოდეს მქონდა, ამ შემთხვევამ შიში დამიტოვა, ვაითუ, რამე მოხდეს-მეთქი. ახლა ბევრად ფრთხილი ვარ და ყველაფერს ვუკვირდები.

— ტრავმების გარეშე გადარჩით?

— არა, თავიდან ბოლომდე დაბეჟილი ვიყავი, განსაკუთრებით მარცხენა მხარე მქონდა დაშავებული, რადგან ამ მხარეს ვისრიალე მოტოციკლეტთან ერთად. იდაყვიც მოვიტეხე.

— ბაიკერებისთვის რა ითვლება ყველაზე კარგ დაზღვევად, რა ამცირებს რისკს მინიმუმამდე?

— მე რომ უმაღლესი ხარისხის ჩაფხუტი არ მფარებოდა, უმაღლესი ხარისხის კოსტიუმი და ფეხსაცმელი არ მცმოდა, მაქსიმუმი, ვერ გადავრჩებოდი და მინიმუმი, სხვადასხვა სახის სერიოზული მოტეხილობები მექნებოდა. შეიძლება ფეხზეც ვერ გამევლო. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ბევრი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. ჩვენი კლუბის ბაიკერებს სულ მოვუწოდებ, რასაც მოტიციკლეტში გადაიხდით, მინიმუმი, იმის ნახევარი სპეცტანსაცმელში გადაიხადეთ-მეთქი, რადგან ის არის ჩვენი დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო კომპანიები ბაიკერებს არ აზღვევენ.

> „მაქსიმალურად ვიბრძოლე, რომ გადავჩენილიყავი, რაღაცას არ დავტაკებოდი, შევწინააღმდეგებოდი და გამომივიდა“.

— ამ საქმის პროფესიონალი ხართ, ამ წუთებში როგორ შეაფასეთ რისკი?

— როგორც კი დავინახე, უკნიდან არაფერი მეჯახებოდა, მივხვდი, რომ გადარჩენის შანსი მქონდა. ბურთის ფორმა მივიღე და ისე ვიხოხიალე. ცოდნა სჭირდება იმასაც, როგორ უნდა წაიქცე, რომ ბევრი დაზიანება არ მიიღო. ვერ გეტყვით, იმ მომენტში ტვინი რა სისწრაფით მუშაობდა. მაქსიმალურად ვიბრძოლე, რომ გადავრჩენილიყავი, რაღაცას არ დავტაკებოდი, შევწინააღმდეგებოდი და გამომივიდა.

— როგორც ვიცი, ეს პირველი შემთხვევა არ არის, რაღა საფრთხის წინაშე აღმოჩნდით.

— ეს პირველი სერიოზული შემთხვევაა, თორემ ძალიან ბევრჯერ წავქცეულვარ, როცა 80-ით, 100-ით მივდიოდი. თბილისში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მოტოციკლეტი მყავს. გარდა იმისა, რომ ასეთი სისწრაფე საშიშია, შესაძლოა შენივე მოტომ დაგამტვრიოს. წაქცევის შემთხვევაში შეიძლება მოტოციკლეტი დაგეცეს, ასეთ დროს კი გადარჩენის შანსი ნულია. მე გამიმართლა, რომ მანქანები არ მოგვდევდნენ, არადა ხშირად უკან გვეკიდებიან, გვეჯიბრებიან ხოლმე.

— რატომ რისკავთ ასეთ ადგილებში სახიფათო მანევრებს, ან შეიძლება თუ არა ეს?

— არა, არ შეიძლება, მაგრამ ღამის 12 საათი იყო და მოძრაობა ნაკლებად იყო. სამწუხაროა, რომ თბილისში ამ სპორტის მიმდევრებს კონკრეტული ადგილი არ გვაქვს, სადაც შეიძლება წავიდეთ და რაღაცეები ვაკეთოთ. ასეთი ადგილი ჩვენთვის ქუჩაა ან რუსთავის ტრეკი, რომელიც დღის განმავლობაში ფუნქციონირებს. როცა სამსახურს ვამთავრებთ, გართობა გვინდა და ამას ქუჩაში ვაკეთებთ. ამ შემთხვევის შემდეგ კი კლუბშიც ბევრად დაკვირვებულები ვართ და ისეთ რაღაცეებს არ ვაკეთებთ, რამაც შეიძლება ჩვენს სიცოცხლეს განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნას.

— როგორი იყო თქვენი მეგობრების რეაქცია, რომლებიც უკან მოგყვებოდნენ?

ოთო ჭუმბურიძე

— მითხრეს, ვერც წარმოვიდგენდით, ფეხზე თუ დადგებოდიო. თან საკუთარი თვალით ნახეს, რამდენი ბრუნი გავაკეთე ჰაერში, როგორ ვიხოხე. მეგობრებს ეგონათ, წამოდგომა კი არა, ვერც ამაწყობდნენ, მაგრამ გამიმართლა. ასე იშვიათად უმართლებთ ხოლმე.

— როცა გაგაცნობიერეთ, რომ გადარჩით, ალბათ ძალიან ბედნიერი იყავით.

— პირველ რიგში, მინდოდა, სახლში დამერეკა და მეკითხა, როგორ იყვნენ. ასეთ დროს ყველაზე მეტად ახლობელი ადამიანის გვერდით ყოფნა გინდა. მაშინ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის რაღაც ხაზს, ზღვარს ხედავ. ხვდები, რომ სიცოცხლეზე კარგი არაფერია და არც მოტოციკლით მიღებული სიამოვნება ღირს რამედ. საინტერესო ისაა, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ეს შეგრძნება დაიკარგა, მაგრამ იმ წუთას სიცოცხლის ფასს ყველაზე კარგად ვაცნობიერებდი.

— ამ შემთხვევის გახსენება გიჭირთ ხოლმე?

— კი. იმ ადამიანთანაც კი მიჭირს ურთიერთობა, რომელიც უკნიდან დამეჯახა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობარი იყო. გავაცნობიერე, რომ მისი ერთი შეცდომით შეიძლებოდა დღეს ცოცხალი აღარ ვყოფილიყავი. მიჭირს, რომ ეს ვაპატიო.

— ყველა ექსტრემალს ეკითხება, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში რატომ აგდებენ.

— საოცარი შეგრძნებაა, როცა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ზღვარს ეთამაშები და გამარჯვებული გამოდიხარ. ეს სპორტი ჩემთვის ჰობი არ არის. ჩემი ინტერესი იმდენად დიდი იყო, მე და ჩემმა მეგობრებმა გუნდი შევქმენით და ეს სპორტი პოპულარული გავხადეთ. საქართველოში ადრე მხოლოდ 5-6 მოტო მოძრაობდა. დღეს უკვე მოტოციკლეტი მოდურია.

— ოჯახის წევრებიც ხომ არ არიან ექსტრემალური სპორტით დაკავებული?

— ორი ბიჭი მყავს. ლაზარე 4 წლისა. უფროსი, ზაალი 7 წლისაა და თავიდან ბოლომდე ექსტრემალია, მამას ჰგავს. შაბათ-კვირას სპეციალურ ადგილებში დამყავს და ვავარჯიშებ. მომავალ ექსტრემალად ვზრდი. მირჩევნია, ვასწავლო, ვიდრე თავისით ისწავლოს და იგივე შეცდომები დაუშვას, რაც მე. შეიძლება სულ არ გამოვიდეს ექსტრემალი და მოტომ არც დაიინტერესოს, მაგრამ მაინც ჯობია, ეს ყველაფერი იცოდეს.

— მეუღლე როგორ უყურებს თქვენს გატაცებას?

— ჩემი მეუღლე, ნინო კეკელიძე ამის წინააღმდეგია. სახლში დავა მიდის ხოლმე, ჩვენ თუ მოტოციკლეტიო. ისე, ხშირად ნინოც უკან მიზის ხოლმე. მოტოზე უარს ვერასოდეს ვიტყვი.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემმა ძმამ სახლი ნარკომანების ბუდედ აქცია“

მე უფროსი ძმა მყავს. მართალია, მასზე 8 წლით უმცროსი ვარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ძმაზე ჭკვიანი ვარ. მშობლებს პრობლემებს არ ვუქმნი, პირიქით, ვცდილობ, ყველანაირად დავეხმარო. ისინი თურქეთში მუშაობენ და საოცრად მენატრებიან. მინდა, თან წამიყვანონ, მაგრამ ეს შეუძლებელია. დედა მეუბნება, შენი იმედი მაქვს, ვიცი, ოჯახს მიხედავო. მე კი მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, რადგან ჩემი ძმის ცუდ საქციელს ვეღარ ვიტან.

ჩემი ძმა ცუდ წრეში ტრიალებს. ისეთი ძმაკაცები ჰყავს, წესიერი ადამიანი გამარჯობას რომ არ ეტყვის. ნარკომანებიც არიან და ხშირად ჩვენს სახლშიც ეწევიან რაღაცეებს. ამ დროს მე ბებოსთან გავრბივარ. ყველამ იცის, რომ ჩემმა ძმამ სახლი ნარკომანების ბუდედ აქცია, ეჩხუბებიან კიდეც, მაგრამ მასთან არაფერი ჭრის. ისევ ძველებურად აგრძელებს ცხოვრებას.

რა დავაშავე? მის გვერდით რატომ უნდა ვიცხოვრო? მაღლობელიც არ არის, საჭმელს რომ ვუკეთებ, სახლს რომ ვულაგებ, მაინც სულ მიყვირის...

ამას წინათ მამა იყო ჩამოსული. მან ყველაფერი გაიგო და ჩემს ძმას უთხრა, უნამუსო კაცი ხარ, ასე როგორ იქცევიო. ამხელა კაცი სიმწრით ტიროდა. თქვა, ტყუილად ვშრომობ, ვიცი, რომ ყველაფერი წყალში ჩამეყრებაო. მართალიც არის, ჩემი ძმა მშობლებს არაფერს დაუფასებს. ძალიან მინდა, მეც მოვშორდე იქაურობას. მან კი როგორც უნდა, ისე იცხოვროს. მეტის მოთმენა მართლა აღარ შემიძლია!

მკითხველი, 17 წლის

„ბებერ ბებერ ბებერ, ბაბაუნი ციხიდან გათავისუფლების ღირსი არ არის“

მამაჩემი პატიმარია. ვისაც ეს არ გამოუცდია, ვერავინ მიხვდება, ამ დროს ოჯახი რას გრძნობს, როგორ ცხოვრობს. მე, დედამ და ჩემმა ძმამ ხუთი წლის განმავლობაში უამრავი რამ გადავიტანეთ. ბებია და ბაბუა რომ არ დაგვდგომოდნენ გვერდით, ალბათ ახლა ღამის გათევა ქუჩაში მოგვიწევდა. საოცრად გვიჭირდა. ჩემ თვალწინ დედას ბევრჯერ უტირია. ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს ის სიმწარე, რაც ჩვენ გადავიტანეთ. ეს ყველაფერი იმიტომ დავწერე, რომ ხალხმა პატიმრებს და მათ ოჯახებს სხვა კუთხითაც შეხედოს.

მამაჩემზე არასოდეს მითქვამს, უდანაშაულოა-მეთქი. ამას არც თვითონ ამბობს, მაგრამ ის საშინელება სრულიად გაუაზრებლად, უფრო სწორად, არაფიზიელ მდგომარეობაში ჩაიდინა. გონება დაებინდა, არ იცოდა, რას აკეთებდა. იმ დღესვე დაიჭირეს და იქიდან დაიწყო ჩვენი ტანჯვა.

მაშინ 11 წლის გოგო ვიყავი. ძალიან მრცხვენოდა, რომ მამაჩემს ასეთი რამ დაემართა. სკოლაში წასვლა აღარ მინდოდა. მამაც მეცოდებოდა და დედაც. საშინელი დღეები გამოვიარეთ. მერე კი ჩვენს გაჭირვებულ ყოფას თითქოს მივეჩვიეთ კიდეც.

ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმე იყო ჩვენთვის, როცა ციხეში გადაღებულ იმ საშინელ კადრებს ვუყურეთ. იმ კოშმარიდან დღესაც ვერ გამოვსულვარ. ყველაფერი მამას დავუკავშირე და საშინლად განვიცადე. დედა და ბებია ადამიანებს აღარ ჰგავდნენ.

ძალიან გაგვიხარდა, როცა ამნისტიაზე დაიწყეს ლაპარაკი. უბედნიერესი ვარ, რომ მამას გაათავისუფლებენ, მაგრამ მეგობრები ჩემს ამ სიხარულს არ იზიარებენ. ისინი პირში მეუბნებიან, რომ ამნისტიის კანონი შეცდომაა და პატიმრები არ უნდა გაათავისუფლონ. ვუთხარი, ხომ იცით, რომ მამაჩემიც ციხეში ზის, ჩემ გასაგონად ამას რატომ ამბობთ-მეთქი, მათ კი პირდაპირ მომახალეს, დიახ, მამაშენიც არ უნდა გაათავისუფლონ, დამნაშავეა და იქ უნდა იჯდესო.

კლასელების სისასტიკემ გული მომიკლა. მამაჩემი არც ყაჩაღია და არც ნარკოდილერი. თავის დანაშაულს დღემდე ნანობს. კლასელებმა ჩემი ოჯახის მდგომარეობა იცოდნენ და ასეთი რამ არ უნდა ეთქვათ. მათ სიტყვებს ვერასოდეს დავივიწყებ.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„მამა იტალიიდან უსაჩუქროდ ჩამოვიდა“

ამ წერილს 14 წლის გოგო გწერთ. მამაჩემი იტალიაში იყო წასული. ვთხოვე, რომ ჩემი მეგობრებისთვის საჩუქრები ჩამოეტანა და ისიც შემპირდა. მეგობრებს წინასწარ ვუთხარი, რომ მამა მათთვის საჩუქრებს ჩამოიტანდა. ისინიც ელოდნენ მის ჩამოსვლას.

მამა იქიდან საჩუქრების გარეშე დაბრუნდა. მეუბნება, არა უშავს, თბილისში ვუყიდოთო, მაგრამ აქ ნაყიდი რად მინდა? ფასი იმას ექნებოდა, იტალიიდან რომ ჩამოეტანა.

თქვენი მკითხველი

გამოხმაურება

„გოგო ჯი ახ გიყვარს, ბიჭებისგან ყურადღება გაჯღია“

ჟურნალ „სარკის“ 2012 წლის 50-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „გოგო ვარ და გოგო მიყვარს“. ამ გოგოსთვის რომ არ მომეწერა, ვერ მოვისვენებდი, რადგან ზუსტად ვიცი, რას გრძნობს.

მე ახლა 20 წლის ვარ, მაგრამ მძიმე დღეები გადავიტანე. ურთულესი გარდატეხის პერიოდი მქონდა. მადლობა ღმერთს, იმ კოშმარიდან გამოვედი და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ამიტომაც მინდა, დაგეხმარო. ვიცი, დაბნეული ხარ და გამიხარდება, თუ ჩემი წერილი ცოტათი მაინც გამოგაფხიზლებს.

გარდატეხის ასაკში თავი ნამდვილი ურჩხული მეგონა. ლამაზი არც ახლა ვარ, მაგრამ მაშინ საშინლად გამოვიყურებოდი. სახეზე ძალიან დამაყარა, ამან კი დამთრგუნა და მეგობრებთან ურთიერთობის სურვილი ჩამიკლა. ბიჭებისკენ საერთოდ არ ვიხედებოდი და არც ისინი მაქცევდნენ ყურადღებას. თავს მარტოსულად ვგრძნობდი.

მერე, როგორც შენს ცხოვრებაში, ჩემთანაც გამოჩნდა გოგო, რომელსაც ძალიან კარგად გავუგე. მე და ის ერთად ვსწავლობდით ფორტეპიანოს. უამრავ თემაზე ვლაპარაკობდით. მასთან ერთად სიცოცხლე მიხაროდა. მერე კი სიყვარულში გამომიტყდა და არც მე გავძალიანებივარ. ჩავთვალე, რომ ის იყო ნამდვილი სიყვარული და მე ბიჭის შეყვარება არ შემეძლო. ასე გაგრძელდა წელიწადნახევარი, მერე კი ყველაფერი შეიცვალა.

ერთ დღეს ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ბიჭი, რომელმაც ის გოგოც დამავიწყა და საკუთარი თავიც. მას საოცრად კარგი იუმორი ჰქონდა და თავისი ხუმრობებით ჩემში მორცხვი გოგონა დაამარცხა. მასთან გავხალისდი, მხიარული, თამამი გავხდი. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა. როცა მისი შეხება ვიგრძენი, როცა მასზე ფიქრი დავიწყე, მივხვდი, რომ გოგო კი არ მიყვარდა, უბრალოდ ბიჭების ყურადღება მაკლდა. შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ბიჭი, რომელიც თავისი ყურადღებით მოგხიბლავს, თავს შეგაყვარებს და იმ გოგოს დაგავიწყებს.

კეთილი სურვილებით, მკითხველი

„მამაშენი იმას გაკეთებინებს, ისც თვითონ ახ გამოუვიდა“

ჟურნალ „სარკის“ გასული წლის 51-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სათაურით „მამა სასტიკად მექცევა, რომ „კაცური კაცი“ გამოვიდე“. მამაშენი იმას გაკეთებინებს, რაც თვითონ არ გამოუვიდა.

აუხსენი, რომ რის გაკეთებასაც გაიძულებს, ის არ გაინტერესებს. დედა დაიხმარე და ორივემ ერთად შეაგნებინეთ, რომ ასე არ უნდა მოგექცეს. რაც შენ გაინტერესებს, ის გააკეთე კარგად და დაუმტკიცე, რომ იმ საქმეში ბადალი არ გყავს. მერე მიხვდება, რომ შენ მისი სარკე არ ხარ და თავის ოცნებებს შენით ვერ განახორციელებს. შენ დამოუკიდებელი ადამიანი ხარ, რომელმაც თავისი გზით უნდა იაროს. წარმატებებს და გამძლეობას გისურვებ!

„სარკის“ ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„მშობლებმა მომატყუეს“

ბავშვ-მამა სულ იმას მეუბნებიან, ტყუილი არ თქვა, ცუდი საქციელიაო, მაგრამ თვითონ რომ იტყუებიან, ის ვითომ არაფერია! საკუთარ თავს რატომ არ ეუბნებიან, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება?!

მშობლებმა მომატყუეს. მთელი ზაფხული ისე გავატარე, რომ დასასვენებლად არსად წამიყვანეს. მეუბნებოდნენ, ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანში წაგიყვანთ, ახალ წელსაც იქ შევხვდეთ და მაგარი დასვენება გამოგვივაო. ამას ისე მიყვებოდნენ, რომ თავი უკვე ბაკურიანში წარმომედგინა. დაქალებსაც ვუთხარი, რომ ზამთარში მაგარ არდადეგებს მოვიწყობდი, მაგრამ ყველა ოცნება ფუჭი აღმოჩნდა.

ზამთრის არდადეგები რომ მოვიდა, მშობლებს შევახსენე, ბაკურიანში უნდა წავსულიყავით-მეთქი. მამამ მითხრა, ახლა ვერ წავალთ, სამსახურიდან არ გამათავისუფლებენო. დედამ კი თქვა, გაჭირდა ცხოვრება, ახლა ამის ფუფუნება არ გვაქვსო.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაშინ რატომ მპირდებოდნენ? საერთოდ არ ეთქვათ და აღარც მე ვიტრაბახებდი ბავშვებთან. ახლა კი როგორ მოვიქცე? კლასელებს ბაკურიანში ვგონივარ. „ფეისბუქზე“ წერილებს მიგზავნიან, როგორ ისვენებო. მთხოვენ, ბაკურიანში გადაღებული ფოტოები ავტვირთო. მათ წერილებს არ ვპასუხობ. ბავშვების ძალიან მრცხვენია.

მკითხველი, 15 წლის

„დედამ ნაძვის ხეც კი არ მოგვირთო“

ურიანი გოგო არ ვარ, მაგრამ ჩემს თანატოლებს რომ ვუყურებ, დედასთან როგორი ურთიერთობა აქვთ, მათ შევნატრი. ზოგჯერ მგონია, რომ დედა არასოდეს ყოფილა ბავშვი, რადგან ჩემი საერთოდ არ ესმის. როცა მინდა, რამე მოვუყვე, მაჩუმებს ან არ მისმენს. მერე ისეთ დროს დაინტერესდება ხოლმე ჩემი ამბით, როცა ხასიათზე არ ვარ და არც არაფერს ვუყვები. ამის გამო მეჩხუბება. მუდამ ვკამათობთ და ისიც ამბობს, რომ ერთმანეთის არ გვესმის.

ახალ წელს ყველა დედა იმას ფიქრობს, შვილებს დღესასწაული მოუწყოს, მე და ჩემი და კი ამას მოკლებული ვართ. დედა არასოდეს ზრუნავდა, ჩვენთვის რამე გაეკეთებინა. ის თავის რწმენაშიც ვერ გარკვეულა. ხან ორმოცდაათიანელთა სექტაში იყო, ხან იეღოველების. ამის გამო მამასთან სულ კონფლიქტი ჰქონდა. ჩვენც არ გვინდოდა, რომ ქუჩა-ქუჩა ევლო. ჩვენი არ დაიჯერა, მაგრამ მერე მისი ძმა დაემუქრა და გაჩერდა. იმის შემდეგ ამ თემაზე ხმას არ იღებს.

მართალია, დედა სექტანტი აღარ არის, მაგრამ სამაგიეროდ არც დღესასწაულებს აღნიშნავს. ამბობს, რომ ასეთი რაღაცეების არ სჯერა და ეს ცრურწმენაა. იმას კი არ ფიქრობს, რომ მე მჯერა და მე მინდა, რომ ასეთი დღეები სხვებივით ჩვენც აღვნიშნოთ.

წელს ნაძვის ხე გამოვიტანე, რომ მომერთო, მაგრამ არ გამიმართლა, ვირთხებს გაეფუჭებინათ. ბევრი ვიტირე. ალბათ დედამ სპეციალურად დადო იმ ადგილზე, რომ ვირთხებს შეეჭამათ. ახალი ნაძვის ხის ყიდვა კი არ დაგვანება. ისტერიკები მოაწყო. მოიმიზეზა, რომ ამის ფული არ გვქონდა.

ასეთ დღეებში დედა საჭმელებსაც არ ამზადებს, მაგრამ ამის გამო დიდად არც ვნერვიულობ. ახალ წელს ყოველთვის ბებოსთან მივდივარ და იქ ვხვდები. კარგ დროსაც ვატარებ ხოლმე, მაგრამ მე მინდა, დედაჩემიც სხვა დედებივით მოიქცეს და ჩვენს გახალისებაზე იზრუნოს. ბებოც ამბობს, ნეტა, ასეთი ვის ჰგავსო.

ვოცნებობ, დედა შეიცვალოს. მინდა, რომ მასთან ლაპარაკი შემეძლოს.

მკითხველი, 15 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

სენადე

მცენარეული პრეპარატი

შემადგენლობა: თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

ჩვენებები: სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

სიფრთხილის ზომები: სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს.

ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი: ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

მიღების გზები და დოზირება: ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

აფთიაქიდან გაცემის წესი: ურეცეპტოდ

* გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
* გვეჰიდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

„ციპლა“ გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!

ქარხანა ციპლა თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎238-28-40; 238-88-71; 231-11-32

Cyan Magenta Yellow Black

როგორი გოგოებისთვის წერს მუსიკას იოანე არაბული

21 წლის იოანე არაბულმა პროექტი „ახალი ხმა“ დატოვა და გულშემატკივარი გოგონების გულიც თან გაიყოლა. მისი „ბედი“ ამ კონკურსში თავიდანვე უცნაურად აეწყო. ბრმა კასტინგში ჟიური თავისკენ ვერ შემოაბრუნა, მაგრამ სტეფანემ და მაია დარსმელიძემ საკუთარ თავს არ აპატიეს ასეთი გარეგნობის ბიჭის დატოვება პროექტის მიღმა და ყველაფერი გააკეთეს მის დასაბრუნებლად. საბოლოოდ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც შოუს მიღმა აღმოჩნდა. იოანესთვის ეს მარცხი ტრაგედიად არ ქცეულა. სცენაზე თუ არა, ქუჩაში მაინც იმღერებს და თავის სათქმელს მსმენელამდე ასე გაუკვალავს გზას, მით უმეტეს, რომ მიწისქვეშა გადასასვლელებში მღერა მისთვის უცხო არ არის.

■ იოანე არაბული

21 წლის იოანე მუსიკით ცოტა გვიან, 15 წლის ასაკში დაინტერესდა და მერე ის მისი ცხოვრების აზრად იქცა. ყველაზე დიდი გამოცდილება სწორედ მიწისქვეშა გადასასვლელებში მღერამ მისცა, სადაც ყველაზე კარგად ესმის საკუთარი თავისაც და ინსტრუმენტისაც. მისი თაყვანისმცემლები თავიანთი ფავორიტის ცხოვრების შესახებ ამ ინტერვიუდან ბევრ რამეს შეიტყობენ.

„ქუჩა ძალიან დიდი სკოლა იყო... იმაზე ახ გვიფიქრია, რომ ჩვენი სიმღერით ფული გვეშოვა. დაკვრა და იმის გაგება გვინდოდა, თუ რა არის მუსიკა. მიწისქვეშ კი ყველაზე კარგად გესმის საკუთარი თავისაც და ინსტრუმენტისაც“.

— იოანე, როდის დაინტერესდით მუსიკით?

— თავიდან ხალხურ ანსამბლში, ფოლკლორულ ჯგუფში ვმღეროდი. მაშინ დაახლოებით 15 წლის ვიქნებოდი. ერთხელაც შემთხვევით რომელიღაც მუსიკალური ალბომი ჩამივარდა ხელში, მოვუსმინე და მომეწონა. მერე დედას ვკითხე აზრი. მამაც გემოვნებიან მუსიკას მასმენინებდა. მას შემდეგ აღვიქვი მუსიკა სივრცეში.

— მშობლებს რა შესება აქვთ მუსიკასთან?

— ჩემი მშობლები, დინარა კუჭაძე და ნოდარ არაბული, უფრო მელომანები არიან, ვიდრე მუსიკოსები. დედა მუსიკის მასწავლებელია. თავის დროზე ბებიაც პედაგოგი იყო. ჩემი ოჯახის წევრებს გაუხარდათ, მუსიკით რომ დავინტერესდი. მერე იყო პერიოდი, როდესაც მეგობრებთან ერთად მიწისქვეშა გადასასვლელებში ვუკრავდი. ამაზე ზოგს კარგი რეაქცია ჰქონდა, ზოგს — ცუდი. როცა მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი აღარ იყო და უფრო მეტი მინდოდა, გადავწყვიტეთ, ჯგუფი გაგვეკეთებინა. მიწისქვეშეთიდან ამოვედით, რეპეტიციები დავიწყეთ, სიმღერები ჩავწერეთ და „ფეისბუქზე“ ავტვირთეთ. ანუ, შემიძლია გითხრათ, რომ ერთი წლის წინ დავიწყე აქტიური მუსიკალური ცხოვრება.

— როგორ ფიქრობთ, ქუჩაში, მიწისქვეშა გადასასვლელებში მღერამ რაიმე შეგმატა?

— როგორც მუსიკოსისთვის, ქუჩა ძალიან დიდი სკოლა იყო, ბევრ პროფესიონალ მუსიკოსს დავუმეგობრდით. მინი კონცერტებს ვაკეთებდით. იმაზე არ გვიფიქრია, რომ ჩვენი სიმღერით ფული გვეშოვა. დაკვრა და იმის გაგება გვინდოდა, თუ რა არის მუსიკა. მიწისქვეშ კი ყველაზე კარგად გესმის საკუთარი თავისაც და ინსტრუმენტისაც.

— მერე კი პროექტ „ახალ ხმაში“ სცადეთ ბედი. ესე იგი საყოველთაო აღიარება მაინც გინდოდათ.

— მეგობარმა მითხრა, რომ საქართველოში უცხოური პროექტის ანალოგი კეთდებოდა. რეგისტრაციის დასრულებამდე 5 წუთი იყო დარჩენილი, რომ ჩანაწერი გადავაგზავნე, რაღაც სიმღერა უცებ ჩავწერე. დაახლოებით ორ კვირაში დამირეკეს და მითხრეს, რომ მომდევნო ტურში გადავედი. სიმართლე გითხრათ, თავიდან ამ ყველაფერს სერიოზულად ვერც შევხედე. მერე კი მთლიანად ჩავერთე და ის პერიოდი მხოლოდ ამ პროექტით ვცხოვრობდი.

— საკონკურსო გარემოში თავს როგორ გრძნობდით?

— ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. თავიდან არც სტიმული მქონდა და ცოტა უარყოფითი დამოკიდებულებაც გამაჩნდა კონკურსების მიმართ, მაგრამ სტეფანემ და მაიამ ეს ყველაფერი სულ სხვანაირად დამანახვეს. ვცდილობდი, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე გამომეჩინა.

— ამის შემდეგ კიდევ მიიღებთ კონკურსებში მონაწილეობას?

— არა, „ახალი ხმა“ ჩემთვის პირველი და უკანასკნელი კონკურსი იქნება. ვფიქრობ, გამოცდილების მისაღებად ესეც საკმარისი იყო. თანაც, ვფიქრობ, რომ ახლა თუ ჩემი დრო იყო, მომავალ წელს სხვამ უნდა მიიღოს მონაწილეობა და არა — ისევ მე. მე თუ სხვა პროექტში აღმოვჩნდი, მაშინ ჩავთვლი, რომ აქ ჩემი თავი ვერ ამოვწურე ან ძალა და მონდომება არ მეყო. ჩემს მუსიკალურ კარიერას სხვანაირად დავგეგმავ.

— ახლა როგორია თქვენი გეგმები?

— რა თქმა უნდა, ისევ საქართველოში გავაგრძელებ საქმიანობას. რაც უნდა ცუდი იყოს და ცუდი რაღაცეები ხდებოდეს ამ სფეროში, მაინც ვფიქრობ, რომ, პირველ რიგში, შენმა ხალხმა უნდა შეგიყვაროს, თორემ მერე გული დაგწყდება. ვცდილობ, ჯერ საქართველოს მასშტაბით გამიცნოს ხალხმა და მერე სხვაგან წავიდე, ოღონდ დროებით, რომ მეტი გამოცდილება მივიღო.

— ელოდებოდით, რომ სტეფანე და მაია პროექტში დაგაბრუნებდნენ?

— ბევრი მაგარი მონაწილე ვერ გადავიდა შემდგომ ეტაპზე, ამიტომ ვფიქრობდი, რომ ალბათ არ დამაბრუნებდნენ. სადღაც გულის სიღრმეში კი მქონდა იმედი, რადგან ისეთი რაღაცეები მითხრეს, ალბათ სხვანაირად არ შეიძლებოდა. კასტინგის შემდეგ ერთი დღით ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდი, მეორე დღეს კი დამირეკეს და მითხრეს, რომ პროექტში მაბრუნებდნენ.

— ამბობენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მათ თქვენმა გარეგნობამ მიიღებინა და არა მუსიკალურმა მონაცემებმა.

— პირადად ჩემთვის ასეთი რამ არავის უთქვამს, მაგრამ სოციალურ ქსელებში მსგავსი კომენტარები წავიკითხე. ასეთ რაღაცეებს ყურადღებას არ ვაქცევ. ბევრ რამეს არც ვკითხულობ, რადგან ვიღაც ყოველთვის იქნება უკმაყოფილო. ალბათ ჩემი კონკურენტების გულშემატკივრებსაც უნდოდათ, ასეთი კომენტარებით რეიტინგი დაეწიათ ჩემთვის. ჩემს გარეგნობას ხაზს არასოდეს ვუსვამ, პირველ რიგში, მინდა, ჩემი მუსიკა წამოვწიო წინა პლანზე და მერე ვიზუალი. ჩემს გამოსვლებში ყველანაირად ვეცადე, ეს სტერეოტიპი დამსხვრეულიყო და რამდენად გამომივიდა, ხალხმა გადაწყვიტოს. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ სცენაზე ვიზუალი არ მჭირდება!

— თქვენი და მწვრთნელების მუსიკალური გემოვნება თუ ემთხვეოდა ერთმანეთს?

— რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ იქ კონკურსანტებს თავიანთ აზრებს ახვევენ თავს და აუცილებლად იმას აკეთებენ, რაც მათ უნდათ, მაგრამ ასე არ არის. რეპერტუარზე ყველა მსჯელობს და რისი მღერაც შეუძლიათ, კონკურსანტები იმას ირჩევენ. დანარჩენი, თუ როგორ უნდა იმღერო და რა უნდა გააკეთო, ამას თვითონ წყვეტენ. თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და ზუსტად იციან, რა გჭირდება.

— ყველაზე მეტად ვის გქომაგობდათ?

— ჩემი ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და სრულიად უცხო ადამიანებიც კი. მათგან ძალიან დიდ სითბოს ვგრძნობდი.

— სიმღერის გარდა სხვა რა გიტაცებთ?

— ხანდახან ფეხბურთს ვთამაშობ. სპორტის ეს სახეობა ძალიან მიყვარს. მე რომ ახლა 30 წლის ვიყო, აუცილებლად მექნებოდა დიდი ტექსტი, რომელიც ჩემს სიმღერის მიღმა ცხოვრებას შეეხებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი ცხოვრება მხოლოდ ბენდს და მუსიკას უკავშირდება. სახლში გიტარასთან, კლავიშებთან ვზივარ და ვსწავლობ.

— თვითსასწავლი მუსიკოსი ხართ?

— კი, ვოკალის პედაგოგთან მხოლოდ ორი თვე ვიარე. სხვა ინტერესებიც მაქვს, თუნდაც

„ჩატომღაც ყველას ჰგონია, რომ ჩემი გახეგნობით ვსახიგებლობ, ძალიან გახყვნილი ბიჭი ვახ და ახც ეხთ გოგოს ვეშვებ ხელიდან. სინამდვილეში ასეთი ახ ვახ. ძირითადად სულ სახლში ან ჩეპეტიციაზე ვახ ჩემს ინსტრუმენტებთან ეხთად“.

მშენებლობის სფეროში, მაგრამ არ მგონია, ჩემს ცხოვრებაში ისეთი რაღაც მოხდეს, რომ აბსოლუტურად სხვა სფეროში წავიდე და მუსიკა მივატოვო. ყველაზე ძალიან ეს საქმე მიყვარს.

— და-ძმა გყავთ?

— ერთი ძმა მყავს, 20 წლის გიგა. მგონი, ისიც ჩემს გზას მოჰყვება. სკოლა რომ დავამთავრე, გადავწყვიტე, ჯერ ჯარში წავსულიყავი და მერე სადმე ჩამებარებინა. ჩემი ძმაც იმავეს აპირებს.

— მართლა ისეთი ქალთა გულთამპყრობელი ხართ, როგორც ამბობენ?

— მექალთანე არასოდეს ვყოფილვარ და

Cyan Magenta Yellow Black

ერთდროულად 30 გოგოსთან არ მქონია ურთიერთობა. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ჩემი გარეგნობით ვსარგებლობ, ძალიან გარყვნილი ბიჭი ვარ და არც ერთ გოგოს ვუშვებ ხელიდან. სინამდვილეში ასეთი არ ვარ. ძირითადად სულ სახლში ან რეპეტიციაზე ვარ ჩემს ინსტრუმენტებთან ერთად.

— თქვენი ასაკის ახალგაზრდებიათ კლუბები, ღამის გართობა არ გაზიდავთ?

— არა, კლუბური მუსიკა ჩემზე უარყოფითად მოქმედებს. სახლში კლუბურ მუსიკასთან მიახლოებული მეც შემიქმნია, მომწონებია კიდეც, მაგრამ კლუბში რომ შევდივარ, იმ მუსიკას სულ სხვანაირად აღვიქვამ.

— გოგოსთვის თუ დაგიწერიათ სიმღერა?

— კი. სიმღერას როცა ვწერ, ყოველთვის ვიღაცაზე ვფიქრობ. სხვა შემთხვევაში ვერ ვწერ.

— საინტერესოა, თქვენს სიმპათიას რიგორი გოგონები იმსახურებენ, ვისაც შეიძლება, რომ სიმღერაც კი მიუძღვნათ.

— კარგადაც უნდა გამოიყურებოდეს და ვიზუალის მიღმაც საინტერესო ადამიანი უნდა იყოს. ჩემს ცხოვრებაში ჰოლივუდის ვარსკვლავი რომ გამოჩნდეს

„ქალისთვის ხვეწნა არასოდეს დამიწყია, მაგრამ თუ მომწონს, შემიძლია ისეთი რაღაცეები ჩავიდინო, რასაც ბევრი ბიჭი არ გააკეთებს".

და მასში საინტერესო ვერაფერი დავინახო, დარწმუნებული ვარ, მისთვისაც უინტერესო გავხდები, რადგან ჩემებურად ვერ მოვიქცევი, იმ ადამიანისთვის ისეთ რაღაცეებს ვერ ჩავიდენ, რისი გაკეთებაც ძალიან მიყვარს. საინტერესო ხალხთან ურთიერთობა მომწონს. არ აქვს მნიშვნელობა, რა პროფესიის იქნება, შეიძლება მუსიკაში კარგად ვერ ერკვეოდეს, მაგრამ გემოვნებიანი მსმენელი მაინც უნდა იყოს, ჩვენი აზრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. მუსიკა თუ ეცოდინება, რა თქმა უნდა, საერთო ენას უფრო ადვილად გამოვნახავ.

— რომანტიკული ხართ?

— ხანდახან კი, მაგრამ უფრო გიჟი ვარ.

— რა შეგიძლიათ ჩაიდინოთ გოგოსთვის?

— ვერ დაგიკონკრეტებთ, მაგრამ რატომღაც ყოველთვის მირჩევნია, გოგოს გამო ცოტა მეტი გავაკეთო. ქალისთვის ხვეწნა არასოდეს დამიწყია, მაგრამ თუ მომწონს, შემიძლია ისეთი რაღაცეები ჩავიდინო, რასაც ბევრი ბიჭი არ გააკეთებს.

✓ ქეთი დინოშვილი

■ ლიკა ყაზბეგი

ლიკა ყაზბეგმა პოდიუმი წარმატებული მამაკაცებისთვისაც მოაწყო

■ ავთო ჩიტიძე და მამუკა ლომაშვილი

საამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელ ლიკა ყაზბეგისთვის უკვე ჰობი გახდა, პოდიუმზე გაიყვანოს ის ადამიანები, ვისაც მოდელობაზე ცხოვრებაში არ უფიქრიათ. 10 წელია ის წარმატებით აკეთებს პროექტს „წარმატებული ქალი პოდიუმზე", სადაც სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ქალები უჩვეულო ამპლუაში გამოჰყავს საზოგადოების წინაშე. 2012 წლის ბოლოს კი ლიკამ ამ პროექტის 10 წლისთავი და საკუთარი დაბადების დღე ერთად აღნიშნა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში".

საიუბილეო ჩვენებაში წარმატებულ ქალებთან ერთად თავიანთ პროფესიაში წარმატებული მამაკაცებიც ჩართო. ქალებს პოდიუმზე სამჯერ მოუწიათ გასვლა, მამაკაცები კი კლასიკურ სამოსში გამოწყობილები ერთხელ გავიდნენ და დამსწრე საზოგადოების ოვაციებიც გამოიწვიეს. რადგანაც სტუმრებს შორისაც უმეტესობა ქალი იყო, პოდიუმზე მამაკაცების გამოჩენას უფრო თამამი ემოციებით და ყიჟინით შეხვდნენ. მაგალითად, ნინო ნადირაძე, რომელიც წინა პროექტში პატარძლის კაბით გამოვიდა და ახლა შოუს სტუმრების რიგებიდან აკვირდებოდა, არ მალავდა, რომ მამაკაცების გამოჩენით თვალები გაუბრწყინდა და კარგ ხასიათზე დადგა.

■ მარკუს მეტრეველი

შოუს კულისებში ნერვიულობა და ფორიაქი ქალებს უფრო ეტყობოდათ. მამაკაცები, რომელთა შორის იყვნენ პაროდისტი მამუკა ლომაშვილი, რეჟისორი ნიკა ხომასურიძე, მომღერალი მარკუს მეტრეველი და სხვები, ნერვიულობას წითელი ღვინით გაუმკლავდნენ. მამუკა ლომაშვილი ნერვიულობის ნაცვლად ხალისობის ხასიათზე იყო და ორგანიზატორები გვარიანად ანერვიულა. პოდიუმზე გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ერთ-ერთი ორგანიზატორი დაიბარა და სრული სერიოზულობით უთხრა, ჩვენ, მამაკაცები, პოდიუმზე არ გამოვალთ, რადგან მოსაწვევზე მხოლოდ წარმატებული ქალები წერიაო. ორგანიზატორებს ფერი ეცვალათ. მამუკა კარგად იყო როლში შეჭრილი და კარგა ხანი აწუწუნა ორგანიზატორები. ბოლოს კი თქვა, ჩვენ ხომ ქალების საჩუქრები ვართ ცხოვრებაშიო და ამაყად გავიდა პოდიუმზე.

წარმატებული ქალების და მამაკაცების პოდიუმზე სეირნობა ტორტის გაჭრით დასრულდა. მეორე დღეს კი ლიკამ თავის სოციალურ ქსელზე დაწერა, მოემზადეთ, ბიზნესწრეების ქალები და მამაკაცები უნდა გამოგიყვანოთ პოდიუმზეო. როგორც ჩანს, ამ ქალმა დაღლა და დასვენება არ იცის.

✓ ავთო ჩიტიძე

„გვირილებმა" ძველი წელი საქველმოქმედო კონცერტით გააცილეს

■ ერნა წიფურია, ნინო ჩიხლაძე და ნუგზარ კვაშალი

2012 წლის 29 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლმა „გვირილამ" საქველმოქმედო საღამო გამართა და ასე გააცილა ძველი წელი. კონცერტზე შემოსული თანხა სოციალურად დაუცველ ბავშვებს გადაერიცხა. „გვირილას" აღსაზრდელებთან ერთად ცნობილი მომღერლები მღეროდნენ, მათ შორის იყვნენ თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, ბესო კალანდაძე, ეთერ კაკულია, ანსამბლი „ფორტე", სოფო ბედია. საღამო „გვირილას" ხელმძღვანელ ერნა წიფურიას ქალიშვილს, ნინო ჩიხლაძეს მიჰყავდა, რომელმაც შვილთან, გიორგი ღოღობერიძესთან ერთად დუეტიც შეასრულა.

ტელეწამყვანმა გია ჯაჯანიძემ ძალზე მოიწადინა ბავშვების გამხიარულება. მათთვის სპეციალურ კოსტიუმში გამოეწყო, ქუდზე გვირილებიც დაიმაგრა.

■ თემურ წიკლაური

■ გია ჯაჯანიძე

— ქალბატონი ერნა საქველმოქმედო კონცერტს მართავს და, რა თქმა უნდა, სადაც ქველმოქმედებაა, მეც იქ ვარ. ვთვლი, რომ 2012 წელი ჩემთვის ერთ-ერთი უბედნიერესი იყო. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ყველა წელი ბედნიერია. სულ გახარებული ვარ და ზოგჯერ არც კი ვიცი, რატომ ვარ ბედნიერი. მინდა, ამ წელს ყველა შეყვარებული დაქორწინდეს, ყველა ღარიბი გამდიდრდეს და ყველა მდიდარი გაკეთილშობილდეს, — გვითხრა გია ჯაჯანიძემ.

მომღერალი ნუგზარ კვაშალი ბავშვებს თოვლის ბაბუად მოევლინა და პატარებთან ერთად იმღერა. შემდეგ კი თემურ წიკლაურმა თავისი სიმღერით მთელი დარბაზი მოხიბლა.

— ამ საახალწლო პროექტისთვის სამი თვე ვემზადებოდით. საღამოზე შემოსული თანხა სოციალურად დაუცველ ბავშვებს გადაერიცხებათ. ვფიქრობ, რომ გასული წელი ჩვენთვის საკმაოდ წარმატებული იყო. ბოდრუმში არაერთი კლიპი გადავიღეთ. 2013 წელიც კარგად იწყება, რადგან 14 იანვარს „გვირილა" მუშტაიდის პარკს გახსნის, — გვითხრა ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელმა ერნა წიფურიამ.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

აჩიკო სოლოღაშვილი: „ფეხსაცმელი ვიტრინიდან მეძახის“

„ცოლისთვის ისეთ ტანსაცმელს ვეიდულობ, რომელიც მას ჰგავს“

ახალგაზრდა ოპერეტის მსახიობი და ტელეწამყვანი აჩიკო სოლოღაშვილი გამორჩეული ჩამცმელია — თბილისელი ბიჭებისგან განსხვავებული. დღეს ის სპორტულ-კლასიკურად იცვამს, მაგრამ სანამ ამ სტილს მოირგებდა, დიდი გზა გამოიარა, მეტალისტობიდან თანამედროვე დენდამდე ბევრი ექსპერიმენტი მოსინჯა. ჩაცმაში ხანდახან კომპრომისებზეც უწევს წასვლა და თბილისურ მაღაზიებში შოპინგობს, უცხოეთში კი მეტი არჩევანი აქვს და ამ დროს მისი ფანტაზიაც იზრდება. არც ცოლი, ტელეჟურნალისტი ნუცა ქავთარაძე ავიწყდება და მისთვისაც მონდომებით არჩევს საჩუქრებს.

აჩიკო ადამიანის გამოცნობას ფეხსაცმელიდან იწყებს და როგორც ირწმუნება, არასდროს ცდება. თავადაც თვლის, რომ სამოსი მის შინაგან ბუნებაზე მეტყველებს და გარშემომყოფებს აცნობს, თუ როგორია აჩიკო სოლოღაშვილი.

— აჩიკო, ახალ წელს როგორ შეხვდით?

— წელს ყველაზე კარგად შევხვდი ახალ წელს. ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ოჯახის წევრებთან ერთად შევეგებე ამ დღესასწაულს.

— საახალწლო ოჯახური ტრადიციაც ხომ არ გაქვთ?

— ამას ალბათ ტრადიციას ვერ დაარქმევ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, 12 საათზე ყველაზე მაგარ ხასიათზე ვიყო. ბოლო 3-4 წელი ეს ჭრის. ახალ წელს რა განწყობაზეც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებ. წელს მე და ნუცამ ავაწყვეთ ნაძვის ხე. მანამდე ამისთვის არავის ეცალა, მეც სახლში არასოდეს ვხვდებოდი და ამიტომ მუდამ პატარა ნაძვის ხე გვქონდა. ძალიან ლამაზი და განსხვავებული ნაძვის ხე გამოვიდა.

— ახლა უშუალოდ ჩვენს რუბრიკაზე გადავიდეთ. ახალ წელს როგორი სამოსით შეხვდით თქვენ და ნუცა. აქტუალური ფერები თუ გაითვალისწინეთ?

— თქვეს, რომ მუქი ფერები იყო აქტუალური და მეც და ნუცასაც მუქ ფერებში, აკადემიურად გვეცვა. გველი ძალიან დინჯია, სიმშვიდე უყვარს, აქტიური არსება არ არის. შესაბამისად, ჩვენც ვეცადეთ, მშვიდად ვყოფილიყავით. როცა სიმღერა მომინდა, „მრავალჟამიერი“ არ შემომიცხია, წყნარი სიმღერა ვიმღერე. მე და ნუცას ლურჯი და ნაცრისფერი ტანსაცმელი გვეცვა. მე ნაცრისფერი შარვალი მეცვა, ნუცას — ლურჯი ზედატანი.

— ახლა შეუხამეთ თქვენ და ნუცამ ფერები თუ ყოველთვის ასე იქცევით?

— რაც მე მომწონს, იგივე მოსწონს ნუცას. ისე გამოვიყურებით ხოლმე, თითქოს ერთმა დიზაინერმა ჩაგვაცვა. როცა ერთად მივდივართ, ყოველთვის ვუთანხმებთ ერთმანეთს, რა ჩავიცვათ. ჩემი აზრით, ცოლ-ქმარი აუცილებლად ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც წყვილს შეეფერება. იმასაც გააჩნია, სად მივდივართ. ჩვენ კლასიკურისა და სპორტულის შუალედური სტილი გვაქვს არჩეული.

— ემორჩილებით დრესკოდებს?

— რასაკვირველია! თუ ამის მინიშნება არის, აუცილებლად ვითვალისწინებ. ქართველებს ეს ყოველთვის ეზარებათ და ვერაფრით ვხვდები, რატომ. არადა, ძალიან ხშირად სწორედ დრესკოდის გამო აწყობენ ამა თუ იმ ღონისძიებას. თუ გასამზადებლად დრო მექნა, აუცილებლად ვითვალისწინებ მასპინძლების თხოვნას და შესაბამისად ვიცვამ, ეს იქნება ჯინსი, კლასიკური სამოსი თუ საკარნავალო ტანსაცმელი. იმდენად არ მიყვარს, როდესაც თითით საჩვენებელი ვარ, რომ ყოველთვის ვცდილობ, ჩემი სამოსით ამოვარდნილი არ ვიყო.

— საკარნავალო სამოსს სპეციალურად იკერავთ თუ ყიდულობთ?

— ასეთ დროს ძირითადად თეატრის გარდერობში ვიქექები. ანანო მოსიძის წყალობით, მუსკომედიის თეატრში ძალიან კარგი კოსტიუმები გვაქვს. ნებისმიერ კარნავალს თუ წვეულებას ამშვენებს.

— კარნავალზე რა გცმიათ ძალიან განსხვავებული და ორიგინალური?

— გრაფ დე გიშის კოსტიუმი სპექტაკლიდან „სირანო დე ბერჟერაკი“. ისეთი ელეგანტური და მაგარია, ასეთს ვერავინ ვერსად ნახავს. რომც ნახოს, ისეთი ხარისხის მაინც ვერ იქნება.

ჰოგოს იქცა მეტალისტი მსახიობი დენდად

— როგორც მოგვიყვეთ, გიყვართ, როდესაც განსხვავებულად გაცვიათ.

— კი, მაგრამ თბილისში ვერ აცდები მასობრივი სამოსის ჩაცმას. მით უმეტეს, როდესაც ყოველდღიურ გადაცემაში გიწევს მუშაობა, ძალიან ძნელია, ყოველდღე ისეთი რაღაც ჩაიცვა, რაც სხვას არ ექნება. რა თქმა უნდა, მინდა, ცოტა განსხვავებული მეცვას, მაგრამ ეს

„ისეთი სამოსი მომწონს, ხასაც ბევრი ეჩ ჩაიცვამს. ძალიან იშვიათად ნახავთ ბიჭზე თუნდაც ასეთ ჟაკეტს“.

იმას არ ნიშნავს, ვინმეზე ჩემნაირი სამოსი რომ დავინახო, ხასიათი გამიფუჭდეს. როცა უცხოეთში ვარ გასტროლებზე, ხშირად ვეიდულობ ტანსაცმელს. თუმცა ვთვლი, რომ თბილისში შესაძლებელია ძალიან კარგად და გემოვნებით ჩაცმა. მე მაინც ისეთი სამოსი მომწონს, რასაც ბევრი არ ჩაიცვამს. ძალიან იშვიათად ნახავთ ბიჭზე თუნდაც ასეთ ჟაკეტს.

— გეთანხმებით, საკმაოდ თამამად ახალგაზრდა ისეთ ფერებს, რასაც ბევრი ვერ გარისკავს.

— ეს ჩემთვის კომპლიმენტია და ამისთვის ძალიან დიდი მადლობა. ზუსტად ისეთ ხასიათზე ვარ, როგორი სამოსიც მაცვია. ჩემს გარდერობში ღია ფერის ტანსაცმელია და ფერებს აუცილებლად ვუხამებ ერთმანეთთან. მიყვარს, როდესაც ტანსაცმელი ჩემს ხასიათს ასახავს. ვცდილობ, სულ პოზიტიურ განწყობაზე ვიყო და ასევე პოზიტიურად მეცვას. იშვიათად ნახავთ ჩემზე მუქ ტონებს, მიუხედავად იმისა, რომ შავი ძალიან მიყვარს. ნაცრისფერის და იასამნისფერის შეხამება მიყვარს, მაგრამ ამ ფერებში მაინც იშვიათად მნახავთ. ძირითადად პასტელის ფერები მიყვარს, ზაფხულში კი უფრო შხამიან, ელექტრიკ ფერებზე გადავდივარ. არ მიყვარს კლასიკური ფეხსაცმელი, ამიტომაც მხოლოდ ერთი წყვილი მაქვს. 10-12 წყვილი კედი და ბოტასი მაქვს. ფეხსაცმელი ვიტრინიდან მეძახის ხოლმე, მოდი, აჩიკო, აქ ვარო. ნუცასაც ასეთი დამოკიდებულება აქვს. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

— სანამ თქვენს სტილს იპოვიდით, ალბათ იყო ექსპერიმენტები.

— ამ მხრივ ძალიან რთული გზა მაქვს გამოვლილი. არავის გაუკვირდება გასული საუკუნის 90-იანი წლების გაჭირვება. ჩემი ძმის და მამიდაშვილის გამონაცვალის ჩაცმა მიწევდა. გაპრანჭვის და შეყვარებულობის ასაკი რომ მომივიდა, მიუხედავად იმისა, რომ ძვირფასი სამოსი არასოდეს მქონია, მაინც სულ ვცდილობდი, გემოვნებით ჩამეცვა. ჩემი ძმა, ლევანი მხატვარია, ჩემზე 4 წლით უფროსია და რაღაც პერიოდი მისი გავლენის ქვეშ მოვექეცი. ადრე მეტალისტიც ვიყავი. დახეული ჯინსები, ტყავი, ცოტა გრძელი თმა...

— ასეთი აჩიკო ალბათ უკვე ადარაგის ახსოვს.

— მართლაც არავის ვახსოვარ და ეს კარგია. მაშინ სარდაფებში იმართებოდა კონცერტები და იშვიათად თუ ვეხსომები ვინმეს იმ იმიჯით. მერე რაღაცეები გაიფილტრა, ადრე თუ მძიმე როკს ვუსმენდი, დღეს უფრო რბილ მუსიკაზე გადავედი. გემოვნება დამეხვეწა და ისე მაცვია, როგორსაც ახლა მხედავთ. ვერ ვიტყვი, რომ კარგად და

Cyan Magenta Yellow Black

გემოვნებით ვიცვამ და ვერც იმას გეტყვით, რომ ეს სტილი უგემოვნოა. ჩემ გარშემო ბევრი მეგობარი მოქცეულა ჩემი გავლენის ქვეშ. მათ სახელებს არ ვიტყვი, მაგრამ ეს კარგია. ბევრი რაღაც მათზე უფრო მომწონებია, ვიდრე ჩემზე.

— შეგიძლიათ მითხრათ, ახლა რაზე მეტყველებს თქვენი ნაცრისფერი შარვალი, კრემისფერი ჟაკეტი, თეთრი კედები და ამ ყველაფერთან ლურჯი საათი?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა კარგ ხასიათზე ვარ. გასასვლელი ვარ, მაგრამ არც ისეთი სამუშაო დღე მაქვს, რომ სხვანაირად მეცვას, სიუჟეტი უნდა გავაკეთო და იმაზეც ვიფიქრე, ფერები კადრში ნორმალურად გამოჩნდეს. ამ ჟაკეტის ზოლები ეკრანს მოუხდება. უკვე ვიცი, სცენაზე თუ ეკრანზე როგორი ტანსაცმელი ჯობია. წვრილი ზოლი არ შეიძლება, ჭრელდება. რომ გითხრათ, ამაზე ბევრს ვფიქრობ-მეთქი, მოგატყუებთ. ბევრი მაისური, ჟაკეტი, შარვალი მაქვს. ჩემს კარადაში რაც არის, ყველაფერი ერთმანეთს უხდება. ცოტა ცივა, ამიტომ იასამნისფერ დუტის ჟილეტს შემოვიცვამ და წავალ.

— ამ ფერებზე ბევრი ვერ გარისკავ და იასამნისფერი ჟილეტის შემოცვამს.

— არადა ძალიან მოუხდება. ვერ წარმომიდგენია, რადგან თეთრი კედები მაცვია, აუცილებლად თეთრი ჟილეტი მოვიცვა ან ნაცრისფერი შარვლის გამო ნაცრისფერი ჟილეტი. ვერასოდეს ჩავიცვამ ყავისფერს. სხვაზე მომწონს. ვგიჟდები, როდესაც ეს ფერი ქერას და ცისფერთვალებას აცვია, მაგრამ არ მიყვარს შავგვრემანებზე. ყავისფერი ცუდ ხასიათზე მაყენებს.

— სამოსი ადამიანის ხასიათის გამოხატულებაა. შეგიძლიათ, ტანსაცმლით მისვდეთ სხვების განწყობას?

— ფეხსაცმელს როგორი ცხვირი და ქუსლი აქვს, იმით ვხვდები, როგორია ადამიანი.

— საყიდლებზე მარტო გიყვართ სიარული?

— თუ მარტო ვარ, არ არსებობს, რამე ვიყიდო, მაგრამ თუ ნუცასთვის ვყიდულობ, მაშინ მირჩევნია, მარტო ვიყო. ცალკე რიტუალი გვაქვს საჩუქრების ყიდვის. ადრე თუ მეგობრებთან ერთად დავდიოდი, ახლა უკვე ნუცა დამყვება. ისედაც იმას ვყიდულობ, რაც მომწონს, მაგრამ მეორე თვალი მაინც სხვაა. ძალიან ხშირად გადავრეულვარ რაღაცაზე, მიყიდია, მაგრამ მეორე დილას მიფიქრია, რომ არ ჩავიცვამდი. მეზიზღება, როდესაც კარადაში ტყუილად მიდევს რამე. გარშემო ყველას გვყავს ვინმე ისეთი, ვისაც ახალი პერანგი თუ ფეხსაცმელი აუცილებლად გაუხარდება. ჩემს მეგობრებს შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვჩუქნი სამოსს.

— თქვენი ნაყიდი ტანსაცმლიდან ნუცას რა მოეწონა ყველაზე მეტად?

— ერთხელ „მაქსმარას“ კაბა ვუყიდე და გადაირია. გასტროლებზე რომ ვარ და ნუცასთვის მინდა, რამე ვიყიდო, ცოტა მეშინია, ვაითუ, კარგად არ მოუვიდეს-მეთქი. სულ ვცდილობ, ისეთი რაღაცეები ვუყიდო, რაც ნუცას ჰგავს. ალბათ თავად უკეთესად გეტყოდათ, ყველაზე მეტად რა გაუხარდა ჩემი ნაყიდი სამოსიდან. წინასაახალწლოდ თეთრი ლეპტოპი ვაჩუქე, ორივე ვგიჟდებით, ისე მოგვწონს. მე ყველა ის საჩუქარი მსიამოვნებს, რასაც საყვარელი ადამიანები მჩუქნიან. არც ფასს აქვს მნიშვნელობა და არც ხარისხს. ძვირადღირებულ რაღაცეებს არ ვითხოვ, უბრალოდ, ისეთი საჩუქრები მახარებს, რაც მათ თავს გამახსენებს.

— თქვენს ნაირ-ნაირ საათებს თვალი მოეკარი და უნდა გითხრათ, რომ ამაშიც აშკარად განსხვავდებით სხვებისგან.

— საათები ძალიან მიყვარს, ამიტომ სხვადასხვანაირი მაქვს. ჩემი ერთი საათი ახლა ნუცას უკეთია. ვგიჟდები, როდესაც საათებიც თავისას ამბობენ. ნუცასაც უამრავი საათი აქვს. სამკაულებიც უყვარს. კარგია, რომ ქალებს აქსესუარების მეტი არჩევანი გაქვთ. ყური მეც მაქვს გახვრეტილი, მაგრამ საყურე ხშირად არ მიკეთია.

„მე და ნუცა ისე გამოვიყურებით, თითქოს ეროთმა დიზაინერმა ჩაგვაცვა... ჩვენ ჯესიკუისა და სპორტული შეალდეული სტილი გვაქვს ახჩეული“.

— პროექტში „საქართველოს ვარსკვლავი“ ავთანდილი გაცმეცდათ თქვენ და თქვენს თანაწამყვან გვანცა დარასელიას. კორექტივები თუ შეგქონდათ შემოთავაზებულ ვარიანტებში?

— დისკომფორტი არასოდეს შემქმნია, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ ისეთი რაღაც მეცვა, რასაც სხვა დროს არ ჩავიცვამდი. ორივეჯერ ავთოს ვენდე და ჩავიცვი. სხვა შემთხვევებში მცირე კორექტივები თუ შემქონდა. ძალიან მარტივად გადავაგორეთ ეს ამბავი, რასაც ვთავაზობდი, ავთოსაც მოსწონდა და მისი იდეებიც მომწონდა. ერთმანეთისგან განსხვავებული და ძალიან კარგი პიჯაკები მეცვა. ძალიან რთულია კაცს ჩაცვა.

— თქვენს ჩაცმის სტილში რა როლი ითამაშა მსახიობობამ?

— თავისუფალი პროფესია მაქვს და ამიტომ მეც თავისუფლად ვიცვამ. არტისტებს ჩვენი პროფესია გვეხმარება, რომ სამოსშიც უფრო თამამები ვიყოთ. ბანკის თანამშრომლებისა თუ იურისტებისგან განსხვავებით, სამსახურში პიჯაკით მისვლა არ მევალება. თუმცა მაინც გეტყვით, რომ თეატრში შორტებით არასოდეს მივსულვარ. ამით თითქოს სამსახურისადმი პატივისცემას გამოვხატავ.

✓ ქეთი დინოშვილი

ჯანეტ ქერდიყოშვილი გრძელ თმას გათხოვებამდე ინარჩუნებს

რამ დაუტოვა „მის საქართველოს“ სახეზე ნაიარევი

„მის საქართველო 2011“, ჯანეტ ქერდიყოშვილი, ცოტა ხნის წინ ხიფათს გადაურჩა. ქუჩაზე გადასვლისას სახეზე ქვა მოხვდა. ჭრილობა იმდენად ღრმა იყო, ოთხი ნაკერი დაადეს. მართალია, ნაიარევი დარჩა, მაგრამ ექიმები ჰპირდებიან, რომ სამედიცინო ჩარევით დროთა განმავლობაში ის გაუქრება.

ჯანეტი, როგორც ყველა ლამაზი გოგო, ბავშვობიდან ყურადღებას აქცევდა გარეგნობას. დღეს კი მან ზუსტად იცის, როგორი მაკიაჟი ან ვარცხნილობა უხდება. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სტილისტების დახმარებაც არ სჭირდება. მაგალითად, „მის მსოფლიოს“ კონკურსზე მაკიაჟიც თავად გაიკეთა და თმაც. მომავლისთვის ვარცხნილობის შეცვლა სურს, საკუთარი თავი მოკლე და ფერფლისფერ თმაში წარმოუდგენია, მაგრამ გარკვეულ ეტაპამდე ამ ნაბიჯისგან თავს იკავებს. იცის პატარ-პატარა საიდუმლოებები, როგორ შენიღბოს ნაკლი და ზედმეტი კილოგრამები, რასაც „სარკის“ მკითხველებსაც სიამოვნებით უზიარებს.

— ჯანეტ, რა ასაკში გაიკეთეთ პირველი მაკიაჟი?

— მაკიაჟი ბავშვობიდან მაინტერესებდა. არ მახსოვს, ინტერნეტით თუ ვინმეს დახმარებით, მისი გაკეთებაც ვისწავლე. ჩემს ნათესავ გოგოს ძალიან ლამაზი, შვლის ნუკრის მსგავსი თვალები ჰქონდა და ძალიან მომწონდა, როცა ვხედავდი, თუ როგორ იღებავდა. საკმაოდ გვიან, მეთერთმეტე კლასში დავიწყე მაკიაჟის ხელოვნების შესწავლა და დღემდე თვითონ ვიკეთებ.

„სამი სანტიმეტრით მაღალი ჰომ ვიყო, სამოდელო ჯაჰიეჰას გავაგჰძელებდი“.

— მაკიაჟით სახეზე რის გამოკვეთას ცდილობთ, აქცენტს რაზე აკეთებთ?

— ჩემი აზრით, როცა ადამიანს პირველად ხედავ, თვალებს აქცევ ყურადღებას. სადღაც წავიკითხე, რომ კაცები ქალებს, პირველ რიგში, თვალებზე აკვირდებიან. ზაფხულში თვალებზე ფერადი ჩრდილების გამოყენება მიყვარს. ყველა ადამიანის თვალის ფორმა განსხვავებულია, ზოგი აწეულია, ზოგი ღრმად ზის და ა.შ. დავაკვირდი, რომ ასაკში შესულ ქალებს არ →34

Cyan Magenta Yellow Black

უხდებათ თვალის ფანქარი, რადგან ქუთუთოები დაბლა ეწევათ და ფანქარი ამას ხაზს მეტად უსვამს. თვალების შეღებვისას თავიდან ღია ფერის ჩრდილი უნდა გამოვიყენოთ და თვალების დაბოლოებებისკენ — მუქი. ასე თვალი უფრო დიდი ჩანს.

რაც არ მიყვარს, ეს არის ტუჩსაცხი. თითქმის არასდროს ვიღებავ ტუჩებს. მგონია, რომ არ მიხდება. ტუჩებზე აქცენტს მაშინ აკეთებენ, როცა მკრთალი სახე და მცირე ზომის ნაკვთები აქვთ. მე დიდი თვალები მაქვს და ტუჩების შეღებვა უკვე ვულგარულად მეჩვენება. შეიძლება ვცდები კიდეც. ფრჩხილის ლაქსაც თვითონ ვისვამ.

„თითქმის არასდროს ვიღებავ ტუჩებს. მე დიდი თვალები მაქვს და ტუჩების შეღებვა უკვე ვულგარულად მეჩვენება".

— რუსეთში დიდხანს ცხოვრობდით და ალბათ შეგიძლიათ შეადაროთ რუსი და ქართველი ქალები, რა განსხვავებაა მათ შორის.

— აქ უფრო კრიტიკულები არიან. რაც უნდა ჩაიცვა, ვიღაც მაინც გაგაკრიტიკებს. რუსეთში ჩვეულებრივ მოსახლეობას არ აინტერესებს, ვის რა აცვია. ჩვენთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გემოვნებით იცვამენ. საქართველოში შეუძლიათ, არაფრისგან ისე ჩაიცვან, რომ ყურადღება მიიქციონ. რუსეთში ჩვეულებრივი ხალხი ძალიან უბრალოდ იცვამს. მოსკოვში ცოტა ხნის წინ ვიყავი. რომ ჩავედი, მაშინვე მიხვდნენ, იქაური არ ვიყავი. დაბრუნებულს კი ყველა მეკითხებოდა, მოსკოვიდან ხომ არ ჩამოხვედი, ჩაცმულობაზე გეტყობაო. აქედან მუქი სამოსით წავედი და იქიდან ბრჭყვიალა ტანსაცმლით და აქსესუარებით დავბრუნდი.

— საკმაოდ ექსტრავაგანტურად გამოიყურებით. გიყვართ გარეგნობით ყურადღების მიქცევა?

— წვეულებაზე მივდივარ და იმიტომ გამოვიყურები ასე. თან სადღესასწაულო დღეებია. სხვაზე მომწონს, გამორჩეულად როცა იცვამენ, თვითონ კი არ მიყვარს ექსტრავაგანტურობა.

— გარეგნობაზე ექსპერიმენტების ჩატარება თუ გაინტერესებთ?

— ყოველთვის მინდოდა, მოკლე და ფერფლისფერი თმა მქონოდა. ახლა გადავწყვიტე, რომ გათხოვებამდე მქონდეს გრძელი თმა და გათხოვების მერე შევიჭრა და შევიღებო. ისე კი, ექსპერიმენტების დიდად მოყვარული არ ვარ, ადვილად ვერ ვრისკავ.

— გათხოვებას რატომ ელოდებით, რომ თმა შეიჭრათ?

— ქორწილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ და მინდა, ამ დღეს გრძელი თმა მქონდეს. მსურს, ჩემი კაბა გრძელი შლეიფით იყოს. დაახლოებით ისეთი, როგორიც პრინცესა დაიანას ეცვა. არ მიყვარს, როცა პატარძალი ბევრს ცეკვავს. ვიცი, რომ მამაჩემის, ჩემი ძმის და ქმრის გარდა არავის ვეცეკვები. მინდა, რომ ქორწილში მეორე კაბა ჩავიცვა და, რაც მთავარია, ეს დღე ორ ქალაქში აღვნიშნო, აქ და მოსკოვში.

— ისე ლაპარაკობთ, შგონი, ქორწილი უკვე დაგეგმილი გაქვთ. საქმრო გყავთ?

— სამწუხაროდ, არა, მაგრამ ახალი წელი დადგა, სურვილები ჩავიფიქრე და ვნახოთ. ახალი წლის ღამეს, 12 საათზე, ხელსახოცზე სურვილებს ვწერ, ვწვავ, ფერფლს შამპანურში ვყრი და ვსვამ. ყოველთვის მისრულდება ჩაფიქრებული სურვილი. მაგალითად, 2011 წელს ვისურვე, „მის საქართველო" გავმხდარიყავი და ამისრულდა...

— სარკის წინ დგომისას თქვენს გარეგნობაში რა მოგწონთ და რა — არა?

— არ მესმის იმ კატეგორიის გოგონების, სარკის წინ რომ დგანან და ფეხის სიგრძეს ან ცხვირის ფორმას უწუნებენ საკუთარ თავს. ყოველთვის უფლის მადლობელი უნდა იყო იმით, რაც მოგცა. თუკი საჭიროა, არ ვარ პლასტიკური ქირურგიის წინააღმდეგი, მაგრამ ზედმეტი არაფერი მიყვარს. არ ვარ ისეთი, სარკის წინ მდგომი საკუთარ თავს ვეუბნებოდე, რომ ძალიან კარგი ვარ, მაგრამ არც ვწუწუნებ. ცოტა ხნის წინ რუსეთში წასვლამდე შემემთხვა ასეთი ამბავი: ქუჩაზე გადასვლისას, არ ვიცი, ვიღაცამ მესროლა თუ მანქანის ბორბალმა აისხლიტა, სახეზე კენჭი ისეთი ძალით მომხვდა, რომ ოთხი ნაკერის დადება დამჭირდა. ახლა ოდნავ მეტყობა პატარა ნაიარევი, მაგრამ მამშვიდებენ, რომ დროთა განმავლობაში სამედიცინო ჩარევებით გააქრობენ. მაშინაც კი, სარკეში რომ ვიყურებოდი და სამედიცინო ბინტი მქონდა სახეზე, ვცდილობდი, არ მეწუწუნა, მით უმეტეს, რომ სახე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობდი, მადლობა ღმერთს, ის კენჭი თვალში არ მომხვდა-მეთქი.

„ჯოსმეტოლოგთან ნელინადში ოჯეს მივდივარ და ვეკითხები, მჭირდება თუ არა რაიმეს გაკეთება კანზე. ჩოგორც წესი, უარით მისტუმრებს".

— არასდეს ხართ ისეთ განწყობაზე, როცა საკუთარი გარეგნობა არ მოგწონთ და არსად წასვლა არ გინდათ?

— ასეთი რამ არ მახსენდება. პირიქით, სულ მინდა, მოძრაობაში ვიყო. ყოველთვის სიახლის ძიებაში ვარ. წონას დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალი წლების მერე ბევრი იმატებს. ასეთ დროს არაფერი მოგწონს საკუთარ თავზე და გარეთ გასვლაც არ გინდა.

„გადავწყვიტე, გათხოვებამდე თმა არ შევიჭრა... ქორწილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ და მინდა, ამ დღეს გრძელი თმა მქონდეს".

— თქვენ რას აკეთებთ, რომ არ მოიმატოთ?

— რუსეთში ყოფნისას სულ ვიმატებ, რადგან იქ სავაჭრო ცენტრებში სიარულისას მუდმივად ვჭამ. ჩემი სისუსტე ტკბილეულია, რაზეც უარს ვერ ვამბობ. მაგრამ ახლა ისე დავბრუნდი მოსკოვიდან, არ მომიმატია. ვცდილობ, სწორად ვიკვებო, რადგან დიეტას აზრი არ აქვს, მისი დასრულების მერე მაინც აკრიფავ დაკარგულ კილოგრამებს. დავაკვირდი, რომ თუ საღამოს 6 საათის მერე არაფერს შეჭამ, დღის განმავლობაში როგორც უნდა იკვებო, არ მოიმატებ. მეც ამას ვცდილობ. ან ხშირად უნდა იკვებო და ცოტ-ცოტა. ესეც ეფექტურია.

— თქვენი გარეგნობა კრიტიკის თემა გამხდარა?

— როგორ არა, მაგრამ კრიტიკა მიმიღია. ყველამ იცის, რა ნაკლი აქვს, როგორ დაფაროს და დადებით მხარეს როგორ გაუსვას ხაზი. სოციალურ ქსელში წამიკითხავს, რომ არ მაქვს „მის საქართველოს" გარეგნობა. ეს თავიდან მწყინდა, მაგრამ ახლა უკვე ყურადღებას არ ვაქცევ.

— თუ საიდუმლო არაა, რა არის თქვენი ნაკლი გარეგნობაში?

— ვფიქრობ, სამი სანტიმეტრით მაღალი რომ ვიყო, სამოდელო კარიერას გავაგრძელებდი. მეტრი და სამოცდათხუთმეტი ვარ. როცა ვიმატებ, ფეხებზე მემჩნევა და ასეთ დროს ვინიღებები ხოლმე. სხვათა შორის, როცა ადამიანი წონაში იმატებს, დაბლები არ უნდა ჩაიცვას. ასეთ დროს ყველაზე კარგი გამოსავალი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებია.

— უფროსი თაობისგან, დედისგან და ბებიისგან რა ისწავლეთ თავის მოვლასთან დაკავშირებით?

— დედას მაკიაჟის გამოყენება არ უყვარს. პირიქით, ხშირად მე ვურჩევ, როგორი მაკიაჟი გაიკეთოს და რა ვარცხნილობა მოუხდება. რაც შეეხება ბებიის რჩევებს, მისგან ვიცი, რომ კანის გასაწმენდად კარგია მჭადის ფქვილი. ერთხელ გამოვიყენე ეს რეცეპტი და მომეწონა, მაგრამ ზოგადად შინაური რეცეპტებით თავის მოვლა არ მიყვარს, არც დრო მაქვს. ერთხელ თმის ნიღაბი გავიკეთე მაიონეზით, ლიმონით და კონიაკით, რომელიც მთელი ღამე უნდა დამეტოვებინა. კოშმარად მახსოვს ის ღამე!

— ძალიან გრძელი და ლამაზი თმა გაქვთ. როგორ უვლით მას?

— ვარცხნილობას ხშირად თვითონ ვიკეთებ, რადგან ყველაზე კარგად მე ვიცი, რა მიხდება. „მის მსოფლიოზეც" მე გავიკეთე ვარცხნილობა. სტილისტები ყველაფერს სტანდარტულად აკეთებენ, არადა ყველას ინდივიდუალური გარეგნობა აქვს. რაც შეეხება თმის მოვლას, არასდროს მენანება ფული შამპუნებზე, კონდიციონერებსა და ნიღბებზე. თმის ნიღაბს კვირაში ერთხელ ვიკეთებ, მეტჯერ არ შეიძლება. კონდიციონერი კი, თუ მოცულობა გაინტერესებთ, ძირებზე არ უნდა წაისვათ, არამედ ბოლოებზე, რომ თმა არ დავარდეს.

— კანს როგორ უვლით?

— კოსმეტოლოგთან წელიწადში ორჯერ მივდივარ და ვეკითხები, მჭირდება თუ არა რაიმეს გაკეთება კანზე. როგორც წესი, უარით მისტუმრებს. ჯერჯერობით კანს განსაკუთრებულად არ ვუვლი.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

2012 წლის სკანდალები

სკანდალები პოპულარულ ადამიანებს ეხმარება გაყიდონ თავიანთი პროდუქტი, ახალი ფილმი, ახალი სინგლი ან უბრალოდ მთელი მსოფლიო აალაპარაკონ. გავიხსენოთ გასული წლის რამდენიმე ისტორია, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა.

ესპანეთის მეფის ფახული ჰომანი

სკანდალის მიზეზი: პრესამ მეფის ღალატი გამოაქვეყნა

2012 წლის აპრილში ცნობილი გახდა, რომ ესპანეთის 74 წლის მეფე ხუან კარლოსი ცოლს ღალატობს, რომელთანაც 50 წლიანი ოჯახური ცხოვრება აკავშირებს. უცნობია, როდის დაიწყო ხუან კარლოსისა და 47 წლის გერმანელი პრინცესას, კორინა საინ-ვიტგენშტეინის ფარული რომანი. პირველად ეს წყვილი 2006 წელს ბარსელონაში შენიშნეს, შემდეგ კი ქალი მონარქის საზღვარგარეთული ვიზიტების დროს ხშირად ჩნდებოდა.

ესპანური პრესა ამ ინტრიგის გარშემო თვალს კარგახანს ხუჭავდა, სანამ ესპანეთის მეფე სპილოებზე სანადიროდ ბოცვანაში არ წავიდა. სპილოებზე ნადირობა ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა. ეკონომიკური კრიზისის ფონზე ესპანელები მეფის ამ ფუფუნებით შეურაცხყოფილები დარჩნენ და პრესაში მაშინვე იფეთქა ღალატის ფოტოებმა. დედოფალი ქმრის ღალატს ჯერჯერობით მოთმინებით იტანს.

ჯისტენ სტიუარტი და ჰობერტ პატინსონი

სკანდალის მიზეზი: ღალატი

22 წლის კრისტენ სტიუარტი და 26 წლის რობერტ პატინსონი 2012 წლის ყველაზე აქტუალური და სკანდალური წყვილი იყო. წყვილი, რომლის სიყვარულიც იდეალურად მიაჩნდა მთელ თუ არა, ნახევარ მსოფლიოს, ღალატმა დააშორა. კრისტენმა ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომ თვით ყოვლისმნახველი ჰოლივუდიც კი აღაშფოთა. მან პატინსონს ცოლიან მამაკაცთან უღალატა. ეს ამბავი პაპარაცულმა ფოტოებმა დააფიქსირა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მოღალატე წყვილი დამალვას არც ცდილობდა.

მომხდარის შემდეგ კრისტენმა ღალატი მალევე აღიარა: „ჩემი ღალატი გაუმართლებელია, რუპერტთან სექსი, ვიცი, დანაშაული იყო, მაგრამ ამავე დროს — საინტერესო“.

ამ სკანდალურ აღიარებას მოჰყვა ბოდიში რობერტის წინაშე, მაგრამ, როგორც ნამდვილი კაცი მოიქცეოდა, რობერტმაც ჯერ მიატოვა მოღალატე შეყვარებული, ხოლო შემდეგ შეურიგდა.

ჯუზისა და დეპის გაყრები

სკანდალის მიზეზი: ჯარსკვლავური ოჯახების მოჩვენებითი სტაბილურობა

2012 წლის ზაფხულში ჰოლივუდში სტაბილური ოჯახისა და სიყვარულის შესახებ წარმოდგენები გაქრა. პრესაში ჯერ გაჩნდა ამბავი, რომ ჯონი დეპი და ვანესა პარადი 14 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდნენ. →37

კარფური

ყოველთვის დაბალი ფასები

ფასდაკლების აქცია ჯაჰფუჰში

9 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით!

სასაჩუქრე ბარათები ჯაჰფუჰისგან!

აჩუქეთ საყვარელ ადამიანს
ჯაჰფუჰის სასაჩუქრე ბარათი,
ჰათა თავად აირჩიოს ის, რაც სურს!

სამუშაო საათები: 09:30–22:00
თბილისი მოლი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–16 კმ.

www.carrefour.com.ge | www.facebook.com/CarrefourGeorgia

ერთ კვირაში ტომ კრუზისა და კეიტი ჰოლმსის 7 წლიან ოჯახურ ცხოვრებასაც დაესვა წერტილი. კიდევ უფრო საკვირველი იყო, რომ კეიტმა მულტიმილიონერ ქმარს არაფერი მოსთხოვა, არც ფულადი კომპენსაცია, გარდა იმისა, რომ მათ ქალიშვილ სურიზე იზრუნოს. აი, ვანესა პარადიმ კი განქორწინებაში 160 მილიონი მიიღო.

პრინცი ჰარი და ჯემბრიჯის ჰერცოგინია ჯეიტი

სკანდალის მიზეზი: სტრიპტიზი

2012 წელს ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეტ მეორეს თავისი შთამომავლობის საქციელის გამო გული რამდენჯერმე შეუქანდა. გასული წლის აგვისტოში 86 წლის დედოფლის განრისხება 28 წლის

შვილიშვილის, პრინც ჰარის საქციელმა გამოიწვია. ის ლას ვეგასში წვეულებაზე გაემგზავრა, სადაც ბოლომდე აიწყვიტა. ჯერ აუზში ტანსაცმლიანად ჩახტა ოლიმპიურ ჩემპიონ რაიან ლოხტესთან ერთად, შემდეგ კი გოგონებს გახდაზე ბილიარდი ეთამაშა. პრინცის სიახლოვეს პაპარაციც აღმოჩნდა და შიშველი პრინცის ფოტოები ინტერნეტსაიტს 16 ათას დოლარად მიჰყიდა. სკანდალი ისეთი რეზონანსული იყო, რომ სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური გვერდი — „მხარი დავუჭიროთ შიშველ პრინცს“.

ერთი თვეც არც იყო გასული ამ სკანდალიდან, რომ უკვე პრესა პრინც უილიამის ცოლის, კეიტის შიშველი ფოტოებით აჭრელდა. პაპარაცებმა სკანდალური ფოტოები პარიზის სასტუმროში გადაიღეს, სადაც ახალდაქორწინებულები ცხოვრობდნენ. საბოლოოდ ყველანაირი სკანდალი გადაფარა წლის ბოლოს კეიტის ორსულობის ამბავმა.

ჰოლი ბერი და მისი მამაკაცები

სკანდალის მიზეზი: ახლანდელი და ყოფილი მამაკაცების ჩხუბი

ჰოლი ბერის საქმრომ ოლივიე მარტინესმა და მსახიობის შვილის, 4 წლის ნალის მამამ, გაბრიელ ობიმ, ურთიერთობები ქუჩური წესებით გაარჩიეს. მორიგი სასამართლო პროცესის შემდეგ ბავშვზე მზრუნველობა ჰოლი ბერიმ მოიპოვა, თუმცა ბავშვის მამისათვის, გაბრიელისთვის, ყოველთვიური ალიმენტის 20 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა. ამავდროულად მას ამერიკის საზღვრებიდან ბავშვის გაყვანა აეკრძალა. ჩხუბის მიზეზიც ეს გახდა, რადგან მარტინესი საყვარელი ქალისა და მისი შვილის საფრანგეთში გაყვანას ვერ ახერხებდა. ჩხუბის შემდეგ ყველაზე მეტად მარტინესი დაშავდა, რომელსაც სახეზე ნაკერებიც დაადეს. მისმა ნაცემმა ფოტომ ერთი კვირაში მსოფლიო ბულვარული ჟურნალების ყდები მოიარა.

astellas

ფოსფალუგელი

ალუმინის ფოსფატი-10.4გ სორბიტოლი-4.48გ

გულძმარვისა და ნაწლავური ინტოქსიკაციის სამკურნალოდ

- ბავშვებისათვის
- ორსულებისათვის
- მოზრდილებისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი:
„აკერსი ფარმა,“ ალმაშენებლის 148/2

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

კეტი პერი

კეტი პერი და დენიელ კრეიგი – 2012-ის ყველაზე სექსუალურები და გემოვნებიანები

ამერიკელი მომღერალი კეტი პერი 2012 წლის ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელეს. გამოკითხვა მამაკაცურმა ჟურნალმა „მენს ჰელსმა“ ჩაატარა. წლის 100 ყველაზე ლამაზი და სექსუალური ქალის სიაში მოხვდნენ მსახიობები, ტელევარსკვლავები და ფოტომოდელები. 28 წლის კეტი პერის ღირსებებიდან მამაკაცებმა შემდეგი თვისებები გამოყვეს — წარმატებული კარიერა, იუმორის გრძნობა და უნარი, მამაკაცებში ყოველთვის აღფრთოვანება გამოიწვიოს.

ლამაზმანთა ათეული კი ასე გამოიყურება: მილა კუნისი, კრისტინა ჰენდრიქსი, ჯენიფერ ლოურენსი, ჯენიფერ ენისტონი, სკარლეტ იოჰანსონი, ანჯელინა ჯოლი, ბიონსე, ჟიზელ ბანდჩენი და ამბერ ჰერდი. ყველასათვის მოულოდნელად, ჯენიფერ ლოპესმა 72-ე ადგილზე გადაინაცვლა.

მეორე მამაკაცურმა ჟურნალმა „ჯიქიუმ“ გასული წლის ყველაზე გემოვნებიანი მამაკაცები დაასახელა. ლიდერობა რეიტინგში 44 წლის დენიელ კრეიგმა არავის დაუთმო. ეს გასაკვირი არც იყო. 2012 წელი ხომ ჯეიმს ბონდის საიუბილეო წელი გახლდათ. მეორე ადგილზე 25 წლის ზაკ ეფრონი გავიდა. გემოვნებიან ათეულში ასევე მოხვდნენ: დევიდ ბექჰემი, ბრუნო მარსი, იენ მაკგრეგორი, რობერტ პატინსონი, ჯოზეფ გორდონ-ლევიტი, ტაისონ ჩენდლერი, ჯასტინ ტერუ და ნიკ ჯონსი.

დინი ვირსალაძე: „მეგონა, საფრანგეთიდან 100 კილო ჩამოვიდოდი“

„სპილოზე დაჯდომა პირველმა მე გავბედე“

■ დინი ვირსალაძე

ბიანისტი დინი ვირსალაძე არც ერთ ქვეყანაში გრძნობს თავს უცხოდ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მოგზაურობს მარტო. ყველგან ნახულობს მისთვის საინტერესოს. უცხო ქვეყნის ხელოვნებას სიამოვნებით ეცნობა. თუ კონცერტებიც უწევს, ორმაგად იმუხტება დადებითი ენერგიით. ასეთი შემთხვევებისთვის ყოველთვის წინასწარ სწავლობს ადგილობრივ ენაზე რამდენიმე ფრაზას, რათა მაყურებელთან უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს. ფოტოაპარატით ხელში უცხო ქალაქის ქუჩებში მარტო ხეტიალიც ძალიან უყვარს, თანამგზავრების გარეშე. სადაც ჩადის, ცდილობს, ყველაფერი ნახოს და გაიცნოს — მუზეუმებიც, ატრაქციონებიც და ეგზოტიკური ცხოველებიც.

— ქალბატონო დინი, რას ნიშნავს თქვენთვის მოგზაურობა?

— მოგზაურობა ჩემთვის ერთ-ერთი უდიდესი სიამოვნებაა და ვფიქრობ, რომ გამონაკლისი არ ვარ. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ქვეყნიდან გასვლა ხშირად მიწევს. როცა მოგზაურობა კონცერტებთანაა დაკავშირებული, ორმაგად სასიამოვნო პროცესია. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. საზღვარგარეთ იმდენად სასიამოვნო დაღლას ვგრძნობ, რომ უკან ორმაგი ენერგია მიბრუნდება, რაც ჩემთვის უდიდესი სტიმულია.

— გასამგზავრებლად როგორ ემზადებით?

— შეუძლებელია ყველა ქვეყანაზე ყველაფერი ვიცოდე, ამიტომ სადაც მივემგზავრები, ვცდილობ, იმ ქვეყნის ისტორიას გადავხედო და მათ ენაზე საჭირო ფრაზები ვისწავლო. უცხოელ მაყურებელზე საოცრად მოქმედებს, მათ ენაზე რომ მივმართავ. ამიტომაცაა, უცხოელი ვარსკვლავები საქართველოში აქცენტით ჩვენს ენაზე რომ გვესალმებიან.

— საქმესთან ერთად ქვეყნის დათვალიერებასაც ახერხებთ?

— როცა გასტროლზე მივემგზავრები, მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული გრაფიკი მაქვს, ღირსშესანიშნაობების, ძეგლებისა და მუზეუმების ნახვა ყოველთვის მაქვს გათვალისწინებული. შეიძლება სხვა ქვეყანაში თვეობით იყო, მაგრამ ყველაფრის ნახვა მაინც შეუძლებელია. ამისთვის წლები და შეიძლება მთელი ცხოვრებაც დაგჭირდეს. ასე თუ ისე, უცხო ქვეყანაში მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობებს ყოველთვის ვნახულობ.

— ყველაზე მეტად რომელ ქვეყანაში გიყვართ ჩასვლა?

— ვფიქრობ, ყველა ქვეყანას თავისებური ხიბლი აქვს და რომელიმეს ცალკე გამოყოფა ჩემთვის ძალიან რთულია. ჯაზი ამერიკაში დაიბადა, ჩემი პროფესიის ქვეყანაა და ჩემთვის ამ კუთხითაა საინტერესო, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. დიდი ქალაქები, სწრაფი ტემპი და თანამედროვეობა უფრო მეტად მიტაცებს და ასეთ ქალაქებში თავს კარგად ვგრძნობ.

— როცა ჯაზის სამშობლოში პირველად მოსულხართ, რა იგრძენით?

— ამერიკაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ვიყავი. ამ ქვეყანამ ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, პირველ რიგში, თავისი გრანდიოზულობით მოახდინა და შემდეგ — დისნეის სამყაროთი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ასაკში აღარ ვიყავი, წავედი და ყველა ატრაქციონზე გავერთე. ზოგიერთი მართლა ძალიან საშიშია, მაგრამ ადრენალინი იმდენად დიდია, რომ ეს შიში გადავლახე.

ამერიკაში გასტროლზე გახლდით. იქ ძალიან თბილ ოჯახში ვცხოვრობდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკელები სიყვარულის გამოხატვაში ქართველებს არაფრით ჩამოუვარდებიან. სახლიდან რომ გავიდოდი, ოჯახის უფროსი იმხელა პასუხისმგებლობას გრძნობდა, როგორც საკუთარ შვილს, ისე მელოდებოდა. ოჯახს სამი ქალიშვილი ჰყავდა და მე რომ მიმიღეს, მეოთხე ხარო, გამომიცხადეს.

„მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ასაკში აღარ ვიყავი, წავედი და ყველა ატრაქციონზე გავერთე. ზოგიერთი მართლა ძალიან საშიშია, მაგრამ ადრენალინი იმდენად დიდია, რომ ეს შიში გადავლახე“.

ამერიკაში ყველაფერი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ნიუ იორკი განსაკუთრებულია. ეს არის ქალაქი, რომელიც სულ განცვიფრებს. ხელოვანი ხალხის რაოდენობა საგრძნობლად დიდია. გარშემო სულ რაღაც ხდება, კლასიკური მუსიკის ფესტივალები და კონცერტები ხშირია. ქუჩაშიც კი ისეთი მუსიკოსები უკრავენ და მღერიან, გაგიკვირდებათ. ასეთი დონის მუსიკოსს ქუჩაში რა უნდა-მეთქი, ვფიქრობდი. ისეც მომხდარა, როცა მეტროში დავმდგარვარ, მუსიკოსებისთვის მომისმენია და მნიშვნელოვან შეხვედრაზე დამიგვიანია. ვიცოდი, რომ მაგვიანდებოდა, მაგრამ ვერ ვწყდებოდი. ჯაზკლუბში ან უბრალოდ კაფეში გასაოცარი მუსიკოსები უკრავენ და მღერიან.

ამერიკაში აქცენტს ძირითადად მუსიკაზე

■ ნიუ იორკში

და მუზეუმებზე ვაკეთებდი. „მოდერნ არტ მუზეუმს“ აღვნიშნავდი, რომელიც ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. იქ ისეთი რაღაცეები ვნახე, შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ ადამიანის ფანტაზია აქამდე მივიდა.

მიყვარს ამერიკა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შვეიცარიის უდიდეს ქალაქ ციურიხში თავს ცუდად ვგრძნობდი.

— ციურიხი რითი დაგამახსოვრდათ?

— ეს ქალაქი შემთხვევით არ მიხსენებია. ძალიან წყნარი ქალაქია, ყველა ადრე იძინებს და მშვიდი ცხოვრება იგრძნობა. იქ თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის ქალაქში ცხოვრება ჩემნაირი ნატურისთვის რთული იქნება. შეიძლება ვცდები, მაგრამ ერთი ჩასვლით ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. თბილისში სასწაული ტემპით ვცხოვრობ, დაძაბულობა ალბათ ყველა ადამიანზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ ასეთ გადარბენაზე ცხოვრებას იმდენად მივეჩვიე, სხვანაირად ვერც შევძლებდი.

— მოგზაურობა ვისთან ერთად გიწყვეთ?

— სამწუხაროდ, ძირითადად მარტო ვმოგზაურობ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ფესტივალიდან მიწევდა ჯგუფთან ერთადაც მქონია. მარტო გამგზავრება და უცხო მუსიკოსებთან ერთად დაკვრა ძალიან დიდი სიამოვნება და ახალი გამოცდილების შეძენაა, მაგრამ გასტროლზე ჩემს ჯგუფთან ერთად ჩასვლა კიდევ სხვა სიხარულია. „ჯგუფი საქართველოდან!“ — მეამაყება, როცა ფესტივალზე ამ სიტყვებით წარგვადგენენ.

— მარტო მოგზაურობა მოსაწყენი არ არის?

— მე არასოდეს ვიწყენ. ყოველთვის ვპოულობ რაღაცას, რომ თავი გავირთო. როცა უცხო ქალაქში ფოტოაპარატით ხელში მარტო დავდივარ, საოცარი გრძნობაა! არავინ გიცნობს და შენთვის მშვიდად ათვალიერებ ქალაქს. ამდენი მოგზაურობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ უცხო ქალაქების ქუჩებში მშვენივრად ვიკვლევ გზას. სასტუმროდან რომ გამოვდივარ, ვცდილობ, გზები დავიმახსოვრო და კარგადაც გამომდის. რუკასაც ვიყენებ, მაგრამ მის გარეშეც გადასარევად ვაგნებ სასურველ ადგილს. ძალიან რთულია, პარიზში დაიკარგო. იქ რუკის გარეშეც მშვენივრად დავდივარ.

„ამერიკაში ქუჩაშიც კი ისეთი მუსიკოსები უკრავენ და მღერიან, გაგიკვირდებათ. ასეთი დონის მუსიკოსს ქუჩაში რა უნდა-მეთქი, ვფიქრობდი. ისეც მომხდარა, როცა მეტროში დავმდგარვარ, მუსიკოსებისთვის მომისმენია და მნიშვნელოვან შეხვედრაზე დამიგვიანია“.

— საყიდლებს რა დროს უთმობთ?

— ძალიან მიყვარს შოპინგი. განსაკუთრებით მიყვარს ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის საჩუქრების ყიდვა. ვცდილობ, გავითვალისწინო, ვის რა მოსწონს და რა სჭირდება. მუსიკალურ ალბომებს ვყიდულობ ჩემთვის და რამდენიმე მელომანი მეგობრისთვის. სუვენირების შეძენაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს, განსაკუთრებით მაგნიტების და ისეთი ნივთების ყიდვა მიყვარს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას გაგახსენებს.

— თქვენთვის ყველაზე ხშირად რას ყიდულობთ?

— ვინაიდან ცურვა ძალიან მიყვარს, სადაც ჩავდივარ, საცურაო →40

Cyan Magenta Yellow Black

კოსტიუმს ყოველთვის ვიძენ. საზღვარგარეთ აუზზე სიარულს იშვიათად ვახერხებ. გერმანიაში ერთ-ერთმა მუსიკოსმა იზრუნა და აბონემენტი მაჩუქა, თან იცოდა ჩემი გატაცების შესახებ. საქმის პარალელურად ცურვასაც ვახერხებდი. წყალი ჩემთვის ნამდვილი ჟანგბადია და საქართველოში ერთ თვეს თუ ჩავაგდებ, უკვე ვიხრჩობი. გარდა ამისა, სახატავი მასალების შეძენაც საოცრად მიყვარს. სახლში რაც უნდა დიდი რაოდენობის მასალა მქონდეს, საზღვარგარეთ მაინც ყველაფრის ყიდვა მინდება. ამისთვის ფული არასოდეს მენანება.

■ ინდოეთში

— უსაამოვნო განცდები თუ გამოგყოლიათ რომელიმე მოგზაურობიდან?

— კი, როგორ არა. გასულ წელს მთელი ორკესტრი უკრაინაში, ქალაქ ჟიტომირში ვიყავით. ლენინის ძეგლთან, ცენტრში ვცხოვრობდით, სადაც სკულპტურული ტანკები იდგა. უცებ ამ გარემოში ისეთ კაფეს წავაწყდი, განცვიფრებული დავრჩი. იქ გადაღებულ ფოტოს ვინც ნახულობს, ყველას შვეიცარია ან ბელგია ჰგონია. ისეთი საოცარი კაფე იყო თავისი შოკოლადებით, ყავითა და ნამცხვრებით, სურათსაც რომ ვუყურებ, იმ სურნელს ვგრძნობ. საოცარი კონტრასტი იყო, მაგრამ ქალაქმა საშინელი შთაბეჭდილება დამიტოვა. იქაურობა ჩემთვის სიცივესთან ასოცირდება. მართალია, ერთი ღამე დავრჩით, მაგრამ სასტუმროშიც კი ციოდა... ჟიტომირი ცუდად მახსენდება.

„ბასტჰოლზე ჩემს ჯგუფთან ეთად ჩასვლა ჯიდევ სხვა სიხარელია. „ჯგუფი საქართველოდან!" — მეამაყება, ოცა ფესტივალზე ამ სიტყვებით ნაჩგვადგენენ".

— საზღვარგარეთ რა არის თქვენთვის მიუღებელი?

— საზღვარგარეთ წყვილი ან თუნდაც მეგობრები კაფეში რომ შევლენ და ყველა თავის ანგარიშს გადაიხდის, ეს არამხოლოდ ჩემთვის, ალბათ ყველა ქართველისთვის მიუღებელია და ცოტა უცნაურიც. ამბობენ, რომ ეს წესი საქართველოშიც შემოვიდა, მაგრამ ჩემ გარშემო ასეთი რაღაც არ ხდება, პირიქით, თუ სადმე კაფეში დავსხდებით, ერთმანეთს ვასწრებთ გადახდას. ყველა ქვეყანას თავისი პლუსი და მინუსი აქვს. ყველა კულტურას პატივს ვცემ.

— კიდევ რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?

— გერმანიაში ბევრჯერ ვარ ნამყოფი. საოცარი კულტურა აქვთ. არ მესმის მათი, ვინც გერმანელებს ცივ ხალხად მოიხსენიებენ. შეიძლება მე მწყალობს ბედი და ყველგან თბილი ადამიანები მხვდებიან. იქ თითქმის ყველა ქალაქში მეგობარი გავიჩინე. ვერ ვიტყვი, რომ შვეიცარია, შვედეთი და გერმანია ცივია. გერმანიაში ანონსს 2 კვირით ადრე რომ ნახავენ, მიუხედავად იმისა, რომ არავინ მიცნობს, ჩემს კონცერტზე სხვადასხვა ქალაქიდანაც ჩამოდიან. იქ ახალი ყოველთვის აინტერესებთ, რაც ძალიან დასაფასებელია.

ბერლინმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჩემი სიდი გამოვიდა. რასაკვირველია, ესეც გარკვეულ სითბოს მგვრის, მაგრამ ბერლინი ხელოვნების თვალსაზრისით საოცარი ქალაქია, სულ კონცერტები, გამოფენები და ფესტივალებია. ვფიქრობ ხოლმე, სად წავიდე და რომლის ნახვა მოვასწრო. იქაც საოცარი მუზეუმები დავათვალიერე. ეროვნულ მუზეუმში ბოტიჩელის რამდენიმე განსაკუთებული ნამუშევარი ვნახე. ფერწერა ჩემზე საოცრად მოქმედებს, ენერგიით მავსებს.

— საზღვარგარეთ ყოფნის დროს საქართველო არ გაგსატრებთ?

— 2-3 დღეში თბილისი უკვე მენატრება. გული მწყდება ხოლმე, რომ ჩემი ოჯახის წევრები იმ ყველაფერს ვერ ხედავენ, რაც საზღვარგარეთ ხდება. მინდა, მათაც ჩემსავით ყველაფერი დაათვალიერონ, სიხარული და შთაბეჭდილებები გაიზიარონ. კიდევ კარგი, რომ ინტერნეტი და სკაიპი არსებობს. ჩემებს ინტერნეტის საშუალებით ვეკონტაქტები. შეიძლება ოდესმე საზღვარგარეთ ცხოვრება მომიხდეს, მაგრამ თბილისი იმდენად მიყვარს, მირჩევნია, აქ ვიცხოვრო კარგად და სხვა ქვეყნებში ვიმოგზაურო. ეს ჩემი ცხოვრების იდეალური გრაფიკია.

— თვითმფრინავში რიგორ გრძნობთ თავს?

— ვგიჟდები! სიჩქარეს რომ კრეფს და გასაფრენად ემზადება, საოცარი შეგძნებაა. გამგზავრების განცდა ჩემთვის იმდენად სადღესასწაულოა, რომ უკვე კარგად ვარ ხოლმე. ლოს ანჯელესში სტამბულის გავლით მივფრინავდი, 16 საათი უნდა გვეფრინა. ვერც ერთი წამი ვერ მოვხუჭე თვალი. ძალაუნებურად 6 ფილმი ვნახე, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ზეპირად ვიცოდი, მაგალითად, „როგორ მოვიპაროთ მილიონი". ვგიჟდები ფილმებზე, მაგრამ 6 ფილმის ნახვა უკვე იძულებითი იყო. ასეთი რამ არასდროს მომსვლია, ეს ჩემთვის კურიოზი იყო. ჭკუა ვიხმარე და იქიდან გამობრუნებისას დასაძინებელი აბები მივიღე — 6 საათი გათიშულს მეძინა.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, თქვენი საზღვარგარეთული კურიოზები გაიხსენეთ.

— კურიოზული იმდენად არ იყო, მაგრამ ინდოეთზე ბევრი სასაცილო რამ მახსენდება. იქ ძალიან რთული კლიმატია, თან დაძაბული გრაფიკით ვმუშაობდით. დაგვიმატეს კონცერტები და აღმოჩნდა, რომ კიდევ 2 ქალაქში უნდა გავმგზავრებულიყავით. ისეთი დაღლილები ვიყავით, არსად წასვლის თავი აღარ გვქონდა. გვარს არ დავასახელებ, ერთმა მუსიკოსმა თქვა, რად გვინდა ტაჯმაჰალის ნახვა, ღია ბარათზე ხომ ვნახეთო. დელიში ვცხოვრობდით და იქამდე 5 საათის გზა იყო. როგორია, ინდოეთში მოხვდე და ტაჯმაჰალი არ ნახო?! მეც საოცრად დაღლილი ვიყავი, მაგრამ ავბუნტდით და მანქანით წავედით. მოხდა ისე, რომ ვერც დელიში და ვერც სხვა ქალაქში სპილო ვერ ვნახეთ. ტაჯმაჰალიდან დელიში ვბრუნდებოდით, ვფიქრობდი, ნუთუ ისე წავალ ინდოეთიდან, რომ სპილოს ვერ ვნახავ-მეთქი. გაფიქრება ვერ მოვასწარი და დავინახე. გააჩერეთ-მეთქი! ვიკივლე. ცოტა შემეშინდა, მაგრამ სპილოზე დაჯდომა პირველმა მე გავბედე. კაცებს სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ? ყველა ყოჩაღად და დიდი მონდომებით ამოხტა სპილოზე. ავტობუსზე დიდ სიმაღლეზე ვისხედით. ძალიან საყვარელი არსებაა.

„ბასტჰოლზე ჩემს ჯგუფთან ეთად ჩასვლა ჯიდევ სხვა სიხარელია. „ჯგუფი საქართველოდან!" — მეამაყება, ოცა ფესტივალზე ამ სიტყვებით ნაჩგვადგენენ".

— ინდოეთის კულტურა მოგეწონათ?

— საოცარი კულტურა და არქიტექტურა აქვთ. ერთი კვირით ვიყავით და ყველაფრის დათვალიერება ვერ მოვასწარით. ძალიან საინტერესო ქვეყანაა. საოცარ ქალაქში, გუჯათიში ვიყავით, სადაც კონცერტის შემდეგ რუსი ქალი მოვიდა. გაკვირვებული იყო. „ნეუჟელი, გრუზინი, ია გლაზამ ნე ვერიუ, კაკ ვი სუდა პაპალი!" (თვალებს არ ვუჯერებ, ნუთუ ქართველები ხართ, აქ როგორ მოხვდითო), — გვითხრა. იმ ქალაქში ქართველი საერთოდ არავინ ყოფილა ნამყოფი და გადარეული იყო.

— ამბობენ, ინდოეთის სამზარეულო ქართულს ჰგავს, უამრავი სანელებელი აქვთო. თქვენ მოგეწონათ იქაური კერძები?

— უგემრიელესი სამზარეულო აქვთ, მაგრამ ყველაფერს ისეთ ცხარეს ამზადებენ, ახლოს ვერ ვეკარებოდი. ისეთი ცხარე საჭმელები იციან, მათთან შედარებით მეგრული სამზარეულო არაფერია. მათ კერძებს იმ შემთხვევაში ვჭამდი, თუ ევროპული არ ჰქონდათ. ჯგუფის წევრი ბიჭები პირიქით, ძალიან კმაყოფილები იყვნენ, მოსწონდათ ინდური ცხარე კერძები.

— განსაკუთრებულად რომელი ქვეყნის სამზარეულომ მოგხიბლათ?

— საერთოდ ყველა მოგზაურობიდან გამხდარი ჩამოვდივარ, ფრანგებს კი ისეთი გემრიელი კერძები აქვთ, მეგონა, იქიდან 100 კილო ჩამოვიდოდი, მაგრამ ფეხით იმდენს დავდიოდი, ეს საშიშროება გაქრა. ეგზოტიკური საჭმელები საინტერესოა, მაგრამ ნაკლებად ვეტანები. ლოკოკინა არასოდეს გამისინჯავს. ქართული სამზარეულო ძალიან მიყვარს და საზღვარგარეთ ყოველთვის მენატრება ხოლმე.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

დაუვიწყარი ველური სუმატრა

ბუნძული სუმატრა უკვე კარგა ხანია პოპულარულია, როგორც შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი ეგზოტიკური ბუნებითა და საინტერესო ტრადიციებით. სუმატრა მალაის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულია (მსოფლიოში სიდიდით მე-4 კუნძული).

პირველი სახელმწიფო კუნძულზე ჯერ კიდევ II საუკუნეში არსებობდა, VII საუკუნეში კუნძული თითქმის მთლიანად ეკავა სახელმწიფო შრივიჯაიას. შემდეგ სუმატრა მაჯაპახიდის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ნიდერლანდების კოლონია იყო. 1945 წლის 17 აგვისტოდან ინდონეზია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, კუნძული სუმატრა კი მის შემადგენლობაში შევიდა.

ჰელიგია

სუმატრაში სახელმწიფო რელიგიად ისლამია გამოცხადებული. მას მოსახლეობის 90% მიჰყვება. 5%-ს პროტესტანტები შეადგენენ, 3%-ს კი — კათოლიკეები. დანარჩენები ბუდიზმის აღმსარებლები არიან.

ჰლიმატი

სუმატრასათვის ტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. წლიური ტემპერატურა 25-27 გრადუსამდე მერყეობს. ტურისტული სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ მაისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე ტურისტების რაოდენობა ფასებთან ერთად პიკს აღწევს.

ამინდი, წელიწადის დროების მიხედვით, ან წვიმიანია, ან — მშრალი. ნოემბრიდან მარტამდე წვიმების პერიოდია, ხოლო მაისიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მშრალი სეზონია. ამ პერიოდში ხშირია გვალვა.

ენა

ქვეყნის ოფიციალური ენა ინდონეზიურია, რომელიც მალაიურის დიალექტს წარმოადგენს. კუნძულზე განათლების სისტემა ოფიციალურ ენაზეა დაფუძნებული. ის პრაქტიკულად ხელოვნურად შექმნილი ენაა, რომელზედაც სხვადასხვა ხარისხით 150 მლნ ადამიანი ლაპარაკობს. რაც შეეხება დამწერლობას, ლათინური ანბანი გამოიყენება.

რეგიონებში უამრავ დიალექტს შეხვდებით. ინდონეზიურის შემდეგ ყველაზე გავრცელებულია ინგლისური.

ფული

სუმატრას ეროვნულ ვალუტას ინდონეზიური რუპია წარმოადგენს. იმის გამო, რომ ეს ვალუტა სტაბილურობით არასოდეს გამოირჩეოდა, დაწესებულებებში გადახდა ძირითადად დოლარებით ან საკრედიტო ბარათებით ხდება. გაცრეცილი რუპიას გასაღება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. 1 ამერიკული დოლარი 11.000 რუპიის ტოლფასია.

გადაადგილება

მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სუმატრაზე მოხვედრა თვითმფრინავით შეგიძლიათ. ბილეთის ფასი 600 დოლარიდან იწყება. კუნძულზე სულ 3 აეროპორტია, საერთაშორისო კი ყველაზე დიდ ქალაქ მედანში მდებარეობს.

ქვეყნის შიგნით გადაადგილება გაცილებით ადვილია, ვიდრე იქ ჩასვლა. ყველაზე სწრაფ, მაგრამ არცთუ იაფ საშუალებას თვითმფრინავი და გემი წარმოადგენს. მთავარი პორტი ქალაქ დუმაიში მდებარეობს. თუ დროში შეზღუდული არ ხართ, მაშინ მინი ავტობუსით გირჩევთ ამ საოცრად ლამაზი კუნძულის დათვალიერებას. რაც შეეხება სარკინიგზო მაგისტრალს, მთიანი რელიეფიდან გამომდინარე, ის ძალიან მცირე ტერიტორიას მოიცავს. ასე რომ, მატარებლით ყველა ქალაქში ვერ ჩახვალთ.

თუ მართვის მოწმობა გაქვთ, მაშინ კუნძულის შემოვლას სპეციალურ სააგენტოში დაქირავებული ჯიპის ტიპის მანქანით შეძლებთ, რომლის ღირებულება ერთი დღის განმავლობაში 50 რუპიას შეადგენს.

სამზარეული

სუმატრას სამზარეულოს ხსენებაზე იქ ნამყოფ ტურისტებს პირველად აუცილებლად საოცრად არომატული ყავა წარმოუდგებათ თვალწინ. რაც შეეხება ტრადიციულ კერძებს, მათი უმრავლესობა ბრინჯით მზადდება. ბრინჯის შემდეგ ყველაზე პოპულარულ ინგრედიენტებს ხორცი და ბოსტნეული წარმოადგენს.

რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ადგილობრივები ღორის ხორცს არ ეკარებიან. კუნძულის მცხოვრებლებს განსაკუთრებით ცხარე კერძები უყვართ, რის გამოც ბევრი ტურისტი ჩასვლიდან რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის მშიერია.

სუმატრაში სხვა ქვეყნების ნაციონალური რესტორნები ნაკლებადაა. ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია ნასი გორენგი, რომელიც ქათმის ხორცითა და შემწვარი ბრინჯით მზადდება. მის დაგემოვნებას ნებისმიერი დონის რესტორანში შეძლებთ 10-15 დოლარად.

კაფე-ბარები ძირითადად გადავსებულია ზღვის პროდუქტებით. ყავის შემდეგ სასმელებს შორის ყველაზე მოხმარებადია ტეჰ ტალაუ — შავი ჩაი კვერცხით და რძით. მას ნებისმიერ კაფესა და რესტორანში უშაქროდ მოგართმევენ. ალკოჰოლიდან კი ლუდი ყველაზე გავრცელებულია.

ღირსშესანიშნაობები

კულტურული ძეგლების სიმრავლით სუმატრა ნამდვილად არ გამოირჩევა, ამიტომ ტურისტების მიზიდვის უმთავრეს წყაროს ველური ბუნება წარმოადგენს. აქ მრავლადაა ტროპიკული ტყეები, ჯუნგლები, ვულკანები და ტბები. ბევრ ადგილას შესვლა აკრძალულია. ველური ბუნების დასათვალიერებლად ყველაზე ხელსაყრელი ბუქით ლოუენგის და გუნუნგ ლოიზერის ეროვნული პარკებია.

ქალაქ მედანში მდებარე შენობა-ნაგებობები ქვეყნის უძველეს არქიტექტურაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით. აქ შენარჩუნებულია ბუდისტური სალოცავი ბიარო, რომელიც XI-XIV საუკუნეებში აშენდა.

შეიძლება ითქვას, რომ სუმატრას თითქმის ყველა ქალაქში ღამის ცხოვრება დუღს. სასტუმროების ფასი 35 დოლარიდან იწყება. არ გამოგრჩეთ მთების — ბარისანის მონახულება. ის თქვენზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას მოახდენს.

უსაფრთხოების წესები

სუმატრა ყოველთვის წარმოადგენდა სეისმოლოგიურად საშიშ ზონას. მიუხედავად ამისა, ტურისტების სიმცირეს კუნძული არასოდეს უჩიოდა. გარდა ამისა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, კრიმინალური თვალსაზრისით, სუმატრა საშიშ ადგილად იქცა. გახშირდა მკვლელობები, რომ არაფერი ვთქვათ ჯიბის ქურდებზე. ისინი ყოველ ნაბიჯზე დაძრწიან.

კუნძულზე ნებისმიერ ადგილზე ეწევიან, ეს იქნება ავტობუსი, საავადმყოფო თუ მსგავსი დაწესებულება. არ გაბედოთ და ადგილობრივებს რამე მარცხენა ხელით არ გამოართვათ, თორემ შესაძლებელია ფიზიკურადაც გაგისწორდნენ, რადგან ეს მათთვის უდიდესი შეურაცხყოფის ტოლფასია.

თუ მოხდა და სახლში მიგიპატიჟეს, ფეხზე აუცილებლად გაიხადეთ, რადგან დიასახლისი ამას მაინც მოგთხოვთ. ეცადეთ, ფეხი ფეხზე გადადებული არ დაჯდეთ. ონკანის წყალს ნუ დალევთ, რადგან კუნძულზე ნებისმიერ სეზონზეა მალარიის შემთხვევები.

უბის ნიგნაკი

სახელმწიფო — სუმატრა;
სახელმწიფო ენა — ინდონეზიური;
ვალუტა — რუპია;
ფართობი — 470 კვ.კმ;
მოსახლეობა — 4,5 მლნ.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

საშობაო საჩუქარი უიღბლო მამაკაცისათვის

ზოგჯერ ადამიანის ცხოვრება მოულოდნელად, ერთ წამში რადიკალურად იცვლება, ის, რაც მანამდე წარმოუდგენელი ეჩვენებოდა, ხელშესახები რეალობა ხდება. ჩვენი რესპონდენტის, აკაკის ცხოვრებაც იმ ზღაპარს დაემსგავსა, რომელიც მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო. ეს ამბავი საოცარ ვითარებაში, ქრისტეშობის დღესასწაულზე მოხდა, თითქოს ღმერთმა მისი ნატვრა შეისმინა. აკაკის კი ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა თავისთავად დალაგებულიყო ყველაფერი და ერთ მშვენიერ დღეს მისთვის ყველაზე სანუკვარი რამ მიეღო. ის ყოველთვის ბევრს წვალობდა, რომ მიზნისთვის მიეღწია.

აკაკი:

— გულწრფელად გეტყვით, ქალებში ბედი არ მწყალობდა — კარგ და ღირსეულ ქალს ვგულისხმობ. მით უფრო, არ მქონია შემთხვევა, რომ ჩემი ფიქრი, ოცნება თავისთავად ახდენილიყო. ასეთი რამ მხოლოდ გასული წლის შობადღიდან განვიცადე და განგებას დიდ მადლობას ვუხდი ამისათვის. დღეს უბედნიერესი კაცი ვარ!

სიყმაწვილის ასაკში ერთი გოგო მიყვარდა. სათნო, ლამაზი, გონიერი და საყვარელი იყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ქარაფშუტულად მოიქცა. მიღალატა, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გამითხოვდა. თითქოს მე ვუყვარდი, არადა სხვას გაჰყვა ცოლად. წელიწადნახევარში უკან გამოთხოვდა და ჩემთან ურთიერთობის განახლება მოინდომა — შევცდი და უნდა მაპატიოო, მაგრამ არ მივიღე. მაშინ ქალის ბუნება არ ვიცოდი.

— „ქალის ბუნებაში“ რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ემოციას განსჯაზე წინ აყენებენ, მათი ქმედება წინ უსწრებს აზროვნებას, ჯერ აკეთებენ და მერე ფიქრობენ შედეგებზე. ხშირად თავადაც არ იციან, რა უნდათ...

— სადავო საკითხია, ამ ფორმულას ყველა ქალს ვერ მოვარგებთ, თანაც ეს თვისებები ღალატს არ ამართლებს.

— არ იფიქროთ, ამით ქალებს ვაკნინებდე, პირიქით, დიდ პატივს ვცემ. უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ქალი თავისებური, სათუთი არსებაა. ერთგულება მისი ღირსებაა, თუმცა ზოგჯერ ესეც არასაკმარისია. თუ გინდა, რომ მის გვერდით თავი ბედნიერად იგრძნო, პირველ რიგში, ის უნდა გააბედნიერო. ამისთვის კი უნდა გაუგო.

— შეყვარებულის ღალატმა თქვენს ცხოვრებაზე მძიმე კვალი დატოვა?

— დიდი გაწბილება. ღირსება შემილახა და ეს გრძნობა დიდხანს გამყვა, დაღივით დამაჩნდა.

— ქალების მიმართ დამოკიდებულება ხომ არ შეგეცვალათ?

— ეს თავად ქალზე იყო დამოკიდებული: თუ მის მიმართ პატივისცემა გამიჩნდებოდა, გავურბოდი, ხოლო თუ — ვნება, შურისძიებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი კეთილი ბუნების გამო ამას ვერ ვახერხებდი.

— ასეთი დამოკიდებულება დიდხანს გაგყვათ?

— ეს არის კომპლექსი, რომელიც შეიძლება ქცევებში არ გამოვლინდეს, მაგრამ ქვეცნობიერში ილექება და, კაცმა არ იცის, როდის იჩენს თავს. ჩემ შემთხვევაში კი შეძენილი კომპლექსი იყო, რომლის მოხსნაც შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეული დრო და სიტუაციის შეცვლა სჭირდება.

— ამის საშუალება მოგეცათ?

— ნატა რომ გავიცანი და მასთან საცხოვრებლად გადავედი, თითქოს შევიცვალე.

— ნატა ვინ არის, თქვენი მეუღლე?

— არა. ის ქმარს გაყრილი ქალი იყო, რომელსაც შევუყვარდი. ქმარმა უღალატა და მიატოვა, შვილებთან მარტო დატოვა, ამიტომ ტრავმირებული იყო. მისი მესმოდა და თანაგრძნობა შემეძლო. თანაც სასიამოვნო და მიმზიდველი გახლდათ. ჩემთან ურთიერთობაში ისეთ სითბოს და მზრუნველობას იჩენდა, რომელზედაც უარის თქმა, შეიძლება ითქვას, მამაკაცის შესაძლებლობებს აღემატება. ერთი სიტყვით, მის გრძნობას ვუპასუხე და ერთ მშვენიერ დღეს მისი ოჯახის უფროსის როლში აღმოვჩნდი.

„თითქოს ველოდი, რომ უნდა შეეხვედროდი და თითქოს არც ველოდი. შეიძლება ეს ჩემი წინათგრძნობა იყო ან შეიძლება უბრალოდ ჩემი ოცნება“.

— ეს როგორ გავიგოთ, მის ოჯახზე პასუხისმგებლობა იტვირთეთ?

— ასე გამოვიდა. ცოლ-ქმარი არ გვერქვა, მაგრამ შემომტანი ვიყავი, შვილების გაზრდასა და მათთან ურთიერთობის დალაგებაშიც ვეხმარებოდი (ბიჭები ჰყავდა). ნატას სიყვარულისა და თავდადებისთვის მადლიერებას გამოვხატავდი, ვცდილობდი, მისი ერთგულებისთვის სათანადოდ მეპასუხა.

— ასე ცოლ-ქმარიყით თუ ცხოვრობდით, შეუღლებაში ხელს რა გიშლიდათ?

— ნატას შეყვარება ვერ შევძელი. ჩემი სიყვარული წარსულში გაიყინა. ის გრძნობა, რაც მის მიმართ მქონდა, არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მასთან ოჯახის შექმნაზე მეფიქრა, თუმცა იმისთვისაც მებრალებოდა, რომ მიმეტოვებინა და საკუთარი ბედის აწყობაზე მეფიქრა.

— ასეთი ურთიერთობა მასაც აკმაყოფილებდა?

— ნატას ჩვენი ურთიერთობის დაკანონება უნდოდა, მაგრამ ჩემი აზრიც იცოდა ამის შესახებ. აშკარად არ მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ამას სხვა მხრივ ავლენდა.

— კონკრეტულად რას აკეთებდა?

— ჩემს მიჯაჭვას ცდილობდა, ყოველ ნაბიჯს მიკონტროლებდა, გვერდზე არ მახედებდა. ბოლოს ამან უკვე ავადმყოფური ხასიათი მიიღო, სულ ჩასაფრებული იყო, ცდილობდა, ჩემ შესახებ რამე ისეთი გაეგო, რაც მან არ იცოდა. ეს კი მისი ისტერიკების საბაბი ხდებოდა. მერე გამოდიოდა მსხვერპლის როლში და მე მის დაწყნარებას ვუნდებოდი, რომ როგორმე მდგომარეობიდან გამოსულიყო და გული არ შეღონებოდა.

— თქვენ თუ აძლევდით ეჭვიანობის საბაბს?

— მასთან თანაცხოვრების განმავლობაში, გულწრფელად გეტყვით, მისთვის არ მიღალატია. ბუნებით ერთგული ვარ. შეიძლება ვინმე მომწონებოდა და ფლირტის სურვილი გამჩენოდა, მაგრამ ასეთი მსუბუქი გართობები არ მიღირდა — ნატა მზად იყო, ბუზი სპილოდ ექცია, თავისი წარმოსახვებით რეალობას სცდებოდა, საშინელ მდგომარეობაში ვარდებოდა და მერე მეც წარმოუდგენელი ძალისხმევა მჭირდებოდა მის დასაწყნარებლად. ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა. ნატას აზრით, უფლება არ მქონდა, მის მიღმა რაიმე ნაბიჯი გადამედგა, ეს ეხებოდა ჩემს დედას, ნათესავებს თუ მეგობრებს.

— დედა ახსენეთ და, საინტერესოა, დედა როგორ ეგუებოდა თქვენს ასეთ თანაცხოვრებას შვილებიან ქალთან.

— დედაჩემი ზოგადად ძალიან შეგნებული ქალია. მან იცოდა ჩემი სისუსტეები, კომპლექსი და ნატასთან ჩემს ურთიერთობასაც გაგებით ეკიდებოდა. ცოლადაც რომ მომეყვანა, არც მაგის წინააღმდეგი იქნებო-

„ვიგრძენი, რომ ეს ქალი უნდა შემეყვარებოდა!“

Cyan Magenta Yellow Black

და, მთავარი იყო, თავი ბედნიერად მეგრძნო და გამებედნიერებინა ქალი, ვის გვერდითაც ვიცხოვრებდი.

— უსაფუძვლო და გაუთავებელი ეჭვიანობები ურთიერთობებს ანგრევს, თქვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა?

— ნატასგან წამოვედი. ეს სათქმელად და მოსაგონებლად ადვილია, მაგრამ მაშინ ბევრ დარდთან და წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული. ნატა თავისდაუნებურად

„გაყრა და მსგავსი დრამატული სიტუაციები მამაკაცისთვისაც არანაკლებ მტკივნეულია. ქალს შეუძლია გამოხატოს, დაქალებში იჯეროს გული ლაპარაკით და თავისი გულისტკივილი სხვებსაც გაუზიაროს, ხოლო მამაკაცი გულში იკლავს წუხილს და ეს უფრო მძიმედ გადასატანია“.

დღითიდღე ანგრევდა ურთიერთობას და ამას ისე აკეთებდა, რომ მიზეზ-შედეგებს ვერ იაზრებდა. მოთმინების ძაფი რომ გამიწყდა, დავტოვე — მეტი გზა აღარც დარჩა, თანაც ასე უმჯობესი იყო ორივესთვის. მე შვებით ამოვისუნთქე, ტყვეობის კოშმარისგან გავთავისუფლდი. დროთა განმავლობაში ნატაც დაშოშმინდა, პირველ ხანებში კი მეც და საკუთარ თავსაც საშინელ ქარ-ცეცხლში გვატარებდა, თვითმკვლელობითაც მემუქრებოდა. ერთი სიტყვით, მძიმე დღეები გამოვიარეთ, რასაც არავის ვუსურვებ.

გარწმუნებთ, გაყრა და მსგავსი დრამატული სიტუაციები მამაკაცისთვისაც არანაკლებ მტკივნეულია. ქალს შეუძლია გამოხატოს, დაქალებში იჯეროს გული ლაპარაკით და თავისი გულისტკივილი სხვებსაც გაუზიაროს, ხოლო მამაკაცი გულში იკლავს წუხილს და ეს უფრო მძიმედ გადასატანია. სმა არ მიყვარდა, რომ გულის გადასაყოლებლად მივძალებოდი. ვერც მარტოობას ვიტანდი.

— ახალ სიყვარულს ეძებდით?

— სოციალურ ქსელებში გოგოების გაცნობით ვკმაყოფილდებოდი. ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე... ვერ ვიტყვი, რომ ამით ვერთობოდი, უბრალოდ გულს ვიოხებდი. ვცდილობდი, ურთიერთობაში ღრმად არ შევჭრილიყავი, მით უმეტეს, რომ ყველა იმ კატეგორიის გოგო მხვდებოდა, ვინც კაცის გამოჭერაზე და გამოყენებაზეა გადასული. მეც ბუნებით კეთილი ვარ და თუ რამე შემიძლია, ქალს უარს ვერ ვეუბნები. ერთი სიტყვით, შესაბამისად მიყენებდნენ. დროთა განმავლობაში ამ ტალღამაც გაიარა და უკვე ოჯახის შექმნაზე უნდა მეფიქრა, უსიყვარულოდ კი ამას ვერ გავაკეთებდი. თანაც ჩემს გზაზე რატომღაც სულ ისეთი ქალები მხვდებოდნენ, ვისთანაც ღირსეული მამაკაცი არათუ ოჯახს შექმნის, სახლშიც არ შემოუშვებს.

მერე დავიწყე ოცნება, როგორც ბავშვობაში. წარმოვისახე ქალი — ასეთი და ასეთი, იმ ფიზიკური თუ შინაგანი თვისებებით შემკული, რომელიც მხიბლავდა. ჩემს ოცნებაში შემიყვარდა და ავაგე მასთან ერთად „კოშკები“. მჯეროდა, რომ ასეთი ქალი ნამდვილად არსებობდა, თუმცა, მართალი გითხრათ, მის ძიებას აღარ ვცდილობდი. მითური პიგმალიონივით გავხდი, საკუთარი ქანდაკება რომ შეუყვარდა და ქალის სიყვარულს მასში აქსოვდა. შინაურების შემოტევას, რომ უკვე ასაკში შევდიოდი და დაოჯახებაზე დაუყოვნებლივ უნდა მეზრუნა, საგულდაგულოდ ვიცილებდი.

— საბოლოოდ ოცნება აგისდათ? ასეთი ქალი გაიცანით?

— შარშან, საშობაოდ, მეგობარმა კორპორატიულ წვეულებაზე დამპატიჟა. ირინე იქ გავიცანი. არ ვიცი, რა გრძნობა იყო — თითქოს ველოდი, რომ უნდა შევხვედროდი და თითქოს არც ველოდი. შეიძლება ეს ჩემი წინათგრძნობა იყო ან შეიძლება უბრალოდ ჩემი ოცნება...

— ერთი ნახვით შეგიყვარდათ?

— ვიგრძენი, რომ ეს ქალი უნდა შემყვარებოდა! იმ დღეს შევხვდი ადამიანს, რომელზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი.

— მისგან რა იმპულსები წამოვიდა?

— ეტყობა, ჩემგან ისეთი მძლავრი იმპულსი წავიდა მისკენ, რომ მაშინვე იგრძნო. როგორც თავად ამბობს, გულში რაღაც სითბო ჩაეღვარა. ჩვენი ურთიერთობა სრულიად უპრობლემოდ განვითარდა,

„ჩვენი ურთიერთობა სრულიად უპრობლემოდ განვითარდა, ორ თვეში დავქორწინდით და მას შემდეგ ამდენი ხანია, თაფლობისთვის ფაზაში ვართ. ერთმანეთს საკუთარ თავზე წინ ვაყენებთ და ვცდილობთ, ერთმანეთი გავაბედნიეროთ“.

ორ თვეში დავქორწინდით და მას შემდეგ ამდენი ხანია, თაფლობისთვის ფაზაში ვართ. ერთმანეთს საკუთარ თავზე წინ ვაყენებთ და ვცდილობთ, ერთმანეთი გავაბედნიეროთ. მართალია, ბევრი მინუსი მაქვს, მაგრამ, ეტყობა, ბედმა ჩემი კეთილი ბუნების გამო არ დამჩაგრა და უიღბლოდ არ დამტოვა. მე და ირინე ერთმანეთისთვის ვართ დაბადებული. რამდენიმე თვეში პატარასაც ველოდებით — ჩვენი სიყვარულის ნაყოფს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოცნება ასე თავისთავად ამიხდებოდა. ამ ბედნიერების განცდას ყველას ვუსურვებ. მადლობა უფალს ყველაფრისთვის!

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მსოფლიოში ყველაზე ძველი საღეჭი რეზინი 10.000 წლისაა.

❖ ძველ ეგვიპტეში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 30 წელი იყო ცუდი პირობებისა და კლიმატის გამო.

❖ ღვინის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ღვინის ბოთლი 75.000 დოლარად გაიყიდა. ბოთლის ასაკი 2 ასეულ წელს ითვლიდა.

❖ ცნობილ მწერალ მარკ ტვენს სკოლაში არ უვლია.

❖ მწერალმა ოჰენრიმ წერა ციხეში დაიწყო.

❖ ყველაზე მეტი ძაღლი ამერიკაშია. მათი რაოდენობა დაახლოებით 52 მილიონია.

❖ ზვიგენების 400 სახეობა არსებობს.

❖ გინესის რეკორდების წიგნში ერთადერთი ძაღლია შესული, რომელმაც 29 წელი იცოცხლა.

❖ ძაღლი და ლომი პირველი ცხოველები იყვნენ, რომლებიც ადამიანებმა მოიშინაურეს.

❖ ყველაზე წყნარ და მშვიდ ცხოველად ცხენი ითვლება.

❖ 1.200.000 კოღოა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანის ორგანიზმიდან მთელი სისხლი გამოწოვოს.

❖ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ვეფხვი ლომზე ძლიერია.

❖ საფრანგეთში აკრძალულია, ცხოველს ერქვას ნაპოლეონი.

❖ საზამთროს სიმწიფის 100%-ით გამოცნობა მხოლოდ ყვავს შეუძლია. არავინ იცის, რა მეთოდით ხელმძღვანელობენ ეს ფრინველები, მაგრამ ერთი ცხადია: თავს მხოლოდ მწიფე საზამთროს „ესხმიან“.

❖ ხშირად და დიდხანს სარკეში ყურება ფსიქიკურ აშლილობას იწვევს.

❖ ქალი უფრო ხშირად იღიმის, ვიდრე კაცი.

❖ როდესაც ბავშვი იბადება, პირველი 10 წამის განმავლობაში ვერაფერს ხედავს, ჩრდილებსაც კი ვერ ამჩნევს.

❖ ადამიანის თვალს 17.000 ფერის გარჩევა შეუძლია.

❖ ლურჯი ფერი ადამიანს ამშვიდებს, შოკოლადის ჭამა კი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

❖ ჩაი კიბოს გამომწვევ უჯრედებს ბლოკავს.

❖ კაცებს ვირთხის უფრო ეშინიათ, ვიდრე ბაყაყის.

❖ ბზრიალის დროს ადამიანს არ შეუძლია სრულყოფილად გაიხსენოს წარსული.

❖ ძილის მოსაგვრელად ყველაზე ადვილი ხერხი უსაქმოდ ჯდომაა.

❖ ლუდი მეორე ყველაზე პოპულარული სასმელია ღვინის შემდეგ.

❖ ამერიკის სკოლებში კალმის ნაცვლად ფანქარს ხმარობენ.

❖ თოვლის პირველი ფიფქები ევერესტს ეცემა.

❖ ღრუბლები განუწყვეტლივ მოძრაობენ.

❖ დედამიწაზე ყველაზე მეტი ნივთიერება ქვიშაა.

❖ დღესდღეობით „ფეისბუქს“ 350 მილიონი აქტიური მომხმარებელი ჰყავს.

❖ წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია ოფიციალურად შვეიცარიელმა საზოგადო მოღვაწემ ანრი დიუნანმა 1864 წლის 22 აგვისტოს ჟენევაში დააფუძნა.

Cyan Magenta Yellow Black

დათო ლაბაძე: „საყვარელი ქმარი ვარ!“

„ჰესიმისტთან ურთიერთობა ისევე მიჭირს, როგორც სულელ ქალთან“

■ დათო ლაბაძე

პუმორისტი დათო ლაბაძე ქალების მიმართ დიდი ყურადღებით არ გამოირჩევა. მათთვის არც კომპლიმენტების თქმა ეხერხება, რადგან ხშირად თვალების ფერსაც ვერ იმახსოვრებს, უფრო მეტიც, შეიძლება ცოლის ახალი ვარცხნილობაც ვერ შეამჩნიოს. სამაგიეროდ, ჭკვიანი ქალი ყურადღების მიღმა არ რჩება და ცოლიც ამ ნიშნით შეარჩია. მისი ოჯახის მთავარი დიასახლისი, ეკა ელიეშვილი, ქმრის სტანდარტებს სრულიად აკმაყოფილებს — ჭკვიანია ცოტა რთული ხასიათით.

— ბატონო დათო, როგორი ქალისკენ შეიძლება გაგექცეთ თვალი?

— თვალი შეიძლება ყველანაირი ქალისკენ გამექცეს. ისე, სიმართლე გითხრათ, ძალიან გაფანტული ვარ. თქვენ რომ აქედან გახვალთ, რა ფერის თვალები ჰქონდაო, ვინმემ რომ მკითხოს, ვერ ვუპასუხებ, მაგრამ სხვა დროს ერთმანეთს თუ სადმე შევხვდებით, აუცილებლად გიცნობთ.

— არც ქალის ჩაცმულობა გხვდებათ თვალში?

— ქალს თუ ვულგარულად აცვია, იმ შემთხვევაში თვალში ცუდად მომხვდება. შეიძლება გამომწვევად ეცვას, მაგრამ უხდებოდეს და ერთიანობაში ცუდად არ გამოიყურებოდეს. სიმართლე გითხრათ, ქალს არც ჩაცმის სტილზე ვაკვირდები. ისე, ამის შესახებ რა უნდა გითხრათ, როცა ჩემს ჩაცმულობაზეც ცოლი ზრუნავს.

— რადგან ცოლი ახსენეთ, გვიამბეთ მის შესახებ, ვინ არის, რას საქმიანობს.

— ჩემი მეუღლე ულამაზესი და უმშვენიერესი ეკა ელიეშვილი გახლავთ. ერთმანეთი 17 წლის წინ გავიცანით და 16 წელია, რაც ერთად ვართ. ჩემი მეგობრის და იყო. ყველაფერი განსაკუთრებული ჰქონდა — ხასიათი, გარეგნობა, ჭკუა, პრინციპები, მორალი... ჭკუა ნებისმიერ ადამიანს მოეკითხება და, მით უმეტეს, ქალს. არ მესმის მამაკაცების, რომლებიც ქალის ჭკუას ყურადღებას არ აქცევენ. ქალი აუცილებლად ჭკვიანი უნდა იყოს.

— ბევრი ასეთი ქალია თქვენ გარშემო?

— კი და არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჭკვიანი ქალი იშვიათია. ჩემ გარშემო გონიერი ქალი ბევრია, ამით განებივრებული

„ჩემს ცოლს ძალიან ჰთელი ხასიათი აქვს, მაგრამ ჩემთვის მისაღებია, ჰადგან გადასაჰევად ვუგებ“.

ვარ. ისეთ მანდილოსნებს ვიცნობ, რომ მათთნაირი გონებრივი შესაძლებლობებით ბევრი მამაკაცი იამაყებდა. ჩემი ოჯახის მაგალითს გეტყვით. მნიშვნელოვან საკითხს აზრების შეჯერებით, დემოკრატიულად ვწყვეტთ. ეკას ძალიან რთული ხასიათი აქვს, მაგრამ ჩემთვის მისაღებია, რადგან გადასარევად ვუგებ. ის პროფესიით ქიმიკოსია. როცა დავქორწინდით, 7 წელი შვილებს მიუძღვნა. სხვათა შორის, იმ ფაქტს, რომ დიასახლისი იყო, არასოდეს ეპუებოდა. რაღაც ანკეტას რომ ავსებდა, დიასახლისს კი არა, ყოველთვის დროებით უმუშევარს წერდა. სერიალის „გოგონა გარეუბნიდან“ სცენარისტი იყო. ახლა კი ისევ დროებით უმუშევარია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ყველაფერს აკეთებს, რაც ქალს მოეთხოვება, მოწოდებით დიასახლისი არ გახლავთ. მაინც იცის, რომ საზოგადოებას ის აუცილებლად სჭირდება. ქალს საკუთარი ცხოვრება უნდა გააჩნდეს, მაგრამ მეუღლის და დედის თანამდებობაც თუ არ შეითავსა, ამას ვერ შევეგუები. არც იმას მივესალმები, როცა კაცი იმდენს მუშაობს, რომ ოჯახისთვის დრო საერთოდ არ რჩება.

— თქვენ როგორი ქმარი ხართ?

— გადასარევი, საყვარელი! აბსოლუტურად ყველაფერზე შეიძლება ვიკამათოთ. ოჯახი, როგორც დიპლომატია, კომპრომისების ხელოვნებაა. მე და ჩემი მეუღლე აბსოლუტურად განსხვავებული ვართ. ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება უცნაურია, რადგან არ არსებობს შეკითხვა, რომელზეც ერთნაირი პასუხი გვექნება. გადაწყვეტილების მიღება შრომას უკავშირდება და ცოლ-ქმარს ეს შრომაც გაზიარებული უნდა ჰქონდეს. ორი ქალიშვილი გვყავს, 15 წლის ანა და 12 წლის ნუცა. რაც წამოიზარდნენ, მათ აზრსაც კი ვითვალისწინებ.

„ქალმა შეიძლება ვაჰსცხნილობა მაჯვეთჰად შეიცვალოს, მე ჯი ვეჰ შევამჩნიო. ასეთი ჰამ ჩემს მეუღლეზეც დამემაჰთა. ჰოცა ჩემთვის ნვჰილმანს და მისთვის მნიშვნელოვანს ვეჰ ვამჩნევ, უკვე ცუდია“.

— აქტიურად მონაწილეობთ მათ აღზრდაში?

— და არ მყავს და გოგონების აღზრდასთან დაკავშირებით ჩემს ცოლთან შედარებით ნაკლები ინფორმაცია მაქვს. შვილების აღზრდა უფრო მის კისერზე გადადის, ვიდრე ჩემზე. მეგობრული მამა ვარ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემს გოგონებს ბევრ რჩევას არ ვაძლევ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს დრო, როცა ჩემი შვილები იზრდებიან და ის დრო, როცა მე ვიზრდებოდი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ჩემი გოგონები ახლა გაცილებით დიდ ინფორმაციას და საშუალებებს ფლობენ, ვიდრე მათ ასაკში მე მქონდა. ისინი ძალიან ადვილად და სწრაფად ითვისებენ ყველაფერს. მე კი ერთი ჩვეულებრივი სოციალისტ-კომუნისტი ბავშვი ვიყავი და სულ სხვა რაღაცეებს მიჩიჩინებდნენ.

— მოდით, გაიხსენეთ, რას შეეხებოდა ეს „ჩიჩინა“.

— მაგალითად, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ვიღაც მოროზოვი, რომელმაც კომუნისტებს საკუთარი მამა დააჭერინა, კარგი ბიჭი იყო. მამაჩემის მეგობარი ამბობდა, ეს ამბავი სკოლაში რომ გვასწავლეს, გამუდმებით მამაჩემს დავდევდი, კიდევ კარგი, ცუდი არაფერი გაუკეთებია, თორემ მასაც დავაჭერინებდი კომუნისტებსო. ჩვენს დროს რელიგიასაც სხვანაირად გვასწავლიდნენ, პიონერი ეკლესიაში მხოლოდ ჯართის ან მაკულატურის გამოსატანად უნდა შესულიყო და არა — სხვა რამისთვის. ათეისტებად გვზრდიდნენ. შესაბამისად, გარშემო კომუნისტი გოგონები გვყავდნენ — პიონერები და კომკავშირლები. ბოლოს კომაროვის სკოლაში ვსწავლობდი და გარშემო გონიერი, საინტერესო და კარგი ხალხი მყავდა. იქ ბევრი ჭკვიანი მეგობარი გოგონა შევიძინე, რომლებიც დღემდე მომყვებიან.

— ქალისა და მამაკაცის ქორწინების გარეშე ერთობლივ ცხოვრებაზე, ახლა რომ მეგობრობას ეძახიან, რას ფიქრობთ?

— ჩვენს დროს თავისუფალი ურთიერთობები ცუდად აღიქმებოდა, განსაკუთრებით კი ქალების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, საზოგადოების აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილება თვითონ პიროვნებამ უნდა მიიღოს.

— თქვენს შვილებსაც მისცემთ ამის ნებას?

— ვფიქრობ, რომ ჩემი გოგონების გადაწყვეტილებაში არ ჩავერევი, თუმცა აზიატური თუ ძველმოდური შეხედულებები მაინც მაქვს, მაგრამ ახალი თაობისაც მესმის. ბევრი ისეთი ადამიანიც მინახავს, რომელიც მხოლოდ იმის გამო, რომ კაცთან თანაცხოვრების კულტურა და გამოცდილება არ ჰქონდა, დღეს შვილს უმამოდ ზრდის, ანუ თავისუფალი ურთიერთობისთვის მზად არ იყო. ვფიქრობ, რომ ამან რაღაც ცუდი მაინც მოიტანა. მე მაინც ჩემს ძველმოდურ აზრზე ვრჩები, მაგრამ შვილებს გადაწყვეტილების მიღების დროს თავისუფლებას მივცემ.

— იმ ეპოქასთან შედარებით, რომელზეც თქვენ საუბრობთ, რამდენად შეიცვალა ქალი?

— დღეს თანამედროვე, პატარა გოგონები თავიანთ მომავალს ბედნიერ ცოლებად არ ხედავენ, სხვა მოთხოვნები გაუჩნდათ. უნდათ, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები იყვნენ. მიაჩნიათ, რომ არამხოლოდ ოჯახში უნდა იყვნენ საჭირონი, არამედ საზოგადოებაშიც და ამას მივესალმები. ქალი უფრო მეტად სოციალური გახდა.

— ქალის რა ქცევამ შეიძლება გაგაღიზიანოთ?

— ტყუილს ვერ ვიტანთ და შესაბამისად

Cyan Magenta Yellow Black

არც მატყუარა ქალია ჩემთვის მისაღები. ზედმეტად ტრაბახა, არაპუნქტუალური და ზარმაცი ქალი არ მიყვარს. პესიმისტთან ურთიერთობა ისევე მიჭირს, როგორც სულელ ქალთან. ჩემ ირგვლივ სულელი ქალი ძალიან ცოტაა, რადგან, როგორც გითხარით, გამიმართლა, უმეტესად ჭკვიან ხალხთან მაქვს ურთიერთობა. ვერც მოქეიფე ქალს შევაფასებ დადებითად. „ეს სადღეგრძელო უნდა დამილიო!“ — არასოდეს მომეწონება ქალი, რომელიც ამ სიტყვებით ვინმეს მიმართავს. ყოველდღე სიმთვრალე და დილით ნაბახუსევზე ხაშით გამოსვლა — ასეთ მდგომარეობაში საკუთარი თავი ქალსაც არ მოეწონება. როგორც მე ვსვამ, ქალმაც ისე რომ დალიოს, აბსოლუტურად მისაღებია, რადგან ბევრის დალევა არც მე მიყვარს.

— მშვენიერი სექსისთვის კომპლიმენტის თქმა გჩვეოათ?

— ეგ ჩემი დიდი ნაკლია, ქალს კომპლიმენტს არც ისე ხშირად ვეუბნები. ადამიანს პირველად რომ დავინახავ, მის გარეგნობას მაშინ ვაფიქსირებ და მერე უბრალოდ ვცნობ. ამის გამო ხანდახან უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოვჩენილვარ. მაგალითად, ქალმა შეიძლება ვარცხნილობა მკვეთრად შეიცვალოს, მე კი ვერ შევამჩნიო. ასეთი რამ ჩემს მეუღლეზეც დამემართა. როცა ჩემთვის წვრილმანს და მისთვის მნიშვნელოვანს ვერ ვამჩნევ, უკვე ცუდია. ეს თვისება ჩემში არ მომწონს. მინდა, ცოტა ყურადღებიანი ვიყო, მაგრამ ამის გაკეთება მიჭირს.

„პლასტიკური ქირურგიაც მისაღებია... ჯაცები შედეგებს ვაფიქსირებთ და ამ შედეგამდე როგორ მიდიან, ეს ქალების საიდუმლოდ უნდა დარჩეს“.

— როცა რადიკალურად იცვლიან გარეგნობას, ვერც იმას ამჩნევთ? ან რა აზრი გაქვთ თუნდაც პლასტიკურ ქირურგიაზე?

— ზოგჯერ ვერ ვამჩნევ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემთვის პლასტიკური ქირურგიაც მისაღებია. რატომაც არა?! ეს არის სწრაფვა, იყო უკეთესი, ვიდრე ხარ. ქალი მამაკაცისთვის მუდამ სასურველი რომ იყოს, უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს. კაცები შედეგებს ვაფიქსირებთ და ამ შედეგამდე როგორ მიდიან, ეს ქალების საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

✓ სოფიო ბოჭორიძე

რიკელმე და ფაბრო სკანდალში გაეხვნენ

■ ჯონათან ფაბრო და ლარისა რიკელმე

პარაგვაის ფეხბურთელთა ნაკრების ყველაზე ლამაზი გულშემატკივარი ლარისა რიკელმე და მისი შეყვარებული, კლუბ „სერო პორტენიოს“ მოთამაშე ჯონათან ფაბრო, მორიგ სკანდალში გაეხვნენ.

ეს ისტორია საკმაოდ კომიკური გამოვიდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლარისამ და ჯონათანმა საკუთარი ვნებები ვერ მოთოკეს და პირდაპირ მანქანაში გააჩაღეს სექსი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოძრაობით ყველაზე გადატვირთულ ასუნსიონის მაგისტრალზე. მათი კმაყოფილების გამომხატველი კვნესა-კრუსუნი ასეულობით გამვლელს ესმოდა. რამდენიმე მათგანმა კი გადაწყვიტა, ამ „შემთხვევის“ შესახებ პოლიციისთვის ეცნობებინა. შედეგად შეყვარებულები დააპატიმრეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, ვინაიდან პარაგვაიში საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სექსი დაუშვებელია და ადმინისტრაციულ დარღვევას უთანაბრდება. სამართალდამცავები ლარისას ცნობადობამაც კი ვერ შეაფერხა.

ზიდანი ვორონინთან დამარცხდა

უკრაინის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ანდრეი ვორონინი, რომელიც ამჟამად დიუსელდორფის კლუბ „ფორტუნას“ ღირსებას იცავს, ოჯახთან ერთად დასასვენებლად არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გაემგზავრა. ის იქ მეტად ძვირადღირებულ და პრესტიჟულ სასტუმრო კომპლექს „Madinat Jumeirah Resort“-ში დასახლდა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მისი მეზობელი აღმოჩნდა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, ლეგენდარული ზინედინ ზიდანი.

სახელოვანი მეზობლები დასვენების დროს თავს ფრენბურთის თამაშითაც იქცევდნენ. ერთ-ერთი ასეთი თამაში ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის დამარცხებით დასრულდა და ზიდანი იძულებული გახდა, ვორონინისთვის წაგებული ლუდი მიერთმია. ალბათ ეჭვგარეშეა, რომ ეს შვებულება დიდხანს ემახსოვრება უკრაინელ ფეხბურთელს, ვინაიდან მან ბოლოს და ბოლოს თვით ზიდანი დაამარცხა, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ბოლო დროს ვორონინს არ უმართლებს და თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვერ ახერხებს. იქნებ ეს გამარჯვება დაეხმაროს „ფორტუნას“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაში.

მძლეოსანი ქალი მეძავი ყოფილა

■ სიუზი ჰემილტონი

ამერიკელმა მძლეოსანმა სიუზი ჰემილტონმა, რომელიც 1992, 1996 და 2000 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, ახლახან აღიარა, რომ ლას ვეგასში ესკორტ-მომსახურებაში მუშაობდა.

მისი თქმით, თავის მომსახურებაში საათში 600 დოლარს იღებდა და კელის ფსევდონიმით მუშაობდა. მისი ფოტოსურათი იმ ვებგვერდზე იდო, რომელზეც საკუთარ მონაცემებს მეძავები აქვეყნებდნენ, მაგრამ, ყოფილი მძლეოსნის მოთხოვნით, მისი სურათი ამოიღეს.

მოგვიანებით გოგონამ გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის შვება იმით მიეცა, რომ საქვეყნოდ ეღიარებინა, თუ სინამდვილეში რითი იყო დაკავებული. ესკორტ-მომსახურებაში მუშაობას მან დიდი შეცდომა უწოდა, იმის გათვალისწინებით, რომ იმ მომენტში გათხოვილი გახლდათ. ასეთი რადიკალური ნაბიჯისკენ კი, თავად სპორტსმენის აღიარებით, ცხოვრებასა და ქორწინებაში წარმოქმნილმა სირთულეებმა უბიძგა.

— მე იმას არ მოველი, რომ ხალხი გამიგებს, მაგრამ ამის საკმაოდ სერიოზული მიზეზები მქონდა, ეს დეპრესიას უკავშირდება, — დაწერა მან თავის ტვიტერში, — სიტყვებით ვერ გადმოვცემ სირცხვილის გრძნობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც მე ასეთი საქციელით გული ვატკინე. ამავე დროს მადლობას ვუხდი ოჯახს ჩემი მხარდაჭერისთვის. ახლა ვაპირებ, საბოლოოდ გამოვსწორდე და კარგი დედა, ცოლი, შვილი და მეგობარი გავხდე.

სტივენ ჯერარდს მეზობელმა თავზე პოლიციელები დააყენა

უობის ღამეს საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის“ კაპიტან სტივენ ჯერარდს პოლიციელები ესტუმრნენ. ისინი ფეხბურთელის სახლიდან გამოსული ხმაურით შეწუხებულმა მეზობელმა გამოიძახა.

წვეულებაზე, რომელიც 3 მილიონ ფუნტ სტერლინგად ღირებულ ბინაში იყო გამართული, იყვნენ ცნობილი კომიკოსი ჯონ ბიშოპი, მომღერალი რებეკა ფერგიუსონი, ჯერარდის ყოფილი თანაკლუბელი გარი კიუელი მეუღლესთან, მსახიობ შერი მერფისთან ერთად.

— ჩვენთან საჩივარი შემოვიდა მეტად ხმამაღალ მუსიკაზე, — განაცხადა ლივერპულის პოლიციის წარმომადგენელმა, — დაახლოებით ღამის 2:20 საათზე გამოგვიძახეს, პატრული სახლის მფლობელს გაესაუბრა. პოლიციას სხვა რაიმე სახის ღონისძიებისთვის არ მიუმართავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სახელგანთქმული ფეხბურთელი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევის როლში მოგვევლინა. ანალოგიური ინციდენტი ერთი წლის წინაც მოხდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, როგორც შეხვდები ახალ წელს, ისევე დაასრულებ.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

როგორი ამინდი ხართ?

1. ფილმში გადაღება შემოგთავაზეს, თქვენ...
ა) დათანხმდებით — 0
ბ) დროს მოითხოვთ, რათა კარგად დაფიქრდეთ — 1
გ) კატეგორიულ უარს იტყვით — 3

2. როგორც წესი, რას აკეთებთ ხოლმე წვეულებებზე?
ა) გულიანად ერთობით — 0
ბ) არ იცით, რა გააკეთოთ — 1
გ) თქვენთვის ჩუმად დგახართ სადღაც კუთხეში — 3

3. დაბადების დღეზე გაჩუქეს საჩუქარი, რომელიც უკვე გაქვთ, რას იზამთ?
ა) გაგიხარდებათ და არ შეიმჩნევთ, რომ ასეთი უკვე გაქვთ — 0
ბ) გაგიკვირდებათ, მაგრამ მაინც მადლობას გადაიხდით — 1
გ) მოგვიანებით სხვას აჩუქებთ — 3

4. უცნობმა ადამიანმა მეგობრობა შემოგთავაზათ, რას იზამთ?
ა) სიამოვნებით დათანხმდებით — 0
ბ) გააჩნია, რა ხასიათზე იქნებით იმ მომენტში — 1
გ) ეტყვით, რომ თქვენ მეგობრები ვერასოდეს გახდებით — 3

5. ვისთან ერთად ისურვებდით გასეირნებას?
ა) მშობლებთან და ახლო ნათესავებთან ერთად — 0
ბ) საუკეთესო მეგობართან ერთად — 1
გ) სეირნობა მარტოს გირჩევნიათ — 3

შედეგები:

0-4 ქულა — მზიანი ამინდი

თქვენს ხასიათს მზიანი ამინდი შეესატყვისება. ხარობთ ცხოვრებით, გაქვთ მშვენიერი იუმორის გრნობა. მეგობრები თქვენს ღიმილსაც ისევე აფასებენ, როგორც თქვენს ადამიანობას.

5-10 ქულა — ცვალებადი მოღრუბლობა

ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ღრუბლებით ხართ დაფარული. მართალია, ეს ცუდი არ არის, მაგრამ ჯობია, უფრო ხშირად გაიღიმოთ, დრო ატაროთ მეგობრების წრეში და იმხიარულოთ.

11-15 ქულა — წვიმიანი ამინდი

მოღუშული, პირქუში ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ძალიან ჰგავხართ მოღრუბლულ წვიმიან დღეს. თავდაჯერებულობა გაკლიათ. გირჩევთ, უბრალოდ გაიღიმოთ და ირგვლივ მიმოიხედოთ — ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც თქვენ ფიქრობთ. გეყოფათ ყველასა და ყველაფერზე დაბოღმვა და მიხვდებით, რომ გარემო ისეთი სულაც არ არის, როგორადაც თქვენ წარმოგიდგენიათ.

ერკვევით სპორტში?

1. რომელი სპორტული ტერმინი აღნიშნავს თამაშის დროს წესების დარღვევას?
ა) ფალი
ბ) ფოლი
გ) ფული
დ) ფანი

2. ჩამოთვლილი სპორტის სახეობებიდან რომელში იყენებენ ყველაზე დიდი ზომის ბურთს?
ა) კალათბურთში
ბ) ფეხბურთში
გ) ფრენბურთში
დ) წყალბურთში

3. სპორტის რომელ სახეობაშია უიმბლდონის ტურნირი?
ა) ფეხბურთში
ბ) ჰოკეიში
გ) ჩოგბურთში
დ) მიზანში სროლაში

4. რომელი სპორტული თამაშის დროს არის მოედანზე ერთდროულად მინიმალური მოთამაშე?
ა) ფრენბურთი
ბ) შაიბიანი ჰოკეი
გ) კალათბურთი
დ) განდბოლი

5. რითი ურტყამენ მოთამაშეები გოლფის ბურთს?
ა) ჩოგანით
ბ) კეტით
გ) გოლფის ჯოხით
დ) ხელით

6. რომელი იარაღის კვრაში ეჯიბრებიან მსუბუქ ათლეტიკაში?
ა) ისრის
ბ) ბირთვის
გ) დისკის
დ) ჩაქუჩის

7. ჩამოთვლილი სპორტის სახეობებიდან რომელია ოლიმპიური?
ა) არმრესტლინგი
ბ) ბოულინგი
გ) რაგბი
დ) კერლინგი

8. რაში ვარდება ბურთი ბილიარდის თამაშის დროს?
ა) კალათში
ბ) ღრმულში
გ) ლუზაში
დ) რგოლში

სწორი პასუხები: 1. ბ) ფოლი; 2. ა) კალათბურთში; 3. გ) ჩოგბურთში; 4. გ) კალათბურთი; 5. გ) გოლფის ჯოხით; 6. ბ) ბირთვის; 7. დ) კერლინგი; 8. გ) ლუზაში.

შედეგები:

თუ 8 შეკითხვიდან 7-ზე სწორი პასუხი გაქვთ, ე.ი. სპორტის სახეობები გაინტერესებთ და ბევრი რამ კარგადაც იცით. თუ უფრო ნაკლებზე გაეცით სწორი პასუხი, მაშინ ან სპორტი არ გიყვართ, ან შეჯიბრებებს მხოლოდ გართობის მიზნით უყურებთ და წესები დიდად არ გაინტერესებთ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

	8		7		4			1
9				6		2		
		5				7	3	
		8	6					9
7				1			4	
	2			3	5	8		
3					9	6		
	1						7	
4			2	8				5

№ 2

7					2			5
9		8		4				
	1		5				6	
6			8			4		
	2			6			5	
		5	7		3	1		
		1				6		8
	3				6	2		
		4		7				9

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

გჭირდებათ გარდერობი?

1. შეგიძლიათ ისე, რომ არ შეხედოთ, გაიხსენოთ, რა ფერია თქვენი გარდერობი?
ა) დიახ — 10
ბ) არა — 0
გ) გამიჭირდება — 5

2. გარდერობში მტვერსასრუტს ინახავთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არამარტო მტვერსასრუტს — 10

3. მაისურები, როგორც წესი, სკამის საზურგეზე გაქვთ გადაკიდული?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) დიახ და კიდევ შარვლებიც და წინდებიც — 10

4. ზამთრის ქურთუკს ტახტში ინახავთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არა, საკიდზე მიკიდია შემოსასვლელში — 10

5. ოდესმე შემთხვევით გარდერობში შინაური ცხოველი ჩაგიკეტიათ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არამარტო ცხოველი, ჩემი დაც მიმიყოლებია — 10

6. გჩვევიათ ნესტიანი პირსახოცების გადაკიდება კარადის კარზე?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) ხელზე მაქვს გადაკიდული, სანამ არ გაშრება — 10

7. გარდერობში ჯამ-ჭურჭლის შენახვაც ხომ არ გჩვევიათ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არამარტო ჯამ-ჭურჭლის — 10

8. ღამით თევზებიან აკვარიუმს გარდერობში დგამთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არა, იქ კატა ზის — 10

9. გჯერათ, რომ გარდერობში მოჩვენებები ბინადრობენ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) დიახ და ისინი ჩემი მეგობრები არიან — 10

10. გარდერობში ცარიელი ყუთები და შესაფუთები გიდევთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) დიახ და კიდევ სხვა ბევრი რამ — 10

შედეგები:

0-30 ქულა — გარდერობი არაფერში გჭირდებათ, მის გარეშეც მშვენივრად გრძნობთ თავს.

35-70 ქულა — ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიათ, რა დანიშნულება აქვს გარდერობს და ეს კარგია.

75-100 ქულა — დროა, მეორე გარდერობის შეძენაზე იზრუნოთ, რადგან ერთი ნამდვილად არ გყოფნით.

შეამოწმეთ თქვენი გეოგრაფიული ცოდნა

1. ამ სიტყვებიდან რომელი აღნიშნავს კუნძულების ჯგუფს?
ა) ფორდი
ბ) არქიპელაგი
გ) კანიონი
დ) ჰლეტჩერი

2. რომელი მთათა სისტემა ყოფს ევროპასა და აზიას?
ა) ალტაი
ბ) ურალი
გ) კარპატები
დ) კომუნიზმის პიკი

3. რომელი უდაბნოა ყველაზე უწყლო?
ა) საჰარა
ბ) ყარაყუმი
გ) ატაკამა
დ) გობი

4. რომელი სახელმწიფოა მსოფლიოში ყველაზე პატარა?
ა) ლიხტენშტეინი
ბ) ვატიკანი
გ) მონაკო
დ) ანდორა

5. რომელ ნახევარკუნძულზე მდებარეობს საბერძნეთი?
ა) პირინეის
ბ) აპენინის
გ) არაბეთის
დ) ბალკანეთის

6. რომელია ფართობის მიხედვით ამერიკის ყველაზე დიდი ტბა?
ა) ჰურონი
ბ) ზედა
გ) მიჩიგანი
დ) ონტარიო

7. რომელია ჩამოთვლილ მწვერვალებს შორის ყველაზე მაღალი?
ა) გამარჯვების პიკი
ბ) ჯომოლუნგმა
გ) იალბუზი
დ) აკონკაგუა

8. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელს უჭირავს ყველაზე დიდი ტერიტორია?
ა) რუსეთს
ბ) ჩინეთს
გ) კანადას
დ) აშშ-ს

9. ვისმა ექსპედიციამ იმოგზაურა პირველად მსოფლიოს გარშემო?
ა) კუკის
ბ) მაგელანის
გ) ვრანგელის
დ) ლისიანსკის

10. რომელ ოკეანეში მდებარეობს ჰავაის კუნძულები?
ა) წყნარ.
ბ) ატლანტის
გ) ინდოეთის
დ) ყინულოვან

სწორი პასუხები: 1. ბ) არქიპელაგი; 2. ბ) ურალი; 3. გ) ატაკამა; 4. ბ) ვატიკანი; 5. დ) ბალკანეთის; 6. ბ) ზედა; 7. ბ) ჯომოლუნგმა; 8. ა) რუსეთს; 9. ბ) მაგელანის; 10. ა) წყნარ.

შედეგები:

თუ ტესტის კითხვებიდან 8-ს სწორი პასუხი გაეცით, გეოგრაფიაში ნამდვილად განსწავლული ხართ. როგორც ჩანს, ინტერესიც გაქვთ, მოგზაურობაც გიყვართ და მსოფლიოც გაინტერესებთ. თუ უფრო ნაკლებ კითხვაზე გაქვთ სწორი პასუხი, თქვენი გეოგრაფიული ცოდნა მოიკოჭლებს.

Cyan Magenta Yellow Black

გერმანელებმა შობა გაყინულ ტბაში აღნიშნეს

საახალწლოდ გამოწყობილმა ბერლინის ყინულის კლუბის 40-მდე წევრმა 25 დეკემბერს ყინულივით ცივ ტბაში გაცურა. მათ ადგილობრივები „ბერლინელ ზღვის ლომებს“ უწოდებენ. ამ ტრადიციას საფუძველი 1984 წელს, შობის დღესასწაულზე ჩაეყარა და კლუბის წევრებმა ტრადიციას არც ახლა უღალატეს.

უმ კვერცხებს შეწირული სიცოცხლე

ტუნისელი დაუ ფატნასი მეგობრებს დაენიძღავა, რომ ქათმის 28 უმ კვერცხს ერთ ჯერზე შეჭამდა და ეს გააკეთა კიდეც, მაგრამ...

ნიძღავის მოგების შემდეგ კაცმა მუცელში საშინელი ტკივილი იგრძნო. მეგობრებმა მაშინვე გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, დაუ ფატნასი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ფეხბურთელი სპილოები

ნეპალში, საურაჰას ეროვნულ პარკში, სპილოების ყოველწლიური ფესტივალი დაიწყო. ფესტივალის პირველ დღეს სპილოთა გუნდებს შორის საფეხბურთო მატჩი გაიმართა, რომლის გამარჯვებულიც ადგილობრივი კლუბი გახდა, გამარჯვება კი გუნდს მათმა ლიდერმა სპილომ, სახელად პელემ მოუტანა. მატჩი დიდი უპირატესობით 6:0 დასრულდა.

ორგანიზატორების განცხადებით, ასეთი ღონისძიებები ბუნების დაცვის მიზნით ეწყობა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა სპილოების შეჯიბრი სირბილში და მათი სილამაზის კონკურსიც.

ოქროს ნაძვის ხე

იაპონელმა იუველირმა გინზა ტანაკამ 40 კილოგრამიანი ოქროს ნაძვის ხე შექმნა, რომელიც 4,2 მილიონ დოლარადაა შეფასებული და მისი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. იუველირმა ამ ძვირადღირებული ნივთით დისნეის 110 წლის იუბილეც აღნიშნა. 24 კარატი ოქროსგან დამზადებული ნაძვის ხის შექმნაზე დიზაინერმა 2 თვე დახარჯა.

დეკორაციას მინი და მიკი მაუსი, დონალდ დაკი, კონკია და დისნეის მულტფილმების სხვადასხვა ცნობილი გმირები ამშვენებენ. ტანაკამ ასეთივე ფორმის ვერცხლის ნაძვის ხეც დაამზადა, რომელიც 243 ათას დოლარადაა შეფასებული.

ამსტერდამს ქალის გიგანტური პორტრეტი ამშვენებს

მსოფლიოში ყველაზე დიდი პორტრეტის სანახავად ამსტერდამს თვითმფრინავით უნდა გადაუფრინოთ. 80 წლის ჰოლანდიელმა მხატვარმა ხორხე როდრიგე გერადიმ ქალაქის ერთ-ერთი არხის სანაპიროზე ანონიმი ლათინოამერიკელი ქალის სახე გამოსახა.

გიგანტური პორტრეტი ფართობით 2 საფეხბურთო მოედნის ტოლია. მხატვარს დახმარება ადგილობრივმა ფემინისტურმა ორგანიზაცია „მამა ქეშმა“ გაუწია. როგორც გერადიმ აღნიშნა, ამ გზით მან მხარდაჭერა გამოუცხადა სუსტი სქესის უფლებათა დამცველ ქალებს.

Cyan Magenta Yellow Black

აკრობატი გორილა

გერმანიის ქალაქ კრეფელდის ზოოპარკის ბინადარმა, 12 წლის გორილამ, სახელად კიდოგომ, თოკზე სიარული ისწავლა. 2012 წლის მარტამდე კიდოგო დანიის ზოოპარკში ცხოვრობდა. ის კრეფელდის ზოოპარკმა მას შემდეგ შეიძინა, რაც მათი მამრი გორილა უნაყოფო აღმოჩნდა.

კიდოგო ახლა ორ მდედრ გორილასთან — 23 წლის მუნასთან და 24 წლის ოიასთან ერთად ცხოვრობს და სწორედ აქ აღმოაჩინა, რომ აკრობატული ნიჭით იყო დაჯილდოებული. 2013 წელს კრეფელდის ზოოპარკი 75 წლის იუბილეს იზეიმებს, რომლის მთავარი გმირი აკრობატი კიდოგო იქნება.

ხალი ნახევარ სხეულზე

ჩინელ იანგ ჰონგმინს ნახევარი სხეული ხალით აქვს დაფარული. როდესაც იგი დაიბადა, სხეულზე პატარა, თითქმის შეუმჩნეველი ხალი ჰქონდა. დროთა განმავლობაში ხალი ეზრდებოდა, მაგრამ ფინანსურად გაჭირვებული ოჯახი შვილის მკურნალობას ვერ ახერხებდა. ამ ნაკლის გამო იანგი ხშირად იყო ბავშვების დაცინვის ობიექტი.

მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ მისი პრობლემის შესახებ შეიტყო, პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთმა კლინიკამ გადაწყვიტა, იანგს უფასოდ გაუკეთოს ოპერაცია.

ჩინეთში ყინულის პარკი გაიხსნა

30 დეკემბერს ჩინეთში მსოფლიოში ცნობილი ჰარბინის ყინულის 28-ე ფესტივალი გაიხსნა. პარკი, სადაც ყინულის ქანდაკებებია გამოფენილი, 750 ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და 2 ათასამდე ნამუშევარს მოიცავს.

დამთვალიერებლებს ყველა ნაგებობაში შესვლა და დათვალიერება შეუძლიათ. გარდა ამისა, შესაძლებლობა აქვთ, იხილონ, როგორ მუშაობენ მოქანდაკეები და დაესწრონ კონცერტებს.

24 ტონიანი პიცა

რომში მცხოვრებმა მზარეულმა, დონვილიო ნარდიმ, ოთხ დამხმარესთან ერთად მსოფლიოში ყველაზე დიდი პიცა გამოაცხო. გიგანტური პიცის დიამეტრი 39 მეტრია და 24 ტონას იწონის. მის მოსამზადებლად მზარეულებს 48 საათი, 8,5 ტონა ფქვილი, 4,5 ტონა ტომატი, 3 ტონა ყველი „მოცარელა“, 675 კილოგრამი მარგარინი, 250 კილოგრამი მარილი და 25 ლიტრი ძმარი დასჭირდათ.

გიგანტური პიცა, სახელწოდებით „ოტავია“, გინესის რეკორდების წიგნში უკვე შევიდა. ამ დრომდე ყველაზე დიდი პიცა სამხრეთ აფრიკაში 1990 წელს დაამზადეს, რომლის დიამეტრიც 37 მეტრი იყო.

ზვიგენებით სავსე აკვარიუმი გასკდა

შანხაის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში დამონტაჟებული ზვიგენებით სავსე გიგანტური აკვარიუმი მოულოდნელად გასკდა და ზვიგენები პირდაპირ დამთვალიერებლებს დაეცნენ თავზე. დაშავდა 56 ადამიანი, მათგან 6 დღემდე კრიტიკულ მდგომარეობაშია. მოკვდა 7 ზვიგენი, პატარა თევზები კი ერთიანად განადგურდნენ.

აკვარიუმი წყლიანად 34 ტონაზე მეტს იწონიდა, შუშის სისქე კი 25 სანტიმეტრს აღემატებოდა. პოლიციის თანამშრომლების ცნობით, ყველა ტრავმა, რომლებიც დამთვალიერებლებმა მიიღეს, აკვარიუმის ნატეხებმა გამოიწვია. პოლიცია იძიებს, რამ გამოიწვია შუშის გახეთქვა.

Cyan Magenta Yellow Black

წნევამ რომ არ შეგვაწუხოს



რატომ აღმოცენდება ჰიპერტონია და როგორ არ დავუშვათ მისი გამწვავება?

მომატებული არტერიული წნევა ნორმალური რეაქციაა სტრესზე, სპორტულ ვარჯიშზე ან ემოციების ამოხეთქვაზე. ასეთ დროს წნევა სწრაფად უბრუნდება ნორმას ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად, მაგრამ თუ მუდამ მაღალია, ასეთ სენს არტერიულ ჰიპერტენზიას უწოდებენ.

ჰიპერტონიული დაავადება მომატებული არტერიული წნევაა 140/90 მმ-მდე და მაღლა. ჰიპერტენზია შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი დაავადება, ასევე სხვა სენის გამოვლენა. შესაძლებელი მიზეზებია: ენდოგენური, თირკმლისმიერი, ნევროლოგიური დარღვევები, მათ რიცხვში სტრესი, ორსულობა, სიმსუქნე და ზოგიერთი წამლის მიღება.

არტერიული ჰიპერტენზიის სიმპტომებია: თავის ტკივილი, თავბრუ, ყურებში ხმაური, უღონობა და დაღლა, მხედველობის გაუარესება, ძილის დარღვევა, გულის მიდამოში ტკივილი, გულისცემის გახშირება, შეშუპება.

რჩევა: პირველ რიგში, საჭიროა ცხოვრების წესისა და კვების შეცვლა. ალკოჰოლზე, თამბაქოზე უარი, ფიზიკური დატვირთვის გაზრდა, მარილის მოხმარების შემცირება, მეტი მცენარეული და რძის მჟავე პროდუქტების ჩართვა რაციონში, ცხიმიან კერძებზე უარის თქმა. წამლისმიერი თერაპიის სქემას ექიმი ინდივიდუალურად შეიმუშავებს.

ჰიპერტონიის სამკურნალო მინაური საშუალებები

2 სუფრის კოვზ კუნელის ნაყოფს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. წყლის აბაზანაზე 15 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ. მზა ნაყენი ცივ ადგილას არაუმეტეს 2 დღე გააჩერეთ. დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 1/3 ჭიქა მიიღეთ.

ქილაში 2 ჭიქა არაყი, 2 ჭიქა ჭარხლის წვენი და ამდენივე თაფლი ჩაუშვით. 100 გრამი ბერულა დაუმატეთ, აურიეთ და 10 დღე დადგით. შემდეგ გაწურეთ, თავი დაახურეთ და ბნელ ადგილას შეინახეთ. დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 1-2 სუფრის კოვზი მიიღეთ.

2 ჭიქა შტოში კარგად გარეცხეთ, ხის ჯოხით დასრისეთ, 2 ჭიქა შაქარი დაუმატეთ და კარგად აურიეთ. ნარევი ცივ ადგილას შეინახეთ. დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 1 სუფრის კოვზი მიიღეთ.

მოცვი დაბერებას ანელებს

მეცნიერთა აზრით, მოცვი აბსოლუტური ჩემპიონია მანგანუმის, ორგანული მჟავების, პექტინისა და ანტიმჟანგავების შემცველობით ტყის კენკრას შორის.

დადგენილია, თუ მთელი წლის განმავლობაში დღეში 50 გრამ მოცვს შეჭამთ (ქორფას ან გახეხილს, შაქრით), ეს ორგანიზმის დაბერების პროცესის შენელებას დაეხმარება. აღნიშნული ტყის კენკრა შეუცვლელია ადამიანებისთვის, ვისაც თვალის დაავადებები აწუხებთ და მათთვის, ვისი სამუშაოც დაკავშირებულია მხედველობის ორგანოების მომატებულ დატვირთვასთან.

მოცვის ნიღაბი კანის დაბერების შეჩერებას ეხმარება და ფორებს ავიწროებს. ნიღბის გაკეთება ადვილია. სახეზე ქორფა კენკრის წვენი წაისვით, ზემოდან მარლა დაიფარეთ, ხოლო 15-20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. შედეგი რომ დაინახოთ, ნიღაბი კვირაში 2-ჯერ, მთელი თვის განმავლობაში გაიკეთეთ.

მოცვი ყოველდღიურად შეგიძლიათ ჭამოთ და ზედმეტი კალორიების შიში არ გქონდეთ. 100 გრამი კენკრა მხოლოდ 40 კკალორიაა.

როგორი კბილის პასტაა თქვენთვის შესაფერისი?

საერთოდ კბილის პასტა სტომატოლოგმა უნდა შეარჩიოს. არის ნიუანსები, რომლებიც ექიმისთვის უფრო თვალნათელია, მაგრამ ცხოვრება იდეალურისგან შორსაა და ბევრი ჩვენგანი პასტას თავისი შეხედულების მიხედვით ირჩევს. როგორ არ შევცდეთ არჩევანში?

თუ კბილები და ღრძილები წესრიგშია, ექიმთან ყოველ 6 თვეში ერთხელ მიდიხართ და არა — მაშინ, როდესაც პრობლემა გაჩნდება, ე.წ. უნივერსალური პასტები გამოდგება. ეს საშუალებები სუსტ ანტისეპტიკურ, მათეთრებელ მოქმედებას ფლობს და სუნთქვას ასუფთავებს.

სამკურნალო-პროფილაქტიკური პასტები კარიესის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების, პაროდონტიტის პროფილაქტიკისთვის გამოიყენება. ასეთი პასტები შეიცავს ფთორს, ასევე კალციუმის ნაერთებს, რომლებიც კბილის მინანქარს ამაგრებს.

ანთების საწინააღმდეგო პასტების შემადგენლობაში შედის ტრიკლოზანი ან ქლორგეკსიდინი (მავნე ბაქტერიებსა და მიკრობებს ანადგურებენ) ან მცენარეული ექსტრაქტები (მუხის ქერქის, სალბის, გვირილის და ა.შ.), მინერალური მარილები.

სიფრთხილე ზედმეტი არ არის

პროფილაქტიკის მნიშვნელოვანი მომენტი: დილით კბილები კარიესის საწინააღმდეგო, ხოლო საღამოს — ანთების საწინააღმდეგო პასტით გაისუფთავეთ. მაგრამ გაითვალისწინეთ: უკანასკნელი გამოიყენეთ არაუმეტეს 2-4 კვირისა მიყოლებით, სხვაგვარად მავნესთან ერთად შესაძლებელია სასარგებლო მიკოორგანიზმებიც განადგურდეს, შედეგად, პირის ღრუს ბუნებრივი მიკროფლორა დაირღვევა.

ფრთხილად იყავით მათეთრებელ პასტებთან. მათი ნაწილი შეიცავს ძლიერ ქიმიურ მჟანგავებს, რომლებსაც შეუძლიათ კბილის პლომბის ფერის შეცვლა. ზოგიერთი მათგანის შემადგენლობაში კი შედის აბრაზიული კომპონენტები, რომლებიც გაპრიალებულ ზედაპირს ხეხავენ. საერთოდ, მათეთრებელი პასტების გამოყენება კვირაში მხოლოდ 1-2-ჯერ შეიძლება. ისინი უკუნაჩვენებია კარიესისკენ მიდრეკილების დროს, ვისაც პაროდონტოზი და კბილის მინანქრის მგრძნობელობა სტანჯავს. არსებობს სპეციალურიი პასტები, რომლებიც კბილის მგრძნობელობას აქვეითებს (ეს მითითებულია საფუთავზე), მაგრამ არც მათი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივად, ვინაიდან შესაძლებელია სტომატოლოგიური დაავადებების სიმპტომების „შენიღბვა“.

ვინც ბრეკეტებს ატარებს, კბილებს განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა მოუარონ. აქ მხოლოდ პასტა არასაკმარისია. ყოველი ჭამის შემდეგ აუცილებელია კბილებშორის სივრცეში ფლოსის (წვრილი ძაფი, რომელიც კბილებშორის არეს ასუფთავებს) გატარება.

ბავშვებს თავისი პასტები უნდა ჰქონდეთ. მათი შერჩევის ზოგადი პრინციპი ასეთია: თუ ბავშვი 6 წელზე ნაკლებისაა, მისთვის შეიძინეთ პასტა ფთორის დაბალი შემცველობით. საქმე ისაა, რომ პატარები მას ხშირად ყლაპავენ.

პიტნა წონის წინააღმდეგ

პიტნის არომატის შესუნთქვა ეფექტურ გახდომას ხელს უწყობს. ახალი არომადიეტა რაციონის შემცირებას ან საყვარელი პროდუქტების ამოღებას არ ითხოვს. საკმარისია, ადამიანმა მაჯაზე პიტნის ხსნარი (მცირე რაოდენობით) დაიწვეთოს და მთელი დღის განმავლობაში ისუნთქოს. ამერიკელმა მკვლევრებმა ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადეს, ადამიანი, რომელიც ამ დიეტას იყენებს, ყოველკვირეულად ჩვეულებრივზე 1800 კკალორიით ნაკლებს მოიხმარს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— მაქვს ვეგეტონევროზი. ნევროპათოლოგის დანიშნულმა წამლებმა ალერგია მომცა. ფიქრი იმაზე, რომ არ გაუგოუდე, არ მასვენებს. მირჩიეთ რამე.

— აუცილებლად მიმართეთ ნევროპათოლოგს, რომ დანიშნულება შეგიცვალოთ და სხვა წამლები დაგინიშნოთ. რადგან აკვიატებული ფიქრები გაქვთ, თვითნებური მკურნალობა შედეგს არ მოგცემთ. ვეგეტონევროზი არ არის რთული დაავადება, რომელიც ძნელად იკურნება. დროულად მიმართეთ ექიმს.

— რამდენად სასარგებლოა გლიცერინის და ბუსკოპანის სანთლები და რამდენჯერ შეიძლება დღის განმავლობაში გაკეთდეს ექიმის გარეშე?

— დღეში სამჯერ შეგიძლიათ გამოიყენოთ. სანთლის გაკეთების შემდეგ 5-10 წუთი წამოწექით.

— მაქვს ქავილი და გამონადენი. რას მირჩევთ?

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, ჩაიტარეთ ნაცხის ანალიზი და მკურნალობაც შესაბამისი დაგენიშნებათ. გამონადენი და ქავილი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოკოვანი დაავადებით, ასევე ტრიქომონითაც, საჭიროა დროული მკურნალობა.

— რა იწვევს პირში უსიამოვნო სუნს და როგორ ვუმკურნალო სახლის პირობებში?

— პირში უსიამოვნო სუნი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ბუნებრივია, პირველ რიგში, პირის ღრუში თუ არის პრობლემა, უნდა მოწესრიგდეს. უსიამოვნო სუნის მიზეზი შეიძლება კუჭ-ნაწლავის პრობლემიდან მომდინარეობდეს. პირის ღრუში ჩაიდეთ ერთი კოვზი თაფლი და წუწნეთ, თუ ღრძილების ანთებითი პროცესი მიმდინარეობს, პრობლემა ნაწილობრივ მოგიწესრიგდებათ. გამოივლეთ სალბის ნაყენი. მაგრამ თუ პრობლემა შინაგანი ორგანოებიდან მომდინარეობს, სპეციალისტს მიმართეთ.

— სწორი ნაწლავის გარეთ მაქვს ჭიების ფუთფუთის შეგრძნება. ხშირად ვგრძნობ ძლიერ ქავილსაც და მაქვს კანის წვის შეგრძნება. მირჩიეთ რამე.

— პირველ რიგში, საჭიროა გამოკვლევა პარაზიტებზე. მსგავსი სიმპტომები ახასიათებს მახვილას, რომელიც თეთრი ფერის საკმაოდ წვრილი ჭიაა. მისი მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია. გირჩევთ გაიკეთოთ ნივრის წყლის ოყნა. 2-3 კბილი ნიორი გასრისეთ, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი, შეაგრილეთ კარგად და გაიკეთეთ ოყნა. ნიორწყალი არ უნდა იყოს ძალიან ძლიერი, ანუ ნივრის სუნი და გემო ოდნავ უნდა იგრძნობოდეს. კუჭის ყოველი მოქმედების შემდეგ საპნით დაიბანეთ და სწორი ნაწლავის გარეთ გაიკეთეთ მშრალი ბამბის პატარა ტამპონი. კუჭის ყოველი მოქმედების შემდეგ ბამბის ტამპონი გამოცვალეთ. ამ პროცედურას დაახლოებით 21 დღე სჭირდება. შვებას აუცილებლად იგრძნობთ. ბუნებრივია, გამოკვლევის ჩატარებას კიდევ ერთხელ გირჩევთ.

— მაქვს თავის ძლიერი ტკივილი და თავბრუსხვევა. ექიმის დანიშნულ წამლებს ვიღებ, მაგრამ უშედეგოდ. რას მირჩევთ?

— აუცილებელია განმეორებითი კვლევის ჩატარება, რადგან შეიძლება თქვენი მკურნალობის კურსი არ შეესაბამება რეალურ დიაგნოზს. გამოკვლევის ჩატარება კვალიფიციურ ნევროპათოლოგთან ვიზიტით დაიწყეთ.

— მაწუხებს ხშირი შარდვა და შეკრულობა. არ მაქვს არც წყა და არც — ტკივილი. რა შეიძლება იყოს და როგორ ვუმკურნალო სახლის პირობებში?

— აუცილებელია შარდის საერთო ანალიზის გაკეთება, რათა განისაზღვროს შარდში მარილოვანი შემადგენლობა და ზოგადი სურათი, შემდეგ შეიძლება კონკრეტული რჩევის მოცემა. ხშირი შარდვა და შეკრულობა ერთმანეთთან კავშირში არ იქნება, ორივე სიმპტომი სხვადასხვა დაავადების მანიშნებელია.

— მაქვს პირველი ჯგუფის რეზუს-უარყოფითი სისხლი, მაინტერესებს საშიშია თუ არა ფეხმძიმობისას?

— ქალბატონების ნაწილს აქვს რეზუს-უარყოფითი ჯგუფის სისხლი, რაც ფეხმძიმობის დროს არანაირ პრობლემას არ უქმნით. ფიზიოლოგიურადაც მშობიარობენ და ნაყოფიც სრულყოფილი იბადება. სასურველია, ასეთი ქალბატონები ფეხმძიმობისას კონსულტაციას სპეციალურ კლინიკაში გადიოდნენ.

— გთხოვთ მირჩიოთ, შინაურ პირობებში როგორ ვუმკურნალო ფრჩხილებს, მეყოფა და მემტკივება.

— დღეს ფრჩხილების მკურნალობა დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს, რადგან პარფიუმერიის მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ხელის საცხი, რომელიც ფრჩხილების კარგი მკვებავიც არის და მას მინერალებით და საჭირო ვიტამინებით ამდიდრებს. საუკეთესო საშუალებაა სახლის პირობებში თბილი, მარილიანი ზეთის აბაზანები. ზეთი შეათბეთ, ჩააწვეთეთ შიგ რამდენიმე წვეთი იოდი და ცოტა მარილი ჩაყარეთ. მოურიეთ კარგად და თითები ჩაყავით, გააჩერეთ 5-10 წუთი, შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით კარგად შეიმშრალეთ. პროცედურა 10 დღის განმავლობაში დღეში ერთხელ გაიკეთეთ.

— ნევროზს რა სიმპტომები ახასიათებს?

— არსებობს ვეგეტატიური და ფსიქიკური ნევროზი, თითოეული მათგანი სხვადასხვა სიმპტომით ხასიათდება. ფსიქიკური აშლილობა, ანუ ფსიქოზი, შეიძლება ითქვას, რომ სულ სხვა სიმპტომების მქონე დაავადებაა და მისი წარმომშობი მიზეზებიც გაცილებით მძიმეა. ზოგნი ვეგეტონევროზს დაავადებად არ მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ ეს არის ადამიანის დროებითი შფოთვითი მდგომარეობა, რომელსაც თვითონ პაციენტი უნდა გაუმკლავდეს ცხოვრების პირობების შეცვლით, უფრო ზუსტად, უნდა გამოირიცხოს ის ნერვული გამაღიზიანებლები, რაც იწვევს პაციენტის შფოთვას, უძილობას, ტაქიკარდიას, უმიზეზო ტირილს, სხეულის ქავილს, ტანზე ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნებას და ა. შ. ნევროზის დროს ყველა პაციენტს ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება, რადგან სიმპტომები საკმაოდ განსხვავებულია. თუმცა მხოლოდ ზოგადი ნიშნების მიხედვით დიაგნოზის დასმა არასწორია, რადგან შეიძლება მსგავსი სიმპტომი ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურმა მოშლილობამ გამოიწვიოს. ამიტომ ნევროზის დიაგნოზი ანამნეზის შედეგად ნევროპათოლოგმა უნდა დასვას, დაავადების სიმძიმის მიხედვით განისაზღვროს მკურნალობის ტიპი, საჭიროა თუ არა ძლიერი დამაწყნარებელი საშუალებების გამოყენება.

— თმა მცვივა ძალიან, მირჩიეს თიხის ნიღაბი. როგორ გავაკეთო?

— თიხას ნიღბის მოსამზადებლად პასტის ან ფხვნილის სახით ნებისმიერ აფთიაქში წააწყდებით. თბილ წყალში გახსნილ თიხას არაჟნის კონსისტენცია უნდა ჰქონდეს. მიღებული მასა წაისვით ნამიან თმაზე და გაიჩერეთ 15 წუთი.

ბუნებრივია, თავის დაბანისას თმის რაღაც რაოდენობა ჩამოვა. თიხის ნიღაბი მხოლოდ თმის მკვდარ ღერებს აშორებს. ამ ნიღბის გამოყენება კვირაში 2-3-ჯერ შეიძლება.

ჭკვიანი მსუქნები

Sმერიკელმა მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ჭარბი წონა ქალებში გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. სხვადასხვა კომპლექციის ათასი ქალის შესწავლით, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფუმფუცა ფორმების მშვენიერი სქესის წარმომადგენლები უკეთეს გონებრივ შესაძლებლობებს ფლობენ, ვიდრე გამხდრები. ამგვარად, არცთუ მთლად იდეალური ფორმების ქალებმა ინტელექტუალური კოეფიციენტის ტესტირებაში უფრო მაღალი შედეგები უჩვენეს. ექსპერტებმა ეს არ იკმარეს და შედეგების გაანალიზების შემდეგ დაასკვნეს: რომ მსუქანი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვები, როგორც წესი, თანატოლებზე უფრო ჭკვიანები და საზრიანები არიან.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.

Cyan Magenta Yellow Black

ვბრუნავთ დეკოლტეს და მკერდზე

ხეულის ეს დელიკატური ნაწილი არამხოლოდ მამაკაცების ყურადღებას იმსახურებს, ასევე თქვენსას.

ქიმიის გარეშე: ნატურალური წმენდა

ზღვის მარილის რეგულარულად გამოყენება მკერდზე გლუვი კანის შენარჩუნებას ეხმარება. 4 სუფრის კოვზი ზღვის მარილი და 1 სუფრის კოვზი ზეითუნის (ან ნუშის) ზეთი შეურიეთ, წრიული მოძრაობით დეკოლტეს მიდამოზე მსუბუქად წაისვით, როდესაც შხაპის მიღებას აპირებთ. ასეთ ნატურალურ პილინგს ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის უკუჩვენება არ აქვს.



მკერდის კანს ატენიანებს, ჭიმავს მცენარული ექსტრაქტების (ჰიალურონის მჟავა, ყურძნის წიპწების, ნუშის ზეთი) შემცველი კრემები. კრემი წაისვით მკერდის ღარიდან ზევით, მხრებისკენ.

ცივი და ცხელი

კონტრასტული გადავლება მკერდის კანს ტონუსში იცავს, მაგრამ ვისაც ეს პროცედურა არ უყვარს, გადავლება კომპრესით შეცვალეთ. პირსახოცი ცხელ წყალში დაასველეთ, გაწურეთ და მკერდზე 5-8 წუთი დაიდეთ. შემდეგ ცივი პირსახოცით შეცვალეთ ან დეკოლტეს მიდამოში ყინულის კუბიკი გადაისვით. შეგიძლიათ გვირილის, ღიღილოს ყვავილების ნახარში გაყინოთ.

ნახინჯისფერი განწყობა

თუ დიეტის დაცვა გადაწყვიტეთ, გახსოვდეთ, ყველაზე პირველად მკერდი იწყებს გახდომას, მოჩვარულ კანზე ნაოჭები ჩნდება. ამიტომ უმჯობესია, ჯანსაღი კვების პრინციპები დაიცვათ, რაციონში მეტი ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული, ციტრუსები ჩართეთ. ისინი კანის შემაერთებელ ქსოვილებს ამაგრებს და ფუმფულა ფორმებს იცავს.

სპოჩტული ხეფიმში

მკერდის ვარჯიშს მხოლოდ ერთი წუთი სჭირდება. დადექით სწორად, მხრებში, წელში გაიმართეთ, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. ხელისგულები მკერდის სიმაღლეზე მჭიდროდ შეკარით და ერთმანეთს დააჭირეთ. ამ დროს მხრები არ ასწიოთ. გააკეთეთ 3-ჯერ, თითოეული — 10 წამის განმავლობაში. უკვე 2 კვირის ვარჯიშის შემდეგ, სასიამოვნო ცვლილებებს შენიშნავთ.

კივი ფრჩხილებისათვის

მანიკიურს, მარილის აბაზანებსა და მასაჟს რეგულარულად იკეთებთ, მაგრამ თქვენი ფრჩხილების მდგომარეობა მაინც არ გაკმაყოფილებთ? სიტუაციის გამოსწორების რამდენიმე საშუალება არსებობს.

ვასუფთავებთ. ფრჩხილებს წყალში დასველებული ჯაგრისით ვასუფთავებთ. წმენდა გარქოვანებულ უჯრედებს აცლის და თითებში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. ჩამუქებულ ფრჩხილებს ლიმონის ან კივის წასმა ჯანსაღ ბრწყინვალებას აძლევს. ამ ხილში ბევრია C ვიტამინი, რომელიც ფრჩხილებისა და მის ირგვლივ კანისთვის მეტად სასარგებლოა. მაგრამ პროცედურა არ უნდა იყოს ხშირი (არაუმეტეს კვირაში ერთხელ), სხვაგვარად ფრჩხილების გამოშრობის რისკი არსებობს.

ვიმაგრებთ. ფრჩხილის ფირფიტა თხელდება, განილევა ხისტი წყლის, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებების ან ფარისებურ ჯირკვალთან პრობლემების გამო. გამოიყენეთ ხელთათმანი, ყოველდღიურად ვიტამინური კომპლექსის შემცველი მკვებავი კრემი შეიზილეთ. ფრჩხილების გამაგრებას ასევე მარილის აბაზანა ეხმარება. 1 სუფრის კოვზი ზღვის მარილი 1 ჭიქა თბილ წყალში გახსენით, წყალში თითების ბოლოები ჩაყავით და 20 წუთი გააჩერეთ. ამის შემდეგ ხელებზე წყალი არ გადაივლოთ, უბრალოდ პირსახოცით შეიმშრალეთ. პროცედურის ჩატარება საკმარისია კვირაში 1-2-ჯერ.

ფრჩხილების აშრევება. ყველაზე ხშირად მიზეზი შეიძლება იყოს მანიკიურის არასწორი ინსტრუმენტები (უხეში ლითონის ქლიბი), ერთფეროვანი კვება, აგრესიული აცეტონი. ფრჩხილების აშრევება რომ არ მოხდეს, დროდადრო ზეთის აბაზანა გაიკეთეთ. ჯამში თბილი მცენარეული ზეთი ჩაასხით, ლიმონის რამდენიმე წვეთი დაუმატეთ და ნარევში თითები 10-15 წუთი გააჩერეთ. შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით გაიწმინდეთ და 2 საათი არ დაისველოთ. ასევე გადახედეთ რაციონს. ჩართეთ ხაჭო, თევზი, ნიგოზი, პარკოსნები. კვირაში 3 დღე ფრჩხილებს სუნთქვის საშუალება მიეცით (არ გამოიყენოთ ლაქი და სხვა საშუალებები, არც გამამაგრებელი).

რაც შეეხება მანიკიურს, ნუნები არ მოიჭრათ, არამედ ხის ჩხირით უკან ჩასწიეთ. კანის ეს თხელი ფენები რომ დარბილდეს, წინასწრ ორთქლის აბაზანა გაიკეთეთ. 1 სუფრის კოვზ გვირილას, ჭინჭარს ან ცაცხვის ყვავილებს 1 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით და ხელები ორთქლზე გააჩერეთ ან შეგიძლიათ ჩვეულებრივი ბავშვის კრემი გამოიყენოთ.

ზღვის მარილი — საუკეთესო კოსმეტოლოგი

მარილი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია ჩვენი სისხლის. ის აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისთვის, გულისა და თირკმლების მუშაობისთვის.

არის კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი: მარილი კანის სილამაზისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებას ეხმარება. კოსმეტოლოგები უპირატესობას ზღვის მარილს ანიჭებენ.

ზღვის მარილი ტრადიციულად მრავალი კრემის, ნიღბის, ტონიკისა და ლოსიონის შემადგენლობაში შედის. რატომ? ასეთი კოსმეტიკის გამოყენებისას სახის ფერი უმჯობესდება, ფორები ვიწროვდება, კანი გლუვი და ხავერდოვანი ხდება.

ზღვის მარილი კანის ელასტიკურობას აუმჯობესებს, ალერგიისა და ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიების გამანადგურებელი თვისებები აქვს.

ქსოვილებიდან წყლის, შლაკების გამოდევნას ეხმარება, ამავდროულად კანს არ აშრობს.

მარილის შიგნით მიღება სასარგებლოა. სილამაზისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში გვეხმარება, ვინაიდან წყლის ცვლას არეგულირებს, უჯრედების აგებაში მონაწილეობს, საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს ააქტიურებს.

მარილიანი საპონი

ისე არაფერი ასუფთავებს კანს, განსაკუთრებით ცხიმიანს, როგორც წყლითა და საპნით დაბანა, მაგრამ საპონი აუცილებლად უნდა იყოს ისეთი, რომ მჟავა-ტუტის ბალანსი არ დაარღვიოს. ყველაფერს ჯობს, თავად მოამზადოთ.

ბავშვის ან კოსმეტიკური საპნის ნატეხი მსხვილად გახეხეთ. იმდენი წყალი დაასხით, რომ მასა 1 სმ-ით დაფაროს და ზომიერ ცეცხლზე დადგით. როდესაც საპონი გალღვება, 1 ჩაის კოვზი ბორის მჟავა ჩაუშვით (აფთიაქებში მოიკითხეთ) და მასა მიქსერით ათქვიფეთ, გააგრილეთ. 3 სუფრის კოვზი ზღვის მარილი და ნებისმიერი 3-4 წვეთი ეთერზეთი დაუმატეთ. კარგად აურიეთ.

ასეთი საპონი კანს არ აშრობს, გარქოვანებული უჯრედებისგან მშვენივრად ასუფთავებს, ფორებს ხსნის. გასუფთავებულ სახეზე ნიღაბი მშვენივრად ედება, ხოლო ყველა მკვებავი კრემი მომენტალურად შეიწოვება.

თხევადი საპონი მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში (შეგიძლიათ პლასტმასის გამოიყენოთ) შეინახეთ. ნორმალური კანისთვის საღამოს გამოიყენეთ, ცხიმიანისთვის — დილა-საღამოს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ჟართული ანეკდოტები

მეგჩელი ბაბუა შვილიშვილს აბოლებს:

— ეჩთხელ ახალგაზჩიდობაში, ზოოპარჩში ვიყავი. ხოო, არ გამოვარჩა ყჩაჯადილი?! თან მშიეჩი... ჰა, უნდა მეცეს ახლა და...

— შეგჭამა, ბაბუ?

— აუუუ! ჩა გეშვეღება, ბაბუ, შენ!

— მამი, ისეთ ბიჭს მივყვები, გაგიჟდები!

— რაია ამისთანა?

— არ სვამს, არ ეწევა, ქალები არ უყვარს...

— მეიცა, ქმრად მიყობი?!

❖ ❖ ❖

— ლევან, რომ გაიზრდები, რა გინდა, გამოხვიდე? — ეკითხება მასწავლებელი პირველკლასელს.

— დებილი, მასწ!

— რატომ დებილი, ლევან?

— მამამ თქვა ამ დილით, იმ დებილმა კობამ მერსედესი იყიდაო.

❖ ❖ ❖

ცოლ-ქმარი პარკში მერხზე სხედან. ჩაიარა წყვილმა.

— რა მშვენიერი წყვილია, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— პირიქით, ძალიან შეუფერებლები არიან ერთმანეთისთვის, — პასუხობს ცოლი.

— მე ქალის მკერდი ვიგულისხმე.

❖ ❖ ❖

მიხო ახალშერთულ ცოლს:

— მიდი, ქალო, ლოგინი გაასწორე.

— რა გასწორება უნდა, წუხელ ჩაღუნე თუ?

❖ ❖ ❖

თბილისის „დინამოს“ თამაშზე პოლიციამ პატარა გულშემატკივარი გამოიჭირა ღობეზე გადაძრომის მცდელობისას.

— ახლავე დაბრუნდი სტადიონზე და ბოლომდე უყურე ამათ უბედურებას, შე მოღალატევ!

❖ ❖ ❖

— რამე მემკვიდრეობითი დაავადება ხომ არ გაქვთ? — ეკითხება სეროჟას ექიმი.

— აბა, საიდან, ექიმოჯან, ბალღობიდან ობოლი ვარ.

❖ ❖ ❖

ზესტაფონელი ცოლ-ქმარი რესტორანში ვახშმობას მორჩნენ. თავს ოფიციანტი დაადგათ:

— მაგიდის ალაგებისთვის ფულს არ მაჩუქებთ?

— აბა, ეგი რისთვის წამოვიყვანე?! — ამბობს ზესტაფონელი, — ადე, ქალო, სტოლი აალაგე.

❖ ❖ ❖

ყოფილი ქმარი ყოფილ ცოლს ურეკავს:

— შენთან განშორების შემდეგ ვენდისპანსერში დავდივარ და თითო ნემსში 20 ლარს ვაძლევ.

— რატომ?

— იმიტომ, ქალბატონო, რომ შენ ათ ლარად აძლევდი.

❖ ❖ ❖

მონადირეები ერთმანეთს ეტრაბახებიან:

— ერთი კვირის წინ 75 კურდღელი მოვკალი.

— ეგ რაა, მე 223 ცალი გარეული იხვი ჩამოვაგდე.

— ღეღა, გაიცანი თამჩიკოს ახალი ქმარჩი?

— ჯი.

— ეგ ტიპი უფჩო ღამაზია თუ მტკვარჩი უფჩო შავია?

— თამჩიკოა უფჩო ფეხებდაღრჩეცილი.

— კაი რა... მაგდენი იხვი სულ არაა ჩვენს ჭალებში.

— ჰო, 75 კურდღელი ხომ დარბის მინდორში!

❖ ❖ ❖

— ჟორიკიას ხომ იცნობ, ცნობილაძეს? სიმამრი გარდაეცვალა და მისთვის კუნძული დაუტოვებია ანდერძით.

— სადაა ეგ კუნძული?

— ფეისბუქში.

❖ ❖ ❖

ზესტაფონელი რკინიგზელი შუაღამეზე ცოლს ეღლაბუცება, მაგრამ არაფერი გამოუდის და იმორცხვებს:

— დღეს რაღაც არ ვარ ფორმაში.

— მერე ჩეიცვი, ეგერ კიდია ვეშოლკაზე, — ასწავლის ცოლი.

❖ ❖ ❖

— სად იშოვე, გოგო, ასეთი ძვირფასი ქურქი?

— ზღვაზე ვისვენებდი, ერთი კაცი ჩამივარდა ხელში, რომელსაც ჯიბეში ზედმეტი ხუთი ათასი დოლარი ედო.

მეორეც სასწრაფოდ გარბის ზღვაზე და... ისეთივე ძვირფასი ქურქით ბრუნდება.

— რა, — ეკითხება პირველი, — შენც შეგხვდა ხუთი ათას დოლარიანი?

— არა, მე ორმოცდაათ დოლარიანი ასი კაცი შემხვდა.

❖ ❖ ❖

— არა, არა და არა! — უყვირის სასიმამრო ოს ჩინგიზას, — ჩემს ქალიშვილს შენ არ მოგათხოვებ!



ნასიონალმა ოქჩოს თევზი დაიჭიჩა.

— სამ სუჩვიღს შეგისჩეღებ და გამიშვი, — უთხჩა თევზმა.

— ბიძინა ჩა მოვიღეს ხეღისუფღებაში.

— ეგ ეჩთი, მეოჩე და მესამე?

— შენ ეგ ეჩთი გააჯეთე და დანაჩჩენს ჩვენ თვითონ შევისჩეღებთ.

— მიყვალს სასოწალკვეთილიიი! — ზლუქუნებს ჩინგიზა.

— მერე რა, რო გიყვარს?! მე არ მინდა, ჩემი ქალიშვილი დეგენერატის ოჯახში ცხოვრობდეს.

— იმიტომაც მიმყავს ცემთაან! — ბღავის ჩინგოია.

❖ ❖ ❖

ლიკა ეკას ეწვია და რას ხედავს: მოუშვია ონკანი ეკას და მთელი ბინა სავსეა წყლით. ეკა დივანზე წევს ნახევრად გახდილი.

— რა ხდება?! — გაიკვირვა ლიკამ.

— ჩემს ქვევით რო თემურა ცხოვრობს, იმან მითხრა გუშინ, თუ კიდევ ჩამომიშვებ წყალს, ამოვალ და გიხმარო.

❖ ❖ ❖

ქუთაისელი თავის გადაბერებულ ქალიშვილს ათხოვებს და მოძღვრავს:

— გოგო, მაყვალა, სასიძო რო მოვა სანახავად, ბაბუა-შენმა რომ მაცივარი „მინსკი“ გვაჩუქა, იმის გვერდით დაჯექი.

— რატომ, მამა?

— იმ მაცივართან შედარებით ახალგაზრდას შთაბეჭდილებას ტოვებ.

❖ ❖ ❖

— რატომ ნადირობ სპილოზე? — ეკითხებიან ბრაკონიერს.

— საერთოდ, აქ ჩიტებზე სანადიროდ მოვედი, მაგრამ სათვალე დავკარგე და რამეს ხომ უნდა ვესროლო?



ჰატაჩა მიშიკო მეზობელ ელიკო ბებოს უკაკუნებს.

— ჩა ხდება, მიშიკო?

— დედა ძალიან ავადაა და კაკლის მეჩაბას ხომ ვეჩ მომცემ?

— აბა, ჩას ვიზამ, — აფუსფუსდა ქალი, — ქილა გაქვს თუ თეფში?

— ჩაც ეჩთი... აქვე შევჭამ!

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

Cyan Magenta Yellow Black





სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

მამაკაცთა სვანური ცეკვა

1. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 2. ხის ანათალი; 3. კორეული ავტომობილი; 4. საქონლის წონა ჭურჭლიანად; 5. ბატკანი ერთ წლამდე; 6. ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი ქალისათვის; 7. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; 8. საიალქნე ძელი; 9. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 10. სტუმრების გამრთობი ქალი იაპონიაში; 11. თვალისჩინი; 12. ძველფრანგული ხურდა ფული; 13. მხარე საქართველოში; 14. ძიუდოს გასამართი ჭილოფი; 15. გავლენა, ავტორიტეტი; 16. იტალიური ფიჭვი; 17. მინის მილაკი თხევადი წამლის ჩასაწვეთებლად; 18. თანაარსებობა; 19. სუბტროპიკული მფლობელი; 20. აბონემენტის მფლობელი; 21. პერგამენტი; 22. ყალმუხეთის დედაქალაქი; 23. მდინარე ციმბირში; 24. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 25. მემამულე თურქეთში; 26. სამიანი ნარდში; 27. მაჰმადიანთა ღმერთი; 28. სიმინდის ყვავილედი; 29. ფრანკის მეასედი; 30. ღომის ამოსაზელი ჯოხი; 31. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 32. პოლიციელი საფრანგეთში; 33. ბუნებრივი წყალსატევი; 34. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 35. ერთგვარი თევზი; 36. ქალიშვილი ინგლისურად; 37. რაიმე მოქმედების არშესრულების გამომხატველი ნაწილაკი; 38. ... კოლინზი; 39. მეფის გრძელი, წითელი ხავერდის მოსასხამი; 40. ავსტრალიური სირაქლემა; 41. აკრძალვა; 42. წყლის პიტნა; 43. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა; 44. ნოტი; 45. სატანა; 46. ვისიმე პირისპირ დგომა; 47. ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 48. ბატონო ინგლისურად; 49. თამასუქი ფულის მისაღებად; 50. მუსიკალური გამის მესამე საფეხური; 51. მონათა აჯანყების ბელადი ძველ რომში; 52. მაყურებლის ადგილი თეატრში; 53. ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ელემენტი; 54. ალკოჰოლური სასმელისგან გამხიარულებული; 55. მოწმობა; 56. კაპასი, ანჩხლი; 57. ჩოგბურთის სათამაშო რაკეტა; 58. ... ფარულავა; 59. ქართველი მწერალი; 60. ნივთიერებათა საწყაო აშშ-ში; 61. რაიმე დამსახურების დამადასტურებელი საბუთი; 62. საყანედ გაკაფული ტყე; 63. ნაირფერი ძვირფასი ქვა; 64. სახელმწიფო აზიაში; 65. ძვირფასი სკამი, სავარძელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. აგამია; 2. ნოდარ; 3. ბანი; 4. იდიია; 5. ბასილა; 6. პაროლი; 7. მერიმე; 8. ტაიბეი; 9. ემულსია; 10. ბემოლი; 11. კრუიზი; 12. კომეტა; 13. პიცა; 14. სამბა; 15. მაზანდა; 16. ნიდაო; 17. აყიყი; 18. ტანკა; 19. ატიმია; 20. ლაგამი; 21. სისტემა; 22. ისლამი; 23. ნეზვი; 24. ლეგატო; 25. ნილს; 26. კუ; 27. დია; 28. გალუა; 29. კონდაკი; 30. მრუმე; 31. გამა; 32. გოგია; 33. სირჩა; 34. ნალჩიკი; 35. ომალო; 36. ამონი; 37. მაუდი; 38. ატრია; 39. როს; 40. პელიკანი; 41. კარმა; 42. ნარდი; 43. ნგო; 44. რამპა; 45. ატა; 46. ტრამალი; 47. ეტა; 48. პანორამა; 49. აგა; 50. სფინქსი; 51. პარადი; 52. ამინ; 53. ლალი; 54. მამიდა; 55. მირკანი; 56. „ალია“; 57. ნარ; 58. იო; 59. საკე; 60. ტენგე; 61. აურა; 62. სპიჩი; 63. სერსო. **სურათებზე:** რუსკა მაყაშვილი; სალომე ჭაჭუა; ეკა ნიჟარაძე; ეკატერინე ფანგანი.

ყოდი: ჩახოზი.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. იაპონური თეატრი
2. ... პიტი
3. მდინარე იტალიაში
4. ფრანგი კინომსახიობი ქალი
5. იუპიტერის თანამგზავრი
6. ... იოსელიანი
7. ...-აბება
8. ჯარი
9. ... ჰეიერდალი
10. ... სეზონი, ... საგზური
11. სპორტული ნაგებობა
12. მზაკვარი
13. ატმოსფერული მოვლენა
14. ტიბეტური ხარი
15. რიტმული სვლა
16. წრეწირის ფორმის საგანი
17. მუსიკალური ჟანრი
18. ერთგვარი გოდორი
19. ილეთი ბალეტში
20. თილისმა
21. ჭადრაკის ფიგურა
22. ... ბოლდუინი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. რე; 2. დუ; 3. ნადირი; 4. კალაპოტი; 5. აპოლოგია; 6. რინიტი; 7. ორლი; 8. ტაბუ; 9. რახი; 10. ლამა; 11. მელ; 12. ანოა; 13. მაუსი; 14. მიკ; 15. მისტერ; 16. ლოსი; 17. ალკოვი; 18. კაპიტალი; 19. ელია; 20. ერიკ; 21. ია.**სურათებზე:**ნაძვის ხე; თოვლის პაპა; სანტა კლაუსი; ჩიჩილაკი.

Cyan Magenta Yellow Black

დაფნა დიუ მორიე

საზღვარზე

დასაწყისი №51.2012–№1.2013

ნიკმა ოთახი გადაჭრა, კარი გამოაღო და გასძახა:

— ბობ!

— გისმენთ, სერ, — მოისმა სამზარეულოდან.

— როგორ მიდის ოპერაცია „ბ“-ს საქმე?

— მაიკლი სადაცაა, ნაპირს მოადგება, სერ.

— ძალიან კარგი, — თქვა ნიკმა და შეილას მიუბრუნდა, — ნება მიბოძეთ, სახლის დარჩენილი ნაწილი დაგათვალიერებინოთ.

— სიამოვნებით.

მოსმენილი რეპლიკებიდან შეილამ დაასკვნა, რომ მაიკლს ის მოტორიანი ნავით უკან უნდა წაეყვანა. სასტუმროში დაბრუნებულს სავსებით ეყოფოდა დრო, გადაეწყვიტა, აქ ისევ მოსულიყო და დაწყებული თამაში ბოლომდე მიეყვანა თუ თავისი მისიისთვის წერტილი დაესვა და შინ დაბრუნებულიყო. მანამდე კი ნიკი მას დერეფანში მიუძღვოდა და თან კარებს აღებდა, რომლებზეც ეწერა: „კავშირი“, „ლაზარეთი“, „კუბრიკი“...

„აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული, — გაიფიქრა ქალიშვილმა, — აქაურობა ისე მოუწყვია, თითქოს გემზე ცხოვრობს. ეს თამაში იმ იმედგაცრუებას უქარწყლებს, ცხოვრებაში რომ შეემთხვა“.

— აქ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა, — განუმარტა ნიკმა, — ტელეფონი რაში მჭირდება? ნაპირთან კავშირი მოკლეტალღოვანი გადამცემით ხორციელდება. კუნძულზე როცა ცხოვრობ, ყველაფერი თან უნდა გქონდეს. როცა აქ მოვედი, უბრალო ქოხიც არ იყო, ახლა კი ისეა მოწყობილი, როგორც ფლაგმანი. საჭიროების შემთხვევაში, აქედან ესკადრის მართვაც შეიძლება, — ამ სიტყვებს მან გამარჯვებულის ღიმილი მოაყოლა.

„არა, ნამდვილად შეშლილია, — გაიფიქრა შეილამ, — მაგრამ როგორი მიმზიდველი“.

— აქ რამდენი ადამიანი ცხოვრობს?

— ჩემი ჩათვლით ათი. აი, ჩემი აპარტამენტებიც.

ისინი დერეფნის ბოლოში იმ კარს მიადგნენ, რომელსაც ამშვენებდა აბრა: „კაპიტანი ბარი“.

კაპიტნის სამყოფელი სამი ოთახისა და სააბაზანოსაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ოთახი კაპიტნის ტიპური კაიუტა იყო, ოღონდ იქ, სტანდარტულის ნაცვლად, ჩვეულებრივი საწოლი იდგა. თითქმის ნაცნობმა გარემომ შეილას გარდასულ დროთა გახსენების ყრუ სევდა გაუჩინა.

— ეს სასტუმრო ოთახებია, — თქვა ნიკმა, — ნომერი ერთი და ნომერი ორი. ნომერი ერთიდან ტბის ხედი უკეთესია.

მან ფარდა გასწია. ბარდი მთვარე წყლის ხეებსმიღმა ზოლს ანათებდა. ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. ცხვრის კუნძული სულაც არ ჩანდა ისეთი ავბედითი, როგორც ეს შეილას თავიდან მოეჩვენა.

— ისეთი სილამაზეა, აქ რომ მოვხვედრილიყავი, ალბათ მეც განდეგილობას ვარჩევდი, — თქვა შეილამ და დაამატა, — მეტ დროს აღარ წაგართმევთ. მაიკლი ალბათ უკვე მელოდება, უკან რომ დამაბრუნოს.

— უკან? არავითარ შემთხვევაში, — ნიკმა ღამის მაგიდის ნათურა აანთო, — ოპერაცია „ბ“ დასრულებულია.

— ეს რას ნიშნავს?

ნიკმა ქალიშვილს თავისი ცალი თვალი ისე დაადგა, თითქოს მის შეშინებას ცდილობს, თავად კი ერთობაო:

— როცა მითხრეს, უცნობი ქალი თქვენთან შეხვედრას ცდილობსო, სამოქმედო გეგმა შევიმუშავე. ოპერაცია „ა“ ნიშნავდა, რომ ეს პიროვნება, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ჩემთვის საინტერესო არ იქნებოდა და მისი ბელიფეინში დაბრუნება შეიძლებოდა. ოპერაცია „ბ“ კი გულისხმობდა, რომ სტუმარს სათანადო პატივით დავხვედროდით, მის ბარგს სასტუმროდან გადმოვიტანდით, ტომ დოგერტის კი შესაბამის ახსნა-განმარტებას ჩავუტარებდით. ტომი გონიერი ადამიანია და უთუოდ გაგვიგებდა.

შეილამ შიშით შეხედა მას:

— კი მაგრამ, თქვენ, როგორც ვიცი, პირდაპირ „ბ“ ოპერაციიდან დაიწყეთ!

— სრული სიმართლეა, — გაუღიმა კაპიტანმა, — მე სწრაფი გადაწყვეტილებების მომხრე ვარ.

გარედან ჩახველებისა და კარზე კაკუნის ხმა მოისმა.

— აი, ბობიც გვეწვია, — თქვა ნიკმა.

ამას კარის გაღება და სტიუარდის გამოჩენა მოჰყვა. მან შეილას ჩემოდანი სკამზე დადგა, ზედ კი მანქანაში დარჩენილი რუკა და ხელჩანთა დაადო.

— გმადლობთ, ბობ, — თქვა ნიკმა, — როცა საუზმეს მოისურვებს, მის ბლერი აუცილებლად დაგირეკავთ.

— გასაგებია, ღამე მშვიდობისა... — ჩაილაპარაკა სტიუარდმა და ოთახი დატოვა.

შეილამ, იმის სურვილით, რომ არაფერი შეემჩნია, თითქოს არც არაფერი მომხდარა, ხელჩანთიდან სავარცხელი ამოიღო, თმაზე გადაისვა და მასპინძლის მისამართით თქვა:

— სამსახური ტყუილად მიატოვეთ. თქვენნაირ ორგანიზატორ კაცს ხმელთაშუა ზღვის ესკადრის წინამძღოლობა დაგმშვენდებოდათ, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა და, სავარაუდოდ, განხორციელება.

— სწორედ მაგას ვაკეთებ. როცა ხომალდი ბაზაში ჩავა, თქვენ ბრძანებას მიიღებთ, ახლა კი, ნება მომეცით, დაგტოვოთ... სამუშაო მაქვს, — ის კართან შეჩერდა, — მართლა... შიგნიდან ნუ ჩაიკეტებით, თქვენ აბსოლუტურად უსაფრთხოდ ხართ.

— ეს არც მიფიქრია, — სწრაფად მიუგო შეილამ, — რაც მე თავგადასავლები გადამხდენია, ზოგს არც დაესიზმრება.

— მართლა? როგორც ჩანს, კარი თქვენ კი არა, მე უნდა ჩავკეტო. გაფრთხილებისათვის გმადლობ.

შეილას მოესმა, როგორ სიცილით გაუყვა ნიკი დერეფანს. პირველი აქტის დასასრული. ფარდა ეშვება. ბოლო სიტყვა კაპიტანს დარჩა.

ქალიშვილმა თავისი ბარგი გადაათვალიერა, რამე ხომ არ აკლდა. ყველაფერი ადგილზე იყო, გარდა იმ ფურცლიანი კონვერტისა, რომელზეც მამის კაბინეტში სხვადასხვა თარიღები გადმოწერა.

ოცა შეილას გაეღვიძა, ათი დაწყებული იყო. მას ნიკის ნათქვამი გაახსენდა და იქვე მდგარ ტელეფონს მისწვდა. პასუხმა არ დააყოვნა:

— გისმენთ, მის! რას ინებებთ? ფორთოხლის წვენს? ყავას? ფუნთუშას? თაფლს?

— დიახ, ბობ, თუ შეიძლება...

„აი, სერვისი! — გაიფიქრა ქალიშვილმა, — იმას არ ჰგავს, „კილმორის გერბში“ რომ იყო“.

ხუთ წუთსაც არ გაევლო, როცა ბობი სინს უკვე მის საწოლთან დგამდა. იქვე სათანადოდ დაკეცილი დილის გაზეთიც იდო.

— კაპიტანი მისს მშვიდობიან დილას უსურვებს, — თქვა სტიუარდმა, — თან აინტერესებს, კარგად გეძინათ თუ არა. თუ მისს კიდევ სურს რამე, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

„მინდა, გავიგო, რომელმა აწაპნეთ ჩემი სია. მისტერ დოგერტიმ, მისტერ რეილიმ ფოსტიდან თუ თქვენ, ძვირფასო მალვოლიო? კონვერტს რომ „ნ.ბარი. მნიშვნელოვანი თარიღები“ არ წერებოდა, ხელს არც არავინ ახლებდა“, — გაიფიქრა შეილამ, ხმამაღლა კი თქვა:

— გმადლობთ, ბობ. ყველაფერი საკმარისია.

— მაშინ გავალ.

— ნება თქვენია...

შეილამ ისაუზმა, სვიტერსა და ჯინსებში გამოეწყო, თვალები გუშინდელზე მონდომებით დაიხატა და თავი ნებისმიერი სიურპრიზისთვის მზად იგრძნო, რაც კი სავარაუდოდ ნიკმა მოუმზადა.

შეილა დერეფანში გავიდა, კარი გაიხურა და ფეხაკრეფით იმ ოთახს მიაშურა, სადაც ნიკის საწერი მაგიდა ეგულებოდა. მის ინტერესს ისევ ის ფოტო წარმოადგენდა, ადრე რომ ნახა. მას შემდეგ ანუ ფოტოსურათის გადაღების დროიდან ნიკი გაცილებით უკეთესი გახდა. ახალგაზრდობაში ის საკუთარ თავში დაჯერებულ მამლაყინწას ჩამოჰგავდა, ახლა კი გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა.

„როგორც ჩანს, მამას და ნიკს დედა ერთდროულად შეუყვარდათ, მერე კი, როცა დედამ მამა ამჯობინა, ნიკი გამწარდა, დაიბოღმა და ყველაფერი მაშინ დაიწყო. უცნაურია, დედას მათი მეტოქეობის შესახებ კრინტიც არ დასცდენია, არადა სხვა თაყვანისმცემლებს ხშირად ახსენებდა და ამით თითქოს თავსაც იწონებდა“, — ის იყო, გაიფიქრა, რომ უკნიდან ბობის ხმა მოესმა:

— მის, კაპიტანს ეძებთ?

— ჰო... მეგონა, აქ იქნებოდა.

— ტყეშია. გაკაფვას ხელმძღვანელობს. თუ გნებავთ, მიგასწავლით.

— კარგი იქნება, ბობ!

— მაშინ მომყევით.

როცა სახლიდან გავიდნენ, სტიუარდი შეჩერდა და ხელი ტყისკენ გაიშვირა:

— აი, იმ ბილიკს ხომ ხედავთ? ჰოდა, მაგას გაუყვებით და ათ წუთში გაკაფვის ადგილს მიადგებით.

— თქვენ?

— მე დავრჩები. საქმეს რა გამოლევს?!

ყე უღრანი ჩანდა, ბილიკი კი ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული. ირგვლივ იდუმალ სიჩუმეს დაესადგურებინა — არც ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა, არც რომელიმე ნადირის ღმუილი და არც ტბის ტალღების ხმა. „ხომ არ დავბრუნდე უკან? — გაიფიქრა შეილამ, — აქ რომ ვინმემ მომკლას, ვერც ვერავინ გაიგებს“.

— მის, — მოესმა უცებ წინიდან, — კაპიტანი გელით. იმ საფლავის ჩვენება უნდა, ახლახან რომ გავთხარეთ.

ეს მაიკლი იყო. ის ოდნავ მოშორებით იდგა და სერიოზული სახით მისჩერებოდა ქალიშვილს. „საფლავი? — შეკრთა შეილა, — ვისი ან ვისთვის? ჯანდაბას, მოსახდენი მოხდეს!“. მან შიში როგორღაც სძლია და ვითომ უდარდელი ტონით მიმართა მაიკლს:

— კაპიტანი მელის? მაშინ გამიძეხით! რაღას უცდით?

— მომყევით, ოღონდ ფრთხილად.

ბილიკი მალე გაილია და მოშიშვლებული ადგილი გამოჩნდა. იქ, ნიკის და მაიკლის გარდა, კიდევ ორნი ჩანდნენ. ისინი წელამდე შიშველნი, მოხრილნი იდგნენ და მიწაში რაღაცას ჩასცქეროდნენ.

— ეს მის ბლერია, — განაცხადა მაიკლმა.

ნიკი წელში გასწორდა და მათკენ მოტრიალდა. მას ჯინსი და მაისური ეცვა, ხელში კი პატარა ნაჯახი ეჭირა.

— ისტორიული მომენტია, — თქვა მან, — ახლოს მოდით და ჩაიჩოქეთ.

შეილა ისევ შიშმა შეიპყრო, მაგრამ კაპიტნის ნათქვამი მაინც შეასრულა, მასთან ახლოს მივიდა, ჩაიჩოქა და სახეზე ხელები აიფარა, რამე საშინელება რომ არ დაენახა.

— რას შვრებით? — ნიკის ხმას გაოცება დაეტყო, — ასე ხომ ვერაფერს დაინახავთ? არადა, საქმე უდიდეს მოვლენასთან გვაქვს!

Cyan Magenta Yellow Black

— ვერ ვხვდები, რას ამბობთ... — შეილამ ხელები ჩამოუშვა, შიშს კი ისევ შეპყრობილი ჰყავდა.

— თქვენ იქნებ პირველი ინგლისელი ქალი ხართ, ვინც ირლანდიაში მეგალითური სამარხის გახსნას ესწრება. აქ მათ სამეფო სამარხებს უწოდებენ. რამდენიმე კვირაა, ამ საფლავს ვთხრით...

როცა შეილა საბოლოოდ გამოერკვა, ხეზე მიყრდნობილი იჯდა, ნიკი იქვე ჩაცუცქულიყო, დანარჩენი სამნი კი აღარსად ჩანდნენ.

— როგორ ხართ? — შეეკითხა კაპიტანი.

— გული მერევა. საცაა ვაღებინებ.

— მიდით, მიდით, — ნიკი წამოდგა, — ჩემი ნუ მოგერიდებათ.

— თითქოს გამიარა.

— მაშინ წამოდექით და სამარხი ერთად დავათვალიეროთ, — კაპიტანი ქალიშვილს მიეხმარა, მერე კი ერთად მიუახლოვდნენ საფლავს, — ამ ადგილს შემთხვევით წავაწყდით. წინა კამერის გაწმენდა მოვახერხეთ, აგრეთვე დერეფნის ნაწილის, რომელიც, მგონი, თავად სარკოფაგამდე მიდის. აქაურობას ჩვენს ერამდე 1500 წლის შემდეგ საერთოდ არავინ შეხებია. ახლა მთავარია, ეს ამბავი არ გახმაურდეს, თორემ არქეოლოგების მთელი არმია მოგვაწყდება და საერთოდ წალეკავენ ყველაფერს. უკვე კარგად ხართ?

— მგონი.

უეცრად, თავისდაუნებურად, შეილას ქვითინი წასკდა. კაპიტანმა გაკვირვებით შეხედა, მერე მკლავში ხელი წამოსდო და ისე წაიყვანა ტყისკენ, არაფერი უთქვამს.

ტბას რომ მიადგნენ, ქალიშვილი აღარ ტიროდა, კაპიტანმა კი მეგზურის როლი იტვირთა:



— აი, აქ, დასავლეთით, ბელიფეინია, მაგრამ აქედან არ ჩანს. კუნძულის მხრიდან ტბა ჩრდილოეთისკენ ფართოვდება, მეორე მხარეს კი ნაპირი კლდოვანია და დასერილი. ზამთრობით აქ იხვები მოფრინავენ და ლელქაშში იბუდებენ, მაგრამ მათზე არ ვნადირობ. რაც შეეხება ზაფხულს, ადრე გამოდივარ და საუზმემდე ვბანაობ.

ნიკს შეილა კითხვებით არ შეუწუხებია, რის გამოც ეს უკანასკნელი მისი მადლობელი იყო.

— შეწუხებისთვის მაპატიეთ... — თქვა ქალიშვილმა.

— ეგ არაფერი... რა შეწუხებაა. ახლა ხომ კარგად ხართ?

— იცით, ძალიან შევშინდი და...

— რისი შეგეშინდათ? — გააწყვეტინა ნიკმა.

— როცა გზაში მაიკლი დამხვდა და საფლავი მიხსენა, ვიფიქრე, ჩემი აღსასრულის დღე დადგა-მეთქი.

— მართლა? — გაიღიმა კაპიტანმა, — ანუ თქვენი რიხი მოჩვენებითი ყოფილა და მეტი არაფერი. მოკლედ, წმინდა წყლის ბლეფი.

— ნაწილობრივ, — დაეთანხმა ქალიშვილი, — ისე კი, პირველად მოვხვდი სიტუაციაში, როცა მიტაცებენ კუნძულზე, სადაც ანაქორეტი ცხოვრობს. უკვე მივხვდი, ეს რატომაც ქენით. უბრალოდ, გეშინიათ, ცნობამ თქვენი მეგალითური აღმოჩენის შესახებ პრესაში არ გაჟონოს. ასეა, ხომ?

— დავუშვათ.

— ანუ გამოვიცანი. მოკლედ, პირობას გაძლევთ, რომ ამ აღმოჩენის შესახებ კრინტსაც არ დავძრავ, არც სიტყვიერად და არც წერილობით. კმაყოფილი ხართ?

კაპიტანმა პასუხი დააყოვნა. ის იდგა და ნიკაპზე ხელს ისვამდა.

— ეს დიდი კეთილშობილებაა თქვენი მხრივ, — თქვა ბოლოს, — ახლა კი ასე მოვიქცეთ. შინ დავბრუნდეთ და ბობს ვთხოვოთ, ლანჩისათვის რამე გაგვიხვიოს. მერე კი ტბაზე გაგასეირნებთ, თან პირობას გაძლევთ, რომ ნავიდან არ გადაგაგდებთ.

...ოსინი მოტორიანი ნავის კაიუტაში გვერდიგვერდ ისხდნენ, მოხარშულ კვერცხებს და ცივ დედალს შეექცეოდნენ, ზედ კი ვისკის აყოლებდნენ. შეილამ გაიფიქრა, თუ რა კარგი იქნებოდა, ამგვარ გასეირნებაში მამასაც რომ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო. დედა? დედა არა. ის ამ იდილიაში დისონანსს შეიტანდა, აუცილებლად გააფუჭებდა ყველაფერს.

— იცით, — დაიწყო უცებ შეილამ, — ის კაპიტანი ნიკი, რომელიც მე წარმოვიდგინე, საერთოდ არ გგავთ თქვენ.

— როგორი წარმოიდგინეთ?

— რაკი მითხრეს, განდეგილიაო, წვერიანი მოხუცი წარმოვიდგინე, ერთგული მსახურებითა და დაგეშილი ნაგაზებით გარშემორტყმული, რომლებსაც ცუდად ექცევა, ხშირად უყვირის და თუ დასჭირდა, წაუთაქებს კიდეც, — შეილამ წამით შეისვენა, — მეორე ვარიანტიც მაქვს: კეთილი ბერიკაცი, სხვადასხვა ხუმრობებისა და გართობების მოყვარული.

კაპიტანმა გაიღიმა:

— უხეში ხშირად ვარ და ბობსაც ხვდება ხოლმე, ოღონდ ნაგაზებს არა, ისინი არაფერს აშავებენ. რაც შეეხება ხუმრობა-გართობას... ერთ დროს მართლა ძალიან მიტაცებდა და... არც ახლა ვიტყოდი უარს. დალევთ კიდევ?

— არა, გმადლობთ.

— მთელი უბედურება იმაში იყო, რომ ჩემი ხუმრობები მხოლოდ მე მომწონდა ანუ მხოლოდ მე მანიჭებდა სიამოვნებას, თან ისინი აღარცაა მოდაში. არა მგონია, რომ, მაგალითად, თქვენ თქვენს რედაქტორს საწერი მაგიდის უჯრაში ოდესმე თაგვს ჩაუსვამთ.

— თაგვები არა, მაგრამ ერთხელ, მანჩესტერში, ჩემს ბოსს ბრიუსს საწოლქვეშ საახალწლო შაშხანა შევუდე და როცა აფეთქდა, უნდა გენახათ, რა შეშინებული გამოვარდა გარეთ. ბევრი ვიცინე.

— ხედავთ? თქვენმა ხუმრობამ თქვენ გაგართოთ, თქვენი ბოსი კი იქნებ ახლაც შეშინებულია.

— მთავარი არ მითქვამს. ბრიუსს ჩემი ლოგინში შეტყუება უნდოდა, მე კი ეს ხერხი თავდაცვის მიზნით მოვიფიქრე.

— მაპატიეთ, მაგრამ... ერთი უტაქტო კითხვა უნდა დაგისვათ... თქვენი რედაქტორები... ხშირად ძალადობენ? უფრო სწორად, აქტიურად გეარშიყებიან?

შეილამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს პასუხი ეძნელებაო.

— ვინ როდის როგორ, — თქვა ბოლოს, — ზოგიერთი ძალიან მიმწოლია, ზოგი — ნაკლებად. ისე, კარიერულ წინსვლას ამგვარი ურთიერთობები ნამდვილად ხელს უწყობს, მაგრამ მე, უნდა ვაღიარო, არც ისე დამყოლი ვარ.

— არ აზრით?

— სულ მარტივით: პირველივე მოთხოვნაზე ნამდვილად არ ვშიშვლდები. კაცი ჯერ უნდა მომეწონოს. ჩემი სიტყვები შოკში ხომ არ გაგდებთ?

— არანაირად, — გაიღიმა კაპიტანმა, — ჩემსავით ბებერ პიჟონს მართლა აინტერესებს, რით სუნთქავს დღევანდელი ახალგაზრდობა.

ქალიშვილმა სიგარეტი მოიმარჯვა, რასაც კაპიტნის სათანადო რეაქცია მოჰყვა — სწრაფად შეაშველა სანთებელა.

— ჩემი აზრით, დღევანდელი ახალგაზრდობის მთავარი თემა სექსია და სხვა არაფერი, განსაკუთრებით კი მამაკაცები აქტიურობენ. ზოგიერთები ამას იქამდე მიჰყავს, რომ ისტერიკა ემართებათ. ერთადერთი, რაც მათ აინტერესებთ, სკალპების რაოდენობაა, ანუ მათ მიერ გაუპატიურებული ქალების რაოდენობა და რაც მეტია ეს რაოდენობა, მით უფრო ეამაყებათ.

— სკალპები რა შუაშია? — დაინტერესდა ნიკი.

— ინდიელებისაგან მოდის, გაუპატიურებულებს სკალპებს აძრობდნენ. სიმართლეა თუ ლეგენდა, არ ვიცი.

— იქნებ ხდებოდა კიდეც.

— ეს სიტუაცია ძალიან მაღიზიანებს. იქნებ იმიტომ, რომ ჯერ მხოლოდ ცხრამეტის ვარ და წესიერად არც მოვმწიფებულვარ.

— 19 წელი საკმაო ასაკია, — შენიშნა კაპიტანმა, — ისე, ამ ახვარ ბიჭებს რომ გადაურჩეთ, სიფრთხილე გმართებთ. სხვათა შორის, ჩემი მეგობარი ჟურნალისტი გოგონებიც უნდა გავაფრთხილო, ყურადღებით იყვნენ.

— მეგობარი ჟურნალისტები? — შეკრთა შეილა.

— ჰო... ვიცნობ ვიღაცეებს, — ღიმილით მიუგო ნიკმა და მოტორიან ნავს გეზი ცხვრის კუნძულისკენ ააღებინა.

ნავმისადგომთან მათ მაიკლი ელოდა. როცა ნაპირზე გავიდნენ, შეილა ნიკს მიუბრუნდა:

— მთელი დღე გაგიფუჭეთ. სამარხებმა ისე გაგიტაცეს, მე რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ ახლაც იქ იქნებოდით.

— საფლავი არსაც გაგვექცევა, დასვენება კი, უბრალოდ, აუცილებელია, — მიუგო კაპიტანმა, — მაიკლ, ახალი თუ არის რამე?

— რამდენიმე რადიოგრამა მივიღეთ, სერ. სხვა არაფერი, სერ.

როგორც კი სახლში შევიდნენ, ნიკი სულ სხვა ადამიანად იქცა. ახლა ის მკაცრი, საქმიანი კაპიტანი იყო, რაც საკუთარ თავზე პირველმა შიპიმ იწვნია: კაპიტანს შეახტა თუ არა, მაშინვე იატაკზე მოადინა ზღართანი...

— ხუთ წუთში ყველა ჩემთან იყოს, — ბრძანა კაპიტანმა.

— არის, სერ! — მიუგო მაიკლმა.

ნიკი შეილას მიუბრუნდა:

— მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ. ოთახში, სადაც გუშინ ვსაუბრობდით, ყველაფერია, რომ გაერთოთ: წიგნები, რადიო, ტელევიზორი... უახლოეს საათებში დაკავებული ვიქნები და უნდა გამიგოთ.

— კარგი, — მხრები აიჩეჩა ქალიშვილმა, — მე ხომ თქვენს განკარგულებაში ვარ და ყველანაირად გემორჩილებით. უბრალოდ, მაინტერესებდა, კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ჩემს აქ, ასე ვთქვათ, დატყვევებას? ლონდონში მიმეჩქარება. რამდენიმე შეხვედრა მაქვს დანიშნული და ამიტომ.

— ნუ ღელავთ, ყველაფერი მოესწრება, — კაპიტანი სტიუარდს მიუბრუნდა, — ბობ, მის ბლერის მომსახურება თქვენ გეკალებათ, მე კი წავედი. აბა, ჯერჯერობით.

ეარტო დარჩენილმა შეილამ მაშინვე მოიწყინა. მართალია, ბობის მიტანილ ცხელ ჩაისა და ნამცხვრებს გემრიელად შეექცა, მაგრამ ამან ვერ უშველა. საწერ მაგიდაზე დადგმულ ფოტოს უკვე თვალს არიდებდა, არადა, სულ მასზე ფიქრობდა. ასეთი რა ნახა დედამისში ნიკმა, მის გვერდით რომ გამოიჭიმა? თუნდაც მამამისმა რა ნახა? მაგრამ ნიკი სხვა ამბავია. ის გაცილებით უფრო ინტელექტუალურია, ვიდრე ოდესმე მამა და საერთოდ წარმოუდგენელია, რა ნახა ამ კაცმა დედაში, თუნდაც ადრე საკმაოდ ლამაზში?

შეილამ წიგნები შეათვალიერა, მაგრამ ვერაფერი შეარჩია. მერე რადიო ჩართო, მერე — ტელევიზორი, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო.

ანაზდად აზრმა გაუელვა: „ვიცი, რაც უნდა ვქნა. წავალ, თავს დავიბან. მოწყენილობის დროს ეს მშველოდა და ახლა რა ღმერთი გამიწყრება?“.

ქალიშვილმა საჭირო რაღაცეებს თავის მოუყარა, პარეში ჩაანყო და თითქოს გახალისებული, დერეფანში გავიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ბუხქირიძე

სახუქარი

— დღეიდან იოს დაგიძახებ, — ჩაეხუტა სალო საწოლზე ჩამომჯდარ დედას.

— რატომ, დე, თეთრ და ქათქათა ძროხას ვგავარ? — ელიმ თვალი სარკისკენ გააპარა.

ნამდვილად არ ჰგავდა, მაგრამ გულზე მაინც ცუდად მოხვდა შვილის ნათქვამი. რატომ უნდა გაუჩნდეს ბავშვს სურვილი, ახალგაზრდა, ეფექტურ, თანამედროვე და ასე შემდეგ ღირსებებით შემკულ დედიკოს ძროხის სახელი დაუძახოს?

— არა, დე, ქალღმერთს ჰგავხარ, სანამ ძროხად გადაიქცეოდა, — დაუკონკრეტა სალომ.

„მიყვარს, როცა ბავშვები ჭკვიანურად ფიქრობენ, ქალღმერთობაზე ნამდვილად არ ღირს უარის თქმა“, — გაიფიქრა ელიმ.

— რომელ იოს, ვინი პუჰის მეგობარ ვირს? — ჩაერია საუბარში თამთა.

იმას თავისი სამყარო ჰქონდა, ვინიპუჰებიანი. პიჟამაც ვინი პუჰის ნახატებიანი ეცვა, საწოლის თეთრეულიც ვინი პუჰებით და ვარდისფერი გოჭებით ჰქონდა მოხატული.

— ჯერ ერთი, ეგ იო კი არა, იო-იოა და მეორეც, დედიკო ვირია? — გამომცდელად ჰკითხა სალომ.

— არა, მაგრამ ძროხაც ხომ არაა? — გაიკვირვა თამთამ.

— რა თქმა უნდა, არაა, ხომ ვთქვი, ქალღმერთია-მეთქი, სანამ ზევსი ძროხად გადააქცევდა, მანამდე, — კვერი დაუკრა სალომ.

„რა ჭკვიანი შვილი მყავს, — ამაყად გაიფიქრა ელიმ, — მგონი, ახლავე ჩემზე მეტი იცის. ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს... მამასაც და დედასაც“, — დაასკვნა და სალოს მიეფერა.

— მე იო-იოც მომწონს, — მხრები აიჩეჩა თამთამ, — კუდი რომ აქვს ლურსმნით მიმაგრებული და ზედ ბაფთა უკეთია, ლამაზი კუდია და ლამაზი იო-იოა. ცოტა მოწყენილი კია, მაგრამ დედიკოც ხომ არის ხოლმე მოწყენილი?

— ახლა აღარ იქნება, — დაამშვიდა სალომ, — მალე თავისი იო ეყოლება.

— ვირი თუ ძროხა? და აქ დაეტევა, ჩვენთან? — ოთახს თვალი მოავლო თამთამ, — თუ გარაჟში დავაბამთ?

— ჰო, გარაჟში, ოღონდ დაბმა არ დასჭირდება, იმიტომ, რომ იო არც ძროხა იქნება და არც ვირი, ჯიპი იქნება.

„რა ფანტაზიები აქვთ ბავშვებს. კარგი კი იქნება, ნამდვილი იყოს, მაგრამ სადაა“, — ამოიოხრა ელიმ.

რამდენი ხანია, მანქანაზე ოცნებობს, რაც ძველი დაამტვრია და ჯართად გაასვენეს, იმის მერე. თუნდაც სულ პატარა, კუწკუწა მანქანა იყოს, ბავშვები რომ ატაროს აქეთ-იქით: ერთი — ხატვაზე, მეორე — ცეკვაზე, ერთი — სიმღერაზე, მეორე — ჭადრაკზე. დაიღალა სამარშრუტო ტაქსებით და ისე ტაქსებით სიარულით. და ფული? რაც ეხარჯება, ბენზინშიც ეყოფა და დარჩება კიდეც. მაინცდამაინც ახლა აიჩემა გუგამ აგარაკის რემონტი. ნეტავ, რად უნდა ის აგარაკი, ელი იქ მიმსვლელი არაა, გზა იქ არ მიდის და კვალი, გარშემო მოსახლეც არავინაა ისეთი, ვისთანაც ურთიერთობას შეძლებს, ესე იგი, რა, უნდა ავიდეს, აიყვანოს ბავშვები და იცხოვროს იქ დედაბერივით? თანაც გუგა თავის ჭკუაზე აკეთებს ყველაფერს, ელიმ რაც ურჩია, არაფერი გაითვალისწინა. ჰოდა, ჰქონდეს თავისთვის, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. დაიფიცა, რომ იქ ფეხს არ მიადგამს, ურჩევნია, სხვაგან წაიყვანოს დასასვენებლად ბავშვები, აგარაკზე კი გუგა აბრძანდეს თავის ძმაკაცებთან ერთად...

— ჯიპი? — წამოხტა თამთა საწოლიდან, ელის გაფართოებული თვალებით შეხედა, — დე, ჯიპი გყავს?

— ნუ, არ მყავს, მაგრამ მინდა, რომ მყავდეს, — უთხრა ელიმ და თამთა ისევ ჩააწვინა, — დაიძინეთ დროზე, რა, დავიღალე.

— ჰოდა, გეყოლება, — უთხრა სალომ, — მამიკომ თქვა, დედიკოს იო უნდა მოვუყვანო, ოღონდ არ უთხრათო.

— კარგი, ჰო, — ელიმ ყურადღება აღარ მიაქცია. ერთი სული ჰქონდა, ბავშვებს დაეძინათ.

— დე, ვერ გაიგე, რაც გითხარი? — გაუკვირდა სალოს, — მამიკომ თქვა, დედიკოს იო უნდა მოვუყვანო, ოღონდ არაფერი უთხრაო. დე, ვითომ არ იცი, ხო? თორემ მამიკო სხვა დროს აღარ გამიმხელს საიდუმლოს.

„ეტყობა, ბავშვებს ჩემზე მეტად უნდათ, მანქანა რომ მყავდეს“, — გაიფიქრა ელიმ.

როგორც იქნა, ორივე დააძინა და ფაქტობრივად უკვე თავადაც მიძინებული გამოვიდა მათი ოთახიდან. გუგა სავარძელში იჯდა, მუხლებზე ლეპტოპი ედო.

— დააძინე? — ჰკითხა ელის ისე, რომ მისკენ არ მოუხედავს.

— მგონი, — ამოისუნთქა ელიმ, სიგარეტს მოუკიდა და იქვე ჩამოჯდა, — პოკერს თამაშობ? არ მოგწყინდა?

— არაა, რა მომწყინდა, ვიგებ. მიდი, რა, მომიკიდე მეც, — ისევ ლეპტოპზე თვალმოუშორებლად უთხრა.

„რამდენი ხანია, წესიერად აღარ გვისაუბრია, — გაიფიქრა ელიმ, — ეს თავის ლეპტოპშია შემძვრალი, მე — ჩემსაში, იქნებ ერთი დღე დავაწესოთ ოჯახში კომპიუტერისა და ტელევიზორის გარეშე? საერთოდ ყველას და ყველაფრის გარეშე, მარტო ჩვენი პატარა ოჯახისთვის? და ეს ტრადიციასავით დავამკვიდროთ. აი, როგორი ტრადიციაც აქვთ გუგას მშობლებს. შაბათს, სულ რომ ქვეყანა იქცეოდეს, თავსხმას და ღვარცოფს მიჰქონდეს ყველაფერი, ოჯახის ყველა წევრი ზუსტად თორმეტ საათზე იქ უნდა იყოს ამ დღისთვის განსაკუთრებულად მომზადებულ სადილზე“.

ელის არასოდეს მოსწონდა ეს ტრადიცია, ახლა კი რატომღაც გაიფიქრა, რომ არ იყო ცუდი. ცუდი კი არა, ძალიან საჭიროც იყო.

„ნამდვილად დავაწესებ ასეთ დღეს ჩვენთანაც“, — გადაწყვიტა და გუგას ანთებული სიგარეტი მიაწოდა.

— გაგაგიჟებენ ეს ბავშვები, — ჩაილაპარაკა მერე ვითომ თავისთვის.

— რაო? ახლა რა მოიგონეს? — გაიღიმა გუგამ.

— სულ თავიანთ ფანტაზიებში ცხოვრობენ, — ვითომ სხვათა შორის თქვა ელიმ, — მამიკომ დედიკოს იო უნდა მოუყვანოსო.

— მაინც წამოსცდათ, — ლეპტოპიდან ისევ არ აუწევია თავი გუგას.

— რა წამოსცდათ? — ყურები ცქვიტა ელიმ.

— არა, არაფერი, მითებს ვუყვებოდი და... მიდი, რა, ჩაი მომიდუღე.

— მე რომ არ გამოვსულიყავი, რა გეშველებოდა? — ბუზღუნით წამოდგა ელი და სამზარეულოში გავიდა.

ხვალ მოჰკიდებს ბავშვებს ხელს, დაუტოვებს გუგას მშობლებს და თავად მეგობრებთან ერთად გაერთობა, მაგალითად, ქეთასთან და ნინიასთან ერთად. არც ერთს დაალაპარაკებს, მარტო თავად გადმოაგდებს ენას და ილაპარაკებს და ილაპარაკებს. დაიცლება, დაცარიელდება უარყოფითი ენერგიისგან, იმათგან თანაგრძნობას და დადებით ენერგიას მიიღებს ვამპირივით და ცოტა ხანს მშვიდად გააგრძელებს ყოველდღიურ ცხოვრებას.

მოსაყოლი, იცოცხლე, ბევრი აქვს: სულ წვრილად ჩამოფქვავს, როგორ მოსწყინდა ყველაფერი, როგორ დაიღალა, როგორ შეიცვალა ეს სანაქებო და ერთ დროს ზღაპრულად ყურადღებიანი გუგა. არა, ცუდად არ იქცევა, არც სვამს, არც ქალებში დადის, მაგრამ რაღაცნაირად შეიცვალა. ან სულ აგარაკზეა და ბავშვების წაყვანა-წამოყვანა მთლიანად ელის ევალება, ან, თუ სახლშია, ხმას არ იღებს, ლეპტოპს არ ეშვება, ლამის მასთან ერთად დაიძინოს. ელის ძველი გუგა ენატრება, ენერგიული, ხავერდი და აბრეშუმი, ვნებით სავსე. ახლა ვნება სადღაა? თითქოს მოვალეობის გამო აქვს ელისთან სექსი. კარგი იქნება, ყველაფერი ეჩვენებოდეს, მაგრამ ქალებს ეს არ ეჩვენებათ, სამწუხაროდ.

— შენ, რა, აგარაკზე და ლეპტოპზე ეჭვიანობ? — ჰკითხავს ნინია.

— ასე გამოდის, — თავს დაუქნევს ელი, — სხვა ვარიანტი ჯერჯერობით არ მაქვს.

— ფუი, ეშმაკს! — სამჯერ დააკაკუნებს ნინია მაგიდაზე, — სხვა ვარიანტი ღმერთმა ნუ ქნას.

— კარგია, ასე რომ ფიქრობ, უფრო მშვიდად იქნები, — ბრძნულად დაასკვნის ქეთა, — ყოველთვის ჯობს, ნივთებზე იეჭვიანო, ვიდრე ადამიანებზე.

ჰოდა, დილითაც იმ განწყობით გაიღვიძა, რომ ბავშვებს გუგას მშობლებთან დატოვებდა და ქეთას და ნინიას ნახავდა. ხალათი მოიცვა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და წითელბაფთიან გასაღებს თვალებგაფართოებული დაჩერდა.

— ეს რა არის?! — გიჟივით გავარდა ოთახიდან.

Cyan Magenta Yellow Black

გუგა ყავას სვამდა და ისევ ლეპტოპში იყო შემძვრალი.

— გუგ, ეს რა არის?! — ელიმ ცხვირთან მიუტანა გასაღები.

— გასაღები, — მშვიდად უთხრა გუგამ, მერე თვალებმოჭუტულმა შეხედა, — ოღონდ რისი გასაღებია, ნაღდად არ ვიცი.

— გუგ, მითხარი ახლავე, რისი გასაღებია! — ხმას უფრო აუწია ელიმ.

— ჩადი დაბლა და ნახავ, — ბოლომდე მაინც არ უთხრა გუგამ, ღიმილით შეხედა ცოლს.

— არ არსებობს! — დაიყვირა ელიმ, — არ არსებობს!

— რსებოს, რსებობს, — გაეცინა გუგას, — ნახე, თუ არ რსებობს.

— ესე იგი... ესე იგი... სალომ იცოდა?

— ისე რა, — ლეპტოპი დახურა გუგამ და ფეხზე წამოდგა, — ბოლომდე არ იყო დარწმუნებული.

ელი ფანჯარას ეცა და ისე გადაიწია, ლამის გადავარდა.

ეზოში მანქანა იდგა, პატარა, კუწკუწა, ორკარიანი ჯიპი, ზუსტად ელის შესაფერისი „პაჯერო იო“.

— იოოო! — აყვირდა ელი.

ახლა კარისკენ გავარდა, მერე უკან შემოვარდა, ფართხაფურთხით გაიხადა ხალათი, ჯინსი ამოიცვა, მაისური წაღმა გადაიცვა თუ უკუღმა, ყურადღება არ მიუქცევია და ყვირილითვე შევარდა ბავშვების ოთახში.

— გუგამ იო მოგვიყვანაა! გუგამ იო მოგვიყვანაა!

— ვინის ვირი მოიყვანა? — წამოხტა თამთა.

— ხომ ვამბობდი, მამიკომ მითხრა, — ამაყად თქვა სალომ. ჯერ ისიც ფანჯარას მივარდა, მერე ელის გაეკიდა და კიბეებზე დაეშვა.

წინ ელი მირბოდა, მერე — სალო, მერე — თამთაზე ხელჩაჭიდებული გუგა.

„იო“ იდგა ეზოში, ბზინავდა, წკრიალებდა.

ესეც ასე. ქმარი კი არა, ნაპოვნი განძია, ნამდვილი განძი! მართალია, ეს „ლენდ კრუიზერი“ არ არის, მაგრამ მერე რა?! მთავარია, ჯიპია. ახლა დაჯდება, მოახტება როგორც დარახტულ ცხენს და მიდიი! ირბენს აღმა და დაღმა, დაღმა და აღმა, იქით-აქეთ, აქეთ-იქით, როგორ მოენატრა საჭესთან ჯდომა!

ელი მანქანაში შეხტა, გადმოხტა, გუგას ჩაეხუტა, ბავშვები შეყარა, ისევ ჩახტა...

„აი, საჩუქარი, — გაიფიქრა ამაყად, — სულ ტყუილად ვემდუროდი, თურმე რა სიურპრიზს მიმზადებდა და ჩუმად იმიტომ იყო. მე კი რა არ დავაბრალე, გოგოებთანაც კი უნდა გამეჭორა. ვაიმეეე, რა მაგარიაა! ახლა წავიყვან ბავშვებს ახალი მანქანით და გოგოებს მაინც ვნახავ, რა მომათმენინებს! ანა-ბანა, ანა-ბანა, ვის ჰყავს გუგა ჩვენისთანა, ჰეეე...“ — გულში ამღერდა და აღიღინდა ელი.

— გუგ, დღეს დასვენების დღე უნდა მოვიწყო, — თაფლივით დაუდნა ქმარს, — გინდა, ერთად მოვიწყოთ? ბავშვებს შენებთან გავიყვან.

— არაა, — თავი გადააქნია გუგამ, — აი, მანქანა, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ შენი წუწუნი აღარ გავიგონო. მე აგარაკზე ავდივარ, ათასი საქმე მაქვს იქ.

ამჯერად ელის სულ არ სწყენია გუგას აგარაკზე ასვლა. ისე იყო ახალი მანქანით გახარებული, სანამ გუგა წინადადებას დაამთავრებდა, უკვე გზაზე მიქროდა. ბავშვები რომ დატოვა, ნინიას გაუარა, მანქანაში ჩაისვა და, ქეთასთან წავიდეთო, შესთავაზა.

— ოჰ, ეგ სახლში არ იქნება, — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ნინიამ, — საერთოდ ამ ბოლო დროს სულ არ სცალია ჩვენთვის.

— აჰაა, მითხარი ახლა, რამე ხდება და მე არ ვიცი? — მეგობრის საეჭვო ტონი მაშინვე შეამჩნია ელიმ, — სად წავიდეთ?

— რა ვიცი მე, სად წავიდეთ, მანქანა შენია, მძღოლი შენ ხარ, — ინიციატივა დაუთმო ნინიამ, — ქეთას ვიღაც ჰყავს, იცი? ოღონდ არ უთხრა, რომ გითხარი.

— მართლა?! — წამოიყვირა ელიმ, — მიდი, რა, დროზე მომიყევი, ვინ არის, როდის გამოჩნდა, იცნობ? მე რატომ არ ვიცი არაფერი? — დააყარა კითხვები.

— ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ, როგორც ქეთა ამბობს, მაგარი კარგი ტიპია. ლევანი ჰქვია, თავისი ბიზნესი აქვს. აქ არ ცხოვრობდა, ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადღაც გაიცნო ქეთა და ჭკუა გადაეკეტა. ჰოდა, ხვდებიან ერთმანეთს. საერთოდ, ვეჭვობ, რომ სექსიც აქვთ, იცი? — ნინიას, როგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი მოეყოლა.

— არ გამაგიჟო! კი მაგრამ, მე რატომ არ ვიცოდი არაფერი? — გაიკვირვა ელიმ.

— და შენ როდის მოიცალე ამ ბოლო დროს ჩვენთვის? ახალი ამბავია, სხვათა შორის, — ნინიამ ელის უპირატესობის შეგრძნებით გადახედა, ბოლოს და ბოლოს თავად უფრო მეტი იცის მეგობარზე, ვიდრე ელიმ.

— აუ, როგორ მაინტერესებს, — ელის ძალიან უყვარდა მეგობრების პირადი ამბების მოსმენა. ისე, არც უცხოების პირადი ამბების მოსმენაზე ამბობდა უარს.

— სად მივდივართ? — ტრასას გახედა ნინიამ, — გავცდით ქალაქს და ესაა.

— იცი, რა, — ეშმაკურად გადახედა ელიმ მეგობარს, — გუგამ ისეთი სიურპრიზი გამიკეთა, მეც მინდა, სამაგიერო გადავუხადო. ხომ იცი, აგარაკს რომ არ ვეკარები, არადა გუგა იქაურობას ვერ შორდება, გადაჰყვა სახლის რემონტს. ახლა ავიღებ რამეს და მივადგები. გაგიჟდება სიხარულით, იქ რომ დამინახავს.

— მშვენიერი იდეაა, — მოუწონა ნინიამ, — რას ერჩი ისე ამ ბიჭს, ვერ გავიგე. ერთი მანქანა დაამტვრიე, ხმა არ ამოუღია. აგარაკის რემონტი დაიწყო, თქვენ რომ თავი კომფორტულად იგრძნოთ და ერთხელაც არ ასულხარ იქ. ახლა აგერ მანქანა გიყიდა. მეტი რა გინდა? სად არიან დღეს ასეთი კაცები? — დასვა რიტორიკული კითხვა.

— ნუ ახლა, როგორ არ არიან, არიან ალბათ, — ბოლომდე არ გატყდა ელი, — მაგრამ... კარგი, ხო, კარგი ბიჭია, კი!

აგარაკზე სიწყნარე იყო, მუშებს გარე სამუშაოები დაემთავრებინათ და ელიმ ძლივს იცნო სახლი.

„რა ლამაზია! — გაიფიქრა გახარებულმა, — აქ როგორ არ ამოვალ, გოგოებსაც წამოვიყვან, მშვენივრად გავერთობით. ნეტავ, შიდა სამუშაოებსაც მორჩნენ? ვაიმე, რა ლამაზი სახლი ყოფილა და სულ არ ჩანდა“, — კარი გააღო და სახლში შევიდა.

— რა სილამაზეა! — წამოიძახა ნინიამ, — ყოჩაღ, გუგას, რა კარგად გაუკეთებია ყველაფერი. თან მარტოს... მოკლედ, ჯერ მანქანა, ახლა აგარაკი, ერთ დღეში როგორი ორი საჩუქარი მიიღე!

მესამე საჩუქარი საძინებელში ელოდა ელის — გუგასთან ერთად ჩაძინებული ქეთა. არც გაუგიათ ელის და ნინიას შესვლა.

ყველაზე შთამბეჭდავი ეს საჩუქარი იყო ელისთვის.

Cyan Magenta Yellow Black

აღზრდის ნაცვლად ბავშვს ნუ დააკომპლექსებთ!

არა–ს დამანგრეველი შედეგები



6 ებისმიერ მშობელს სურს, რომ შვილი სწორად აღზარდოს, ცხოვრება გაულამაზოს და გაუხალისოს, რომ ის საკუთარ თავში დარწმუნებული, განათლებული, წარმატებული და ბედნიერი ადამიანი გახდეს. ამ მიზანს რომ მიაღწიოთ, უნდა ეცადოთ, შვილთან ურთიერთობისას ნაკლებად გამოიყენოთ აკრძალვის ფორმები და სიტყვა „არა“, რათა ხელი არ შეუწყოთ პატარებში კომპლექსების ჩამოყალიბებას.

რას ნიშნავს „არა“? მშობლები ცდილობენ, შვილები ჰარმონიულ გარემოში აღზარდონ, მაგრამ ამ სურვილის მიუხედავად, ხშირად უშვებენ შეცდომებს. მიუთითებენ, ასწავლიან, არიგებენ, აჩვენებენ... რა თქმა უნდა, ამას შვილების საკეთილდღეოდ აკეთებენ, მაგრამ, აბა, დავუფიქრდეთ, ხშირად რა ფორმით და როგორ აკეთებენ ამას: „ხელი არ მოკიდო“, „არ შეიძლება“, „ნუ ცელქობ“, „ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ“ და ა.შ. პატარასთვის რთული მისახვედრია, რატომ ეკრძალება ესა თუ ის ქმედება. ვერ უძებნის ახსნას, რატომ უნდა ჭამოს ჯერ სუპი, შემდეგ კი დესერტი და არა — პირიქით.

როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, მშობლების მკაცრი, ამკრძალველი სიტყვები უარყოფითად მოქმედებენ პატარების ისედაც არამყარ ფსიქიკაზე და, სამწუხაროდ, მთელი ცხოვრება ნეგატიურ კვალს ტოვებენ. ასე მშობლები შვილების თავისუფალ არჩევანს ბლოკავენ. მოგვიანებით, როცა ბავშვი წამოიზრდება, როცა რაღაცას ისე არ გააკეთებს, როგორც მშობლები ბავშვობაში მიუთითებდნენ, სინდისის ქენჯნა აწუხებს და დანაშაულის შეგრძნება უჩნდება.

საიდან მოდის კომპლექსები? იყო შინაგანად თავისუფალი ადამიანი, იოლი ნამდვილად არ არის. აბსოლუტურად სწორია, ვინც ირწმუნება, რომ ყველა ჩვენი ქმედება, რომელსაც ჩავდივართ, სათავეს ადრეული ბავშვობიდან იღებს, მათ შორის — ჩვენი კომპლექსებიც. ალბათ ყველას შეხვედრია ადამიანი, რომელიც ყველაფერს ჯიბრით აკეთებს. ასეთი ტიპის ბავშვები ხშირად არიან ჰიპერაქტიურები, არ ემორჩილებიან აკრძალვებს.

პატარებში კომპლექსების ჩამოყალიბების მიზეზი ხშირადაა ოჯახში დაძაბული, არაჰარმონიული სიტუაცია, მშობლებს შორის კონფლიქტი, მათი გაყრა. დროსთან ერთად ეს კომპლექსები ღრმავდება და უფრო მწვავე ხდება მისთვის. ეს კი იწვევს ბავშვის მხრიდან ჭირვეულობას, სიჯიუტეს, ყველაფერს მშობლების მითითებების საწინააღმდეგოდ აკეთებს და ა.შ.

ბუნებრივია, მშობლების მხრიდან გარკვეული აკრძალვები უნდა არსებობდეს, მაგრამ აუცილებელია, შვილებს მეტნაკლებად თავისუფლება მიანიჭოთ და არჩევანის უფლება დაუტოვოთ.

წარუმატებელი, უიღბლო — ეს სცენარი თამაშდება მაშინ, როცა მშობლები ვერ ახერხებენ, შვილს სათანადო ყურადღება დაუთმონ, აქტიურად იყვნენ ჩართული მის ცხოვრებაში. ხშირად გაუცნობიერებლად შეიძლება უთხრან კიდეც, რომ სხვებთან შედარებით წარუმატებელია, მაგალითად: „შენ ამას ვერ შეძლებ“, „ის შენზე ჭკვიანია“, „ზარმაცი ხარ, შენთან ლაპარაკს აზრი არ აქვს“ და ა.შ.

ასეთი მიდგომით შვილს დათვურ სამსახურს უწევთ და წარუმატებლობისა და უიღბლობისკენ უბიძგებთ. ეს კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან უამრავი კომპლექსის განვითარების წინაპირობაა. პირველ რიგში, ბავშვს არასრულფასოვნების კომპლექსს ჩამოუყალიბებთ. როცა წამოიზრდება, გაუჭირდება გარშემომყოფებთან სრულფასოვანი ურთიერთობა, კომუნიკაცია, ოჯახის შექმნა-შენარჩუნებაც კი.

„არა“-ს შედეგები:

- ხელს უწყობს წარუმატებელი პიროვნების ფორმირებას;
- თრგუნავს საკუთარი თავისადმი რწმენას;
- იწვევს ბავშვის ფსიქოლოგიურ დაძაბვას;
- მშობლებისგან ნეგატიურად დაპროგრამებული ბავშვი ზრდასრულ ასაკში სამაგიეროს გადახდას ცდილობს.

ჩვენები მშობლებს

ნაცვლად იმისა, რომ შვილს აკრძალვებისა და დასჯის ენაზე ესაუბროთ, დაწვრილებით აუხსენით, რატომ არ უნდა გააკეთოს და რატომ არის ცუდი.

მიეცით ბავშვს საშუალება, ემოცები ისე გამოხატოს, როგორც თავად სურს. არ უთხრათ: „არ იტირო“, „ნუ ბრაზობ“, „სირცხვილია“. შეიძლება ბევრმა მშობელმა არც იცის, მაგრამ ტირილი სულაც არ არის საზიანო, პირიქით, როცა ადამიანი ტირილით გამოხატავს ემოციებს, ამ დროს ორგანიზმიდან სტრესის ჰორმონი გამოდის. ეს უკეთესია, ვიდრე მისი დათრგუნვა.

აუცილებელია, დედ-მამა შვილთან ურთიერთობაში თანმიმდევრულნი და ერთ პოზიციაზე შეჯერებული იყვნენ. ჯერ მშობლები უნდა შეთანხმდნენ იმ საერთო პრინციპებზე, რომელთა საფუძველზეც სურთ ბავშვის აღზრდა და შემდგომ უკვე ზედმიწევნით დაიცვან ისინი.

პირის გაღების რომ არ შეგვრცხვეს

ჰალიტოზი, ანუ პირიდან უსიამოვნო სუნი, არის პრობლემა, რომლის შესახებაც ლაპარაკი გვრცხვენია. ხშირად ეს ქრონიკული პრობლემების შედეგია და ადამიანს უამრავ პრობლემას უქმნის.

საიდან ჩნდება არასასიამოვნო სუნი პირში? პირის ღრუში არსებობს დაახლოებით 120 სახეობის მიკროორგანიზმი, რომლებიც „იმალებიან“ ენაზე, კბილებს შორის. ჰიგიენის დარღვევის შემთხვევაში ეს მიკროორგანიზმები აქტიურდებიან და სწრაფად მრავლდებიან. სწორედ ესაა პირის ღრუში არასასიამოვნო სუნის გაჩენის მიზეზი.

იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოვაგვაროთ, პირველ რიგში, აუცილებელია პირის ღრუს სწორი და რეგულარული მოვლა, პროფილაქტიკისათვის წელიწადში 1-2-ჯერ სტომატოლოგთან კონსულტაცია.

პირის ღრუში არასასიამოვნო სუნი შესაძლოა გამოწვეული იყოს კარიესული კბილებით, ღრძილების დაავადებებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები. ასევე დამნაშავე შეიძლება იყოს ქრონიკული დაავადებები, ე.წ. გლანდები, ბრონქების ანთება, ქრონიკული სურდო.

როგორც თავად დარწმუნდით, ჰალიტოზი მხოლოდ პირიდან არასასიამოვნო სუნი არ გახლავთ და შეიძლება მის უკან სერიოზული პრობლემა იმალებოდეს.

ჰალიტოზის გამომწვევი შესაძლოა იყოს პირის სიმშრალეც, ანუ ნერწყვის არასაკმარისი რაოდენობა, რაც პირის ღრუში ბაქტერიების გამრავლებას უწყობს ხელს. ამიტომ აუცილებელია, რეგულარულად მივიღოთ საკმაო რაოდენობით სითხე, რათა პირი სიმშრალისგან დავიცვათ. კარგი დამხმარეა უშაქრო საღეჭი რეზინიც, რაც ნერწყვის გამომუშავებას უწყობს ხელს.

დაბოლოს, აუცილებელია ყოველდღიურად კბილების გახეხვა, ჯაგრისის სწორად შერჩევა და ენის გაწმენდა. თუ ყველა წესს დაიცავთ, პირის გაღების ნამდვილად აღარ შეგრცხვებათ და მუდამ ჯანსაღი სუნთქვა გექნებათ.

Cyan Magenta Yellow Black

წინაპრების საიდუმლოებები თმისა და კანისათვის

ევრი თანამედროვე კოსმეტიკური საშუალება ბებიების უძველეს რეცეპტებზე და მათ გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

თვალებქვეშ ე.წ. ტომრების არსებობის დროს კარგია ჩაის ერთჯერადი პაკეტების რამდენიმე წუთით თვალებზე დაფენა. ასეთივე ეფექტი აქვს სალბის საფენსაც.

კანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი მოვარდისფრო ფერისთვის კარგია სხვადასხვა სახის ნიღბები, მაგალითად, კარაქისა და ლიმონის წვენისგან დამზადებული: 3 ს.კ. კარაქი ჩანგლით დასრისეთ, აურიეთ 1 ს.კ. ლიმონის წვენი (უნდა მიიღოს კრემის კონსისტენციის მასა), დაიდეთ დაბანილ სახეზე და 15 წთ-ის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ცელულიტის წინააღმდეგ — თაფლის მინერალური შემადგენლობა ძალიან ახლოსაა სისხლის პლაზმასთან, ამიტომ მასში არსებული ვიტამინები პრაქტიკულად სრულად შეიწოვება კანიდან. ჩვენი ბებიები თაფლის პროცედურებს ძირითადად აბანოში იტარებდნენ. თაფლის ნიღაბი საოცრად ეფექტურია კანის სიმკვრივისათვის, სიგლუვის შენარჩუნებისთვის, ცელულიტის, როგორც მკურნალობის, ისე პროფილაქტიკისათვის.

ამ უნიკალური პროცედურის ჩატარება სახლის პირობებში შეგიძლიათ. მუცლისა და ბარძაყების არეში თაფლის თხელი ფენა წაისვით, დაიფარეთ პოლიეთილენი და 40 წუთი გაიჩერეთ. უფრო ძლიერი ეფექტისათვის შეგიძლიათ დამატებით პლედიც შემოიხვიოთ. პროცედურის დასრულების შემდეგ მიიღეთ თბილი აბაზანა. მოგეხსენებათ, თბილი წყალი კანის ფორებს აფართოებს და თაფლში არსებული სასარგებლო და უნიკალური ნივთიერებები გაცილებით ეფექტურად და ღრმად შეიწოვება.

ლიმონი სისხლძარღვებს ამაგრებს

ყველასთვის ცნობილია, რომ ლიმონი ვიტამინების ჭაა. შეუცვლელია ავიტამინოზისა და გაციების დროს. ლიმონის შემადგენლობაში შედის ნივთიერება, რომელიც ასევე სასიკეთოდ მოქმედებს გულის კუნთის ტონუსზე და სისხლძარღვებს ამაგრებს. ამიტომ ლიმონი სასარგებლოა ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისთვის. მოამზადეთ ასეთი ნარევი:

4-5 კბილი ნიორი დააქუცმაცეთ, 1 ლიმონის წვენი და 2 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ. მიღებული მასა ორად გაყავით: დილა-საღამოს, ჭამამდე ნახევარი საათი ადრე მიიღეთ.

ლიმონის ქერქი წნევის დაწევას ეხმარება. აიღეთ 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ქერქი, 2 ჭიქა წყალი დაასხით და თავდახურულ ჭურჭელში ნახევარი საათი, დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. გაწურეთ და ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში 3-ჯერ 0,5 ჭიქა მიიღეთ.

✓ რუბრიკა მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

- შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 10 ან 11 წლის?
- ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
- არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?

მაშინ შენ შეგიძლია გახდე გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ მონაწილე!

ამისათვის საჭიროა:

- შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.
- მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს!

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი _____

_____

მისამართი _____

_____

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

_____

დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) _____

_____

სკოლა _____

_____

კლასი _____

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

_____

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი _____

_____

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა _____

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი 2013 წლის 1 იანვრისთვის არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 11 წელს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: ქ.თბილისი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2”, სანდრო ეულის 5ᵃ, თბილისი 0186.

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

Cyan Magenta Yellow Black

ოჯახში მერამდენე დაიბადეთ?

უფროსუმცროსობის თავისებურებები

ამბობენ, უმცროსი შვილი მშობლების რჩეულია, უფროსი — დამხმარე. საინტერესოა, ეს როლები თავად პატარა ადამიანებზე როგორ გავლენას ახდენენ?

როდესაც ოჯახში ერთადერთი ბავშვია, ვინმესთან მეტოქეობის, ვინმეს დაჩრდილვის, საკუთარი უპირატესობის დამტკიცების, მშობლების ყურადღების მოსაპოვებლად ბრძოლის აუცილებლობა არ არის. მთელი ყურადღება და ზრუნვა მხოლოდ მას ეკუთვნის. მშობლები მხარს უჭერენ, ფარული ნიჭი გამოავლინოს და შესაძლებლობები განავითაროს. ეს საკუთარი თავის მიმართ ჯანსაღი გრძნობის, რწმენის გამომუშავებას საფუძველს უყრის. თუ, რა თქმა უნდა, მშობლებს მასზე ზრუნვაში ზედმეტი არ მოსდით.

როდესაც ოჯახში მეორე ბავშვი იბადება, პირველს ეჭვიანობისა და შიშის გრძნობა ეუფლება. გაჩნდა კონკურენტი, რომელიც რჩეულის მდგომარეობაში შეეცილება.

რაც შეეხება მშობლებს, ისინი ძალაუნებურად უმცროსი შვილის პირველთან შედარებას იწყებენ. ეს აბსოლუტურად ნორმალური გამოვლენაა, მაგრამ ამავდროულად ორივე ბავშვს უნდა აჩვენონ, რომ მართალია, განსხვავებულები არიან, მაგრამ თითოეული მათგანი უნიკალურია, ნიჭიერია, ლამაზია. ასევე უნდა შთააგონონ, რომ ერთი ოჯახი არიან და ერთმანეთი უნდა დაიცვან.

ოჯახში პატარას გაჩენისას მშობლებს უფროსი შვილის დახმარების იმედი აქვთ, მაგრამ ამასთან არ უნდა დაივიწყონ, რომ ის ისევ ბავშვია და თამაში უფრო მეტად სურს, ვიდრე ჩვილის მეთვალყურეობა.

როგორც უნდა გაგვზარდონ მშობლებმა, პიროვნების განვითარებაზე გავლენას ახდენს ოჯახში ბავშვების რაოდენობა და ასევე ის, რიგით მერამდენე დავიბადეთ.

პირველი შვილი

პირველი შვილი ვარსკვლავია: რაც უნდა გააკეთოს, მშობლებში ყველაფერი აღფრთოვანებას იწვევს, სანამ ძამიკო ან დაიკო არ დაიბადება. ბავშვი ხედავს, რომ მოზრდილების ყურადღება ოჯახის ახალ წევრზე ნაწილდება და დასკვნას აკეთებს: მშობლებმა მისი სიყვარული რომ გააგრძელონ, განსაკუთრებით გულმოდგინე უნდა იყოს.

პირველები პედანტები, პატივმოყვარეები, შრომისუნარიანები და პასუხისმგებლები იზრდებიან. სიმსუბუქე აკლიათ, მეტად სერიოზულები და მომთხოვნები არიან თავისა და გარშემომყოფების მიმართ. კარგი იქნება, ცხოვრებით ტკბობა ისწავლონ.

შუათანა

მეორე ბავშვთან მშობლები თავს უფრო მოდუნებულად გრძნობენ, თუმცა მუდამ უნევთ უფროსის გულის მოგება, რომელიც პატარასთან მათ ურთიერთობას გულმოდგინედ აკვირდება. ხოლო როდესაც ოჯახში კიდევ ერთი ბავშვი გაჩნდება, მშობლები მასზე გადაერთვებიან, უფროს შვილს განსაზღვრულ მოვალეობებს აკისრებენ, ხოლო შუათანას თავისუფლებას ანიჭებენ.

შუათანა ბავშვები ალღოიანები და თავაზიანები იზრდებიან, ნათლად გამოხატული სამართლიანობის გრძნობა აქვთ, მაგრამ ხშირად შიშობენ, რომ შეუმჩნეველები აღმოჩნდებიან. მათთვის ზედმეტი არ იქნება, სხვისი დახმარების მიღება და თავიანთი ინტერესების დაცვა ისწავლონ. ზოგჯერ კი, გაგებისა და თანაგრძნობის გამოხატვის მაგივრად, საჭიროა მაგიდას მუშტი დასცხონ საკუთარი აზრის დასაცავად.

უმცროსი

ყოველთვის თვალწინ ჰყავს ის, ვისაც მისთვის ყველაფრის გაკეთება შეუძლია — საუბარი, ხატვა, თასმების შეკვრა. ეს იმდენად აღიზიანებს, რომ უმცროსი ბავშვი ზოგჯერ არც კი ცდილობს, თავისი ცოდნით იბრწყინოს ან შესაძლებლობები აჩვენოს. პირიქით, ყურადღება რომ მიიქციოს, ტაკიმასხარაობს.

როგორც წესი, უმცროსი შვილები შემოქმედი ნატურები არიან, მაგრამ, როგორც კრეატიულ ადამიანებს სჩვევიათ, საკმაოდ არადამოუკიდებლები არიან.

მთელი თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი რომ გამოიყენონ, უმცროსმა ბავშვებმა ყურადღება უნდა მიაქციონ არამხოლოდ თავიანთ მომხიბლაობას, ასევე ნიჭი განავითარონ.

როგორ მივაღწიოთ თანხმობას საკუთარ თავთან

ზოგიერთ ადამიანს საკუთარი თავი არ უყვარს, დაბალი თვითშეფასება აქვს. ამით თვითონაც იწამლავს სიცოცხლეს და სხვებისთვისაც არასასიამოვნო ხდება. მის ცხოვრებაში ჰარმონია დარღვეულია. როგორ აღვადგინოთ ბალანსი ჩვენსა და გარე სამყაროებს შორის?

ყველაფერი ბავშვობიდან მოდის

სიძულვილი, თავის არმიღება, რა თქმა უნდა, ბავშვობიდან ყალიბდება. დაბადებიდანვე გვინერგავენ, რომ საკმაოდ კარგები არ ვართ, რომ თავზე უნდა ვიმუშაოთ, აქ საჭიროა შესწორება, იქ — გაუმჯობესება, რათა უკეთესი გავხდეთ, ვიდრე სინამდვილეში ვართ. გვეუბნებიან, როგორები უნდა ვიყოთ. ეს სხვაობა — რა ვართ და როგორი უნდა ვიყოთ, განგაშის შეგრძნებას ქმნის, რომელიც ცხოვრებას გვიწამლავს. ვერ ვიგებთ, სინამდვილეში ვინ ვართ და რა შეგვიძლია. სანამ თავს არ მივიღებთ ისეთს, როგორიც ვართ, ვერც სხვების მიღებას შევძლებთ თავიანთი ნაკლოვანებებით.

ჯანსაღი ეგოიზმი

საკუთარი თავის მიღება არ გამორიცხავს თვითგანვითარებასა და თვითკრიტიკას. თავის შეყვარება ყველა ღირსებითა და ნაკლით, ნიშნავს, რომ უფლება გვაქვს შეცდომის დაშვების, მათი აღიარების, გამოსწორების. თავის მიღებას, შეყვარებას საერთო არაფერი აქვს თავმოყვარეობასა და ნარცისიზმთან.

შეიძლება თუ არა თავის მიღების სწავლა? ეს ძალიან ძნელია. სიყვარული, მათ შორის, საკუთარი თავის, ან არის, ან — არა. ამ გრძნობას საფუძველი ბავშვობაში ეყრება, როგორც დედის გრძნობების ანარეკლს. მაგრამ თავის მისაღებად საჭიროა მუშაობა თვითშეფასებაზე, თავის რწმენის ამაღლებაზე, თავის პატივისცემაზე, თავის მოწონებაზე.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც ამ რთულ საქმეში დაგეხმარებათ.

ნუ დაეყრდნობით მხოლოდ გარეგან შეფასებებს, ეცადეთ, თავს გაუგოთ;

შინაგანად თავი არ დაადანაშაულოთ, პირიქით — დაიცავით;

შეცდომების დაშვების ნუ შეგეშინდებათ, თქვენზე სხვების ზრუნვა მიიღეთ;

ისწავლეთ, გულწრფელად იზრუნოთ სხვებზე; ასევე თუნდაც დღეში ერთხელ, პირადად თქვენთვის რაიმე გააკეთეთ;

თქვენი მიზანი, სწრაფვა გააცნობიერეთ და ამ მიმართულებით იმოძრავეთ;

ხშირად იყავით თავისთავადი, ისეთი, როგორიც ხართ და არა ის, როგორიც გსურდათ, ყოფილიყავით;

თავს მუდამ დაუსვით ერთი და იგივე კითხვა: „რა მსურს?“. იპოვეთ მასზე პასუხი და სურვილი შეისრულეთ;

დაბოლოს, გახსოვდეთ, თქვენ ხართ რაღაც განსაკუთრებულის, არსებითის, რაღაც მეტად მნიშვნელოვანის განსახიერება. სამყაროს ისეთი ესაჭიროებით, როგორიც ხართ. სხვაგვარად თქვენს ადგილზე სხვა ვიღაც იქნებოდა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა შაბათი, 12 იანვრის 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. 555326286

2. ვარ თბილისელი, 25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის. გავიცნობ 20-დან 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 599395177

3. გავიცნობ სტუდენტ გოგონას სამეგობროდ. 595387337

4. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. სკაიპი. ვფეწ-პმუტსფვჭუ. 593135572. დათო

5. ვარ 24 წლის, სიმპათიური მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს ბინა. გავიცნობ 20-დან 23 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 555260117. გიორგი

6. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზუგდიდელ გოგოს. 557991953

7. გავიცნობ 22 წლამდე თბილისელ, ლამაზ გოგოს, სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 698927896. გიო

8. ვარ 37 წლის, ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცი, მაქვს ჩემი ბიზნესი. გავიცნობ სერიოზულ, მიმზიდველ ქალს. 551590585. დემეტრე

9. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. რომანტიკული ურთიერთობისთვის გავიცნობ 28 წლამდე თბილისელ, რუსთაველ ან მარნეულელ ლამაზ, მიმზიდველ გოგოს. 598836042

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 557161435

11. შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ ქალს, სასურველია თბილისელი. ვარ 29 წლის. 557240429. ნიკა

12. სამეგობროდ გავიცნობ 23-დან 35 წლამდე კარგი გარეგნობის გოგოს. 599314556. გიო

13. ვარ 29 წლის, სიმპათიური და სანდო მამაკაცი, გავიცნობ სუსტი აღნაგობის ქალს, მაქვს ბინა და კარგი სამსახური თბილისში. 599947208

14. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ ექიმი, საკმაოდ სიმპათიური. უმჯობესია იყოს თბილისიდან. 577091120

15. ვარ მაღალი, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი, ბინით და ავტომანქანით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ ქალს. 557330883

16. ვარ თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, მყავს მანქანა, მაქვს ბინა, სამსახური. გავიცნობ 40 წლამდე მიმზიდველ გოგოს მეგობრული ურთიერთობისთვის. 557509711. დათო

17. გავიცნობ გოგოს სამეგობროდ. ვარ ნორმალური, სასიამოვნო ბიჭი. 599120491. გიგა

18. გავიცნობ 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 583918085

19. ვარ 31 წლის კარგი გარეგნობის ბიჭი. გავიცნობ შეხვედრის ადგილის მქონე 43 წლამდე ქალს. 599751633

20. ვარ 24/188 მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილსში მცხოვრებ გოგოს. 593506341

21. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 40 წლამდე ქალს. ვარ 27 წლის მამაკაცი. 555494212. კახა

22. გავიცნობ თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. 599283161

23. სამეგობროდ გავიცნობ მშვიდი ბუნების, ინტელიგენტ ქალს. 555229812

24. გავიცნობ ლამაზ, ჩამოყალიბებულ და სერიოზულ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის, მოსიყვარულე და ყურადღებიანი ბიჭი. 555229718. დათო

25. გავიცნობ 25-35 წლამდე გათხოვილ ქალს შეხვედრებისთვის, სასურველია იყოს ცოტა პუტკუნა და ცხოვრობდეს თბილისში. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სამსახური. მსურს გავიცნო მეგობარი, რომელიც გამიჩენს სურვილს, რომ გავანებივრო და ცხოვრება გავულამაზოთ ერთმანეთს. 555258561. გიო

26. ვარ 42 წლის თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში ან რუსთავში მცხოვრებ 30-55 წლამდე ქალს. 555936394. გიო

27. ვარ 24 წლის. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 20-დან 30 წლამდე გოგოს. 555251239

2017

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით 20-დან 25 წლამდე. ვარ 27 წლის ბიჭი. 595922239

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, ქალიშვილ, 25 წლამდე გოგოს, ვინც სოფელში იცხოვრებს.

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის არამსუქან 30-დან 38 წლამდე ქალს. 557229368

4. ოჯახის შექმნის მიზნის გავიცნობ ზუგდიდელ გოგოს. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. 598467630

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 43 წლის მამაკაცი. 598604078

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, გაუთხოვარ, მორწმუნე ქალს. ვარ თბილისელი, 180/80, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული მამაკაცი. 599076412

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, სამსახურით უზრუნველყოფილ, არამწეველ ქალს. ვცხოვრობ თბილისში. 599399932

8. გავიცნობ 25 წლამდე პატიოსან გოგოს სამეგრელოდან ან დევნილს აფხაზეთიდან ოჯახის შექმნის მიზნით. 555981601

9. გავიცნობ 30 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, თუნდაც განათხოვარს. 593350882. გიორგი

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ შეძლებულ, სერიოზულ 30-დან 50 წლამდე მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით ან სამეგობროდ. 557325273

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, ფინანსურად შეძლებულ მამაკაცს 40-დან 50 წლამდე. ვარ 41 წლის ქალი. 555159507

3. ვარ 168/86/28, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე სერიოზულ, დასაქმებულ, ტრადიციული ოჯახის მქონე მამაკაცს. 598197154

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შეგნებულ, წესიერ, დასაქმებულ, თბილისელ 30-35 წლამდე მამაკაცს. ვარ 24 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, წესიერი გოგო. 555563427. თიკო

5. ვარ 37/168, გასათხოვარი, სასიამოვნო პიროვნება, ვცხოვრობ თბილისში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დამოუკიდებელ, 40 წლამდე თბილისელ მამაკაცს, რომელიც ცხოვრობს ცალკე. 558110644. თიკო

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ შეძლებულ, სერიოზულ 40-დან 50 წლამდე მამაკაცს სამეგობროდ ან ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 40 წლის მომხიბვლელი ქალი. 557325273

2. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

სხვადასხვა

1. გავიცნობ მხიარულ ადამიანს სამეგობროდ, 42 წლილან. 5098822639

გილოცავ

დათუჩა, გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი. ყველას ძაან გვენატრები, თავს მიხედე. რომა

დათო, მამა, გილოცავ შობას, არაფერზე იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება. შენი იმედი მაქვს. მამა

შობას გილოცავ, ჩემო სიყვარულო, ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. შენი დანაბარები გადმომცეს. მეც უზომოდ მენატრები. შენ აქ ხარ, ჩემთან გულში, იქ, სადაც გაზაფხული ცხრამეტი ვარდით იწყება.

მიყვარხარ, მენატრები

დათუჩა, კალაბოკ, მაგრად იყავი. ყველა გელოდებით და გვიყვარხარ. შენი ოჯახი

ალეკო, ჩემო მშვენიერო, ცისფერთვალებავ, უზომოდ მენატრები. მშვიდად და მხნედ იყავი, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ყოველთვის შენ გვერდით ვარ. გულწრფელად მიყვარხარ. ნინო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 12 იანვრის 17 საათამდე. ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერ, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება! ერთი აღრესატისადმი მინერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ღვთის რწმენა ის იარაღია, რითაც ყოველდღე შეუძლებელი სასწაულების თვითმხილველები ვხდებით

ცხოვრება წმინდისა დიდმოწამისა მერკურისა

ახალი სტილით 7 დეკემბერი არის ხსენება წმინდა დიდმოწამე მერკურისა, რომლის შესახებაც მართლმადიდებელმა მოსახლეობამ ალბათ აუცილებლად უნდა იცოდეს. მოწამე უთვალავი ჰყავს ეკლესიას, რომელთა შესახებაც ბევრი გვისაუბრია და მომავალშიც მოგითხრობთ. რაც შეეხება დიდმოწამეებს, ასეთები თითზე ჩამოსათვლელები თუ გვეყოლება.

სწორედ ამ მცირერიცხოვანთა შორისაა დიდმოწამე მერკურიც. როგორც მემატიანე გვამცნობს, სამწუხაროდ, დანამდვილებით არ ვიცით ქალაქის თუ სოფლის სახელწოდება, თუ კონკრეტულად სად დაიბადა. ვიცით მხოლოდ ის, რომ დაიბადა აღმოსავლეთში, წარმართი და ღვთისმოძულე იმპერატორების დეკიოსის, გალიოსის და ვალერიანოსის მეფობისას.

ცნობისთვის, დეკიოსი მუხანათურად მოკლა გალიოსმა 251 წელს, გალიოსიც აგრეთვე მხეცურად მოკლა თვითაღიარებული იმპერატორის ემილიანოსის ჯარისკაცებმა 253 წელს, ხოლო ვალერიანოსი სპარსელებს ჩაუვარდა ტყვედ 260 წელს, სადაც უდიდეს დამცირებასა და საშინელ შეურაცხყოფაში ამოხადეს სული ღვთისმგმობელ და ქრისტიანობის მოძულე იმპერატორს. ეს — იმ ადამიანთა შესახებ, რომელთა მეფობის დროსაც მოუხდა მოღვაწეობა დიდმოწამე მერკურის.

დიდმოწამე მერკური უკვე ყმაწვილობიდან ირიცხებოდა იმპერიის მეომართა არმიაში, რომელსაც მეთაურობდა გორდიანე — ფარული ქრისტიანი და ამის შესახებ, ბუნებრივია, არაფერი იცოდა იმპერატორმა. ჯერ კიდევ ყმაწვილმა დაკარგა მამა წმინდანმა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინვე ჩაირიცხა გორდიანეს ბატალიონში. მალე ბატალიონი ბარბაროსებთან საბრძოლველად გაემართა.

ჯერ კიდევ გამოუცდელი ჭაბუკი ურიცხვი მტრის პირისპირ აღმოჩნდა ბრძოლის ველზე და გამოსავალი არსად ჩანდა. მოულოდნელად გამოეცხადა თეთრებში გამოწყობილი უფლის ანგელოზი, რომელსაც მარჯვენა ხელში მახვილი ეპყრა და შემდეგი სიტყვებით მიმართა წმინდანს: „საყვარელო მეგობარო მერკური, უფალმა უფლებათამან და ღმერთმა ყოველთამან გამომგზავნა, რათა გაგამხნევო და შეგმატო ძალა შენი მტრების წინააღმდეგ. ასე რომ, ნუ შეშინდები, იბრძოლე და დაიძლევა შენი მოწინააღმდეგე მეუფე ქრისტეს შეწევნით, ყველასთვის საყოველთაო გახდება შენი გამარჯვება, რითაც ნურასდროს იამაყებ, არამედ ყოველთვის გახსოვდეს ეს დღე, თუ როგორ გიხსნა უფალმა, ვინაიდან შესაძლებელია გაწამონ კიდეც მისი სახელის გამო და ქრისტეს მებრძოლის გვირგვინი დაიდგა“.

გამხნევებული მერკურიც ეკვეთა მტერს და ისე გაარღვია მოწინააღმდეგის არმია, რომ ბრძოლის ეპიცენტრში აღმოჩნდა. მტრის მთავარსარდალი ისე განგმირა, ხელი ვერავინ შეუშალა. რა ნახა მტრის ჯარმა, რომ მათი მთავარსარდალი რიგასი მოკლეს, ყველამ იმაზე დაიწყო ფიქრი, საკუთარი თავისთვის და სიცოცხლისთვის როგორ ეშველა. დამარცხდა მტრის ჯარი და ამის მთავარი მიზეზი იყო წმინდა მერკური.

ეს ყოველივე შეიტყო იმპერატორმა და მაშინვე იხმო თავისთან წმინდანი, იმპერიის მთავარსარდლად დანიშნა და უთვალავი სიმდიდრეც უბოძა საჩუქრად. გამარჯვების შემდეგ მეფესთან ერთად მთელი ჯარი მიეცა განცხრომას, მათ შორის წმინდა მერკურიც, რომელსაც სიამოვნებდა, საქებარ სიტყვებს რომ ეუბნებოდნენ და თითქმის გადაავიწყდა უფლის ანგელოზის გამოცხადება და მისი სიტყვები.

ამის შემდეგ ისევ გამოეცხადა უფლის ანგელოზი ძილში წმინდანს და გაახსენა: „ნუთუ აღარ გახსოვს, რა გითხარი, როცა ის მახვილი მოგეცი, რომლითაც იმარჯვე მტერზე და დაგპირდი, რომ გაიმარჯვებდი ღვთის შეწევნით და არა შენი ძალმოსილებით, ეწამებოდი მისთვის და დაიდგამდი მოწამის უჭკნობ გვირგვინს“. ამ სიტყვების შემდეგ გაუჩინარდა უფლის ანგელოზი და წმინდანს გაახსენდა მისი დანაპირები, როცა ბრძოლის ველზე გამოუვალი მდგომარეობიდან იხსნა.

ამის გახსენებაზე მწარედ ატირდა წმინდანი, ამ დროს კი მეფეს ჰქონდა უზარმაზარი წვეულება, რომელზეც აუცილებლად უნდა ყოფილიყო წმინდა მერკურიც, მაგრამ ის ამ შეკრებაზე არ მისულა. მომდევნო დღეს მეფემ იხმო დიდებულები და მათ შორის მერკურიც. გამოუცხადა ყველას, ახლა დადგა დრო, რომ იმ გამარჯვებისთვის, რომელიც მოვიპოვეთ, მსხვერპლი შევწიროთ არტემიდას ტაძარში, რათა სხვა დროსაც შეგვეწიოს ბრძოლის ველზეო.

მოხდა ისე, რომ წმინდა მერკურიმ თავი აარიდა წარმართულ მსხვერპლშეწირვას, რომელიც არ გამოპარვია მის მტერს და მაშინვე მოახსენა იმპერატორს: „თქვენო უდიდებულესობავ, მეც ისევე, როგორც თქვენ, უდიდეს პატივს ვცემდი ჩვენი არმიის მთავარსარდალ მერკურის, ახლა კი ნამდვილად მაქვს მიზეზი მისი სიძულვილის, რადგან ის ჩვენი ღმერთების მტერია და მოწინააღმდეგე, ამით კი უმადურობას გამოხატავს თქვენი დიდებულებისადმი. ეს კიდევ არაფერი, სხვებსაც მოუწოდებს, არ აღიარონ არც ჩვენი ღმერთები და არც თქვენი ყოვლად უდიდებულესობა“.

ამის გამგონე იმპერატორი გაოგნდა და ხმას ვერ იღებდა. ამგვარ ცნობას არ ელოდა მერკურის შესახებ. მიუბრუნდა ამბის მიმტანს და მიუგო: „ასე ადვილად არ გერწმუნები. მინდა, თვითონ შევისწავლო აღნიშნული და თუ სიმართლეა, რასაც მეუბნები, ჩემი ხელით დავსჯი უსასტიკესად, არაფრით ვაპატიებ ამგვარ საქციელს. ოღონდ იცოდე, თუ ეს ყველაფერი ტყუილია და მხოლოდ მერკურისადმი სიძულვილი გალაპარაკებს, შენ დაგსჯი შეუბრალებლად, როგორც ცილისმწამებელს. თუ ეს ყოველივე სიმართლეა, მაშინ ამის გამოვლენისთვის ჯილდოსაც მიიღებ, როგორც ჩვენი ღმერთების ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი“.

მეორე დღესვე დაიბარა მეფემ წმინდანი და მოსთხოვა პასუხი იმ ყოველივეზე, რაც მოისმინა ჯარისკაცისაგან: „მე ყველაფერი გავაკეთე შენი კეთილდღეობისთვის, ჩვენი დიდებული სამეფოს მთავარსარდლობა გიბოძე, ჩემ შემდეგ ყველაზე დიდებულ და გავლენიან კაცად იქეცი და იმ ღმერთებს უღალატე და ზურგი აქციე, რომელთაც ძალ-ღონე არ დაიშურეს შენს დასახმარებლად ბრძოლის ველზე?“.

მეტის მოთმენა ვეღარ შეძლო წმინდანმა და მიუგო მტარვალს: „ცდებით, მეფეო, მე ღმერთისთვის არ მიღალატია, არც ხელმწიფისთვის. რაც შეეხება ბრძოლის ველზე ღვთის შეწევნას, ამის თქმა არ მინდოდა ამდენ ხანს, ახლა კი გეტყვი, რადგან გაინტერესებს: უსულო კერპები, რომელთაც საკუთარი თავის ხსნაც კი არ შეუძლიათ, მე როგორ დამეხმარებოდნენ. ის, ვინც დაგვეხმარა, იყო იესო ქრისტე, რომელმაც გადმომცა ანგელოზის ხელით თავისივე მახვილი და სწორედ იმ მახვილმა განაპირობა ჩვენი გამარჯვება. მე ვიყავი ქრისტეს მხედარი და ასე ვიქნები, ვიდრე ცოცხალი ვარ. ახლა კი უკან გიბრუნებ ამ სარტყელსაც და შესამოსელსაც, რომელიც მიბოძე, როგორც მთავარსარდალს და როგორი დედიშობილაც მოვევლინე სამყაროს, ასეთივე დედიშობილა წავალ ისევ. იმოქმედე, მეფევ, როგორც გსურს“.

მემატიანეს გადმოცემით, მუზარადით აღჭურვილი წმინდანი ულამაზესი შესახედაობის ვაჟკაცი ყოფილა, ხოლო მუზარადის გარეშე ღვთის მადლით კიდევ უფრო გალამაზებულიყო და ბედნიერებისგან სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ამის მნახველმა ტირანმა ხელმწიფემ ბრძანა, საპყრობილეში ჩაეგდოთ, ვინძლო გონს მოსულიყო, რადგან არ უნდოდა მისი სიკვდილით დასჯა. დაავალა ჯარისკაცებს, სიტყვიერად შეეშინებინათ, იქნებ ხელი აეღო სამსხვერპლოების შეურაცხყოფაზე. წმინდანი კი მოურიდებლად ჰმადლობდა ქრისტეს, შესთხოვდა დახმარებას, რათა უარი არ ეთქვა მისთვის მოწამეობაზე. ასევე სთხოვდა, მხნედ ყოფილიყო, რათა სიხარულით შეხვედროდა მასზე მოწეულ განსაცდელს.

იმავე ღამეს ისევ გამოეცხადა უფლის ანგელოზი და როგორც ბრძოლის წინ, შეჰმატა მხნეობა წმინდანს: „უქადაგე ქრისტეს შესახებ ბერძენ წარმართებს და მტკიცედ იდექი მოახლოებული სასჯელის პირისპირ, რათა მიიღო საუკუნო დიდება. ყოველთვის გვჯეროდეს საუკუნო ცხოვრების და ღვთის შემწეობის“. ეს უთხრა და მაშინვე გაუჩინარდა უფლის ანგელოზი.

დილით დაჯდა მეფე თავის ტახტზე და

Cyan Magenta Yellow Black

ბრძანა წმინდა მერკურის მოყვანა. თავდაპირველად, როგორც სჩვევია უხსენებელს, იმპერატორის პირით შეეცადა წმინდანის ტყუილით და ტკბილი სიტყვით დაყოლიებას. როცა ვერაფერს გახდა, მაშინ კი წყობიდან გამოსულმა გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე და განრისხებულმა იღრიალა, ისეთი წამებით ამოგხდი სულს, რომ კაცის თვალს არც ენახოს და არც მოესმინოსო.

წმინდანმა მიუგო: „მე თავიდანვე ვიცოდი, რომ არ დამზოგავდი და შემამთხვევდი საწამებელს, ამიტომ მზად ვარ და ნულარ დააგვიანებ. იმოქმედე ისე, როგორც გსურს, მაგრამ იცოდე, მე თავზე ხელშეუხებელი და თვალთუხილავი ჩაფხუტი მადგას, ხოლო ტანთ მმოსავს თვალთუხილავი სამოსი და ამიტომაც არ მაშინებს შენი ამქვეყნიური ძლიერება, რომელიც დროებითია. ამ ყველაფრის შემდგომ ველოდები ჩემი უფლის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე და უჭკნობ გვირგვინს. იცოდე, რომ ვერანაირი შენი მცდელობა ვერ შემაცვლევინებს აზრს, რათა თაყვანი ვცე დემონებს ისე, როგორც შენ ეთაყვანები“.

ამის გამგონე ტირანი უფრო მეტი აზარტით შეპყრობილი მძვინვარებდა და ფიქრობდა, რა ფორმით ეწამებინა წმინდანი. ბრძანა, ხელებზეც და ფეხებზეც მოებათ თოკები, ჩამოეკიდათ ჰაერში დასერილი და ქვემოდან შეენთოთ ნელი ცეცხლი, რაც ერთიორად გაამძაფრებდა ტკივილს მტარვალის ჭკუით. წმინდა მერკური კი მოთმინებით იტანდა სატანჯველს, მისი სისხლით ძლიერდებოდა ცეცხლი და დაკარგული სისხლით დასუსტების ნაცვლად ახალი ენერგიით ივსებოდა. სამი საათის შემდეგ ტირანმა ბრძანა, ჩამოეხსნათ და ბნელ საპყრობილეში შეეგდოთ, ვიდრე სხვა ხერხს მოიგონებდა წმინდანის შეურაცხყოფისთვის. მართლაც, ჩამოხსნეს მსახურებმა და რადგან თვითონ არ შეეძლო სიარული, ხელში აყვანილი მიიტანეს საპყრობილეში.

წმინდანი ლოცულობდა იესო ქრისტეს წინაშე, რამდენიც შეეძლო ნაწამებს, როცა მას გამოეცხადა ისევ უფლის ანგელოზი და მოუწოდა: „გიხაროდეს, ღირსეულო ჯარისკაცო და უძლეველო ქრისტეს მხედარო...“ ამის შემდეგ ისევ უჩინარი იქნა ანგელოზი და წმინდანი კი ისეთივე ჯანმრთელი, როგორიც წამებამდე. ამის მნახველი თვითონაც გაკვირვებული იყო, თუმცა ეჭვგარეშე უნდა ვირწმუნოთ, რადგან ასობით და ათასობით თვითმხილველი ჰყავს ამ ისტორიას.

ტირან ხელმწიფეს მთელი ღამე არ დაუძინია, შურისძიების სურვილით შეპყრობილი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ვერ შეაშინა ამგვარი წამების შემდგომ და ახლა რა უნდა ექნა მისთვის იმაზე მეტი, ვიდრე გაუკეთა. ბრძანა, ვიდრე გათენდება, მოიყვანეთ ჩემთან, იქნებ გატყდეს და უარი თქვას თავის გადაწყვეტილებაზეო. რა ნახა სრულიად ჯანმრთელი, თავის თავს ჰკითხა და ეჭვიც შეეპარა, ხომ არ გავგიჟდიო. მიუბრუნდა მსახურებს და ჰკითხა, საკანში ვინმე ექიმი ხომ არ იყო მისული მასთანო, რაზეც უარი მიიღო. გაოცებას ვერ მალავდა მომხდარით და საკუთარ თავს უბრაზდებოდა იმის გამო, რომ ისეთი ვერაფერი მოიგონა, რითაც ბოდიშს მოახდევინებდა მერკურის.

იმპერატორი ჯიუტად არც უკან იხევდა და ეს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა. „გვითხარი, მერკური, სიმართლე, რამე ჯადოქრული ხერხით განიკურნე თუ ვინმე ექიმი ჩაერია ამ ყველაფერში?“. მიუგო წმინდანმა: „ჩემმა მეუფე ქრისტემ განმკურნა, როგორც ყოველისშემძლე ღმერთმა. მე ჯადოქრობის შესახებ არაფერი გამეგება, რაც შეეხება შენს ბოროტ სურვილს, რომ წამებით ამომხადო სული, იცოდე, დაუსრულებელი სატანჯველი არ აგცდება ამის გამო, მე კი ვერაფერს დამაკლებ“.

ამაზე ტირანმა მიუგო: „ამბობ, რომ ქრისტემ იზრუნა შენს განკურნებაზე, აბა ერთხელაც ვცდი შენს წამებას, ვნახოთ, კიდევ თუ მოვა ქრისტე და გიპატრონებს უწინდელივით“. უთხრა წმინდანმა: „რომ იცოდე, რამდენ სიკეთეს აკეთებ ჩემთვის, როცა აწყლულებ ჩემს სხეულს, შენც იმავეს გააკეთებდი შენთვის, მტარვალო. ამ დროს მოდის ჩემთან ქრისტე და მიშუშებს იარებს. რადგან არ გჯერა, ამიტომაც განიკითხები არა ჩემსავით უსამართლოდ, არამედ სამართლიანად იმავე ქრისტეს მიერ“.

მაშინ ბრძანა ტირანმა წმინდანის შეუბრალებლად წამება სხვადასხვა ხერხით — ზოგს მისი სხეული უნდა დაეჩხვლიტა შამფურებით, ზოგს ხორცები მოეთალა მისთვის, ზოგს ქვებით ეცემა შეუბრალებლად. აბა, ვნახოთ, თუ მოვა ქრისტე მის მოსარჩენადო. დაიღალნენ მსახურები ბრძანების შესრულებით და მაშინ უბრძანა ტირანმა მსახურებს, თმებით ჩამოკიდეთ და ფეხებზე სიმძიმეები ჩააბით, ვნახოთ, როდემდე შეუძლია ამ ყველაფრის მოთმენაო. ეს უზომოდ მტკივნეული იყო, ამ ყველაფერს ადამიანური ძალები არ ეყოფა, თუ არა ღვთიური ძალა, რაც ათმენინებდა და სიხარულს ჰგვრიდა წმინდანს.

ხედავდა რა წმინდა მერკურის მშვიდ და მხიარულ სახეს, კიდევ უფრო მეტად ღიზიანდებოდა ეშმაკეული ტირანი. ახლა უკვე გონებადაბინდულმა ბრძანა, კიდევ უფრო მეტი სიმძიმე ჩააბით ფეხებზე და ატრიალეთ მანამ, ვიდრე თავი და სხეული ერთმანეთს არ გაშორდება, რათა აღარასდროს დავინახო მისი მომღიმარი და ბედნიერი სახეო. ეგონა, ამით წმინდანს შეწუხებულს ნახავდა, რითაც ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა ქრისტეს მოძღვე, ღვთისმგმობელი მტარვალი თავის ხელმწიფე ეშმაკთან ერთად.

წმინდა მერკური ღვთის შეწევნით კიდევ უფრო მეტი ვაჟკაცობით იტანდა სასტიკ სატანჯველს. ყველაფრით შეურაცხყოფილმა ტირანმა ბრძანა, წაეყვანათ კაბადოკიელთა ქვეყანაში და კესარიაში მოეჭრათ მისთვის თავი, რომ აღარასდროს ენახა ბედნიერი და ნეტარი მერკური. რადგან სიარული არ შეეძლო წმინდანს, წაიღეს ბრძანებისამებრ კაბადოკიაში და როცა კესარიაში მიაღწიეს გადაღლილმა მსახურებმა, შეისვენეს და ამის შემდეგ ჰქონდათ გადაწყვეტილი ბრძანების აღსრულება.

წმინდანს ისევ გამოეცხადა ახლა უკვე თვით ქრისტე და ახარა უჭკნობი გვირგვინის შესახებ, რაზეც უზომოდ ბედნიერმა წმინდანმა მიუგო მაცხოვარს: „უფალო, შენდობა მინდა, ვთხოვო ჩემს მწამებლებს და მეც მინდა, მიუტეო მათი საქციელი“, რაზეც კიდევ უფრო ბედნიერი იყო თანხმობის შემდეგ. აღასრულეს მსახურებმა ბრძანება და თავი მოჰკვეთეს წმინდანს.

იდგა 25 ნოემბერი ახალი სტილით. ვინც იქ იყო, თავის მოკვეთისთანავე ყველამ იგრძნო მირონის კეთილსურნელება და ბევრი მათგანი განიკურნა სხვადასხვა დაავადებისგან. ადიდებდნენ და მადლობდნენ ქრისტეს უდიდესი წყალობისთვის, რომელიც აღსრულდა დიდმოწამე მერკურის მეშვეობით.

შეგვეწიე და მეოხ გვეყავ, წმინდაო დიდმოწამეო, ჩვენ ცოდვილთა და შეგვიწყალენ ჩვენ. ამინ!

ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

კითხვები მოძღვარს

„შესწირეთ უფალს მცირეოდენი და ღმერთი იზრუნებს თქვენზე!“

■ მამა გიორგი

მართლმადიდებელ ქრისტიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში ფხიზლად ყოფნა მართებს. მთავარი მხოლოდ ეკლესიის მიერ დაწესებული კანონების ბრმად შესრულება არ არის, მათი გააზრება და გაცნობიერებაა საჭირო. ვიცით, რომ კანდელის, სანთლის ანთება ქრისტიანული წესია, მაგრამ ბევრს გაცნობიერებული არ აქვს, რას ნიშნავს ეს ან რატომ არის საჭირო, სახლში ხატების კუთხე მოვაწყოთ. ამ და მართლმადიდებელთათვის სხვა საინტერესო საკითხებზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მოძღვარი, დეკანოზი **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, რატომ დაუშვა ღმერთმა ამდენი რელიგიის არსებობა?

— ღმერთი, როგორც მოსიყვარულე მამა, არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას. ის თავად ირჩევს, რაც სურს. ადამიანი რელიგიური არსებაა და იგი საკუთარი რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებისათვის სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს. თუ არ სურს ცოცხალ ღმერთთან, ჭეშმარიტებასთან ურთიერთობა (ღმერთთან ურთიერთობა არის სწორედ რელიგია), ქმნის თავის ჭეშმარიტებას, თავის ცრუ რელიგიას (ხშირად დაცემულ ანგელოზთა ზეგავლენითაც).

„სანთლის, საკმევლისა და ზეთის გული, სიყვარული შენიჩვა სახარებაში მოხსენიებული იმ დედაკაცს გვამსგავსებს, რომელმაც ქრისტეს ძაღზე ძვირადღირებული ალაბასტრონი ზეთი წმინდა ფეხებზე დაასხა. ამ საქციელით მან უდიდესი სიყვარული გამოხატა მაცხოვრის მიმართ, რომელიც ყველაზე ძვირფასი, რაც ებადა, სრულად და მთელი გულით შესწირა უფალს".

ღვთისადმი არასწორ დამოკიდებულებას ან არამართებულ წარმოდგენას კაენის შემთხვევამდე მივყავართ და ეს კაენის თავისუფალი არჩევანი იყო; ქრისტეს მკვლელობის გადაწყვეტილება იუდეველთა თავისუფალი არჩევანი იყო; მოციქულთა თავგანწირვა ქრისტესათვის ასევე თავისუფალი არჩევანი იყო. ყველა რელიგია ზნეობრივად და ლოგი- →66

Cyan Magenta Yellow Black

კურად უსასრულოდ ჩამორჩება ქრისტიანობას და მართლმადიდებლობა ერთადერთია, რომელიც შეურყვნელად ინახავს მოციქულთა მოძღვრებას და ტრადიციას.

— როდის გადასცემენ ანათემას ადამიანს და რას ნიშნავს თავად ანათემა?

— ანათემა წმინდა ეკლესიიდან განკვეთას ნიშნავს. წმინდა ეკლესია ამ რადიკალურ ნაბიჯზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდის, როცა თავად ადამიანი დემონსტრაციულად განაგდებს თავს ეკლესიიდან, აშკარად ებრძვის მას. ასეთ დროს ეკლესია კიდევ ერთხელ ცდილობს, ღვთისმგმობი გამოაფხიზლოს და სინანულში ჩაადგოს (სინანულით კვლავ შესაძლებელია წმინდა ეკლესიის წიაღში დაბრუნება). ანათემით ეკლესია სხვებსაც შეახსენებს, თუ სადამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი. ანათემამიღებული ადამიანი, ჯერ კიდევ ხორცში მყოფი (თუ იგი ჯერ არ გარდაცვლილა), თვითმკვლელია. ასეთზე არც ლოცვა შეიძლება და არც რაიმე საიდუმლოების აღსრულება. გარდაცვალების შემთხვევაში წესიც არ აეგება (აზრი არ ექნება თავად ადამიანის არჩევანის გამო). თავად ეს ძალაუფლება (ანათემა) ეკლესიას თვით ქრისტესგან აქვს მინიჭებული: „რასაც შეკრავთ მიწაზე, შეიკვრება ზეცაში". ამიტომ ანათემა ზეცაში მიღებული გადაწყვეტილების (ადამიანის არჩევანიდან გამომდინარე) მიწიერი გამოვლინებაა.

— რისი აღმნიშვნელია ხატების წინ ჩამოკიდებული კანდელი?

— ანთებული სანთლის ან კანდელის ნათელი სიმბოლურად ღვთიურ ნათელს განასახიერებს. თავად ზეთი, რითიც ანთია კანდელი, ღვთაებრივი მოწყალების სიმბოლოა. ხატების წინ მუდმივად ანთებული კანდელი (სასურველია, კანდელი მუდმივად ენთოს ხატების წინ) ღვთისადმი ჩვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აჩვენებს. იგი ერთგვარი შესაწირია ღვთის წინაშე, ასევე ნიშანია ღვთისადმი ჩვენი ერთგულებისა, უფლისადმი თავგანწირვისა და ჩვენი ქრისტესადმი სიყვარულის მზადყოფნისა. სანთლის, საკმევლისა და ზეთის (კანდელისთვის) გულით, სიყვარულით შეწირვა სახარებაში მოხსენიებულ იმ დედაკაცს გვამსგავსებს, რომელმაც ერთ-ერთ სახლში სტუმრად მყოფ ქრისტეს ძალზე ძვირადღირებული კეთილსურნელოვანი ზეთი წმინდა ფეხებზე დაასხა. ამ საქციელით მან უდიდესი სიყვარული გამოხატა მაცხოვრის მიმართ, რამეთუ ყველაზე ძვირფასი (მატერიალური თვალსაზრისით), რაც ებადა, სრულად და მთელი გულით შესწირა უფალს. ამიტომ ქრისტემაც ხაზგასმით აღნიშნა მისი საქციელის (სიყვარულის შეძლებისდაგვარად სრული გამოვლინება) განსაკუთრებულობა.

რა თქმა უნდა, ანთებულ კანდელს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. იგი ანათებს ხატებს და თავისი მკრთალი ნათელით განგვაწყობს ლოცვისათვის, რომლის გარეშეც ყოველგვარ კანდელსა და სანთელს არსი ეკარგება. შესწირეთ უფალს მცირეოდენი წრფელი გულით და ღმერთი იზრუნებს თქვენზე.

— რას ნიშნავს პარაკლისი?

— პარაკლისი თხოვნით ლოცვას ნიშნავს. მას სასულიერო პირი აღასრულებს. ამ ლოცვით კანონში თავმოყრილია მოკლე ლოცვები წმინდანის ცხოვრების და მისი ღვაწლის შესახებ. ეს ლოცვები რამდენიმე ნაწილად იყოფა და ყოველი ნაწილის სტრუქტურა მეტნაკლებად იდენტურია. ჯერ დასაწყისი ლოცვები იკითხება, შემდეგ ღმერთის, მაცხოვრის სადიდებელი, მერე რამდენიმე მუხლი თავად წმინდანის სადიდებელი და ბოლოს ღვთისმშობლის სადიდებელი. ლოცვის შუაში იკითხება სახარება შესაბამისი წესით. შემდეგ კვლავ რამდენიმე ტროპარი (მოკლე ლოცვა). ტროპარი აღწერს იმას, რომ ღმერთი ეხმარება ადამიანს ყველა ცოდვის გამოსყიდვაში. ამას ვხედავთ წმინდანთა ცხოვრებაში და ამას მოგვითხრობს ლოცვად პარაკლისიც. ამით განსწავლული მლოცველი ღმერთს უახლოვდება. ჩვენ პარაკლისით ვევედრებით წმინდანს შეწევნას და ისიც ხშირად არ აყოვნებს.

— როგორი უნდა იყოს სამლოცველო კუთხე სახლში?

— კარგი იქნება, თუ სახლში ერთი, მყუდრო კუთხე გამოიყოფა სამლოცველოსთვის. ოჯახის წარმმართველი ერთ-ერთი ძირითადი ძალა ლოცვაა. იმისთვის, რომ საკუთარი სახლი მცირე ეკლესიად ვაქციოთ, ძალზედ მნიშვნელოვანია საღმრთო წიგნების კითხვა და საეკლესიო გალობა. ვინაიდან ტაძარი ხატებით იმკობა, ქრისტიანის სახლის საუკეთესო მორთულობაც ხატია.

„იმისთვის, რომ საკუთარი სახლი მცირე ეკლესიად ვაქციოთ, ძალზე მნიშვნელოვანია საღმრთო წიგნების კითხვა და საეკლესიო გალობა. ვინაიდან ტაძარი ხატებით იმკობა, ქრისტიანის სახლის საუკეთესო მოთუღობაც ხატია".

— როგორ უნდა იქცეს მორწმუნე ოჯახი ეკლესიის ნაწილად?

— ეკლესია ის ადგილია, სადაც საღმრთო ლიტურგია და სხვა საიდუმლოებები აღესრულება. ოჯახის ეკლესიის ნაწილად ქცევისთვის აუცილებელია ოჯახის წევრები დადიოდნენ წირვებზე და ჩართულები იყვნენ ეკლესიური ცხოვრების რიტმში. შეძლებისდაგვარად ეზიარონ, ხშირად ჩააბარონ აღსარება, შეუკვეთონ პარაკლისები, სახლი მღვდელმსახურს აკურთხებინონ და სხვა. ამით თითოეული მორწმუნე ხდება ეკლესიის ნაწილი და ცოცხალი წევრი.

— არის თუ არა ტყუილის თქმა ყოველთვის ცოდვა?

— ტყუილის მამად წმინდა წერილში ეშმაკი იწოდება, ამიტომ, რა თქმა უნდა, ცოდვაა. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რაღაც ფორმით ტყუილი არსობრივად არა სიცრუე, არამედ სიმართლის დამალვაა. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება წმინდა თევდორე მღვდლის მიერ მომხვდურთა არასწორი გზით წაყვანა. მან ტყუილი თქვა, მაგრამ სინამდვილეში წმინდა მოძღვარმა ქართველთა მეფის ადგილსამყოფელის შესახებ სიმართლე დამალა, რითაც სამშობლო მორიგი უბედურებისაგან იხსნა. ხოლო სიმართლის დამალვას ხშირად კეთილი ნაყოფი გამოაქვს. ამიტომ ზოგჯერ იგი ვერ ჩაითვლება ტყუილად, თუნდაც გარეგნულად ასე ჩანდეს. სხვა შემთხვევაში ტყუილს ყოველთვის ბოროტება მოაქვს, რადგან მისი სათავე ეშმაკია. ამიტომაცაა, რომ ღრმა სულიერება სჭირდება იმის გარჩევას, როდის უნდა თქვა ტყუილი და როდის — არა. ადამიანიც ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, რომ ანგარებისა და გამორჩენის მიზნით ნათქვამი აშკარა ტყუილი სიკეთის მომტან სიმართლის დაფარვად ანუ „საქმისათვის საჭირო" ტყუილად არ მოეჩვენოს.

✓ **მანანა ნოდია**

ქართული კულტურის ოქროს ფონდი — საგანძური ყველა ოჯახისთვის

გიორგი კალანდია: „ეს მასალები გადატრიალებას მოახდენს"

გამომცემლობა „გუმბათისგან" ქართველი მკითხველი მალე უნიკალურ გამოცემას მიიღებს. საქართველოში პირველად მოხდა, როცა მუზეუმის საცავი ასე ფართოდ გაიღო და იქ დაცული დოკუმენტები წიგნებად გამოიცა. მუსიკის, თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში 130 ათასზე მეტი ხელნაწერი ინახება, რომლებიც იმ ადამიანების ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს, ვინც ქართულ კულტურას ქმნიდნენ და ქმნიან. გამოცემაში, რომელსაც „ქართული კულტურის ოქროს ფონდი" ჰქვია, მკითხველი უნიკალურ მასალას იხილავს, რომელიც ჯერ არსად გამოქვეყნებულა. თვის ბოლოს გამოვა პირველი ტომი — კოტე მარჯანიშვილი. წიგნები ჟურნალ „სარკესთან" ერთად გაიყიდება.

ამ უნიკალური პროექტის შესახებ მუსიკის, თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი, გიორგი კალანდია გვესაუბრება.

— ბატონო გიორგი, როგორ გაჩნდა ამ ტიპის გამოცემის შექმნის იდეა?

— ეს იდეა გამომცემლობა „გუმბათიდან" წამოვიდა. ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობთ იმ ინტელექტუალური მასალის, კაპიტალის გარეთ გატანაზე, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ეს მუზეუმი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საცავია, სადაც 130 ათასზე მეტი ხელნაწერი ინახება. ალბათ მიახლოებით მაინც ხვდებით, რამხელა ფონდთან გვაქვს საქმე. აქ ყველა იმ ადამიანის არქივია დაცული, ვისაც კი ქართულ სასცენო ხელოვნებაში რამე ღირებული შეუქმნია. აღსანიშნავია, რომ აქ მე-14 საუკუნით დათარიღებული დოკუმენტებიც ინახება.

— ეს არქივი არასოდეს გამოქვეყნებულა?

— ამ 130 ათასი დოკუმენტიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმეტესობა საზოგადოებისათვის უცნობია. ამ მასალების პოპულარიზაცია არათუ არ ხდებოდა, საცავი, ისევე, როგორც შენობა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ამისთვის არავის ეცალა. უნიკალური დოკუმენტების ნაწილი ბაზრობის ჩანთებში იყო ჩალაგებული, არ იყო დაცული შენახვის სტანდარტები, ფანჯრებიდან სინათლე და მტვერი შემოდიოდა. ეს ყველაფერი ხელნაწერებს განადგურებით ემუქრებოდა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, შეგვექმნა პირობები, რომ მთელი ეს ეროვნული საგანძური დაცული ყოფილიყო და როცა ეს მოვახერხეთ, დავიწყეთ ზრუნვა, ეს მასალა ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო.

— ვისთვის იქნება საინტერესო ამ მასალების გაცნობა, მკითხველის რა კატეგორიას დააინტერესებს გამოცემა?

Cyan Magenta Yellow Black

— ეს არის უნიკალური მასალა, რომელიც ყველას ოჯახში უნდა შევიდეს, როგორც საგანძური. ეს წიგნები განსაკუთრებით მათთვის იქნება საინტერესო და მე ვიტყოდი, რომ წამალიც, ვინც ხელოვნებით არის დაინტერესებული. იმ ახალგაზრდებისთვის კი, ვინც თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობენ ან ცხოვრების საქმედ ხელოვნებას ირჩევენ, სამაგიდო წიგნები გახდება. ეს მასალა უამრავ ინფორმაციას შეიცავს, მაგალითად, როგორ უნდა გადაიღო ფილმი, როგორ დადგა სპექტაკლი, როგორ იცეკვო... და ამ ყველაფერზე წერდნენ გენიოსები — კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჭიაურელი, ილიკო სუხიშვილი, სერგო ზაქარიაძე... ალბათ ახალგაზრდებისთვის საინტერესო იქნება ელდარ შენგელაიას მოსაზრება თუნდაც იმაზე, თუ როგორ უნდა აირჩიო კადრი და ა.შ. ამ არქივის გაცნობას პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება, ამით ბევრ რამეს ისწავლიან.

— მგონი, ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როცა გამომცემლობისთვის მუზეუმის არქივი გაიხსნა.

— კი, ასეა. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა გამომცემლობის და მუზეუმის თანამშრომლობის, როცა ამხელა საცავი გაიღო და უნიკალური დოკუმენტები საზოგადოების სამსჯავროზე გამოვა, დღის სინათლეს იხილავს. მუზეუმის დანიშნულებაც ეს არის. ჩვენ ამ ყველაფერს იმიტომ ვინახავთ და ვუვლით, რომ აქ დაცული მასალა, ინფორმაცია ხალხმა გამოიყენოს. სხვა შემთხვევაში ეს მიწაში დაფლული ოქრო იქნება. ეს განძი ამდენი ხანი რომ იყო დამარხული, ბევრ შემოქმედებით პროცესზე ცუდად აისახა, ბევრი რამ შეაფერხა. ამას ახლა გამოვასწორებთ. ვფიქრობ, რომ ეს მასალები გადატრიალებას მოახდენს ამ სფეროში, ბევრი რამის ახლებურად გააზრება მოხდება.

— პირველ ტომში იქნება კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ამ დიდ ხელოვანზე რა საახლეს გაიგებს მკითხველი?

— მე, როგორც ამ მუზეუმის დირექტორს, კოტე მარჯანიშვილის საარქივო მასალებთან ხშირად მიწევდა შეხება, ამიტომაც მეგონა, რომ მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. როცა პირველი ტომი ვნახე აწყობილი და წავიკითხე, მივხვდი, რომ თურმე ბევრი რამ არ მცოდნია. წიგნში შევიდა მისი მოგონებები, ასევე სიკვდილამდე ერთი დღით ადრე დაწერილი ლექსი, რომელიც მეუღლეს, ელენე დონაურს გაუგზავნა, 13 წერილი, რომელიც სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაწერა და მათ საზოგადოება არ იცნობს... ეს მასალები კოტე მარჯანიშვილს სულ სხვა თვალით დაგვანახვებს. ხაზს ვუსვამ, რომ ეს დოკუმენტები აქამდე არსად გამოქვეყნებულა.

წიგნში ასევე შევა მარჯანიშვილის თანამედროვეთა მოგონებები, რომლებიც მერე თავად გახდნენ ქართული სცენის კორიფეები. მაგალითად, ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ნატო ვაჩნაძის მოგონებებმა. ეს დიდი მსახიობი ძალიან კარგად ყვება, როგორ წამოვიდა კახეთიდან, როგორ გადავლო მდინარე დურუჯი და როგორ დაიწყო აბსოლუტურად განსხვავებული ცხოვრება. ჩემი აზრით, მკითხველი საოცრად საინტერესო სამყაროში იმოგზაურებს. ვურჩევ ყველას, რომ ეს წიგნები, რომელსაც „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“ ჰქვია, მართლაც საგანძურად შევიდეს ყველას ოჯახში.

— ასევე ძალზე საინტერესო იქნება რეპრეზირებული რეჟისორის, სანდრო ახმეტელის საარქივო მასალები. შინსახკომი ხომ გულმოდგინედ ანადგურებდა ყველა დოკუმენტს, რაც რეპრესირებულთა სახელს უკავშირდებოდა. ამ დიდ რეჟისორზე რა მასალებს გაეცნობა მკითხველი?

— მკითხველი სანდრო ახმეტელის შესახებაც უნიკალურ დოკუმენტებს გაეცნობა. ამ დიდი რეჟისორის ხელნაწერები მართლაც ძალიან ცოტა შემოგვრჩა. წაგიკითხავთ ფრაგმენტს მისი წერილიდან, რომლის არსებობის შესახებ ჩვენც არ ვიცოდით. სანდრო ახმეტელი წერს:

■ გიორგი კალანდია

„ჯერ კიდევ ყმაწვილი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი მე გავიცანი ჩემი ბიძაშვილის სახლში, სადაც ის ცხოვრობდა, სუფრას უჯდა და ოჯახის ახლობლად ითვლებოდა. ჩემი ბიძაშვილები მისი მეგობრები იყვნენ, ერთად კენწლაობდნენ, ჭიდაობდნენ, თამაშობდნენ და მეც მათი შემყურე ამ ორ-

„ეს ახის უპრეცედენტო შემთხვევა გამომცემლობის და მუზეუმის თანამშრომლობის, როცა ამხელა საცავი გაიღო და უნიკალური დოკუმენტები საზოგადოების სამსჯავროზე გამოვა. ამ გამოცემაში მახითლა ბევრი საინტერესო და უცნობი დოკუმენტი დაიბეჭდება“.

ომტრიალის წევრი ვხდებოდი. იოსები ჩემთვის განსაკუთრებული ხიბლის მატარებელი ადამიანი იყო. ბავშვებს ეს სჩვევიათ უფროს მეგობრებთან მიმართებაში. თუმცა მე მხიბლავდა ის, თუ რამდენს კითხულობდა იგი, მეცადინეობდა, მუშაობდა და ამასთანავე პოულობდა დროს, ელაზღანდარავა და ეჭიდავა ჩემთან. პირველად გავიგონე მისგან, რომ თურმე მეფის ლანძღვა შეიძლება. მახსოვს, ამ ამბავმა მაშინ იმდენად მომნუსხა, რომ გაოცებისაგან სული შემეხუთა. პირველად გავიგონე მისგან სიტყვები: „რევოლუცია“ და „იატაკქვეშეთი“...

დანარჩენს ინტრიგად დავტოვებ. სანდრო ახმეტელის ამხელა მოგონება ძალიან იშვიათია... არ ვიცოდი, რომ ახმეტელების ოჯახი სტალინთან ასე იყო დაახლოებული. დანარჩენს, თუ როგორ ვითარდება შემდგომში მოვლენები, მათი ურთიერთობა, არ გაგიმხელთ, ამას მკითხველი წიგნში ნახავს.

— ამბობენ, რომ ახმეტელი ბერიას არაფრად აგდებდა. ყვებიან, რომ ერთხელ ბერიამ მანქანა გაუჩერა, სთხოვა, ჩამჯდარიყო, ახმეტელმა კი შეუკურთხა და გაიარა. ისიც ცნობილია, რომ ბერიაზე გაბრაზებული ხშირად ამბობდა, სტალინთან წავალ და მასთან გავარკვევ ყველაფერსო...

— სხვათა შორის, ახმეტელი იხსენებს, როცა სტალინი სპექტაკლის სანახავად მოდიოდა, ვფიქრობდი, როგორ მიმემართა მისთვის, ისე, როგორც მთელი მსოფლიო მიმართავდა, თუ ძველებურად, როგორც ბავშვობაში ვეძახდიო. უნდა გითხრათ, რომ ისე მიმართა, როგორც ბავშვობაში და ამის საშუალება თვითონ სტალინმა მისცა.

— ალბათ მკითხველისთვის ისიც საინტერესო იქნება, ეს ადამიანები როგორ ახერხებდნენ თავიანთი პრინციპებით, ზოგჯერ კომპრომისებითაც ღირებული სამუშაურების შექმნას.

— ეს ადამიანები ჩვენთვის ზნეობრივი ცხოვრების მაგალითები არიან, თუ როგორ უნდა იცხოვრო, შემოქმედებაში როგორი უნდა იყო.

მოსკოვში, „არუჟინნაია პალატაში“, საქართველოს მეფეებისა და დედოფლების ტანსაცმელი ინახებოდა, მათ შორის — ოქროს აბჯარი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული და, იცით, ის როგორ მოხვდა საქართველოში? მას ჩვენ არასოდეს არავინ გადმოგვცემდა, რომ არა მიხეილ ჭიაურელი და მისი სიახლოვე სტალინთან. მან თქვა, რომ ფილმისთვის „გიორგი სააკაძე“ ეს კოსტიუმები სჭირდებოდა. სტალინის განკარგულებით, მოსკოვის ყველაზე დაცული და საპატიო მუზეუმიდან ეს სამეფო ტანსაცმელი გამოიტანეს და საქართველოს გადასცეს, რომ ფილმში გამოეყენებინათ. შემდეგ კი ეს უნიკალური კოსტიუმები საქართველოში დარჩა. ნაწილი ჩვენს მუზეუმში ინახება, ნაწილი — ხელოვნების მუზეუმში. მიხეილ ჭიაურელის ეს საქციელი ხომ არის ქვეყნისთვის უანგარო სამსახურის მაგალითი? დამეთანხმებით, რომ არის. მკითხველი ამ გამოცემაში ბევრ ასეთ მაგალითს ნახავს.

■

„მიშა, შენ გენაცვალე, იმ დღეს შენი ხმა რომ მესმის, კიდევ მაქვს ძალა სიცოცხლისთვის, მაგრამ შენ რომ ცუდათ გრძნობ თავს, მე აღარა ვარ... ჩემო სიყვარულო, ჩემო ძვირფასო, ჩემო მიშა, არა გრცხვენია, როგორ იტყვი ხოლმე „ვერიკო ცუდათ მელაპარაკაო“. შენ ალბათ მოგეჩვენა, ჩემთვის შენი ხმის გაგონებაც კი არის უდიდესი სიხარული, ისეთი მონატრებული ვარ შენი ნახვის, აბა როგორ შეიძლება, რომ ცუდათ გელაპარაკო...“ — ეს არის ამონარიდი ვერიკო ანჯაფარიძის წერილიდან, რომელსაც ქმარს, მიხეილ ჭიაურელს სწერს.

გიორგი კალანდია:

— ჩვენ გვინდოდა მათი ადამიანური ცხოვრების წარმოჩენაც, რომელიც ასევე ძალიან მომხიბვლელია. ჩვენ ძალიან საინტერესო გზა ავირჩიეთ, მკითხველს ვაჩვენებთ როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას, ასევე პირად დამოკიდებულებებს. ყველა ისე იქნება წარმოდგენილი, როგორც ქანდაკება, რომელსაც შეგიძლია გარშემო შემოუარო და სრულად აღიქვა.

✓ **ირინე მჭედლიძე**

Cyan Magenta Yellow Black

იპოვეთ ხუთი განსხვავება



გააფერადეთ!

Cyan Magenta Yellow Black

ინდაურის სუპი სუნელებით

მასალა:
ხახვი — 1 თავი
სტაფილო — 500 გ
კარტოფილი — 500 გ
ინდაურის ბარკალი — 1 კგ
მარილი, პილპილი — გემოვნები
ერბო — 2 ს.კ.
ქათმის ბულიონი — 400 გ
ბაჰარი — 5 მარცვალი
დაფნის ფოთოლი — 1 ცალი
მწვანე ხახვი — 1 კონა
მდოგვი — 1-2 ს.კ.
მწვანილი — 1 კონა

მომზადება: ხახვი აკეპეთ, გათლილი კარტოფილი და სტაფილო კუბიკებად დაჭერით. ხორცს მოაყარეთ მარილი, პილპილი და ერბოში შეწვით.

როცა კარგად შეიბრაწება, ტაფიდან ამოიღეთ. იმავე ტაფაში დარჩენილ ცხიმში კარტოფილი და სტაფილო მოშუშეთ. დაუმატეთ ინდაურის ბარკალი, ბულიონი, ბაჰარი, დაფნის ფოთოლი და 60-70 წუთი ხარშეთ. ბოლოს სუპს დაჭრილი მწვანე ხახვი ჩაუმატეთ. ამოიღეთ ხორცი, მოაშორეთ ძვლები, დაჭერით კუბიკებად და ისევ სუპში ჩააბრუნეთ. შეაზავეთ მარილით, პილპილითა და მდოგვით. ბოლოს მოაყარეთ აკეპილი მწვანილი.

ოჯახური ნამცხვარი

მასალა:
კარაქი — 125 გ
შაქარი — 220 გ
დარიჩინი — 1/2 ჩ.კ.
ფქვილი — 400 გ
რძე — 600 მლ
კვერცხი — 1 ცალი
გამაფხვიერებელი — 20 გ
შვრიის ფანტელი — 1 ჭიქა
ცუკატები ან ქიშმიში — 100 გ
ქუნჯუტი — გემოვნებით

მომზადება: თუ ცუკატებით აკეთებთ, ისინი წვრილად დაჭერით, ჯამში ჩაყარეთ შაქარი, ფქვილი, დაუმატეთ დარიჩინი და გამაფხვიერებელი, კუბიკებად დაჭრილი კარაქი, ჩაახალეთ კვერცხი და მიქსერით კარგად ათქვიფეთ. ჩაასხით რძე და მოურიეთ. შემდეგ ჩააყარეთ შვრიის ფანტელი, ცუკატები (ან ქიშმიში) და კარგად აურიეთ.

ღუმელი 180 გრადუსამდე გაახურეთ, გამოსაცხობ ფირფიტაზე პერგამენტი დააფინეთ და ზედ ცომისგან მომზადებული პატარა მრგვალი ნამცხვრები დაალაგეთ, მოაყარეთ შაქარი, ქუნჯუტი, შედგით ღუმელში და 12-15 წუთი გამოაცხვეთ. როცა გამოცხვება, გადმოიღეთ, შეაგრილეთ და ცალკე თეფშზე დაალაგეთ. მიირთვით ჩაისთან ან ყავასთან ერთად.

ყარყალოები ყველით

მასალა:
კარაქი — 200 გ
არაჟანი — 200 გ
ფქვილი — 3 ჩ.ჭ.
ხაჭო — 300 გ
ყველი (გახეხილი) — 250 გ
კვერცხი — 3 ცალი
მანანის ბურღული — 1 ს.კ.
მარილი — 1 ჩ.კ.

მომზადება: კარაქი და ფქვილი დანით აკეპეთ, შეურიეთ არაჟანი, მარილი, მოზილეთ ცომი და შედგით მაცივარში 10-15 წუთით.

მაცივრიდან გამოღებული ცომი გააბრტყელეთ, ამოაჭერით რგოლები და ჩააწყვეთ ცხიმმოსმულ ფორმებში.

ხაჭო, გახეხილი ყველი, კვერცხი და მანანის ბურღული აურიეთ და ეს მასა ფორმებში ჩადებულ ცომს დაადეთ (ხაჭოიანი მასა გამოცხობის დროს იმატებს, ამიტომ ფორმის 3/4 ნაწილზე დაადეთ). შედგით ცხელ ღუმელში და საშუალო ცეცხლზე შეწითლებამდე გამოაცხვეთ.

თაფლის ნამცხვარი ჯოჯათი

მასალა:
ფქვილი — 200 გ
შაქარი — 100 გ
კოჭა (დაფქული) — 1/4 ჩ.კ.
კოჭა (ცოცხალი, დაჭრილი) — 2 ჩ.კ.
დარიჩინი (დაფქული) — 1 ჩ.კ.
სოდა — 1 ჩ.კ.
თაფლი — 225 გ
ზეთი — 4 ს.კ.
ფორთოხლის ცედრა — 1 ცალი
კვერცხი — 2 ცალი
ფორთოხლის წვენი — 5 ს.კ.

მომზადება: ჯამში შეურიეთ ფქვილი, შაქარი, დაფქული კოჭა, სოდა და დარიჩინი, დაუმატეთ თაფლი, ზეთი, ჩაახალეთ კვერცხი და დაუმატეთ გახეხილი ფორთოხლის ცედრა. ყველაფერი მიქსერით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ათქვიფეთ, დაუმატეთ ფორთოხლის წვენი და წვრილად დაჭრილი კოჭა, მოურიეთ.

ფორმას ცხიმი მოუსვით და ცომი ჩადეთ, შედგით წინასწარ 180-200 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში და 50-60 წუთი გამოაცხვეთ. მზა ნამცხვარი ღუმელიდან გამოიღეთ, ფორმაშივე გააცივეთ, შემდეგ ამოიღეთ, დაჭერით და სუფრასთან მიიტანეთ.

საშობაო ნამცხვარი

მასალა:
თაფლი — 1/2 ჭიქა
შაქარი — 1 ჭიქა
კარაქი — 120 გ
ფქვილი — 3 ჭიქა
კვერცხი — 2 ცალი
გამაფხვიერებელი — 1 ჩ.კ.
მიხაკ-დარიჩინი — 2 ჩ.კ.
ჯავზი — 1 ჩ.კ.

მომზადება: თაფლი წყლის აბაზანაზე გაადნეთ. შემდეგ ღრმა ჯამში ჩაასხით. დაუმატეთ კარაქი და ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ათქვიფეთ. მეორე ჯამში კვერცხი და შატარი ათქვიფეთ. შემდეგ ეს მასა თაფლიანს შეურიეთ. ჩაუმატეთ მიხაკ-დარიჩინი, ჯავზი, ფქვილი და ცომი მოზილეთ. 3 საათით მაცივარში შედგით. შემდეგ ცომის ნაწილი გადმოიღეთ, 4 მმ სისქეზე გააბრტყელეთ და ფორმები გამოჭერით. ნამცხვრები გამოსაცხობ ფირფიტაზე (პერგამენტდაფენილ) დაალაგეთ და 190 გრადუსზე 10 წუთი გამოაცხვეთ. შეგიძლიათ მზა ნამცხვარს შაქრის პუდრი მოაყაროთ.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ფეტრის ყვავილები

ამ ყვავილების დამზადება უმარტივესია, სამაგიეროდ ლამაზია და მათი გამოყენება სხვადასხვა ნივთზე შეიძლება: ჩანთაზე, სამაჯურზე, ყელსაბამზე, ქუდზე, სამოსზე.

ყვავილების გასაკეთებლად დაგჭირდებათ: ფეტრის ქსოვილი, ერთი ფერი — სურვილისამებრ, მეორე, მწვანე კი — ფოთლებისთვის, მაკრატელი და წებო.

დავახვიოთ ქსოვილი რულეტივით.

თუ გვაქვს ოდნავ განსხვავებული ფერის ფეტრი, შეგვიძლია ორივე ერთად დავახვიოთ და დაჭრის შემდეგ ორფერ ყვავილს მივიღებთ.



გავასწოროთ დახვეული ქსოვილი და დავჭრათ. ასეთი წესით დავამზადოთ სხვადასხვა ზომის ყვავილები.

ფოთლის ფორმაზე დავჭრათ მწვანე ფერის ფეტრი. უკვე მზა ყვავილები და ფოთლები სასურველ ნივთზე (ამ შემთხვევაში, თმის სარტყელზე) წებოს საშუალებით დავამაგროთ.

სულ ესაა.

გისუტყვემთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

4	8	9	3	1	6	2	7	5
3	6	7	2	4	5	9	1	8
2	5	1	8	9	7	6	3	4
6	3	4	5	2	1	8	9	7
9	7	8	4	6	3	5	2	1
1	2	5	9	7	8	3	4	6
8	9	2	1	5	4	7	6	3
7	4	3	6	8	2	1	5	9
5	1	6	7	3	9	4	8	2

№ 2

6	5	4	3	8	7	9	2	1
7	8	1	9	5	2	3	6	4
3	9	2	4	6	1	7	8	5
4	2	6	1	7	3	8	5	9
5	1	3	8	9	4	2	7	6
8	7	9	6	2	5	1	4	3
2	3	7	5	4	9	6	1	8
1	6	5	2	3	8	4	9	7
9	4	8	7	1	6	5	3	2

რატომ არის სიარული უფრო ადვილი, ვიდრე დგომა?

ფიქრობთ, როდესაც მშვიდად დგახართ, კუნთები არ მუშაობენ? ცდებით! ფეხის ყველა კუნთი თითქმის მუდამ დაძაბულია, ხოლო წონასწორობის შესანარჩუნებლად პრესისა და ზურგის მუსკულატურას ვიყენებთ. მაშინაც კი, როდესაც ვდგავართ, დაახლოებით 300 კუნთი მუშაობს. ამასთან ერთად, სანამ ერთ მდგომარეობაში ვართ და არ ვინძრევით, ისინი დასვენების შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. ხოლო, როდესაც დავდივართ, მაშინ დატვირთვა სხვადასხვა კუნთზე უფრო თანაბრად ნაწილდება. სანამ ერთი ჯგუფი მუშაობს, მეორე ისვენებს და პირიქით.

ორთოპედებს აქვთ ასეთი ტერმინი: „კაზინოს სინდრომი“. ასე უწოდებენ მომატებულ დაღლასა და ფეხებში ტკივილს, რომელიც ერთ ადგილზე ხანგრძლივად დგომის გამო წარმოიქმნება. სინდრომი გავრცელებულია მაგალითად, გამყიდველებს, პარიკმახერებსა და მასწავლებელს შორის. ადამიანებს, რომლებსაც, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, ფეხზე ხანგრძლივად დგომა უწევთ, ვურჩევთ, სხეულის მდგომარეობა ხშირად შეიცვალონ. ნებისმიერი შესაძლებლობის დროს დასხდნენ, იარონ, ივარჯიშონ.

Cyan Magenta Yellow Black

ახალი წლის ღამე ჰოლივუდურად

ახალი წელი ის დღესასწაულია, როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავები ლოს ანჯელესიდან ნიუ იორკისკენ მიემართებიან, სადაც ყველაზე მოდური და ვარსკვლავური მეჯლისი იმართება. სწორედ ამ მეჯლისზე შეხვდნენ ახალ წელს ლედი გაგა, ჯასტინ ბიბერი, ფერჯი ქმართან ერთად, ნიკი მინაჟი და ბევრი სხვა.

პერის პილტონი

როგორც მოსალოდნელი იყო, წვეულების მთავარ პერსონად ლედი გაგა იქცა, რომელსაც ქათქათა თეთრი სამოსი ეცვა და თავზე თეთრი პარიკი ედო. ეტყობა, გადაწყვიტა, მეჯლისზე ფიფქიას როლი მოერგო.

ყველაზე ახალგაზრდა მილიონერი ჯასტინ ბიბერი თინეიჯერი გოგონების გარემოცვაში იწონებდა თავს. ახალი წლის ღამეს მან 5 ჭიქა საახალწლო შუშხუნა კოქტეილი გამოცალა. წვეულების შემდეგ სტუმრებმა ლედი გაგას კლუბში გადაინაცვლეს.

პამელა ანდერსონი და მისი ახალი ბოიფრენდი ახალ წელს გართობის დედაქალაქ ლას ვეგასში შეხვდნენ. პამელამ ტრადიციას არ უღალატა და ახალ წელსაც საკმაოდ შილიფად ჩაცმული შეხვდა. არც თაყვანისმცემლებთან კეკლუცობას მოერიდა. ამის გამო ცოტა განაწყენებულმა მისმა ბოიფრენდმა კი ცხელ გულზე ერთი ბოთლი ვისკი გამოცალა.

ელიტური წვეულებების დედოფალი კორტნი კარდაშიანი, რომელიც მეორე ბავშვზეა ორსულად, ახალ წელს ქმართან ერთად ლას ვეგასის მდიდრულ სასტუმროში შეხვდა. კორტნის ცნობილმა დამ, კიმ კარდაშიანმა, დღესასწაული დედასთან ერთად გაატარა, რომელიც სმოკინგში იყო გამოწყობილი და ბევრს ის კიმის ახალი ბოიფრენდი ეგონა.

რიანა
პამელა ანდერსონი
ლედი გაგა

დები ჰილტონები, პერისი და ნიკი, ახალ წელს ტრადიციულად საოჯახო სასტუმრო „ჰილტონში“ შეხვდნენ, მოგვიანებით კი რეპერ პაფ დედის წვეულებაზე წავიდნენ. იქ მომღერალი რიანაც დახვდათ, რომელიც ახალი წლის პირველ ღამეს რატომღაც მოკრძალებული კაბით აღნიშნავდა.

კეტი და ჯეიკი

კეტი ჰოლმსის ახალი რომანი

ახალი წლის დღეებში ჰოლივუდში ახალი ჭორიც გავრცელდა — კეტი ჰოლმსმა და ჯეიკ ჯილენჰალმა რომანი გააჩაღეს. ორივენი ნიუ იორკში ცხოვრობენ, ორივენი ბროდვეის სპექტაკლებში თამაშობენ და ამ ეტაპზე ორივენი მარტონი არიან.

დაბოლოს, წყვილი ერთად შენიშნეს ნიუ იორკის რესტორანში. ერთ-ერთ ტაბლოიდში ისიც ეწერა, რომ ვახშმის შემდეგ კეტიმ და ჯეიკმა ფეშენებელურ სასტუმროში გადაინაცვლეს.

ამ ამბის გახმაურებამ ორივე მსახიობი გააღიზიანა. კეტიმ განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია აბსოლუტური სისულელეა, ჯეიკმა კი მას ფაბრიკაცია უწოდა. არადა ჰოლივუდში ხომ სწორედ ასე იწყება ნამდვილი რომანები.

ნაომი კემპბელი პარიზში გაძარცვეს



ნაომი კემპბელი თავდასხმის შემდეგ

სუპერმოდელ ნაომი კემპბელის გარშემო სკანდალური ისტორიები უცხო არ არის, მაგრამ, როგორც წესი, ისინი პოდიუმის შავი ავაზის ცუდ ხასიათს უკავშირდება ხოლმე. ამჯერად კი კემპბელი გაძარცვეს.

პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე ნაომის თავს მაშინ დაესხნენ, როცა ტაქსის გაჩერებას ცდილობდა. ჯიბგირებმა მოდელს ხელი ჰკრეს. ნაომი წაიქცა და ფეხი სერიოზულად დაიზიანა. მძარცველებმა მას ძვირფასეულობა გასტაცეს. დაკარგული ნივთების ღირებულება უცნობია. ნაომიმ კი ფეხის ტრავმის გამო რამდენიმე დღე ინვალიდის სავარძელში გაატარა და ვერც რომან აბრამოვიჩის მიერ გამართულ საახალწლო წვეულებას დაესწრო.

ნაომის შეყვარებულმა, რუსმა მილიარდერმა ვლადისლავ დორონინმა, საყვარელი ქალი სამკურნალოდ კოლორადოში გაუშვა.

2012 წლის ტოპ-ფეშენ წყვილი

დაიან კრუგერი და ჯოშ ჯეკსონი

კეიტ მიდლტონი და პრინცი უილიამი

ნატალია ვოდიანოვა და ანტუან არნო

ჯასტინ ტიმბერლეიკი და ჯესიკა ბილი

დენიელ კრეიგი და რეიჩელ ვაისი

ჟურნალ „ვოგის“ ექსპერტებმა 2012 წლის ყველაზე მოდურ და გემოვნებიან ვარსკვლავურ წყვილად დაიან კრუგერი და ჯოშ ჯეკსონი დასახელეს. ისინი მთელი წლის განმავლობაში პრემიერებსა და სხვადასხვა წვეულებებზე ყველაზე გემოვნებიანად იყვნენ ჩაცმული.

მეორე ადგილზე ტომმოდელი ნატალია ვოდიანოვა და ფეშენ იმპერიის მემკვიდრე ანტუან არნო გავიდნენ.

მესამე ადგილი კეიტ მიდლტონმა და პრინცმა უილიამმა დაიკავეს. კემბრიჯის ჰერცოგინია უკვე დიდი ხანია, მოდის კანონმდებლად იქცა და მას ბევრი ინგლისელი გოგონა ბაძავს.

ტოპხუთეულში ასევე მოხვდნენ ჯასტინ ტიმბერლეიკი და ჯესიკა ბილი, დენიელ კრეიგი და რეიჩელ ვაისი.

სოფო:
„ნოდიკო
სიგარეტის მოწევას
აუცილებლად
დაანებებს თავს.
მე მითხრეს,
რომ ძალიან
არ უნდა გავხდე“

ნოდიკო:
„31 დეკემბერს
ნერვული სისტემა
მოგვეშალა,
სახეზე ღიმილი
შეგვეყინა“

გვ.9

რა მსხვერპლს გაიღებენ ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი „ევროპიზიის“ კონკურსისთვის